

ମେଲାନ୍ ନିର୍ମାଣ 1 # 12 - 2006



ମେଲାନ୍

12 ମେଲାନ୍



საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

სისტემა!

2006
2006

ცლის
დღის ანაბრები



თავისუფალი
ანაბარი

მათი თავისუფლება
მათი სარგებლით!

■ პრემიუმი
ანაბარი

მიმღები მათი და
მიმღები პრემია **20.06%**

სარეკლამო კომპანია ადმან არაბი



Advertising Company
Mr. Adman



რესაუნდის მოძღვანი 8X6 მ.



თავისუფლების მოძღვანი 8X6 მ.



ავტობუსის მოძღვანი 7X6 მ.

გარე რეკლამის ყველაზე ეფექტური საშეალება

საჩეკლო კომპანია "მისცებულებები" გთავაზობთ
სხეულიად ახალი სახის მომსახუებას:
საჩეკლო ხგოლების განთავსებას ეიღოთ მატიციან
ცენტრული მონიცობებზე.

მონიცობის მაყუჟებელთა ჩათვენობა შემდეგია:

თავისუფლების მოძღვანი

დროის მიზნა/კვარტლი	აფეთქებელი გებები	მისამართი	აფეთქებელი და ტრილოგიური გებები	ფაზით მიზნა/კვარტლი	სულ	GRP
07 - 08	2478	160	520	948	4106	0,45
08 - 12	16392	1840	4000	16032	38264	4,17
12 - 14	7620	680	1760	7144	17204	1,88
14 - 18	14400	1680	2880	15424	34384	3,75
18 - 20	8160	1000	1760	8240	19160	2,09
20 - 23	10260	1020	1800	5676	18756	2,05
სულ	59310	6380	12720	53464	131874	14,38

კვაბულის მოძღვანი

დროის მიზნა/კვარტლი	აფეთქებელი გებები	მისამართი	აფეთქებელი და ტრილოგიური გებები	ფაზით მიზნა/კვარტლი	სულ	GRP
07 - 08	576	1140	480	268	2464	0,27
08 - 12	10096	5200	3200	3616	22112	2,41
12 - 14	5352	4320	1680	1464	12816	1,40
14 - 18	7152	7040	3680	4272	22144	2,41
18 - 20	7776	7120	3840	4096	22832	2,49
20 - 23	4764	4560	2280	1236	12840	1,40
სულ	35716	29380	15160	14952	95208	10,38

ჩეკების მოძღვანი

დროის მიზნა/კვარტლი	აფეთქებელი გებები	მისამართი	აფეთქებელი და ტრილოგიური გებები	ფაზით მიზნა/კვარტლი	სულ	GRP
07 - 08	5010	360	480	1572	7422	0,81
08 - 12	26472	4400	2560	9952	43384	4,73
12 - 14	12840	2800	880	5056	21576	2,35
14 - 18	25152	4640	2240	9824	41856	4,56
18 - 20	15300	2400	1440	5128	24268	2,65
20 - 23	15750	1560	1080	5976	24366	2,66
სულ	100524	16160	8680	37508	162872	17,76

რეკლამის განთავსება




დაბადების დღისას მილოცვა

საკონცერტო ტრანსლაციები

სიყვარული

თბილისი, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მე-20 კმ, 0131
David Agmashenebeli alley 20th km, 0131, Tbilisi Georgia

☎: 995 32 51 77 00 (03); 51 78 00 (07); Fax: 995 32 51 77 00



yda: Tea Jor JaZe, foto: Inez Van Lamsweerde, Vinoodn Matadin

000328	გენ(იალ)ური ინჟინერია – ინტერვიუ იზაბელა როსელინისთან–სალომე დადუნაშვილი
000336	ბერლინალე – ნინია კაკაპაძე
000346	ტონინო გუერა – ინტერვიუ –ქეთი მაჭავარიანი, ნათია გაბადაძე
000353	ფილმების ახსნა–გიგა ზედანია
000358	ABSOLUT DJORDJADZE-ინტერვიუ თეა ჯორჯაძესთან-ნესტან კვინიკაძე
000376	მეილი სიმონ მაჩაბელთან – თინა ასათიანი
000378	NEW YORK FASHION WEEK 2006 -ექსკლუზიური რეპორტაჟი ნიუ იორკის მოდის კვირეულიდან-ნათია მიქაუტაძე
000392	ფოტოპროექტი – ჩვეულებრივი ფიქცია
000412	უორუ ეკიზაშვილი VOILA - ნესტან კვინიკაძე
000420	EXLIBRIS-გიგა ზედანია
000382	ფემინიზმი – ნოდარ ლადარია, ანა მაყაშვილი, ლევან რამიშვილი
000426	უვიცი კაცის ჩანაწერები – ექსკურსია–გაგა ნახუცრიშვილი
000402	ბზიკი
000424	ბაბუაჩემი დუელში მოკლეს – ნოველა-გიო მგელაძე
000442	თეატრალური მიმოხილვა– დავით ბუხრიკიძე
000430	გრუპიები – ლაშა გაბუნია
000448	არტქერონიკა-ანა მაყაშვილი
000422	ჰანტერ ტომპსონი-დავით კოვზირიძე
000466	ხაჩიკას სპორტლისტი
000268	პირადობის მოწმობა - ელენე გეღვანიშვილი



პროექტის ავტორი/დამფუძნებელი: ნინო დარასელი

არტ-დირექტორი: IC თეონა ცინცაძე;

დიზაინი: DJ ლევან ასათიანი

თემურ(Kohi) მაჭავარიანი; *გიო სუმბაძე

MC ლევან (ლიუ) ნუცუბიძე

მთავარი რედაქტორი: გოგი ახალკაცი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ნუცი

კირცხალია, გიგი გულედანი

ფოტორედაქტორი: გიგა ჭელიძე

სპეციალურების დირექტორი: ირკა კავილაძე

მხატვარი: ნინო ქორიძე, რატი ერაძე

სტილი-ვიზუალი: სალომე ზაქარაია

მარკეტინგის მენეჯერი: ლელი მირიჯანაშვილი

PR მენეჯერი: ირაკლი ჩიტვაძე

ოფის-მენეჯერი: ეკა ასათიანი

პასუხისმგებელი მდივანი: ნინო ჭიჭინაძე

კოორდინატორი: ბესო ხაინდრავა

სტილისტ-რედაქტორი: რუსუდან ღლონტი

ნომერზე მუშაობდნენ:

თნათინ ასათიანი, მარიკა ასათიანი, სანდრო

ასათიანი, ზინკა ბარნოვი, ლაშა ბულაძე, დათო

ბუხრივიძე, ეკა გაბაშვილი, ლაშა გაბუნია,

სოფო გაგუა, გიორგი დადიანი, სალომე

დადუნაშვილი, ნინო დვალი, თიკო დიდავა, ნინო

ექვთიმიშვილი, გიგა ზედანია, ნინია კაკაძე,

ნესტან კვინიკაძე, თემო კვირკველია, დათო

კოვზირიძე, ნიკა კოჩაროვი, მაკა კუკულავა,

ნოდარ ლადარია, სოფო ლაპიაშვილი, ქეთა

ლომიძე, ნიკა მაჩაიძე, ქეთა მაჭავარიანი,

ლევან მაჭარაშვილი, ანა მაყაშვილი, ევა

მენორშაშვილი, ავთო მოსულიშვილი, თაზო

ჭედლიძე, გაგა ნახუცრიშვილი, ლევან

რამიშვილი, ნატა სოფრომაძე, გიო სუმბაძე,

სოფოტაბატაძე, თამუნაქორქია, გიორგისაჩიძე,

ნათია ჯოხაძე, ნიკა მაჩაიძე, გიკო დადიანი.

ურნალი „ანაბეჭდი“

სტუდია „ანაბეჭდი“

შპს „ტალიმანი“

რედაქციის მისამართი:

შანიძის ქ. №13

თბილისი 0179

Tel/Fax: 25 38 38

Web: www.anabechdi.ge

E-mail: info@anabechdi.ge



გაზაფხულის მოსვლას გილოცავთ! მიუხედავად იმისა, რომ ანტარქტიდაზე ნამდვილად არ ვცხოვრობთ და კლიმატური პირობებიც საქართველოში პრინციპში ასატანი გვაქს, გაზაფხულის მოსვლას, მის დასრულებისთანავე ველით ხოლმე. დიდად ისიც კი არ გვანალვებს, გაზაფხულთან ერთად ქათმის გრიპიც რომ გზაშია. ისე ფრინველების რა გითხრათ და ჩვენმა უურნალისტებმა ამ უურნალის მასალის მოსაგროვებლად სერიოზული გადაფრენები გააკეთეს.

სალომე დადუნაშვილი: ლონდონი-პარიზი-ბერლინი, ნინია კაკაძაძე: პრაღა-ბერლინი, დათო ბუხრივიძე: ამსტერდამი-ბერლინი. ანაბეჭდის დესანტის საბოლოო დისლოცირების ადგილი, როგორც შეატყვეთ, ბერლინის კინოფესტივალი იყო. აქვე გეტყვით, რომ იმდენი მასალა ჩამოიტანეს, რომ გადანაწილება სამ ნომერზე მოგვინევს.


არ ვიცი, როდის შევა საქართველო ევროკავშირში, ან ნატოში, მაგრამ მარტის ანაბეჭდს რომ წაიკითხავ, ნამდვილად არ გაგახსენდება, რომ სულ ცოტა ხნის წინ გაზი და შუქი არ გვქონდა, სულ ცოტა ხნის წინ რომ საქართველოს გახსენებას უცხოელებისათვის მხოლოდ სტალინით და შევარდნაძით ვახერხებდით და კიდევ უამრავი „სულ ცოტა ხნის წინ...“ მოკლედ ვცდილობთ გავერიოთ მსოფლიო მარაქაში. ვერც წარმოიდგენთ წინ და მომავალ ნომრებში ვისი ინტერვიუები გელოდებათ. (მეთვითონაც გაოცებული ვარ).

ბერლინზე ხომ უკვე მოგახსენეთ, აქვე იმასაც გეტყვით, რომ ნიუ-იორკის მოდის კვირეული ნათია მიქაელაძემ FASHION WEEK-ის დასრულებისთანავე აფრინა NY-იდან. გავნაგრძო? არა, მეტს აღარაფერს გეტყვით, უბრალოდ გადაშალეთ და თქვენთვითონ შეაფასეთ. ჩვენ კი გავაგრძელებთ თქვენთვის მუშაობას, სანამ ამ ნომერს წაიკითხავთ, შემდეგიც მოგისწრებთ. გაზაფხულმა კი უკვე მოგვისწრო და ამიტომ კიდევ ერთხელ გილოცავ!

P.S. მარადიულ კითხვაზე – „ჯერ ქათამი იყო, თუ ჯერ კვერცხი?“ – „ანაბეჭდში“ პასუხი ჯერ ისევ არ გვაქს, მაგრამ ვიცით – გრიპი შემდეგ იყო.



nino daraseli





ვაკეს საცურაო აუზი და ფიტნეს კლუბი

VAKE SWIMMING POOL AND FITNESS CLUB



+5 luxorკომპიუტერის თამაშია
ასეთი, ფერადი
ბურთებით**+4 satellite tv**

ათას ერთი არხი

+3 r&b

"want him to be my nigga"

+2 კლასიკური უიკენდი

ზოგჯერ ასწორებს

+1 ცხელი შოთიყველას უყვარს, მაგრამ
ყველას არ ეჭმევა**0 ოპერაცია "ლომბარდი"****-1 ვიდეოკლიპები**რუსთავი 2-ზე
შით-პარად**-2 მარტის ქარები****-3 ტაქსი მრიცხველის
გარეშე**"რავიცი, რამდენიც გინდა,
ძმა.."**-4 ხსნადი ყავა და პაკეტის
ჩაი****-5 დომოფონ**სირბილი კარამდე და უკან.
დღეში ბევრჯერ

redaqci is e-mail-z e mosuli anonimuri foto



პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

სასწოვებელი ფაქტოს შეძენის ეს პირისმანულის სასხვა



გსეით შეიძინოთ ან ბარათ სასწოვებელი ფაქტი?
შეიძინოთ ანაღი საყოფასს სასწოვებო ნივთები ან ავაჯი?

მობილური ჩვენს ნებისმიერ ფილიალში
ეს ებრა შევაჩინოთ სესხი

ზურგი, თომის გადასაცემას მხოლოდ სას ჭიდვის წესი!

gen(i al)ur i i nj i ner i a

interviu
iz abela roselini sTAn

salome dadunaSvili

ინგრიდ ბერგმანისა და რობერტო როსელინის სკანდალური ქორწინების ნაყოფი ბერლინის კინოფესტივაზე წარმოდგენილ 3 ფილმში მონაწილეობდა, თუმცა მთავარი როლი ულამაზეს იზაბელას მხოლოდ ერთ ფილმში ერგო.

რეჟისორმა ლუის ლიოსამ, რომელიც მანამდე, ძირითადად, პოლიუდის მრავალმილიონიანი ბიუჯეტის მქონე ფილმებს იღებდა (მაგალითად, „სპეციალისტი“, „ანაკონდა 1“ და „ანაკონდა 2“), გადაწყვიტა, გიგანტური გველებით სავსე კინოკარიერა სხვა კალაპოტში გადაეყვანა.

მას ბედმა ძალიან გაუღიმა, რადგან ლუის ლიოსა, არც მეტი, არც ნაკლები, შესანიშნავი მწერლის, მარიო ვარგას ლიოსას, ბიძაშვილია და შესაძლოა, სწორედ ამ ნათესაური კავშირის შედეგად მოიპოვა რეჟისორმა ლიოსამ მწერალი ლიოსას ნოველის, „თხების ნადიმის“, ეკრანიზაციის უფლება.

სამწუხაროდ, ეკრანიზაცია საშუალო ხარისხის გამოვიდა. ასე რომ, მის შესახებ საუბრით თავს არ შეგანეყო. იზაბელა როსელინის უჭკნობი სილამაზე კი ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას.

რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ იზაბელა ლამაზი ქალი იყო, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ფიზიკურ სილამაზეს ამხელა ქალური მომხიბვლელობა, უფრო სწორად კი, სიკეკლუცე ახლდა თან.

თუმცა ქალი, რომელიც მთელს ცხოვრებას ლეგენდარული მშობლების, აღფრთოვანებული თაყვანის მცემლებისა და მასზე შეყვარებული გენიოსების გარემოცვაში ატარებს (იზაბელა თავისი კარიერის განმავლობაში ცოლად გაჰყვა დევიდ ლინჩის, მარტინ სკორცეზესა და გარი ოლდმანს), ალბათ არც შეიძლება, სხვაგვარად იქცეოდეს.

– უნდა მაპატიოთ, თუ სისულელებს ვიტყვი. დილიდან ტელევიზიებს ვაძლევდი ინტერვიუებს.

მეუბნება და ისე მიღიმის, კაცი რომ ვიყო, ალბათ ყველა კითხვა დამავიწყდებოდა.

? ამ ფილმში ისტორიის მოყოლა მოგიხდათ. თქვენ ხართ მთხოვთ ბელი, ის ადამიანი, რომელიც ფილმში მოყოლილი ისტორიის სოციალურ, პოლიტიკურ და პუმანურ ასპექტებს აერთიანებს. რამდენად საინტერესოა ასეთი როლის თამაში? საერთოდ, გაქვთ თუ არა როლის გათავისების თქვენეული მეთოდი?

– ამ შემთხვევაში ყველაფერი ძალიან ადვილი იყო. ჩვენ გვქონდა არაჩვეულებრივი სცენარი და, რაც მთავარია, მარიო ვარგას

ლიოსას შესანიშნავი წიგნი, რომელიც ამ მასალას უფრო ამდიდრებდა. წიგნმა ყველაზე კარგად შეასრულა მსახიობისთვის ასე საჭირო ისტორიის ფუნდამენტის ფუნქცია. მე ისლა დამრჩენოდა, მეკითხა.

საერთოდ, სცენარს 20-ჯერ მაინც ვკითხულობ. მარტო წიგნი სამჯერ წავიკითხხ. ამ დროს თითქმის მთლიანად ერთყმები შენს პერსონაჟს. ამჯერად ეს ნამდვილად ძალიან მტკიცნეული ისტორიაა, ტრაგედია ქალის ცხოვრებაში, რომელმაც ის სულ სხვა ადამიანად აქცია.

მე დღიურს ვწერ და იმ დროს, როცა ემოციები არ მყოფნის სათამაშოდ, საკუთარ ჩანაწერებს ვუბრუნდები. მჯერა, რომ მხოლოდ ჩვენი ემოცია მოგვცემს საშუალებას, ვითამაშოთ ისე, როგორც საჭიროა. ისევე, როგორც ყველა ადამიანს, მქონია მომენტები, როცა თავს დამცირებულად, განადგურებულად, დაჩაგრულად გრძნობ.

სწორედ ჩემი დღიურის ასეთ ფურცლებს დავუბრუნდი ამ შემთხვევაში და მეთოდმა გაამართლა.

? **ამჯერად ახალგაზრდა მსახიობთან იყოფდით როლს. იყო თქვენს ურთიერთობაში ეჭვიანობა ან მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობები?**

– ფილმში ჩემს გმირს ახალგაზრდობაში სხვა მსახიობი, სტეფანი ლეონიდასი, თამაშობს. ჩვენ ძალიან ვეცადეთ, კარგად გაგვეგო ერთმანეთისთვის. სამწუხაროდ, სტეფანიმ გადალებების წინ დედა დაკარგა და ძალიან სევდიანი იყო. თანაც გადალებების გრაფიკის გამო ლათინურ ამერიკაში თვეობით მარტოს უწევდა ყურყუტი. მას ჩვენ შორის ყველაზე მეტხანს მოუნია თავისი სცენის დაცდა. მე ვერ ვიტან ლოდინსა და მისი ძალიან კარგად მესმოდა. ამიტომაც მოვკიდე ხელი და ერთი კვირით ჩემთან, ნიუიორკში, წავიყვანე.

ეს საოცარი ქალაქია. იქ მოხდა ყველაფერი ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემს ცხოვრებაში და ალბათ არც ერთ ქალაქს არ აქვს ასეთი ენერგია.

ამ როლის გამო საკმაოდ შევიცვალე. საერთოდ, არასოდეს ვცდილობ, კინოში უკეთ გამოვიყურებოდე, ვიდრე ცხოვრებაში. ჩემთვის როლია მთავარი. თუ საჭიროა, რომ სილამაზე დავთმო, ასეც იქნება. მწვანე თვალები მაქს და შავ ლინზებს ვატარებდი, იმიტომ რომ სტეფანის შავი თვალები აქვს. ვცდილობდი, ერთმანეთს დავმსგავსებოდით და, მე მგონი, გამოგვიყიდა. ასე რომ, არავითარი ეჭვიანობა, მაგრამ არც არაფერი მისწავლებია მისთვის, მხოლოდ ნიუ-იორკში გავასეირნე.





?

თქვენ ლოდინი ახსენეთ. ხშირად გიწევდათ ლოდინი იმის მისაღწევად, რაც გსურდათ?

— არა, იცით, არასოდეს მქონია მომენტი, როცა ზიხარ და რაღა-ცას ელი. შესაძლოა, სწორედ იმიტომ, რომ ამ მდგომარეობას ვერ ვიტან. ათასი საქმე მქონდა ხოლმე გამოძებნილი. ვწერ წიგნებს, სცენარებს. საკმაოდ წარმატებული მოდელის კარიერა მქონდა, თანაც კინოშიც ვთამაშობ. როცა ერთდროულად ამდენ საქმეს აკეთებ, ლოდინისთვის არცთუ ისე ბევრი დრო გრჩება.

მე იმ ქალი მსახიობების ბედი მაშინებს, რომლებიც სახლში ტელე-ფონთან სხედან და ზარს ელოდებან. ეს ყველაზე დამოკიდებული პროფესია მსიფლიოში. სულ შენ გირჩევენ. ჩემს კარიერაში ყოფილა ჩავარდნებიც, ძალიან რთული მომენტებიც. არ იფიქროთ, რომ ყველაფერი ასე ადვილად გამომდიოდა.

(სახეზე ღიმილს მატყობს და განაგრძობს:)

— არა, რა თქმა უნდა, სულ არ მსურს წუნუნი და არც დრამატულად მინდა უღერდეს, რასაც ვამბობ, მაგრამ ყველთვის მაკლია კარგი როლები. ჩვენ, მსახიობები, ხომ იმისთვის ვარსებობთ, რომ სხვა ადამიანთა პორტრეტები შევქმნათ. რა დაგიმალოთ და, ყველა კარგი როლი 20 და 30 წლის ქალებისთვის იწერება. ასაკი მემატება, ჩემი როლები კი მცირდება.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ 30 წლის შემდეგ ქალის ცხოვრებაში აღარაფერი ხდება. თანაც ადრე სულ მთავარ როლებს ვთამაშობდი.

მაგრამ თუ თან თეატრშიც თამაშობ და შენვე უწერ როლებს საკუთარ თავს, როგორც მე ამას ბოლო დროს ვაკეთებ, მშვენივრად

შეიძლება, თავი გაართვა ამ სიტუაციას.

აი ახლა, მაგალითად, დავწერე სცენარი „მამა-ჩემი 100 წლისაა“, რომელშიც ვთამაშობ კიდეც. მამაჩემზეა დოკუმენტური ფილმი. წელს მართლაც ასი წლის გახდებოდა.

ასე რომ, როგორც ხედავთ, მე არ ველი და თვითონ ვიპედნიერებ თავს.

— თანაც ისეთი მამა გყავდათ, რომელზეც 100 სცენარის დაწერა კიდევ შეიძლება.

იცინის.

?

რამდენად გქონდათ შანსი, სხვა გზა აგერჩიათ?

— ჩემს შემთხვევაში არცთუ ასე დრამატულად იყო საქმე. მე 7 და-ძმა მყავს და ყველამ სხვადასხვა პროფესია აირჩია. ჩემი ტყუპისცალი და შუა საუკუნეების ლიტერატურის სპეციალისტია. სერიოზულად იკვლევს ამ საქმეს და სულ პერგამენტებში აქვს თავი ჩარგული. თან სტუდენტებს ასწავლის.

თავისუფლად ვიზრდებოდით. არასოდეს გვაიძულებდნენ, რამე გაგვეკეთებინა. თავს არ გვახვევდნენ თავიანთ აზრებს. მე თავიდანვე მხიბლავდა ეს სამყარო.

ყოველთვის მომწონდა მამაჩემის გადასაღებ მოედანზე ყოფნა. ამ სამყაროს არაფერი მერჩივნა და მოდელობაც გარკვეული ილად მისი გაგრძელება იყო. მოდელობა, პოზირება თამაშს ჰგავს. სულ მქონდა რაღაც ისტორია, რომელსაც ვიგონებდი ფოტოგადაღების დროს და ეს ამართლებდა. ამას მივაწერ ჩემს წარმატებას სამოდელო კარიერაში. პატარა რომ ვიყავი, სულ იმ წუთს ველოდი, როცა საზაფხულო არდადეგები დაიწყებოდა და კინოს გადასაღებ მოედანზე აღმოვჩნდებოდი.

ეს ნამდვილი ბედნიერება იყო.

ისე, კი ვთქვი, რომ ყველამ სხვადასხვა პროფესია ავირჩიეთ-მეტები, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, არავინ წასულა შორს ხელოვნების სფეროდან.

ერთი ჩემი და მოცეკვავე იყო, მეორე – კინოკრიტიკოსი. ერთი ძმა პროდიუსერია, მეორე – დოკუმენტალისტი. ასე რომ, როგორც ხედავთ, ხელოვნება მაგრად გახვევს თავის ქსელში.

ახლა ძალიან ვარ გატაცებული მამაჩემის 100 წლისთავით. ტურნეში მივდივარ და პატარა ლექციებს წავიკითხავ მის შესახებ.

სამწუხაროდ, მამაჩემის ბევრი ფილმი ძალიან ცუდ დღეშია. მათი აღდგენაა აუცილებელი, მაგრამ იმის გამო, რომ ჯერ ზოგიერთი ფილმის საავტორო უფლებების გარშემო ატეხილი დავები არ დასრულებულა, ეს პროცესი ჭიათურდება.

ამჯერად ყველაზე მეტად ეს მაღლელვებს.

www.iciparis.ge
info@icipari.ge

000331

Live
jennifer lopez

new
new



www.jenniferlopezbeauty.com



? არასოდეს გამძიმებდათ თქვენი მშობლების საოცა-
რი პოპულარობა?

– რა თქმა უნდა. შესაძლოა, სწორედ იმიტომ დავიწყე კარიერა მოდელობით, რომ არ შემეძლო საკუთარი თავის მსახიობად წარ- მოდგენა დედაჩემის გვერდით.

დედაჩემი ცოცხალი ლეგენდა იყო და მხოლოდ მას შემდეგ გავტედე ფილმში თამაში, რაც ძალიან პოპულარული გავხდი რო- გორც მოდელი.

რა სურს 20 წლის გოგოს?! სურს, იყოს დამოუკიდებელი, წარმატებული და ყველაფერს თავისით მიაღწიოს, როცა არც ქმარი გჭირდება, არც საყვარელი და არც მამიკო იმისათვის, რომ შენი სურვილები აისრულო, თუნდაც ის იყიდო, რაც გინ- და.

როგორც მოდელი, მე ამას ვახერხებდი.

შესაძლოა, სწორედ ამის დამტკიცება მსურდა საკუთარი თავისთ- ვის და ასეც მოვიქეცი.

ამის შემდეგ პირველ ფილმში ჩემი როლი წარუმატებელიც რომ ყოფილიყო, მე, როგორც პირვენება, მაინც წარმატებული ვიქე- ბოდი და აღარ მეშინოდა.

? მერე ხომ „Blue Velvet-ში“ ითამაშეთ. ალბათ ყველა
შიში გაქრა ამ ფილმის შემდეგ?

– ჰო, მაგრამ მე უკვე 33 წლის ვიყავი, როცა ლინჩის ფილმში ვი- თამაშე. საკმაოდ დიდი გზის გავლა დამჭირდა იმისათვის, რომ ამ როლამდე მივსულიყვაო.

თანაც ეს დღეს უყურებენ ამ ფილმს, როგორც ლეგენდას, მა- შინ კი ნამდვილი სკანდალი იყო. მართალია, ისეთი არა, რო- გორიც დევიდ ლინჩის პირველი ფილმი „რეიზერ ჰედი“, მაგრამ მაინც. ეს ექსპერიმენტული ფილმი იყო და ძალიან გაგვიჭირდა. საზოგადოებრივმა აზრმა გაგვანადგურა, მაგრამ კრიტიკამ დაგვიწინდო.

? თავიდანვე იგრძენით, რომ ეს გამორჩეული ფილმი იქნებოდა? რატომ დასთანხმდით?

– ძნელი იყო, ასე არ მეფიქრა. დევიდ ლინჩი ხომ გინახავთ?

(იცინის)

რა თქმა უნდა, ის ისეთი ექსტრაორდინარული პიროვნებაა, რომ ეს ბუნებრივიც იყო. საოცრად ნიჭიერია და ყველასგან განსხვავე- ბული. თავისი ენერგიით გიპყრობს. მაგრამ, მე მგონი, სწორედ ეს ფილმი იყო ის საყრდენი წერტილი, რომელმაც გადაატრიალა მისი ცხოვრება. მანამდე ლინჩი ლეგენდა არ იყო.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა და ის ყოველ წელს ამტ- კიცებს, რომ განსაკუთრებული, უნიკალური ხედვა აქვს. ასე რომ, მე იმ მომენტს დავესწარი, როცა დევიდ ლინჩის ფენომენი დაიბადა.

? თქვენ ფესტივალზე წარდგენილ კიდევ ერთ ფილმში თამაშობთ ტრუმან კაპოტეს შესახებ.

– მართალია, მე პარტიიორობას ვუწევდი სიგურნი უივერს. ძა- ლიან პატარა როლი მქონდა და გადალებებს 4 დღეში მოვრჩი, მა- გრამ, სამაგიეროდ, ტრუმან კაპოტე ჩემი მეგობარი იყო.

იცინის.

? როგორ ფიქრობთ, ადამიანის ხასიათი ახდენს გა- ლენას იმაზე, თუ როგორ გამოიყურება ის?

– რა თქმა უნდა.

– თუ ასეა, თქვენ თქვენი ხასიათის რომელ შრეს ეყრდნობით იმი- სათვის, რომ ასე გამოიყურებოდეთ?

იცინის.

– გენეტიკას. ამ შემთხვევაში ისევ ჯობია, გენეტიკას დავეყრდ- ნო.

www.iciparis.ge
info@icipari.ge



MOSCHINO®
PARFUM



CENTER POINT GROUP



"i si par i s" saaxal wl o l atar i am bevr i adami ani gaaxar a!

"ისი პარის" საახალწლო ლატარია უკვე ტრადიციად იქცა და ახალი წლის დღეები ამ აქციის გარეშე აღარავის წარმოუდგენია. ყოველ წელიწადს სულ უფრო სოლიდური ხდება ლატარიის პრიზები. წელს პირველად, მრავალფეროვანი პრიზების ჩამონათვალში, გამოჩნდა ერთი საგანგებო პრიზი – ავტომობილი "პეჟო 206"!

ლატარიის ბილეთის უსასყიდლოდ მიღების საშუალება პქნდა ყველას, ვინც 2005 წლის 1 დეკემბრიდან 2006 წლის 14 იანვრის ჩათვლით პროდუქციას "ისი პარის" ქსელის რომელიმე მაღაზიში შეიძენდა.

"ისი პარის" საახალწლო ლატარიის გათამაშება გაიმართა 25 იანვარს, საღამოს 9 საათზე, ტელეკომპანია "იმედის" პირდაპირ ეთერში. მას ია ფარულავა და ვაკაში უძღვებოდნენ.

სპეციალური ჟიურის თანდასწრებით გათამაშდა: –
4 — დი-ვი-დი ფლეერი, 4 — ვიდეო-მაგნიტოფონი,
— ვიდეო-კამერა, 4 — ტელევიზორი, 2 — კომპიუტერი
(პენტიუმ 4) და მთავარი პრიზი – ავტომობილი – "პეჟო 206".

26 იანვრიდან 8 თებერვლის ჩათვლით მოგებულებმა გაიარეს რეგისტრაცია "ისი პარის" ქსელის შემდეგ მაღაზიებში: ბილისში – ჭავჭავაძის გამზ. 11, ქუთაისში – თამარ მეფის ქ. 5 და ბათუმში – კოსტავას ქ. 7.

გამარჯვებულთა იდენტიფიკაცია მათ მიერ წარმოდგენილი მომგებიანი ბილეთისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საშუალებით მოხდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცნობა: "ისი პარის" საახალწლო ლატარიაში მოგება წილად ხვდა 19 ბილეთს, თუმცა რეგისტრაციის პროცესზე მხოლოდ 13 გამარჯვებული მოპრძნდა. კომპანია უშვებს გამონაკლისს და პრიზების გაცემის ვადას ახანგრძლივებს მათვის, ვინც ჯერ არ იცის, რომ მოგებულია. მიაწვდინეთ ხმა თქვენს მეგობრებს, ნათესავებს, ახლობლებს, რომ მოგებულ 6 ბილეთს მფლობელი ჯერ კიდევ არ გამოუჩინდა. აქვე გეტყვით, რომ მფლობელი უკვე ჰყავს მთავარ პრიზს – ავტომობილ "პეჟო 206"-სს.

პრიზები გაიცემა 2006 წლის 9 თებერვლიდან 31 მარტის ჩათვლით "ისი პარის" ქსელის შემდეგ მაღაზიებში: ბილისში – ჭავჭავაძის გამზ. 11, ქუთაისში – თამარ მეფის ქ. 5 და ბათუმში – კოსტავას ქ. 7.

კვლავ გთავაზობთ ლატარიის გათამაშების შედეგებს:

033701 DVD ფლეერი

036397 DVD ფლეერი

056982 DVD ფლეერი

030184 DVD ფლეერი

061570 ვიდეო მაგნიტოფონი

024592 ვიდეო მაგნიტოფონი

051957 ვიდეო მაგნიტოფონი

025259 ვიდეო მაგნიტოფონი

015661 ტელევიზორი

060124 ტელევიზორი

051284 ტელევიზორი

025494 ტელევიზორი

052252 ვიდეო კამერა

056042 ვიდეო კამერა

063050 ვიდეო კამერა

042374 ვიდეო კამერა

021475 პენტიუმ 4


056953 პენტიუმ 4

011712 პეჟო 206

გამარჯვებულებმა რეგისტრაციის და პრიზების გადაცემის დღეს, აუცილებლად თან იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მოგებული ბილეთი.



000336



Berlinale-Palast, berliinis 55-e saer TaSori so ki nofesti valis gaxsnis ceremonia

filemebi , qalеби , Teacher-i ,
var skvlavebi , rejisor ebi
da sxva - berli nSi

nini a kakabaze

„dRis lamaz mani“

ქალაქი დიდია და გაშლილი, ქუჩები განიერი. ბევრი იმასაც ამ-ბობს, რომ ბევრი ადგილია ცარიელი და აუთვისებელი. ბევრი სივრცეა და დაღლამდე სუნთქვაც თავისუფლად შესაძლებელია. სარეკლამო ბილბორდები გატყობინებს, რომ ამა და ამ მუზეუმში, ამა და ამ კულტურულ ცენტრში, ამ კინოთეატრში, ამ თეატრში ესა და ეს გამოფენა, ფილმი, სპექტაკლი შეიძლება ნახო. თანამედროვე ხელოვნების ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი საკვანძო ცენტრია. ბერლინის ფართო, ფერად, ცენტრალურ ქუჩაზე ახალგაზრდა გოგო მიდის, გრძელი და ლამაზი თმა სიარულის რიტმში უფრია-ლებს (უმრიალებს); გრძელი კიდურები, წვრილი წელი, თვალების ლამაზი ჭრილი, ყავისფერ ტონებში. რესპექტაბელურად შემოსი-ლი გოგონა ერთ-ერთ შესახვევში შედის და გეზს კინოთეატრისკენ იღებს. იქ საფესტივალო ფილმების ჩვენებაა – ბერლინში რიგით 56-ე საერთაშორისო კინოფესტივალი მიმდინარეობს. გოგონა დინჯი და საქმიანი ნაბიჯით დარბაზში შედის, მისი სილამაზე და ინტელექტუალური მზერა აუდიტორიის ყურადღებას იქცევს, კინოთეატრის ცენტრში ჯდება, დარბაზი ბინელდება. ფილმის მსვლელობისას, პირად დღიურში, პატარა, ფარნიანი კალმისტ-რით, რომლის შუქი მეზობელ მაყურებლებს ხელს არ უშლის, ჩანაწერებს აკეთებს. გრძნობს - გაივლის დრო და ამ ჩანაწერებს, სამყარო წაიკითხავს და საკუთარი მაგიდის წიგნად აქცევს, მა-გრამ... (დასასრული იხილეთ სტატიის ბოლოს P.S.-ში)

oda maswavl ebel s - “TEACHER-i yovel Tvis mar Tal i a!”

ნერვიულობა იქიდან დაიწყო, რომ სამსახურში, რომელმაც მისი ბერლინში გამგზავრება ნაწილობრივ დააფინანსა, Standby ticket მისცეს, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა თვითმფრინავში მგზა-ვრის, ანუ მისი ადგილი არ იყოს. ამიტომ ყველა გადაფრენისას, და ფრენამ მას ქალაქიდან ქალაქში რამდენჯერმე მოუწია, აერო-პორტში ოთხი საათით ადრე მიდის და ყოველთვის პირველი გა-დის რეგისტრაციას. განუწყვეტლივ ნერვიულობს, გაფრენამდე რამდენიმე დღით ადრე იწყებს და ყოველი გადაადგილების შემ-დეგ მომავალ გადაადგილებაზე ნერვიულობს. მატარებლისთვის, რომლითაც პრალიდან ბერლინამდე უნდა ემგზავრა, წესიერი, ასე ვთქვათ, გარანტირებული ბილეთი ჰქონდა, მაგრამ მაინც პირვე-ლიდა და ჯერ სხვა ქალაქისკენ მიმავალ მგზავრებს აცილებს, შემ-დეგ პლატფორმაზე მარტო დგას და საკუთარ მატარებელს ელის. ახლა მეგობრებზე ნერვიულობს, რომელთაც შესაძლებელია, ამის შანსი ხომ ყოველთვის არსებობს, დააგვიანდეთ. დროულად მოსულ მეგობრებსაც უწყრება და ჩასხდომისთანავე, ყოველი შემთხვევისათვის, ფიქრს იწყებს, სადგურიდან დანიშნულების ადგილამდე, მაგალითად სასტუმრომდე როგორ მივა, სხვებს ეკამათება, საკუთარ მარშრუტს ლობირებს და ა.შ. სანერვიულო კიდევ ბევრი აქვს, მაგალითად ახალი ავტომანქანისათვის ის ნაწილები უნდა იშვინოს, რომელიც სამშობლოში არ მოიპოვება; „სვერჩი“, „რემენი“, „ლამპუჩკა“ და სხვა.

იტალიაში ოლიმპიადა და ამიტომ საღამოს შვიდიდან 10 საა-თამდე ყველა სპორტული არხი ფიგურულ სრიალს გადასცემს.

ამ დროს ოთახში, სადაც ტელევიზორი დგას მხოლოდ სუნთქვაა ნებადართული; სიარული, ჭამა, სმა და ლაპარაკი, თუნდაც ახ-ლობლების „ბოზურ“ წარსულზე, ფიგურული სრიალის დროს არ აინტერესებს. ერთადერთი რაზეც არ დაგზარდება, უცოდინარს გაგანათლებს და გასწავლის — პარალელური ტრიალი, ბილიკი, პარალელური ხტომა და ფიგურული სრიალის სხვა იღეთება. ერთი კანადელი ფიგურისტის თუ მოციგურავის (მაინც უნიჭო მოსწავლე ვარ) ფანკლუბშიც არის განევრიანებული და ყოველ-დღიურად ინტერნეტის ფორუმში მის მიღწევებზე საუბრობს; 3 ბრუნი გააკეთა ჰაერში თუ ოთხი...

უცხო ქვეყანაში, როგორც უკვე მოგახსენეთ საოცრად მოწე-რიგებული და პუნქტუალურია. თუკი ოფიციანტისთვის მიმართ-ვის ფორმა ვერ შეარჩია, მას ხან ლიას ეძახის, ხან მანანას, ხან კი თიკოს. დალლილი და პრატიკულად დაყრუებული მომსახურე პერსონალი მის ძახილს აუცილებლად შეისმენს და ადგილზე გა-მოცხადდება. უცხო ენა მისთვის არ არსებობს, ყველა ენაზე გა-მოთქვამს სათქმელს. გამოგონილი სიტყვებიც აქვს, რომელიც ნაგულისხმევი საგნისა თუ მოვლენის არსს სრულყოფილად გამოხატავს.

patar a epizodi metroSi .

მოწესრიგებულად და პატიოსნად ეკიდება უცხო სახელმწიფოს საგადასახადო მექანიზმებს, მისი თანდასწრებით, ჩვენთვის, რო-გორც საპჭოური ნარჩენებისათვის, უბილეთოდ მგზავრობა წარ-მოუდგენელია. „ერთი დღე დარჩა, იქნებ დავზოგოთ უკანასკნელი ევროცენტრები ერთი ნაჭერი შესანიშნავი apfelstrudell-ისათვის?.. „არავითარ შემთხვევაში“ — გასუხობს კატეგორიული და მზ-რუნველი ინტონაციით. ლამის 1 საათია, ცოტა ხანში მოძრაობა გერმანიის მინისკევეშ წყდება, მატარებელი გვიან საათებში 20 წუთში ერთხელ დადის. ბილეთების ავტომატთან უკანასკნელ ხურდებს ვითვლით, ავტომატი გვიდალიანდება, ქალალდის ფულს არ იღებს, ელექტრო ციფრბლატი გვატყობინეს, რომ ჩვენი მატარებელი 2 წუთში მოვა. მღელვარებისგან ხურდა ერთმანეთ-ში გვერუვა, კონდუქტორის აჩრდილი დაგვძახის: „შეიძინეთ ბი-ლეთები, არ გადაიფიქროთ“, წამები რჩება და თითქოს ყველაფერი მოგვარებულია, უკვე მატარებლის ხმაც ისმის, გვიახლოვდება. უკანასკნელ ბილეთს ვიღებთ, ხელში ვბლუჯავთ და უკვე ჩამომდ-გარი მატარებლისკენ გავრბივართ, მოულოდნელად თეაცერ-ის ხმა ისმის: „ჩაპურჭყნეთ, ჩაპურჭყნეთ!!!“ წამით ადგილზე ვშეშ-დებით, შემდეგ უკან ვბრუნდებით. მოგახსენეთ, საკუთარი ენაც აქვს, რომელთა სიტყვები მოქმედების შინაარს პოპულარულ ენაზე უფრო უკეთესად გამოხატავს. საქმე იმაშია, რომ „ჩაპურ-ჭყნა“, ბილეთის, ასე ვთქვათ, დარეგისტრირებას ნიშნავს. სპე-ციალურ ავტომატში ბილეთის შეცურებისას სწორედ ისეთი ხმა გამოიცემა, რომელსაც „ჟურჭყნ“ — სიტყვა ძალიან უხდება და ამართლებს. ამიტომ „ჩაპურჭყნული“ ბილეთებით კიდევ 20 წუთი მინისკევეშ ვართ; პატიოსნად, წესიერად და ამაყად ველით მომ-დევნო მატარებელს არცოთ ისე სასიამოვნო ტემპერატურასა და

გარემოში.

სხვადასხვა ენაზე სიტყვების კომპინაციაც შეუძლია, მაგალითად თუ კითხავს გერმანულენვანი მოქალაქე, სად არის თქვენი მე-გობარიო, ის ამაყად უპასუხებს: “ჰი სპიტ”, მოქალაქე ყველაფერს გაიგებს, თავს დაუქნევს (ok-ის ნიშნად) და თავის გზას განაგრძობს. ვინ მოთვლის რამდენი სიტყვა გააერთიანა, გამოიგონა, თავისებურად თარგმნა და ა.შ.

გუშინ ჩავედით ბერლინში, ჯერ ფილმები არ გვინახავს, Teacher-ს მეორე დღეს უურნალისთვის სტატია გამზადებული აქვს, რადიოში ფესტივალის მსვლელობაზე საუბრობს, სატელევიზიო ჩართვაში კი ქალბატონი ნინო ჩართვის დროს აჭარბებს (ეს ზედმეტი გადასახადი იქნება საჯარო ტელევიზიისათვის), იმდენად დაბეჭიობით და დეტალურად აანალიზებს წარმოდგენილ ფილმებს და ფესტივალის საერთო სურათს. აღფრთოვანებული და გაკვირვებული სტუდენტები ტაშს ვუკრავთ. ის ამაყად ჩამოდის ამაღლებული ყუთიდან, რომელიც მისთვის ZDF-ის სატელევიზიო ჯიხურმა მოამზადა. გვაინტერესებს მისი საუბრის დეტალები, მომლოდინე თვალებით ველით, გვიახლოვდება და ვიდრე ჩვენ კითხვას დაგვსამთ, გვეუბნება: „ჩქარა, წავედით ეხლა ვენურ კაფეში ნამცხვარი ვჭამოთ!“ კი მაგრამ?...

გაგრძელება იხილეთ სტატიის P.S.2 -ში

*z vi oz debi , sTarebi da
var skvl avebi Tu si naTle?*

ფესტივალიდან დაბრუნებულს, ძირითადად ამას მეკითხებინ: „ზვიოზდები“ ნახე? ვინ ნახე? და არა, რა ნახე. შენა და ვინები იყვნენ? ბევრი „სტარები“ ნახე? და ა.შ. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ...

თუ ფესტივალის ორგანიზატორებს სურთ, ფესტივალი პრესტიული იყოს, მას ვარსკვლავები სჭირდება. ბერლინის ფესტივალის ყოფილი დირექტორი სწორედ იმის გამო გაათავისუფლეს თანამდებობიდან, რომ ამერიკელი ვარსკვლავებისადმი გადამეტებულ ლტოლვას განიცდიდა. ამიტომ, ახალი დირექტორი დიტერ კოსლიკი მაქსიმალურად ცდილობს მათი რაოდენობა მინიმუმამდე დაიყვანოს, მაგრამ მათ გარეშე ფესტივალის ჩატარება და მსოფლიო სატელევიზიო არხების თუ მაყურებლის მოზიდვა წარმოუდგენელია. იმისათვის რომ საღამოს, განიერ და პრიალა წითელ ხალიჩაზე ჯორჯ ქლუნის, მერილ სტრიპს, ვუდი პარკელ-სონს, ნატალი პორტმანსა და სხვებს ჩაესეირნათ, საკონკურსო პროგრამაში რამდენიმე სრულიად გაუმართლებელი ფილმი შეიტანებს.

იმდღეს, როდესაც საკონკურსო კინოჩვენებაში ირანელი კინორეჟისორის, ჯაფარ პანაპის შესანიშნავი ფილმი იყო ნაჩვენები, ერთერთ წამყვან გერმანულ ტელეარხზე ფესტივალის ყოველ-დღიური მიმოხილვა, არა ირანელი რეჟისორის ფილმით, არამედ რამდენიმე დღის წინ წარმოდგენილი სურათით დაიწყო, სადაც ჯორჯ ქლუნი მონანილეობდა. ფესტივალის უშუალო მაყურებელს თუ ტელედამკირვებელს ორი სანახაობა აქვს, ფილმები ვარსკვლავების მონანილეობით და ფილმები ვარსკვლავების გარეშე, ეგრედ წოდებული ინტელექტუალური კინო. რასაკვირველია, რიგ შემთხვევაში ეს ორი კომპონენტი ერთმანეთს არ გამორიცხავს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასე არ იყო. იყო ვარსკვლავებით გაჭედილი კინო და იყო კინო, სადაც სინათლე ჩანდა. ასეთი იყო ფილმი „თამაშგარე მდგომარეობა“. ფილმის შესახებ

წაიკითხეთ სადღაც ბოლოსკენ P.S. 3-ში.

P.S. 4 შეცდომებს გენიალური ქალბატონებიც უშვებენ, გამხნევდით ჩვენი უურნალის მკითხველო ქართველო ქალები და გახსოვდეთ, რომ სიფრთხილე გმართებთ!

8 marti qalebis dRea!

როგორც ეტყობა, ბერლინის ფესტივალის ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ “ანაბეჭდის” მომდევნო გამოშვება გარკვეულწილად სუსტი სქესის ნარმომადგენლებს ეხებათ და ამიტომ ერთ-ერთი რეტროსპექტივა სწორედ ასეთი სახელონდებით გამართეს

saocnebo qalebi - 50-i ani wlebi s var skvl avebi kin oSi .

ჩვენი უურნალისა არ იყოს, კლარა ცეტკინისადმი პატივისცემა ფესტივალის ორგანიზატორებმაც თავისებურად გამოხატეს და ამიტომ რეტროსპექტივაში 50-იანი წლების კინონიმუშები აჩვენეს ინგრიდ ბერგმანის, ოდრი ჰეფბურნის, ანა მანიანის, ბრიჯიდ ბარდოს, ელიზაბეთ ტეილორის, სოფი ლორენის, ავა გარდნერის, გრეის ქელის, მერლინ მონროსა და სხვა ვარსკვლავების მონანილეობით. პარალელურად იტალიის საელჩის ეგიდით ჩატარდა ანა მანიანის ფოტოების გამოფენა. ისე მოხდა, რომ ანა მანიანის ფოტოების დათვალიერების შემდეგ, (დაკვირვებული თვალიერება Teacher-მა მასხავლა) „საოცნებო ქალებით“ დავინტერესდი და რომელიმე ფილმზე შესვლა გადავწყვიტე. სრულიად უცაბედი დამთხვევა იყო, რომ რობერტო როსელინის ფილმზე აღმოვჩნდი, სადაც ინგრიდ ბერგმანი მონანილეობდა. „მოგზაურობა იტალიაში“ ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ფილმია, რომელიც შეყვარებული წყვილის ურთიერთობას ეხება. შესაძლებელია მათი ურთიერთობა პატარა, უმნიშვნელო და არასერიოზული კონფლიქტის, შეგრძნებების თუ მოქმედების გამო დაინგრეს. ეს პატარა შეცდომები შესაძლებელია საბედისწერო აღმოჩნდეს და ადამიანები, რომელთაც ერთმანეთი ძალინ უყვართ, ერთმანეთის გარეშე დარჩენ. როსელინის თხრობის დახვეწილი და ამავე დროს მარტივი სტილი, ერთი შეხედვით უნიშვნელო ამბავს, საოცრად ემოციური და დამაჯერებელი ფორმით გამოხატავს. ინგრიდ ბერგმანის შესანიშნავად შესრულებულმა კინოგმირმა, 52 წლის წინ გათამაშებულმა ისტორიამ გამახსენა, რომ ასეთ შეცდომებს დღესაც (ვ)უშვებ-(თ)ენ და ერთი შეცდომისგან არც მისი მეტოქე აღმოჩნდა დაზღვეული; „აღფრთოვანებული ვართქვენი უკანასკნელი ნამუშევრით „რომი, ლია ქალაქი“. სიამოვნებით მივიღებდი მონანილეობას თქვენს ფილმში“ — დაახლოებით ამგვარი შინაარსის იყო წერილი, რომელიც ინგრიდ ბერგმანმა, რობერტო როსელინის გაუგზავნა მაშინ, როდესაც როსელინის ცოლი ანა მანიანი იყო. ინგრიდ ბერგმანი კი ამ დროს ამერიკულ კინოში წარმატებულად მოღვაწეობდა და უკვე ამერიკულების საყვარელი ვარსკვლავი იყო. ანა მანიანი დაუშინებით სთხოვდა მეუღლეს, რომელიც ჰოლივუდის „ვილაც“ ვარსკვლავის წერილს არაფრად აგდებდა, მასთან შეხვედრას. მანიანი კი ამერიკული კინოს ვარსკვლავთან თანამშრომლობით, როსელინის დიდ წარმატებაში არნმუნებდა და ვიდრე საკუთარი ქამარი და მომავალი მეუღლეს არ შეავედრა, მანამდე არ მოეშვა. ესცე ხომ, შესაძლებელია პატარა და უმნიშვნელო, მაგრამ საბედისწერო შეცდომაა, რომელიც კანა მანიანიმ დაუშვა. ასე, რომ... იხილეთ ქვეთავის დასაწყისში P.S. 4

P.S. 3 ჯაფარ პანაპის ფილმი OFFSIDE მართლაც საუკეთესო



ingrid bergman



ana mani ani

იყო ფესტივალზე და სამწუხაროდ მხოლოდ ვერცხლის დათვით დაჯილდოვდა, დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ! — იხილეთ უურნალ „ანაბეჭდის“ მომდევნო ნომერში დავით ბურიკიძის სტატია.

es m Tavar ia

ერთ-ერთი ფილმის ყურებისას დავიღალე, შეიძლება ცოტა მომწყინდა კიდეც და ამიტომ ჩემს საყვარელ საქმიანობას მივყავი ხელი. **SMS** მეგობარს. რატომ მასნავლიდნენ, რომ ინდუსტრიული ცივილიზაცია ნეგატიური მოვლენაა და კაცობრიობა მას ბოროტად იყენებს?! დავფიქრდი — თანამედროვე სამყაროს რამხელა მონაპოვარია მობილური ტელეფონი და განსაკუთრებით **sms**. ტექნიკური პროგრესის შესახებ, ამ შთაგონებულმა და აღტაცებულმა ანალიზმა კიდევ ერთი კითხვა დაბადა ჩემს, სიპრელეში დამწყვდეულ გონიერაში — ვის ვუთხრა მადლობა, მას, ვინც **sms** გამოიგონა, თუ მას, ვინც სმს-ის მენიუში **smile** მოათავსა?!

მთავარი პრიზი, ოქროს დათვი ჩემთვის მთავარ კითხვაზე პასუხის ძიებისას ნანახმა ფილმმა დაიმსახურა.

პარალელები სამშობლოსთან.

მარტოხელა დედა, ომის შემდგომი სარაევოს ერთ-ერთ გარეუბანში 12 ნლის ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს. სარას ექსკურ-

სიაზე უნდა წასვლა, ამისათვის 200 ევრო სჭირდება, მაგრამ არ-სებობს შეღავათებიც — ომში გმირულად დაღუპულ მებრძოლთა შვილებს გადასახადი უნახევრდებათ, თუკი ისინი მამის გმირულად დაღუპვის დამადასტურებელ საბუთს მიიტანენ. სარა, რომელიც დარწმუნებულია, რომ მისი მამა გმირია, დედას ამ საბუთს დაუინებით სთხოვს. და მაშინ, როდესაც სარას დედა — ესმა — სკოლაში ბევრი უძილო ლამისა და აღებული ვალების შედეგად მოპოვებული სრული თანხით გამოცხადდება, სარა ხვდება, რომ მისი წარმოდგენა გმირი მამის შესახებ უსაფუძლო ილუზია იყო. ოჯახური კონფლიქტის შედეგად, სარასათვის ცნობილი ხდება, რომ ის დედამისის გაუპატიურების შედეგად გაჩნდა ამ ქვეყანაზე.

გმირი არა მარტო ქართველს, ყველას სჭირდება. თუნდაც წარმოსახვითი და გამოგონილი. მისი მეშვეობით არსებობა გაცილებით მარტივია. იმისათვის, რომ იმის საშინელება დავინახოთ ბატალური სცენები არ არის საჭირო. ადამიანური ტრაგედია სამწუხაროდ უფრო ფესვებამჯდარი და ხანგრძლივი პროცესია. ესმა, ომის ძალადობის მსხვერპლია. სარა, მისი ქალიშვილი, მსხვერპლის შედეგად მიღებული მსხვერპლი და არავინ იცის, კიდევ რამდენი თაობისათვის იქნება ეს ადამიანური ტრაგედია. აგრესია, რომელმაც ტყუილი გააჩინა და ტყუილი, რომელმაც პატარა, მოზარდი გოგოს ფსიქიკა ნაწილობრივ დაასახიჩრა. გმირი მამის ხატი, ასეთ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალია, პროცესის დროებით შესაჩერებლად. ის პატრიოტიზმის, სამშობლოსათვის



მთავარი როლის სემსრულებელი ფილმში „adami ani adami ans“ -
Joz eff fai nsi da kristin skot tomasi

თავდადებისა და სიყვარულის ილუზიას ქმნის, რომელიც ისევე როგორც კონკრეტულ ადამიანს, ასევე ზოგადად, ამართლებს ომის და სიკვდილის არსებობას. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი, გამოგონილი და გაუმართლებელი გამოსავალია, რომელსაც არანაკლებ მტკიცნეული შედეგები მოაქვს.

ყველა ქვეყანა და ყველა ერი მსგავს გამოსავალს პოულობს და ერთნაირად იჯერებს, რომ სისხლისლვრამ და ომბა შესაძლებელია ქვეყანას ახალი გმირები და ბედნიერი მომავალი მოუტანოს. ასე ხდებოდა საქართველოშიც. ყველას ახსოვს, სამოქალაქო და აფხაზეთის ომის დროს, ახალგაზრდა ბიჭები არა მხოლოდ ცხელ წერტილში იღუპებოდნენ, ისინი კვდებოდნენ ქურდობის, ნარკოტიკების, ფულის, ყაჩალობის გამო და თუკიპატარა ბავშვი, მისი მშობლების მეგობრის, მისი მამის, ბიძის თუ უპრალოდ ახლობლის სიკვდილის მიზეზს იკითხავდა, ჩვენც მსგავსად ვპასუხობდით — აფხაზეთში დაიღუპა. ყოველი ჩვენთაგანი ცდილობს გაექცეს და დაფაროს საკუთარი თუ საკუთარი სახელმწიფოს შეცდომები, და ყველას ერთად გვსურს დავიჯეროთ — იმ ეპოქას, როდესაც „სამშობლოსათვის ვიბრძოდით“ მრავალი გმირი გყავს და ეს გმირები ქვეყნის ნათელი მომავლისათვის დაიღუპნენ.

ერთი შეხედვით, ბოსნიელი დამწყები კინორეჟისორი ქალბატონის ფილმი მარტივ ადამიანურ ისტორიას გვიამბობს და პოლიტიკური აქ არაფერია, მაგრამ სიტყვა ომის წინააღმდეგ, მაშინ როდესაც ყველა დიდი სახელმწიფო „გამათავისუფლებელ“ ბრძოლებს ანარმოებს და ომის პორპაგანდას ეწევა, მწვავე და მნიშვნელოვანი განაცხადია. პრესა, რომელიც ბერლინის ფესტივალის დაწყებამდე წერდა, რომ ნარმოდგენილი ფილმები პოლიტიკურ ქვეტექსტებს ატარებს, მართალი აღმოჩნდა. 31 წლის ბოსნიელმა, უასმილა ზბანიცმა, პირველი სრულმეტრაჟიანი ნამუშევრით, GRBAVICA, თანამედროვე სამყაროს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ყველა ძალადობრივი ფაქტი არ არის ტრაგიკული, მხოლოდ პროცესში, მისი შედეგები სამუდამოდ რჩება კაცობრიობის, როგორც ადამიანთა ნაკრების ბიოგრაფიაში. და არ არსებობს ომი, რომელიც გამართლებულია.

კინემატოგრაფიული თვალსაზრისით ბოსნიური ფილმი, არა მხოლოდ ჩემი, არამედ გამოკითხულ კრიტიკოსთა მოსაზრებითაც არ იყო ოქროს დათვის სავარაუდო პრეტენდენტი, მაგრამ ბერლინის ფესტივალს საკუთარი წესები და პრიორიტეტები აქვს. ამის შესახებ იხილეთ დასკვნა სტატიის დასასრულს.



“Offside”, ver cxiis daTvi, rej. jafar panahi

P.S.2 საფესტივალო პროგრამას გადახედავს და საერთო სურათს ხვდება, ფილმის ანოტაციას წაიკითხვას და იცის, ღირს თუ არა ფილმის ნახვა, გეტყვის – არ ნახო, და მაინც ნახავ, ფილმი ცუდი აღმოჩნდება, ფილმის დაწყებიდან 10 წუთში გეტყვის „ნავედით ეხლა, ნამცხვარი ვჭამოთ“, არ გახვალ და ინანებ, ბილეთს არ აიღებ და კონდუქტორი ნამოგადგება თავზე, (ამ მოგზაურობისას სამჯერ შემამომწმეს, ჩემი „ვოიაჟების“ ისტორიაში ასეთი რამ არ მომხდარა, მაგრამ საბედნიეროდ ბილეთი მისი დამსახურებით ყოველთვის მქონდა), მისი დამსახურებით არასდროს, არსად დააგვიანებ და მოგზაურობის ბოლოს აუცილებლად მიხვდები, რომ Teacher-ი, ჩემი მასწავლებელი და მეგობარი გოგი გვახარია ყოველთვის მართალია!

ki nodar bazi da auditoria.

განსხვავება ევროპელ და ქართველ მაყურებელს შორის დიდია. ევროპულ კინოდარბაზში არასდროს ისმის მობილური ტელეფონის წერიალი. არავინ საუბრობს ხმამაღლა, თუ მეგობარს ყურ-ში რამეს ჩასჩურჩულებ, წინ მჯდომი მეზობელი აუცილებლად მოგიტრიალება და შენიშვნას მოგცემს. მაგრამ როგორც ჩემი

მასწავლებელი იტყვის — Nobody is perfect. არის დეტალები, რომელიც გაგაკვირვებს ან კი გაგადიზიანებს. მაგალითად, არა-მოტივირებული სიცილი. აშკარად იგრძნობა, რომ რეჟისორმა ეს ეპიზოდი კომიკურ ჟანრში არ გადაწყვიტა, უბრალოდ კადრში ბავშვი შემოიყვანა. ბავშვი არ იყურება კამერაში, თავისი სინარად ენას გამოყოფს. დარბაზში რამდენიმე მხიარული მაყურებელი ძალიან გულწრფელი სიცილით მთელ ხმაზე გადაიხარხებს. ვუსმენ მათ ხარხარს და ვფიქრობ, რა კარგია და რა ცოტა სჭირდებათ ჩამტკბარ და კმაყოფილ (წვრილ) ბურჟუებს ბედნიერებისათვის. კიდევ ერთი დასავლური ტრადიცია, რომელიც ეჭვი მაქვს ევროპაში, სწორედ გერმანიიდან გავრცელდა — ცხვირის ხმამაღლი, გულიანი და ოდნაც შემაშფოთებელი მოხოცვა. ფედერიკი ფელინის ცნობილი კინოონი იყო: ყველაზე რომანტიკულ, სენტიმენტალურ ეპიზოდში, მაშინ როდესაც მაყურებელი სასიამოვნო დაძაბულობის პროცესში იყო, უცაპდ კადრში ძროხას შემოიყვანდა, რომელიც მთელ ხმაზე დაიღმუვლებდა. ასე არიან მგონი ევროპელი კინოს მოყვარულებიც, თითქოს შესაბამის დროს ელიან და შემდეგ გამოყოფენ ხმაურიან და მომძლავრებულ... (მგონი სჯობს აქ გავჩერდე და P.S.-ისგანაც დაგინდობთ).



"Grbavica", granpri - oqros datvi, rej. jasmi la z bani c

gza, romelsac yoveli Cvengani
gadi s

დიდი ბრიტანეთის მოქალაქე სამი ახალგაზრდა ავღანელი ბიჭი, პაკისტანში ხვდება, სადაც მათ შესაძლებლობა მიეცემათ, ავღანეთში გაჭირვებული ხალხის დასახმარებლად წავიდნენ. ჩასვლიდან მეორე დღეს, ისინი ერთერთ სამხედრო ბაზაზე ამერიკელთა ტყვეობაში აღმოჩნდებიან. მათ ყოველდღიურად, სხვადასხვა, განსხვავებული მეთოდით კითხავენ და ცდილობენ გამოტეხონ და გამოაშკარავონ, პატარა, თინეიჯერი ბიჭების საიდუმლო კავშირი ბინ ლადენთან. კითხვები აბსურდულია, გამოტეხვისა და წამების ფორმები კი მრავალჯერ წაცადი, ძველი და წაცნობი.

ეს დოკუმენტური ისტორია მაიკლ ვინტერბოტომის მხატვრული ფილმის სიუჟეტია. ფილმი ნამდვილ ამბავს აღწერს. „სცენარის, ასე ვთქვათ, ავტორები მთავარი გმირებია არიან, რომლებიც ამბავს ისე ყველაზენ, როგორც არდადეგების ისტორიას. უბრალოდ ისე მოხდა, რომ მათ არდადეგები ჯოჯოხეთში გაატარეს“ — ამბობს რეჟისორი. ფილმის, ანუ ამ წამდვილი ისტორიის შეფასებას თავად რეჟისორი საკმაოდ საინტერესოდ აკეთებს.

მაიკლ ვინტერბოტომი — ყველაზე შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანი ამ ისტორიაში, და ის, რისი ჩვენებაც ჩვენ ხალხისთვის გვსურდა ის იყო, რომ ეს ახალგაზრდა ბიჭები სრულიად ჩვეულებრივი ბრიტანელი თინეიჯერები იყვნენ. ჩვენ კი გვეუბნებიან, რომ გვანტანამოში ყველაზე საშიში ტერორისტები არიან და სწორედ ამან გამოინვია აუცილებლობა აეშენებინათ ეს უცნაური, „ზე-კანონიერი“ ციხე. ასე რომ, ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა ორი მხარე - როგორ უნდათ, რომ დაგვანახონ ტერორისტები გვანტანამოში და როგორები არიან ისინი სინამდვილები. ის, რაც ამ ბიჭებს შეემთხვათ, უცნაური და მძიმე იყო და ვფიქრობ, კარგია, რომ ადამიანები ხედავენ: საქმე ეხება სამ ჩვეულებრივ ადამიანს, რომლებიც ამ მოვლენებში გაიხლართნენ. საჭიროა კონტრასტის დანახვა, ერთი მხრივ - რეალობისა და ნამდვილ ადამიანთა ცხოვრების უნესრიგობასა და, მეორე მხრივ - ბუშისა და ბლერის დაუინებული მტკიცების სიმარტივეს შორის, თითქოს ისინი კარგად იცნობენ ამ ადამიანებს, რომ ეს ცუდი ადამიანები არიან, და რომ ესაა კეთილის ბრძოლა ბოროტან, ეს არის ომი ტერორიზმთან. ყველა ეს აბსოლუტური შეხედულება მაცთუნებელი და შედომაში შემყვანია. თუ მათი გამოცდილების დეტალებს დააკვირდე-

"The Road to Guantanamo", sau keTeso rejisura, rej. mai kl
vi nter botomi



ბი, ხვდები, რომ რეალურ სამყაროში საქმე ასე სრულებითაც
არაა.

ფილმი ზედმეტად ტენდენციურია, წარმოდგენილია მხოლოდ
ერთი მხარე და ნათლად ჩანს ავტორის პოზიცია — ამგვარი
იყო კრიტიკოსთა ერთი ნაწილის კრიტიკული შენიშვნა ვინტერ-
ბოტომის ფილმის და პირადად მის მიმართ. შესაძლებელია,
ამგვარი პრეტენზიები ცხელ წერტილში ჩასულ უურნალისტს
წავუყენოთ, რომელსაც სამსახურში, სინამდვილეში არარსე-
ბულ, მაქსიმალურ ობიექტურობას სთხოვენ. მაგრამ რატომ
მოეთხოვება შემოქმედს, და ამ შემოთხვევაში კინორეჟისორს,
ობიექტურობა, არავინ იცის. რატომ უნდა დამალოს ავტორმა
საკუთარი პოზიცია და რატომ არა აქვს უფლება იყოს ტენდენ-
ციური, ესეც გაურკვეველია. ტერორიზმისა და ტერორისტების
შესახებ, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ბოროტების მატარებე-
ლია, მსოფლიო მედია განუწყვეტლივ საუბრობს, მაგრამ არავინ
საუბრობს აქტიურად იმაზე, რომ ამერიკასაც მრავალი უდანა-
შაულო მსხვერპლი ჰყავს და არც მათი დაზვერვის სამსახურია
იმდენად კვალიფიციური, როგორც ამის შესახებ გვაუწყებენ.
დიდი სახელმწიფოების შეცდომებზე დღეს არავინ საუბრობს და

არავინ ცდილობს დაიჯეროს — არაფერია ამ ქვეყნად ცალმხრი-
ვი, ტერორიზმიც კი ორმხრივი მოვლენაა, რომელიც გარკვეული
მიზეზის შედეგად გაჩნდა.

ვინაიდან ფილმი ნამდვილ ისტორიას ეყრდნობა, მისი მხატვრუ-
ლი ფორმა დოკუმენტურ სტილშია გადაწყვეტილი, რაც, როგორც
ცალკეულ ისტორიას, ასევე მხატვრულ ნაწარმოებს მეტ დამა-
ჯერებლობას აძლევს. დინამიური და ემოციური, საინტერესო და
მნიშვნელოვანი, აქტუალური და სკანდალური იყო ვინტერბოტო-
მის ერთმნიშვნელოვნად ანტიამერიკული ფილმი THE ROAD TO
GUANTANAMO - გზა გვანტანამოსკენ, რომელმაც ვერ გაიმეორა
მაიკლ მურის 9/11-ის წარმატება. ვინტერბოტომის ფილმი გაც-
ილებით მაღალმხატვრული იყო, თუმცა ბერლინის საერთაშორ-
ისო კინოფესტივალზე მხოლოდ საუკეთესო რეჟისურისათვის
დაჯილდოვდა.

„dRi s lamaz mani“

P.S.1 ერთ-ერთ უკანასკნელ კრებაზე, რედაქტორმა ე.ნ. ავ-
ტორებს გამოგვიცხადა: ყველა სტატია პირველ პირშია დაწერილი

და იქნებ პირის ნაცვალსახელი შეგეცვალათო. მესამე პირში სულ ტყუილების წერა მინდა. ამიტომ სტატიის დასაწყისში მოცემულ ჩანახატში ყველაფერი მართალია ბერლინის შესახებ, იმ ახალგაზრდა გოგონას შესახებ კი — ყველაფერი ტყუილი. სინამდვილეში ჩემი რეალური სახე გერმანიის საელჩოში მოთხოვნილ ბიოფოტოში ამოვიცანი (ფოტო, გადიდებული ნაკვთებით), სიარულის უამსაც, როგორც ქართველ ტრადიციულ ქალბატონს შეეფერება, წელს ქვემოთ სიმძიმეს კოჭებშიც კი ვგრძნობდი. მძიმედ და-ვატარებდი ყველა ლამაზად მორთმეულ ნამცხვარს, რომელსაც გაცდენილი კინოჩვენებების დროს მივირთმევდი. არცა ფარნიანი კალამი ყოფილა და არცა „შიოლა“...

dabolos, daskvnis nacvlad

სამ პრესტიულ კინოფესტივალს შორის (კანი, ვენეცია, ბერლინი), ბერლინს ყველაზე მეტად უყვარს ექსპერიმენტები, ბერლინი ზედმეტად არასდროს ეპოტინება პოპულარულ, ავტორიტეტულ ავტორებს, ბერლინს უყვარს, როდესაც ის შობს ახალ სახელსა და გვარს. შესაძლებელია მაიქლ ვინტერბონტომის ფილმი წლევანდელ საკუნეურსო კინოჩვენებაში ერთეულთი საუკეთესო იყო, მაგრამ ბერლინმა ის 2003 წელს შვა და ოქროს დათვიც გადასცა. 2006 წელს ბერლინში კიდევ ერთი, ახალი სახელი და გვარი გაჩნდა — უასმილა ზბანიცა. წლევანდელი მთავარი ჯილდო პირდაპირი მანიშნებელია, რომ ბერლინს არ ეშინია სიახლისა და ექსპერიმენტის და ყოველთვის სიურპრიზებს გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, თუკი ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე ბევრ კარგ ფილმს ვერ ნახავთ, ერთი ახალი და კარგი კინორეჟისორის სახელს აუცილებლად დაიმახსოვრებთ..



vim vender si meuRlesTan er Tad



ni ni a kakabaze, Teo xatiaSvili , gogi gvaxari a, salome asati ani



www.intercontinental.ge
29 43 43

ინტერკონტინენტალი
INTERCONTINENTAL
ტურ რესიდენცია • TOUR OPERATOR





mar adi soba da dRe

q eTi maWavariani , naTi a gabadaze

მე მითხვეს: „შენ რეპორტიორო, მოყევი ყველაფერზე, რაც ხდება.“ — და რა ხდება? და განა ვინმემ იცის?“

ტონინო გუერა, „და მიცურავს გემი“

ტონინო გუერასთან გამგზავრებამდე მის შემოქმედებას გადავავლე თვალი და ეს რიტორიკული ფრაზა აღმოვაჩინე. ვიფიქრე, ავტორთან მეტნაკლები აბსტრაქტულობა გამომეჩინა და ფილმებსა და ლექსებს მიღმა დარჩენილ სამყაროზე მესაუბრა, მოგონებებისა და ფანტაზიის უხილავ ლაპირინთში შემეღწია, რადგან დანარჩენი ბევრი რამ ცნობილია, ფაქტობრივი, ვიზუალურიც, ლექსიკურიც...

ინტერვიუს გამოქვეყნების წინ, პროლოგის სახით, ხშირად რესპონდენტის შესახებ წერენ, წერენ თარიღებზე, პრიზებზე, მიღწევებზე. არ ვიცი ტონინო გუერას შემთხვევაში ეს საჭიროა თუ არა, მაგრამ მაინც მცირედი ინფორმაცია:

ტონინო გუერა — სცენარისტი, პოეტი, მხატვარი... პრიზები — „პალმის ოქროს რტო“, „ოსკარი“.....

საქართველოში გვიყვარს იტალიური კინო, ევროპულ საავტორო კინოსაც ჰყავს თაყვანისმცემლები. ტონინო გუერა ამ კინოს ნაწილია — „ამარკორდი“, „და მიცურავს გემი“, „ჯინჯერი და ფრედი“, „ქორნინება იტალიურად“, „დილა მშვიდობისა, ბაბილონი“, „ნოსტალგია“, „პეიზაჟი ნისლში“, „ულისეს მზერა“, „მარადისობა და დღე“, „წითელი უდაბნო, „დაბნელება“, „თავგადასავლი“... მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათამდე ყველაზე წარმატებულ ფილმთა ისტორიების შემთხველი, ფელინის, დე სიკას, ანტონიონის, დე სანტისის, ტარკოვსკის, ანგელოპულოსის, ტავიანების თანამოაზრე და თანაავტორი. ეს მოკლედ, და კიდევ, რჩება ჩვენთვის ჯერ წაკლებად ცნობილი პოეზია, მხატვრობა..

და ბოლოს, **ტონინო გუერა** და საქართველო. მწერლის უსასრულო ოდისეა გვიან აღმოჩინილ, მაგრამ ადრეულ სიზმრებში

თითქოს არაერთხელ ნანას ქვეყანაში.

amar kordi

დავიბადე 1920 წელს სანარქანჯელოში, რომანიაში. ბავშვობაში მიწაყრილიან გზებსა და პატარა ჩიტების გარამოცვაში გაიარა. ვნადირობდი ხვლიკებზე და ამის გამო დღესაც მრცხვენია. ვისწავლე ჩემს საშობლოში, ფორლიმპოპოლოსა და ურბინოში, სადაც განსაკუთრებული პროფესორები მყავდა.

დედაჩემი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. წერა მე ვასწავლე. მისი ანდერძი მდინარე უზოს ნაპირას მდგარ ქოხში აღმოვაჩინე, იქ ომის დროს ვიყავით შეხიზნული. ანდერძი სათვალის ყუთში იყო დამალული და ფურცლის ნაგლეჯზე ეწერა:

– „ჩემს მთელ ქონებას ვუტოვებ ჩემს ქმარს და დაე, მოიხმაროს სურვილისამებრ... პენელოპა კარაბინი“.

ტონინო გუერა „ცოტა რამ ჩემს შესახებ“

გლეხთა ცივილიზაციიდან ვარ, და დღეს ეს სამყარო თავისი არ-სებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის... ფიქრებით ხშირად გავრბივარ და როცა მოწყვენილი ვარ იქ ვიმალები. ეს ჩემი ბავშვობის მოგონებებია — როცა ქალები შემწვარი მსხლით სავსე ლანგრებს თავით ატარებდნენ, როცა დედაჩემი, ერთი შეხედვით სუსტი ქალი, გააფთრებულ ცხენებსაც კი აკავებდა, უცნაურია — ამ პატარა არსებაში საოცარი ძალა იმალებოდა...

და როცა ადამიანი ბერდება, ის უფრო ხშირად უბრუნდება თავის წარსულს, ყრმობას, იხსენებს პირველი თოვლით განცდილ სიხარულს, როგორც ეს „ამარკორდშია“, უბრუნდება წვიმის ხმაურს...

ჩემი საკუთარი „ამარკორდი“ იმ გრძნობებთან დაბრუნებაა, რომელთაც დღეს თითქოს ვკარგავთ... ეპოქაში, როცა აღარ არის ოჯახის რწმენა და გრძნობები ძალიან ხანმოკლე და ეფემერული გახდა...

dila mSvi dobi sa, babilono!

„ადამიანი ცხოვრობს თავის ქალაქში და ვერც კი ამჩნევს რა აურზაურია მის ზემოთ. დედამიწის მსგავსი ათასი სფერო ტრიალებს და ბრუნავს, თითოეული მათგანი სადღაც მიფრინავს... ყველაფერი სადღაც მიფრინავს.. დაფრინავს მზე, ვარსკვლავები, ჩვენი დედამიწა და ე.ი. ჩვენც დავფრინავთ. და რამდენიც არ უნდა

ილაპარაკო, ყველაფერი ასე არ არის. დავდივართ თუ ადგილზე ვდგავართ, როგორც ახლა, ჩვენ მაინც დავფრინავთ...“

ტონინო გუერა „ამარკორდი“

კინოსთან შეხვედრა ჩემი ლექსების პირველი კრებულის გამოქვეყნების შემდეგ მოხდა. ლექსების წერა გერმანელთა ტყვეობაში, საკონცენტრაციო ბანაკში დავიწყე. ომის შემდეგ იყო უნივერსიტეტი, და როცა პროდიუსერებმა „აღმომაჩინეს“ პედაგოგიკით ვიყავი დაკავებული.

კინოში თავიდანვე ლალად ვიგრძენი თავი, რადგან ჩემი პოეზია ძალიან სახეობრივია, ვიზუალურია..

დასაწყისი რომში ეიფორიული იყო, თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მომდევნო 10 წელი შიმშილ ვებრძოდი. მაშინდელ იტალიაში ძნელი იყო კინოში მოღვაწეობა. არ იყო ფული. ფელინისთვისაც დასაწყისი რთული იყო, ის მაშინ რობერტო როსელინისთან მუშაობდა სცენარისტად..

და ჩვენ ვცხოვრობდით დღევანდელი დღით და არ ვფიქრობდით მო-





მავალზე, ყოველ ლამე ვიგონებდით ახალ სიუჟეტებს, პროდიუსერები კულავ არ ჩანდნენ და იძლებული ვიყავით „გვემარხულა“...

და უცრად მოხდა ძლიერი გარდატეხა და დაიწყო უწყვეტი მუშაობა რეჟისორებთან, თითქმის მთელი მსოფლიოდან. ბევრი მიკითხება, როგორ მოვახერხე თანაბარი წარმატებით მემუშავა ასეთ განსხვავებულ შემოქმედებთან?

ალბათ თითოეული მათგანი ჩემს პოეზიაში თავისთვის ახლობელს, საჭიროს, მნიშვნელოვანს პოულობდა..

კინოში 30 წლის მუშაობის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ჩემთვის არაფერი აღარ მრჩებოდა, რომ ყველაფერი წაიღეს, წამართვეს და მე გავიძეცი ჯერ სანარქანჯელოში, მერე პენაბილეში, ჩემი მოგონებების ადგილებში, იქ სადაც თითქოს ჩემი მშობლების აჩრდილებს ვხედავ – პენაბილეს ბაზარში ბოსტნეულით და ხილით ვაჭრობისას...

და ახლა აქ ვარ..

Blow up

არანაირი ბელეტრისტიკა: მკვეთრი, მკაცრი სტილი და მხოლოდ მოქმედება სუფთა სახით – მითხრა ფელინიმ, როცა დამავალა მისი ფილმის ლიტერატურული სცენარი გამეკეთებინა. მე შევეცადე ამ პირობას მიყოლოდი – და რასაკვირველია, ფაქტებს – შეძლები-სდაგვარად თავი ამერიდებინა ეპითეტებისა და საკუთარი ემოციებისათვის, რომლებიც ასე მოისწრაფიან გარეთ გამომსახველობითი მასალის სიტყვებით გადმოცემისას. ყოველ შემთხვევაში მე ვაცნობიერებდი, რომ აქ საჭირო არ იყო მკითხველთან ფილმის შთაბეჭდილების გაზიარება – ამის გაკეთება ეკარანის გარეშე შეუძლებელია. მთავარია, ზუსტი აღწერილობა მისცე მას, ვისაც უყვარს ფელინის კინემატოგრაფი და

რომელმაც ზუსტად იცის, რომ პირველყოფილ სიუჟეტ-
სა და მზა ნაწარმოებს შორის შემოქმედებითი სამუშაოს
ზონაა, და მისი საბოლოო და სრულყოფილი განხორ-
ციელება მხოლოდ გადასაღებ მოედანზეა შესაძლე-
ბელი...

ტონინო გუერა „და მიცურავს გემი“

ყველა დიდ რეჟისორს, ისინი ამავე დროს უდიდესი სცენარისტები არიან, ვხვდები მაშინ, როცა მომავალი ფილმის დასაწყისის იდეაც კი არ არსებობს. და ვიწყებთ ფიქრს, იმ მომენტისათვის რა თემა შეიძლება იყოს საინტერესო... და როცა რეჟისორი გაიაზრებს, რა მოსწონს და რა არის არსებოთი მისთვის, ამ წერტილიდან იწყება მოძრაობა... და აქ ვხდები *prostituta discreta* (მორიდებული მედა-
ვი). სცენარის შექმნისას ყველაფერი მნიშვნელოვანია. საჭიროა ძალიან მახვილი, მუსიკალური ყური — და ალბათ სწორედ ამის გამოა, რომ ჩემი ძალა სცენარის სტუქტურის შექმნაშია. ფილმი უპირველეს ყოვლისა სიმფონიაა, არაფერი არ უნდა დაიკარგოს, უნდა იყოს კონტრაპუნქტი, ფილმები საპნის ბუშტების მსაგა-
ვსად არ იძადებიან. უნდა იყოს ზუსტი წყობა, უბრალო მზის ჩასვ-
ლის შესახებ თხრობაც სიზუსტეს მოითხოვს. გმირებიც შიგნიდან იძადებიან. ისინიც სტრუქტურაში ცხოვრობენ და შენ დასაწყისი-
დანვე გრძნობ, შეუძლია თუ არა გმირს იცოცხელოს, ნალდია ის თუ არა, რადგან გმირიც მუსიკალურ ნაწარმოებს ჰგავს.

ჩემი გმირები ჩემში იძადებიან, მაგრამ ამავე დროს ისინი რეალ-
ური ცხოვრებიდან არიან...

nostalgia

ლერნამი ბავშვობისას შემიყვარდა
და ჯერ კიდევ მწვანე,
მომქონდა მალულად მდინარიდან
მთელი ზაფხული ვაშრობდი მზეზე
და ვინახავდი კოლობით სავსე ჰაერივით
მსუბუქს...

და ზამთარში,
როცა ნესტისაგან ჭრიალებდნენ ძვლები,
და გარგრის ხეებს ქვეშ ისმოდა კატების ხველა,
მივიპარებოდი სხვენზე, ჩუმად,
და ხელებს ვითბობდი გამშრალ ლერნამზე
ისევ რომ სუნთქავდნენ მზიანი სითბოთი...

ტონინო გუერა „თაფლი, მეცამეტე სიმღერა“

უცნაურია, საქართველოში ჩასულს ჩემი ძველი მოგონებები წარ-
მომიდგა თვალწინ. საქართველოს ხშირად კომუნიზმის ხანაში
ვსტუმრობდი და ყოველ ჯერზე ბავშვობის ზღაპრულ ქვეყანაში
მოგზაურობას ჰგავდა. ეს ჩემთვის სამოთხის პანაწინა ნაწილი
იყო.





ეს შთაბეჭდილებები დიდხანს შთამაგონებდა წერისას... ჩემთვის ძალიან ახლოსაა ქართველთა სულის კეთილშობილება და სილ-რმე, ახლოსაა მაშინაც კი როცა ეს მეტისმეტია და უფრო ვულ-კანს ჰეგავს..

საქართველო ჩემი ნაწილია იქაური მეგობრების გამოც. დღეს, როცა ყველა ცდილობს ჩახშოს ის უდიდესი სხივი, რომელსაც ინტელიგენცია ასხივებს და ეს ყველგან ასეა, აქ იტალიაში და ალბათ, საქართველოშიც, იქ ყოველთვის იყვნენ და არიან განსა-კუთრებული ნათების მაესტროები — რეზო თაბუკაშვილი, რეზო გაბრიაძე, ოთარ იოსელიანი, თენგიზ აბულაძე, გია ყანჩელი, საშა რეზვიაშვილი, შენგელაიები..

და თუ გაქრა ეს უზარაზარი ენერგია, დიდი დანაკარგი იქნება, არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ მთელი მსოფლიო-სათვის...

და ახლა მგონია რომ ჯერ კიდევ ცოტა დავწერე საქართ-ველოზე..

gza weliwadze gr Zeli

მომწონს, როცა წვიმს და როცა ნისლი ფარავს მარეკიას

**შენაკადის ნაპირებს, და მე ვგრძნობ, რომ ვცხოვრობ ჩემს
თავთან ერთად...
ტონინო გუერა „ცოტა რამ ჩემს შესახებ“**

მე, ჩემს ოთხმოცდახუთი წლის ასაკში, ყველაფერს დიდი ყურ-ადლებით ვადევნებ თვალყურს — რა ხდება სამყაროში, რა იცვ-ლება, რა რჩება... ჩემს ირგვლივ მუდმივად უამრავი გაზითი, უ-რნალი და წიგნია.

და რაც ხდება დღეს, როცა ირღვევა ყველა იდეალი, საგანთა წყობა, ეს ყველაფერი ჩემში, გულის სიღრმეში პოულობს რე-ზონანსს. წლები მიდიან და ვცდილობ დაგვტოვო ჩემს შემდეგ ის, რაც ადამიანის მეხსიერების სიღრმეში მიმავალ კედლებზე დაი-ლექება.

ეს ენერგია და მუშაობის ჩვევა, რაც დღემდე შემომრჩა, ალბათ მშობლებისაგან გადმომეცა მემკვიდრეობით. და ნებისმიერი შემოქმედისათვის სამუშაო უპირველეს ყოვლისა სიხარული და ტკბობაა..

მინდა გაგენდოთ, მთელი ცხოვრება მეჩვენება, რომ ცოტას ვმუშ-აობ..



MEDOFF
PLATINUM

არაყი MEDOFF ინარმოება უკრაინაში კომპანია Medkoff Company-ის წებართვითა და ლიცენზიით (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი).



Gourmet Line - ახალი სერია გურმანებისთვის

კომპანია “თელიანი თრეიდინგი” წარმოგიდგენთ ახალ სერიას “MEDOFF გურმანებისთვის” (Gourmet line).

ახალი სერია სამი სახეობის არყისგან შედგება, ესენია: MEDOFF Silver, MEDOFF Gold და MEDOFF Platinum. სამივე სახეობა აგრძელებს MEDOFF - ის არსებულ ტრადიციას, ისინი მზადდება განსაკუთრებული, ჯერ კიდევ 1902 წელს აღმოჩენილი, თაფლით შერბილების ტექნოლოგიით.

უნიკალური რეცეპტურა “გურმანების სერიისთვის” სპეციალურად მომზადდა მომხმარებლისთვის, რომელიც ერკვევა მაღალი ხარისხის ალკოჰოლურ სასმელში.

MEDOFF Platinum

სასმელი ნამდვილი, კლასი-კური არყის დამფასებლებისთვის. თაფლით შერბილების ტექნოლოგიის გამოყენებით მიიღწევა კრისტალური სისუფთავე, ბუნებრივი სირბილე და ხავერდოვანო გემო.

MEDOFF™

არაყი ნამდვილი
გურმანებისთვის...



filmebis axsna

giga zedania

ამ ახალ რუბრიკაში ორი სახის ფილმებზე ვაპირებთ საუბარს:

- ა) ფილმებზე, რომელთა ყურების შემდეგაც სახტად დარჩენილი საშუალოსტატისტიკური მაყურებელი ფიქრობს, მე ვარ დებილი თუ რეჟისორი, მაგ.: რენეს „მარშან მარიენბადში“, რივეტის „სელინი და უიული ნავით მიდიან“, კიშლიოვსკის „ვერონიკას ორმაგი ცხოვრება“, გრინუეის „მხატვრის კონტრაქტი“, ლინჩის „მალპოლანდ დრაივი“ და ა.შ. (ბარემ აქვე გავამსილოთ, რომ დებილი თავად მაყურებელია. ამას ის გულში თვითონაც ხვდება და იწყებს ამ ფილმების ლანდ-ვას).
- ბ) ფილმებზე, რომელთა შესახებაც იგივე საშუალოსტატისტიკური მაყურებელი ფიქრობს, რომ გაიგო, მაგრამ ეს მას მხოლოდ ჰქონია, მაგ.: რიდლი სკოტის „სამართებლის პირზე მორბენალი“, ჯიმ ჯარმუშის „ძალი-მოჩვენება“. სამურაის გზა“, ალან პარკერის „ანგელოზის გული“, ტერი ჯილიამის „თორმეტი მაიმუნი“ და ა. შ. (მაინც ისმის ხოლმე ჩივილი, რომ ამ ფილმებმა მაყურებელი, უკაცრავად გამოთქმისთვის, „დაგრუზეს“).


არსებობს სხვა სახის ფილმებიც, მაგ.: „ჰარი პოტერი და ათასი ჯანდაბა“, „ვინ მოერევა – სტივენ სიგალი თუ ვინ დიზელი?“, „რა მნიშვნელობა აქვს, რა ჰქვია ამ ფილმს, მთავარია, რომ მასში ბრედ პიტი და ჯულია რობერტი თამაშობენ“ და ა.შ. ამ შემთხვევებში ახსნა სჭირდება მაყურებელს, რომელიც ამგვარი ფილმების სანახავად დროსა და ფულს ხარჯავს და არა – ფილმს. მათზე ჩვენ საუბარს აქ არ ვაპირებთ.

giga zedania

devid linCis „mal holand draivi“



ყველანი, ვინც „მალპოლანდ დრაივი“ 2001 წელს ვნახეთ, გაოგნებულები დავრჩით: მთავარ ჰერსონაჟს, რომელსაც შესანიშნავად ასრულებდა ნაომი უოტსი, ხან ბეტი ერქვა, ხანაც — დიანა. ფილმში ახსენებდნენ ქალს, სახელად, კამილა როუდსს, რომელსაც ჯერ ერთი მსახიობი ასრულებდა, მერე — სხვა. ჩნდებოდა ათასი ჯურის უცნაური ჰერსონაჟი, რომელთა დანიშნულება სრულიად გაუგებარი იყო. ფილმის ნახვის შემდეგ კი გრჩებოდა რაღაც ტკივილნარევი განცდა, რომლის ანალიზის დაწყებისთანავე მივხვდი, რომ საშინლად ბანალური სახელი ჰქონდა, დაწერაც კი ცოტათო მეუხერხულება ასეთი cool უურნალის ფურცლებზე: მშვენიერება. მას შემდეგაც კი, რაც ეს ფილმი, სულ ცოტა, 12-ჯერ მაინც ვნახე, ბოლო კადრების ყურებისას, როცა ნაომი უოტსის გაცისკროვნებულ სახეს ვხედავ, განცდა ისეთივე ინტენსიურია, როგორც პირველად.



აქ კითხვა აუცილებლად უნდა შეწყვიტოს იმან, ვისაც ფილმი ნანახი არ აქვს, სასწრაფოდ შევარდეს საიტზე – www.avoe.ge, გადმოქარის და უყუროს. ის გაოგნებული დარჩება: მთავარ ჰერსონაჟს, რომელსაც შესანიშნავად ასრულებს ნაომი უოტსი, ხან ბეტი ჰქვია, ხანაც — დიანა. ფილმში ახსენებდნენ ქალს, სახელად, კამილა როუდსს, რომელსაც ჯერ ერთი მსახიობი ასრულებს, მერე — სხვა. ჩნდება ათასი ჯურის უცნაური ჰერსონაჟი, რომელთა დანიშნულება

სრულიად გაუგებარია და ა. შ.

დავიწყოთ ფილმის სიუჟეტიდან: ჩვენ ვხედავთ ლამაზ შავთმიან ქალს, რომელსაც ლიმუზინში უპირებენ მოკვლას, მაგრამ მანქანა ავარიაში მოყვება, რის შედეგადაც ქალი ცოცხალი რჩება, ოლონდ მეხსიერებას კარგავს. ის შემთხვევით გაიცნობს დამწყებ მსახიობ ქალს, სახელად, ბეტის, რომელსაც პოლივუდის დაპყრობა აქვს გადაწყვეტილი და რომელიც მას წარსულის გახსენებაში ეხმარება; ოთახში გამოკრული რიტა ჰეივორტის პოსტერის მიხედვით დაირქვამს რიტას, რადგან საკუთარი სახელი აღარ ახსოვს; აღმოაჩენს, რომ ჩანთაში უდევს ქრომის





ლურჯი გასაღები; სასიყვარულო კაცშირს გააპამს ბეტისთან, ვისთან ერთადაც მიდის კლუბ „სილენციოში“, სადაც უცნაურ შოუს უყურებს, რომლის შემდეგაც ჯერ ბეტი ქრება, მერე კი — თვითონ რიტა.

ამას უჭირავს ფილმის პირველი სამი მეოთხედი. რა თქმა უნდა, ფილმში სხვა გვერდითი სიუჟეტებიცაა: ჩნდება ახალგაზრდა რეჟისორი ადამ კეშერი, რომელსაც მაფია უცნაური მეთოდებით აიძულებს, თავის ფილმში მთავარ როლზე დაამტკიცოს გოგონა, ვისი სახელიც კამილა როუზია. ვხედავთ დაქირავებულ მკვლელს, რომელიც თავის კოლეგას გაასაღებს და ორ უდანაშაულო ადამიანსაც მიაყოლებს ზედ, ასევე ახალგაზრდა კაცს, ვინც სიზმარში ნახავს საშინელი სახის მქონე ადამიანს, ნავა იმ ადგილას და გული გაუსკდება, როდესაც ამ სახეს რეალობაშიც შეეფეხდა. მაგრამ მთავარი ბეტისა და რიტას ხაზია.

უცებ ყველაფერი იცვლება. ფილმის ბოლო მეოთხედის მანძილზე ჩვენ ვხედავთ ნაომი უოტსს, მაგრამ მას ახლა ბეტი კი არა, დიანა ჰექია. ის სრულიად წარუმატებელი მსახიობია და ისევ იმ შავთმიანი ქალის საყვარელია, რომლის სახელიც თურმე კამილა როუზი ყოფილა. ეს უკანასკნელი დიანას რეჟისორ ადამ კეშერთან დალატობს და თანაც ისეთი ცინიზმით, რომ დიანა კამილას მკვლელობას შეუკვეთავს. მკვლელი დიანას ჰპირდება, რომ საქმის გაკეთების შემდეგ ლურჯი ფერის გასაღებს მათთვის ნაცნობ ადგილას დადებს. მას შემდეგ, რაც დიანა ამ გასაღებს აღმოაჩნის, მას სინდისის ქენჯნა და ჰალუცინაციები ეწყება, რის შედეგადაც თავს იკლავს.

ეს ყოველივე მთლად ლოგიკური არ ჩანს. მსგავსი აბსურდის ყურებისას შეიძლება, ბუნეულის ფილმი გაგახსენდეს, სადაც ორი სრულიად სხვადასხვა მსახიობი ქალი თამაშობს ერთი და იმავე პერსონაჟის როლს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გა-

რეშე. მაგრამ ეს არ დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ რა ხდება ლინჩის ფილმში.

აյ პატარა აღსარება უნდა ვთქვა — ატანა არ მაქვს ნახევრად ინტელექტუალი სწობების, რომლებიც რთული ფილმის ყურების შემდეგ დაბნეულობის დასაფარავად ამტკიცებენ, რომ ამა თუ იმ ფილმის ერთადერთი ლირსება მის გაუგებრობაშია, თანაც ჭკვიანური გამომეტყველებით ბუნდოვან ფრაზებს ისვრიან აქეთ-იქით. სირთულე მე შეიძლება, ლინჩსა და გოდარს ვაპატიო და არა ვინმე თსუ დამთავრებულ გიგა გიგაძეს ან თაკუ თაკოძეს. და არა იმიტომ, რომ თვითონ ვარ სწობი. უბრალოდ, როგორც სოკრატემ თქვა ჰერაკლიტეს წავითხვის შემდეგ: რაც გავიგე, იმდენად ღრმა იყო, რომ რაც ვერ გავიგე, სულ ცოტა, ისეთივე ღრმა იქნებოდა. ჰოდა, ეს ფრაზა ნამდვილად შეიძლება ითქვას ლინჩზე, მაგრამ მაჩვენეთ ერთი ქართველი სწობი, რომლის შესახებაც ამ ფრაზას იტყოდით, ოღონდ არა დაცინვის მიზნით!

ამიტომ ამ გაუგებარი ფილმის ახსნა, რომელსაც შემოგთავაზებთ, საკმაოდ გასაგები იქნება, რასაც, იმედია, არ მიწყენთ. მაშას: სინამდვილეში, ფილმის პირველი სამი მეოთხედი სიზმარია.

ოდონდ სიზმარი რას ნიშნავს? არა იმას, რაც პოპულარულ ნიგნებში წერია ხოლმე („სიზმარში მანონი ნახო, ფულს დაკარგავ“). არა, ფრონიდს 1900 წელს გამოქვეყნებული წიგნის შემდეგ (რომელსაც „სიზმრების ახსნა“ ერქვა — დაახლოებით ხვდებით ალბათ, რატომ დავარქვით ამ ახალ რუბრიკას „ფილმების ახსნა“) სიზმარი სხვა არაფერია, თუ არა სურვილის ასრულება. ვიცი, რაც გაიფიქრეთ: მაშინ კოშმარებს რა ვუყოთ, ეგეც სურვილის ასრულებაა? ოღონდ არ გეგონოთ, რომ ფრონიდი გამოიჭირეთ. უბრალოდ, ფსიქოანალიტიკური წარმოდგენის მიხედვით, ადამიანის ფსიქიკა რამდენიმე ნაწილისგან, ინსტანციისგან შედგება. როცა საკუთარ თავზე ვფიქრობთ, გვგონია, რომ ეს ჩვენი „საკუთარი თავი“ მხოლოდ მე (ego), მაგრამ ეს ასე არაა. გარდა „მე“-სი, ფსიქოანალიზის მიხედვით, ფსიქიკაში კიდევ ორი მეტ-ნაკ-






ლებად დამოუკიდებელი ინსტანცია არსებობს: იგი (id), ფსიქ-იკის ნაწილი, რომელიც ჩვენს არაცნობიერ ლტოლვებთანაა დაკავშირებული და ზე-მე (super-ego), რომელსაც ზნეობრივი ნარმოდგენებისა და იდეალების რეზერვუარის ფუნქცია აკის-რია. პოდა, რაც ერთი ინსტანციისათვის სიზმარში სურვილის ახდენაა, მეორისათვის შეიძლება, კოშმარი აღმოჩნდეს. სხვათა შერის, ეს „მალჰოლანდ დრაივთან“ პირდაპირ კავშირშია: მოხუცი ცოლ-ქმარი, რომელთაც ფილმის დასასწყისა და ბოლოში ვხედავთ, დიანას ფსიქიკის ერთი ინსტანციის, კერძოდ კი, ზემეს პერსონიფიკირებია, ხოლო საშინელი მანანწალა, რომლის დანახვაზეც ფილმის ერთ პერსონაჟს გული გაუსკდება, სხვა არაფერია, თუ არა დიანასავე იგი-ს ხორცშესხმა.

რასაკვირველია, ფილმი ბევრად უფრო რთულ ინტერპრეტაციას მოითხოვს, ვიდრე აქაა გადმოცემული. თუ დაგაინტერესებთ, თქვენ თვითონ შეგიძლიათ შეეცადოთ ყველა დეტალის ახსნას, სანამ დევიდ ლინჩი ახალ ფილმს გადაიღებდეს და ახალ თავსატეხს გაგვიჩნდეს. მე აქ მხოლოდ მიმართულებას გთავაზობთ, რომელიც, ჩემი რწმენით, ერთადერთია, ნათლის მოფენა რომ შეუძლია ამ ულამაზესი, მაგრამ საშინლად ბუნდოვანი ფილმისათვის.

ფილმში ნაჩვენები ეს სიზმარი იმითაა უცნაური, რომ, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ჩვენ ჯერ რეალობას უნდა ვხედავდეთ, მერე კი — ამ რეალობაში არსებული ერთ-ერთი ადამიანის სიზმარს. აქ კი სხვაგვარადაა: ჯერ ვხედავთ სიზმარს და მხოლოდ ამის შემდეგ — რეალობას, რომლიდანაც ის დაიბადა. ფილმში ეს სიზმარი დიანას ესიზმრება. დიანა, როგორც ვნახეთ, წარუმატებელი მსახიობია, რომელსაც საყვარელი ქალი ღალატობს. ამიტომ მისი სიზმარი, რასაკვირველია, იმ დაუკამყოფილებელი სურვილების ასრულება იქნება, რომლებიც მას მოსვენებას არ აძლევს. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ბეტი (ანუ ფიგურა, რომელიც დიანასთვის საკუთარ იდეალიზებულ პერსონას წარმოადგენს) განსაკუთრებულად ნიჭიერი მსახიობია, რასაც ყველა აღიარებს. ის ხვდება ქალს, რომელსაც არაფერი ახსოვს და რო-


მელიც მთლიანად მასზეა დამოკიდებული (სინამდვილეში კი ეს ქალი დიანაზე ნარმატებული მსახიობი იყო, რომელიც მისი ერთგულებით თავს არ იწუხებდა). ამ ლოგიკის კარგი მაგალითია შავი ყუთის გაჩენა ფილმში: რეალობაში დაქირავებული მკვლელი დიანას ეუბნება, კამილას მკვლელობის შემდეგ შენ ამ ლურჯ გასაღებს იპოვიო, დიანა კი კითხულობს, ეს გასაღები რას აღებსო, რასაც მკვლელის ხარხარი მოჰყვება — რასაკვირველია, ის არაფერს აღებს, ის მხოლოდ იმის ნიშანია, რომ დავალება შესრულებულია. მაგრამ რადგან ეს კითხვა დიანას თავში დაებადა, სიზმარში მას ახსნაც ეძებნება: ბეტის მოულოდნელად ჩანთაში აღმოაჩნდება შავი ყუთი, რომელიც რიტას ჩანთაში აღმოჩენილი ლურჯი გასაღებით იხსნება (სხვათა შორის, შეგიძლიათ სცადოთ და საკუთარი სიზმრებიც ამ მიმართულებით გააანალიზოთ. ორი რამე უნდა გაითვალისწინოთ: პირველი, თქვენი სურვილები, მეორე, რა შეგემთხვათ სიზმრის ნინა დღეს. შეეცადეთ, ეს ორი რამ ერთმანეთს დაუკავშიროთ და, დარწმუნებული იყავით, საკუთარი სიზმრის გასაღებსაც აღმოჩენთ).



დევიდ ლინჩის სულ ცოტა ხნის წინ, 20 იანვარს, 60 წელი შეუსრულდა, ამიტომ აუცილებლად უნდა ითქვას მასზე ერთი-ორი სიტყვა, უფრო სწორად, არა მასზე პიროვნულად, იმიტომ რომ ეს არაა მნიშვნელოვანი. თუ მაინცდამაინც, შემიძლია გითხრათ, რომ რაღაც პერიოდი მისი საყვარელი იზაბელა როსელინი იყო და რომ მას ჰყავს ქალიშვილი, რომელიც ასევე ცდილობს რეჟისორობას და რომელიც, განსხვავებით ფრენსის კოპოლას რეჟისორი ქალიშვილი სოფიასაგან, სრულიადა მოკლებული ნიჭს (ვისაც ეს არ სჯერა, თვალი შეავლოს ჯენიფერ ლინჩის ფილმს — «Boxing Helena» და უმალვე დარწმუნდება). ახლა კი დევიდის სხვა ფილმებზე გადავიდეთ.

იზაბელა როსელინით მთავარ როლში არის ერთ-ერთი უმძაფ-რესი ნაწარმოები იმის შესახებ, რომ ჩვენი ნორმალური სა-






მყაროს უკან (გვერდით? ქვეშ?) იმალება სხვა, იდუმალი და საშიში სამყარო. ფილმის პროტაგონისტი, რომელსაც კაილ მაკლაქლენი თამაშობს, შემთხვევით გზაზე ადამიანის მოჭრილ ყურს აღმოაჩენს და თითქოს ამ ყურის სილრმიდან გადადის იქ, სადაც მისი ბრიყვულობამდე მამიტური წარმოდგენები ცხოვრების შესახებ სერიოზულად დგება კითხვის ნიშნის ქვეშ.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ რეჟისორები (ქალები ნუ მიწყენენ და კარგ რეჟისორთა 99 პროცენტი მამაკაცია) შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად: ისინი, რომლებსაც ჰყავთ ამოჩემებული მსახიობი ქალი (ჰიჩკოის გრეის კელი, გოდარის ანა კარინა, ტარანტინოს უმა თურმანი) და ისინი, რომლებსაც ასეთი ამოჩემება კაც-მსახიობებზე აქვთ. ტრიუფოს შემთხვევაში, ასეთი იყო უან-პიერ ლეო, ლინჩის შემთხვევაში კი, ასეთი მსახიობი ნამდვილად კაილ მაკლაქლენია, რომელიც მთავარ როლს ასრულებს მის სამ ფილმსა და სერიალშიც.

აი მივედით კიდევაც იქამდე, რაც დღემდე რჩება ლინჩის ყველაზე კომერციულ პროექტად – სატელევიზიო სერიალი „ტვინ პიქსი“. როგორც მოგეხსენებათ, კინოსამყარო დღეს ორ ნაწილადაა გაყიდვილი: ერთ მხარეზეა ხალხი, რომელიც აკეთებს ცუდ ფილმებსა და ბევრ ფულს, მეორეზეა ხალხი, რომელიც აკეთებს კარგ, მაგრამ არაპულარულ ფილმებს და ამაში მცირე ფულს ხარჯავს და იღებს. კინოს ისტორიაში ცოტა იყო რეჟისორი, ვინც ამ ალტერნატივას აარიდა თავი და დილემის ორივე რქას წაავლო ხელი. ჰიჩკოკი ყველაზე ცნობილი მაგალითია, მაგრამ „ტვინ პიქსით“ ლინჩმა მოახერხა პოპულარული სერიალის შექმნა, რომლის ყურებაც დროის ტყუილად გაცდენის ეკვივალენტური ნამდვილად არა. ორი წლის განმავლობაში ამერიკაში თითქმის კოლექტიური ფსიქოზი მძვინვარებდა იმის გამოცნობასთან დაკავშირებით, თუ ვინ მოკლა ლაურა პალმერი — პერსონაჟი, ვისი გვამის აღმოჩენითაც იწყება სერიალი. ლინჩის სერიალიც ისეთივეა, როგორიც ფილმები — გაუგებარი, უცნაური

იუმორით სავსე და მომაჯადოებლად ლამაზი.

დაბოლოს, 1996 წელს გამოსული „დაკარგული შოსე“ ლინჩის ყველაზე სრულყოფილი ფილმია. მისი სტრუქტურა თითქმის იდენტურია „მალპოლანდ დრაივის“ სტრუქტურისა, მაგრამ ფილმის ყურება ნამდვილად არ იქნება ერთმნიშვნელოვნად სასიამოვნო — თუ „მალპოლანდ დრაივი“ ლამაზი, მაგრამ უბედური ქალის ოცნება იყო ბედნიერებაზე, „დაკარგული შოსე“ უბედური მამაკაცის ოცნებაა შურისძიებასა და სექსუალურ გამარჯვებებზე. ამიტომაც „შოსე“ ბევრად უფრო ახლოა შიზოფრენიის ატმოსფეროსთან, ვიდრე „დრაივი“ (შემთხვევითი არაა, რომ ორივე ფილმის დასახელებაში გზის მოტივი გვხვდება — ეს ლინჩის ფილმების და, ზოგადად, ამერიკული კულტურის ერთ-ერთი გამჭოლი თემაა). მის ყურებას ფართო მასების წარმომადგენელს ნამდვილად არ ვურჩევდი.



ხოლო თუ გსურთ, გაერკვეთ დევიდ ლინჩის ფილმების მთავარ თემებში, ამისთვის სულ ერთი წუთი დაგჭირდებათ: არსებობს მის მიერ გადალებული Playstation 2-ის რეკლამა, სადაც თითქმის ყველა მათგანია მოცემული. აი ვებ-მისამართიც: <http://www.lychnet.com/ads/>. რეკლამას ჰქვია «The Third Place». იგულისხმება: ადგილი, სადაც არ მუშაობს ჩვენთვის ჩვეული დაპირისპირებები სიზმარსა და ცხადს, რეალობასა და გამონაგონს შორის. რეკლამაში ახალგაზრდა მამაკაცი ბნელ დერეფანში იკვლევს გზას, სადაც ხვდება საკუთარ ორეულს, განიცდის ტრანსფორმაციებს, დაბოლოს, ოთახში ხედავს ისევ საკუთარ ორეულს; იხვისთავა ფიგურას, კომპიუტერის ხმით რომ საუბრობს; მუმიასა და საკუთარ მკლავს (რომელმაც მანამდე მისი პირიდან (!) დატოვა მისი სხეული — ალბათ იმის ნიშნად, რომ კომპიუტერული თამაშისას ენის ფუნქციას ხელი ასრულებს, რითაც ბრძანებებს იძლევი). რას ვხედავთ აქ?

იდენტობის სერიოზულ პრობლემას: მთავარი გმირის თავი სხეულს სცილდება და დამოუკიდებლად იწყებს მოძრაობას, მთა-





ვარ გმირს ჰყავს ორეული, ის ამჩნევს, რომ მას ხელი მოსძრა და სადღაც გაფრინდა. მოკლედ, ადგილი აქვს სრულ შიზოფრენიას (ბერძნული სიტყვაა და გონების გახლეჩას ნიშნავს).

ხმის დამახინჯებას: რეკლამის გმირსაც და ჩვენც გვესმის რალაც სიტყვები, რომელთა მნიშვნელობაც ძნელი გასაგებია. ხმა, რომელიც ჩვენამდე დამახინჯებული სახით აღნევს, გამჭოლი თემაა ლინჩის თითქმის ყველა ფილმში. ვიღაცები ისე შორსაც მიდიან, რომ ამას ისევ ფსიქოანალიტიკურ მოტივს უკავშირებენ — სიტუაციებს, როდესაც პატარა ბავშვს არ ესმის, რაზე და როგორ საუბრობენ მისი მშობლები (რა სიტუაციებზეა ლაპარაკი, ან თქვენ თვითონ გამოიცანით, ან ფრონდის ტექსტებს მიმართეთ).

ფანტაზმურ ქალს, რომელიც ზეციური პეიზაჟის ფონზე ჩნდება — ამას ახსნა, ჩემი აზრით, არ სჭირდება, ასეთი ქალის ხატი ყველა კაცს აქვს (იუნგი — ვისზეც ამავე ურნალშია ლაპარაკი — ქალის ამ ხატს, რომლის გავლითაც წებისმიერი კაცი ქალებს აფასებს, ანიმას არქეტიპს უწოდებს).

ადგილს, რომელიც ჩვენი ყოველდღიური სამყაროს ლოგიკისგან განსხვავებულ წესებს ემორჩილება. ამის ყველაზე კარგი მაგალითებია: „ტვინ პიქსში“ წითელი ოთახი, ხოლო „მალპოლანდ დრაივში“ — კლუბი „სილენციონ“.

ეს და კიდევ რამდენიმე თემა მუდმივად გვხვდება ლინჩის ფილმებში, თითქოსდა რეჟისორს არ შეეძლოს მათ გარეშე მუშაობა.

სწორედ ესაა მიზეზი, რის გამოც ლინჩი ასე ძალიან მიყვარს. შედარებისათვის: ალან პარკერის შესანიშნავ „ანგელოზის გულს“ რომ ნახავთ, ანდა პოლ ვერპუვენის ბრწყინვალე „მეოთხე ქმარს“, ვერანაირად ვერ იფიქრებთ, რომ ამ რეჟისორებს შეეძლოთ გადაელოთ ისეთი ბრიყვობები, როგორიცაა „ევიტა“ და „რობოკოპი“. მათ ეს გააკეთეს. არ ვიცი, რის გამო. სავარაუდოდ, ამის

მიზეზი მაინც ისაა, რომ ძალიან ძნელია, დარჩე ერთგული, თუნდაც ამ ერთგულების ობიექტის საკუთარი თავი იყოს. ჩვენ თითქოს ღალატისთვის ვართ დაბადებული: საკუთარი მეგობრების, საკუთარი საქმის, საკუთარი თავის — იმიტომ, რომ ეს ადვილია.

გლინჩი კი სხვა გზით წავიდა. ის იღებს ფილმებს, რომლებშიც მუდმივად ჩანს მისი საკუთარი ობსესიები, ფილმებს, რომლებშიც ის მუდმივად იმეორებს საკუთარ თავს. ის ჯიუტობს, გვაძლევს იმედს: ყოველდღიური სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ, არაა ერთადერთი. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ შეიძლება, ყოველდღიურობიდან ამოილო ის ნიმუში თუ სტრუქტურა (მოდით, მას „ნახაზი“ დავარქვათ), რომელსაც არაცნობიერად მიჰყვება მთელი შენი ცხოვრება. ეს უცნაური ნახაზი სხვა არაფერია, თუ არა შენი

საკუთარი თავის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, შენი „მეობა“ თუ „თვითობა“ — ტრავმებისა და მათზე რეაგირების შედეგი. ეს შენი მეობა ისეთივე შემთხვევითა, როგორც, მაგალითად, სიყვარული — დღეს შენ უიმისოდ ცხოვრება ვერ ნარმოგიდგენია, მაგრამ რომ არა ორი ან სამი ნაბიჯი თუ უესტი, სამყარო მის გარეშეც მშვიდად გააგრძელებდა არსებობას. ამიტომ, სასონარკეთილებამდე მისული, ცდილობ ამ ნახაზის შენარჩუნებას და მის აღბეჭდვას ხან ფილმში, ხან წიგნში, ხანაც — სხვა ადამიანის სულში. ესაა ყველაზე რთული ერთგულება — საკუთარი თავის.

სირთულე კი იმაში მდგომარეობს, რომ, რაც უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს, ეს საკუთარი თავი თავისთავად არ არსებობს. ის მხოლოდ ამ ერთგულების შედეგად იბადება. ჩვენი გრძნობებისა და მოქმედებების დიდი ნაწილი ჩვენ („საკუთარ თავს“) არ გვეკუთვნის — ჩვენ მათ ავტომატურად ვასრულებთ. განყვითო ეს ავტომატიკა, ამოვარდე რუტინიდან, დაიწყო ჯერარანსებული „საკუთარი თავის“ გაფანტული ფრაგმენტების შეგროვება — ამაში ყველა ჩვენგანს სხვისი დახმარება სჭირდება. დევიდ ლინჩი მზადაა, დაგვეხმაროს. მთავარია, მისი ფილმების ნახვა არ დავიზაროთ.



პირველად საქართველოში!

“საქართველოს ბანკი” და “ფოლკსვაგენის ნარმომაზგანლობა საქართველოში” გაძლიერ
უნიკალურ შესაძლებლობას შეიძინოთ ახალი ავტომობილები ყველაზე ხანგრძლივი -
24 თვისი უკონფიდენცი გაცვალებით.

გაცვალების უკირატესობები:

- სესხის დამტკიცების გამარტივებული პროცედურა;
- “ფოლკსვაგენის” ცენტრში პანცის საკრედიტო ოფიციალის მომსახურება;
- ავტომობილის დაზღვევის სპეციალურად თქვენთვის დამუშავებული ხელსაყრდი სეიჩა;
- “ავტო+” პაკეტში შემავალი ყველა პროდუქტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- სესხის გაცემის ფინანსურულ საკომისიო მხოლოდ 50 ლარი.

იმოქმედოთ დღესვე და ჩაჯეაპით ახალ ავტომობილები!

დაგვიკავშირდით:

საქართველოს ბანკი: 444 444

ფოლკსვაგენის ნარმომაზგანლობა
საქართველოში: 517 517
www.volksvagen.ge



ABSOLUT DJORDJADZE

nestan kvi ni kaZe

მსოფლიოს ყველაზე მეტად ახალი გამოცდილების ეშინია. ეშინია ინდივიდუალური ხელოვნების, რომელიც კულტურის ჩარჩოებს ქმნის; როცა ადამიანები თავისუფლად მოძრაობენ. ეშინია brilliant idea-ების და მისი თავმოყრის, რადგან თავმოყრილ აზრს გიგანტური ენერგია აქვს - ის უკვე დამოუკიდებლად არსებობს;

ეშინია შემოქმედების, რომლებმაც უკვე გადააფასეს მითები; ეშინია, როცა ესმის: „მე ჩემი გადარჩენისთვის ვაკეთებ ხელოვნებას, და თუკი ეს სხვაზე მოქმედებს, მიხარია. მე სწორედ ამას ვუძღვნი თავს! როცა არ ხარ დამოკიდებული პოლიტიკაზე, რელიგიაზე, შენ გაქვს შენი პოლიტიკა, შენი რელიგია, შენი მორალი. ეს ინდივიდუალური გამოცდილების შედეგად ხდება და სულ უფრო ვხვდები რომ, აი, ეს მინდა ვაკეთო!“

2001 წელი. ნიუ იორკი, MoMA. გამოფენის გახსნას ესწრება ნიუ იორკის Art Society მთელი შემადგენლობით: არტკრიტიკოსები, კოლექციონერები, დილერები – ასეც უნდა იყოს, რადგან საგამოფენო დარბაზი სუპერვარსკვლავის, უკვე ლეგენდადქცეული ფოტოგრაფის ანდრეას გურსკის ნამუშევრებს მასპინძლობს.



დარბაზში გერმანული ჯგუფი „კრაიდლერი“ უკრავს – მუსიკოსები, რომლებმაც მუსიკაში ახალი მიმართულება შექმნეს. ასოციაციურად მათ ხან მდელოზე ამოსულ მაგნოლიას ადარებენ, ხან სერიალ „ტვინ პიქსის“ გმირებს.

ამერიკული არტ-საზოგადოება გამომცდელად ადევნებს თვალს მიმდინარეს. „კრაიდლერის“ აპარატურის შორიახლოს, დამახასიათებელი გარეგნობის გოგონა ცეკვავს – შავი მოკლე კაბა აცვია, დალლილ სახეზე მაკიაჟი აქვს გადლაბნილი, თითქოს სრულიად სხვა სამყაროში, განმარტოვებით მისდევს დუსელდორფის ვიბრაციას. გოგონას ოთხი გამოცდილი თვალი აკვირდება: ინეს ვან ლამსვერდ (Inez van Lamsweerde) – ცნობილი ხელოვანი და ფეშენ ფოტოგრაფი (ფეშენ ფოტოგრაფთა პირველი ათეული) და მისი ქმარი მატადინი (Vinoodh Matadin), მათ რაღაც აღმოაჩინეს შავებაბიანში — იქნებ, 80-იანი წლების მაღლიანი ფოტოვირტუოზები ანდრეას გურსკისგან მის ვინაობას დაადგენენ – თეა ჯორჯაძე.

თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, მეგობრებთან ერთად შემთხვევით პოულობს ამსტერდამის Rietveld cademy-ის მისამართს. საბუთებს სამი თეა გზავნის, მოსკოვში მხოლოდ თეა ჯორჯაძის პასპორტი იკარგება. ახსნა-განმარტების გარეშე მთელი პროცედურა თავიდან იწყება. ორი თეა ამსტერდამში მიემგზავრება, მესამე მხოლოდ 7 თვის შემდეგ ახერხებს აკადემიაში ჩასვლას.

„1993 წელი, ომის ზამთარი გადავიტანეთ, – ყველაფერი დანგრეული და განადგურებულია. მე რატომლაც საოცარ თავისუფლებას ვგრძნობდი, ალბათ იმიტომ რომ ვიყავი „შორის“ – ყოფნა-არ ყოფნას შორის. აქ ხარ და ამავდროულად, სხვაგან ხარ. ყველაზე დიდი თავისუფლება მაშინ მქონდა. იმ „შორის“ პერიოდში ის „რაღაცები“ ვაკეთე, რაც არასოდეს მიკეთებია. ირინა თევზაბის ჩვენებაშიც აღმოვჩნდი შემთხვევით. ამ ჩვენების ფოტოები, ერთერთი სააგენტოს წარმომადგენელმა ნახა და უკვე მერე, როდესაც ამსტერდამში ვიყავი, შემომეხმიანა. პარიზში ჩავედი, დარჩენა და მოდელობა შემომთავაზა. 8 კილო უნდა დამეკლო, წარბები უნდა ამომეპუტა. ერთი წამი არჩევანი გაჩნდა, მაგრამ არ დავთანხმდი. მაშინ აბსტრაქტულად ვიცოდი რა მინდოდა, მინდოდა ხატვა და ვხატვავდი, ბევრს ვმუშაობდი, ვსწავლობდი. წარმოდგენა არ მქონდა – რატომ ხელოვნება?

ამსტერდამის ეპოქა მნიშვნელოვანი იყო, იმდენად დავიწვი და ისე ცუდად ვიყავი, რომ ამით აღმოჩნდა მნიშვნელოვანი. თითქოს იმ დრომ გამომწვა. ყველაზე მტკივნეული – ჩამოყალიბების პერიოდია. მიხვედრა, რომ მარტო ხარ, ეს, მნიშვნელოვანია. არ უნდა გეშინოდეს, რომ სამყარო, რომელიც შენი გგონია, უეცრად, შეიძლება დაინგრეს. ხვდები, რომ ყველაფერს უნდა ელოდო.

სითბოდან მიდიხარ და ცივ კაპიტალისტურ სამყაროში ვარდები. ვითომ ლოიალურები და სოციალურები არიან, მაგრამ, ჰოლანდია ძალიან ცივი ქვეყანა, აქაურობასთან შედარებით წარმოუდ-

გენელი კონტრასტია. დღემდე მეზიზღება ამ-სტერდამი, მიუხედავად იმისა, რომ ამსტერდამი არაფერ შუაშია. ეს შეიძლება ნებისმიერ სხვა ქა-ლაქში, დიუსელდორფში, კიონიში ან ლონდონში მომხდარიყო. იქ პირველად მივხვდი, რაზე ვოც-ნებობდი, რა მინდოდა, და რა ყოფილა მარტოობა. მაგრამ ეს უნდა გაიარო რაღაცას რომ მიხვდე“.

Rietveld Academy-ის პერიოდი და ამსტერდამი, - ქალაქი დასერილი დაძაბული არტერიებით, ვე-ლოსიპეტებზე შემომჯდარი მაცხოვრებლები - მგლოვიარე გედებს რომ გვანან, დასრულდა. მოულოდნელად, თეას მშობლები გერმანიაში გა-დავიდნენ სამუშაოდ, თეაც მათთან ჩავიდა. ერთი წელი მშობლებთან, ბორში, ცხოვრობდა და იქი-დან დიუსელდორფის აკადემიაში დადიოდა. ერთი წლის შემდეგ დიუსელდორფში გადავიდა.

პირველ კურსს, „ორიენტალ ექპერიასზს“, მოიაზ-რებს, როგორც პერიოდს, როცა არკვევ საით გინდა ნასვლა. თეას შემთხვევაში ეს ადვილი იყო, რადგან ყოველთვის იცოდა, რომ ფერწერას გაყ-ვებოდა.

კლასში, სადაც თეას სურდა, ადგილი არ ალ-მოჩნდა. სხვამ აიყვანა და იქ დაიწყო პირველი მე-გობრობა:

„ჯგუფელები ძალიან კარგი ადამიანები იყვნენ, ოლონდ ესთეტურად არ მომწონდა რასაც ისინი აკეთებდნენ. შევრჩი მათთან. ჯგუფი ჰქონდათ - “hobbypopMUSEUM”, დავდიოდით აქეთ-იქით და არაკომერცი-ულ გამოფენებს ვაკეთებდით.

მერე ის დრო იყო, როცა ფერწერას შევეშვი, სულ პერფორ-მანსები... არ ვიცოდი რა მინდოდა. ვფიქრობდი, რომ დისტან-ცია მჭირდებოდა ფერთან და ფერწერასთან. მაინც ფერწერულ სიტუაციებს ვემნიდი მაგრამ უფრო თეატრალურს და თვითონვე ვმონანილეობდი. აუცილებელი იყო კლასი გამომეცვალა, რომ მივმხვდარიყავი რა მინდიდა და უეცრად, ძალიან მაგარი პრო-ფესორი მოვიდა აკადემიაში, ერთ-ერთი გიგანტი მხატვარი ქალი - როზმარი ტროკელი და იმან ამიყვანა. როზმარისთან მეგობრო-ბამ ბევრი რამ შეცვალა, ამ პერიოდში მივხვდი რა არის მხატვა-რის პოზიცია. მხატვრობა მარტო ის არ არის როგორ ხატავ, ეს არის გზა, ამ გზაზე შენ შეიძლება შენი მწერლობით მიდიხარ, მე ჩემი მხატვრობით. რაც საბოლოოდ რჩება მხოლოდ ეგ არის - კულტურა.

ცხოველისაგან იმით განსხვავდები, რომ ფიქრი შეგიძლია და ამ ფიქრისთვის ფორმის მიცემა. ეს საშუალებას გვაძლევს საკუ-თარი თავი დავიცვათ და სხვებიც დავიფაროთ. შექმნის პროცესი ჩემთვის არის რიტუალიც და საერთოდ ყველაფერი. გადამრჩენი. შენი არჩევანი“.

არსებობს თეას არჩევანების მთელი სერია, ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო, ალბათ მაინც მისი ვიზასთან დამოკიდებულებაა. მიუხედავად იმისა, რომ თეას და მისთვის უძვირფასეს ანდრეას რაიზეს (ჯგუფი „კრაიდლერი“) სამი წლის შვილი ჰყ-ავთ, თეა ხელისმონერაზე შეგნებულად ამბობს უარს: „იქ ყველა გეუბნება ჩქარა გათხოვდი და ხელი მოაწერე - გაგიადვილდება“.



ყველაფერი. მე პრინციპი მქონდა ჩემით გამეკვლია გზა, მინდოდა Art Visa და მომცეს Art Visa. არ მინდოდა სხვანაირად, ეს ჩემი არ-ჩევანი იყო. ანდრეას ძალიან მოეწონა ჩემი არჩევანი. დღეს უკვე მეუბნება: ახლა ხომ გაქვს არტ ვიზა და... არა, ასე მირჩვენია.“

დუისელდორფი საშინელი ცივი ზედაპირია, ამიტომ ყველა თა-ვის სახელოსნოშია შეკეტილი და ძალიან ბევრს მუშაობს. იქ არ იყო არტ-კაფეები, სადაც არტისტები ერთმანეთს ხვდებიან, და რაც ასე უხვად არის ლონდონში თუ ნიუ იურკში. „hobbypopMU-SEUM“-მა გადაწყვიტა გაეკეთებინა ბარი, სადაც ყოველ შაბათს მხატვრები შეიკრიბებოდნენ. გააკეთეს ბარი.

მთავარი ინიციატორი თეა იყო: „დავიწყე რეკვა და ვპატიჟებდი ხალხს, თავიდან 6 კაცი იყო, მერე 16, მერე 30 და საბოლოოდ ყველაზე პოპულარული ბარი გახდა. მერე პერფორმანსს ვაკეთებ-დით და ისე მოხდა რომ ყველას ჩემთან მეგობრობა უნდოდა, რა-ტომლაც. არსებობს ეტყობა ენერგია, რომელიც ხალხს იზიდავს“.

მიზიდულობის შედეგად ძეველი ფოსტის შენობაში (ასეთ შენობებს კულტურის სამინისტრო ქალაქთან ხელშეკრულებით ძალიან და-ბალ ფასად ხელოვანებს უთმობს, სანამ დიდ მყიდველს იპოვნიან. უთმობენ იმისთვის, რომ რაღაც მოხდეს!), ერთ ქალაქში ერთად აღმოჩნდნენ ტომას რუფიც და ანდრეას გურსკიც, რომელიც მაშინ ასეთი პოპულარული არ იყო. აღმოჩნდა უამრავი სხვა არ-ტისტი და, რაც მთავარია, ანდრეას რაიზე, რომლის გაცნობაც დიუსელდორფის პირველ არტ კაფეს უკავშირდება:

„ჩემი ქმარიც იქ გავიცანი, „ჰობიპიპონშის“ ატელიე და ბარი პირველ სართულზე იყო. „კრეიდლერს“ 2-ე სართულზე ჰქონდა ჩამნერი

სტუდია.

სულ ერთად ვმუშაობდით. ანდრეასი იმდენად მაგარი ადამიანია, რომ ეს მეგობრობა კიდევ უფრო სერიოზულ გრძნობაში გადაიზარდა.

საერთო იდეების მქონე ადამიანების შეხვედრა თავისთავადი პროცესია, ასეთ დროს გაგება კოსმოპოლიტურია, ეთნოსებად, რელიგიებად და ქვეყნებად აქ არასოდეს იყოფა: „როცა ერთსადაიმავე რაღაცას აკეთებთ ერთ განწყობაში ვარდებით, კეთების დროს, შედიხარ იდეაში, ამ იდეაში მყოფი ადამიანები ერთმანეთს პოულობენ, და „მეჯიქ“ რაღაცები ხდება. აქაც ასეა და ყველგან“.

გამორჩეულად, დიუსელდირფის აკადემიაში შექმნილ ერთ-ერთ ნამუშევარს იხსენებს, რომელმაც ავტორისთვის გარკვეული დროის შემდეგ შეიძინა მნიშვნელობა. ეს იყო ჩვეულებრივი ქოხი: ჭერი, იატაკი და სამი კედელი, წინ ღია სივრცე. შიგნით იყო ბუხარი, ულვაშებიანი ბაბუას პორტრეტი, მაგიდა და ორი სკამი. იქვე ახლოს ორი ცალი არყის ხე იყო დარგული. სახლის გვერდით თეა ნალექიან ყავას ადულებდა და გარეთ გამოკრული სიის მიხედვით, სადაც ნები-სმიერ მსურველს შეეძლო ჩანერა, საათში ერთ მომსვლელს იღებდა



და ყავაზე მომავალს მკითხაობდა, ოლონდ არა ტიპური მკითხაობის წესებით, - ნახატებით რასაც ხედავდა, სწორედ იქედან აგებდა მომავალს: „ყველამ იცოდა მკითხავი რომ არ ვიყავი, უბრალოდ ვთა-მაშინდი. სივრცე ისე იმუსტებოდა, ჰაერს ხელში დაიჭირდი. მაშინ არ ვიცოდი რატომ ვაკეთებდი ამას, მერე მივხვდი, ეს გაცვლა-გა-მოცვლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ხელოვნებაში.“

ერთი კვირა, 7-8 საათი იქ ვიყავი, - სამსახურივით იყო... იქიდან რაც დამრჩა ჭიქები და ინსტალაციის ფოტოა. ჭიქას ქალალდზე ვაბრუნებდი და ფანტასტიკური ლანდშაფტები ჩნდებოდა... ამ ნა-მუშევრისთვის ჯილდო მომცეს - სამოგზაურო სტიპენდია, რითაც ნიუ იორქში წავედი. სტუდენტები კი გაბრაზდნენ - არაესთეტური ნამუშევარიან. მართლაც, ეს ჩემი ესთეტურად ერთ-ერთი ყველაზე მახიჯი ნამუშევარია. მუყაოს დიდი ნაჭრები ავილე, „ბოლტებით“ დავამაგრე, მერე დავანგროე.

იმ დროს ძალიან მაინტრესებდა რაღაცებები, რაც წარმავალია. არ რჩება და კომერციულ ინტერესს არ წარმოადგენს. ნაპოვნია, ნა-პოვნისგან აკეთებ და ყრი.“

ყველა ნამუშევარი ერთი დიდი ნამუშევრის და გზის ნაწილია. ამ ნამუშევრით თეას საკუთარი თავი მიყავს წინ, იზრდება და ეს არის ერთი პროცესის სხვადასხვა გაჩერება, გამოფენა კი იმის ჩვენება — თუ სად იმყოფები, რა პოზიციაზე დგახარ ახლა.

ამ გზაზე ერთ-ერთი საინტერესო „გაჩერება“ „ომაჟია“: „იმდენად ვვარდები იმაში, რასაც ვკითხულობ ან ვხედავ, იმდენად შევდივარ და ვთვისებ, რომ მინდება ამ ადამიანზე იმაჟის შექმნა, მხერალი იქნება თუ მუსიკოსი, ეს ხან ლილია ბრიკია, ხან რემონ რუსელი, უან კოქტო, პიერ პაოლო პაზოლინი, ფიროსმანი, ლენონი და იოკო ონო“.

მულტიმედიური ერა ძირითადი გზიდან გადახვევებს გულისხმობს. ეს შეიძლება გართობაც იყოს და ექსპერიმენტიც, მაგრამ ალბათ ხშირ შემთხვევაში პატივისცემაა ყველა იმ ადამიანის მიმართ ვინც თავისუფალ ხელოვნებას ქმნის. თეას შემთხვევაში, გადახვევა მუსიკას უკავშირდება — მისი ვოკალით არაერთი ტრეკი გამოსულა. ალბომები ხან რომელიღაც *Independent labels* ჩარტებზე *Favorite* ალბომი ხდებოდა, ხან ახალ კომპაქტზე გამოსახული ვინმე *Violetta* თეა ალმოჩნდებოდა, და ასე შემდეგ. ერთადერთი, ვისთან თანამშრომლობაც არ გამოსდის ანდრეა-სია: ჩხეუბობთ. ჩხეუბის მერე მაინც ვწერ ხმას. მაგრამ მე არ მომნის“.

„Absolut Vodka“-ს სარეკლამო იმიჯები, ეს თანამედროვე ხელვნების ცალკე მიმართულებაა. „აბსოლუტი“ იმიჯებს უკვე წარმატებულ და შემდგარ მხატვრებს უკვეთავს. 2003 წელს „Absolut Expectation“ დაგეგმეს: ცნობილ მხატვრებს სთხოვეს დაესახელებინათ მხატვრები, ვინც წარმატებული 10 წელიწადში გახდება. როზმარი ტროკელმა თეა ჯორჯაძე დაასახელა. ეს თანამშრომლობა შემდგომ გამოფენასაც მოიაზრებდა, ანუ თეას და როზმარი ტროკელს შანსი ეძლეოდათ ვენეციის ბიენალეზე, სადაც „აბსოლუტს“ საგამოფენოდ დიდი ვილა ჰქონდა ნაქირავები, ერთობლივი ნამუშევრები წარედგინათ. და ასეც მოხდა. გაჩნდა აბსოლუტის კიდევ ერთი ორიგინალური იმიჯი – „ABSOLUT DJORDJADZE“ – ფიგურუბიანი სარკე, გამჭირვალე აბი-ექტი, რომელიც ფიქრის სამუალებას იძლევა და რომელმაც ურნალ „TIME“ -ში თეასა და როზმარი ტროკელის ინტერვიუსთან ერთად თვალი მოჭრა მკითხველს. „Living means making art!“ — ამბობს თეა მასწავლებელთან ინტერვიუში. საქართველოდან

ცენტრალურ ევროპაში გადასვლას კი გო-დარის „კარაბინერებს“ ადარებს და იმედი აქვს რომ ოდესმე თავადაც ექნება ნახატე-ბიანი ბარათების დიდი მარაგი.

34 წლის მხატვრის ბიოგრაფიაში, საკუ-თარი ნამუშევრების გვერდით არსებობს კიდევ ერთი თვალისმომჭრელი ფოტოსე-სია, სადაც თეა მოდელის ამჰლუაში გვევ-ლინება. ტექსტის დასაწყისში, 2001 წლის MoMA Gallery -ში მოცეკვავე შავკაბიანი გოგონა, — ეს ამ ისტორიის დასაწყისია. თეა ექსპოზიციის მოწყობაში ეხმარებოდა ანდრეას გურსკის, რამდენიმე დღე გადაბმულად მუშაობდა. დაღლილობისაგან განტვირთვისთვის ცეკვისას, იმ წუთს არ იცოდა რომ მის ზურგს უკან, ნარმატე-ბული ფოტოგრაფები მის კოორდინატებს არ კვევდნენ.

ისმის ტელეფონის ზარი და ინეს ვან ლამს-ვერდი თეას სთავაზობს: იტალიური „ვო-გისთვის“ მადონას თემა უნდა გავაკეთო და შენი გადაღება გვინდა.

„როცა დამიკავშირდნენ იმ პერიოდში არ მეცალა, აგვისტოში უნდა ყოფილიყო გადაღება, ამ დროისთვის თბილისში მოვდიოდი. დროში ვერ დავვემთხვიერ. რამდენიმე თვის მერე ისევ დამირეკეს: ამერიკულ „W“ — ს შევთავაზეთ იგივე პროექტი და იქ უფრო მეტ გვერდს გვითმობენო. დავთანხმდი. გადამაფრინეს ნიუ იორქში, დამხვდა ლიმუზინი, ჩემი ძველი ჩემოდანი რომელსაც სახელური მოწყდა თავზე ედო მძლოლს, დამაბინავეს სასტუმროში, თავს მევლებოდნენ, რადგან მე მოძე-

ელი არ ვიყავი, მხ-ატვარი ვარ. ერთი კვირა ვიყავი. ორი დღე ტანსაცმელს ვარჩევდით, მერე კიდევ ორი დღე გადაღებები ჩელსი ჰოტელში, სადაც 80-იან წლებში მა-დონა ცხოვრობდა.

მაშინ ბევრ პერ-ფორმანს ვაკეთებდი და თითქოს ამ გადაღებებს დაემ-თხვა. ყველა გოგოს უნდა, რომ უურ-ნალში აღმოჩნდეს. არ ვიცი, თან თავშეკავებული ვარ და საერთოდ არ მინდა, თან.... ხომ იცი, ყველანაირი მხარე აქვს ადამიანს. მე მერე ვხვდები ხოლ-მე თუ რატომ მოხდა ასე. მერე იკვრება


და ლოგიკური ახსნაც ჩნდება“.

მიუწენში, ტრადიციისამებრ, ყოველ წელს, ავტორის შერჩეულ ტერიტორიაზე, ქანდაკება იდგმება. წელს პროექტი თეა ჯორ-ჯაძეს შესთავაზეს. ცენტრალურ მოედანზე, ეკლესის წინ, ქალაქის სიმბოლოს რომ ნარმოადგენს (უ-ს მაგივრად ამ ორთალიან ეკლესიას იყენებენ ხოლმე დამწერლობისას) ახალი ქანდაკება გაჩნდა, თუმცა მანამდე იყო ბევრი სირთულე: „ბიუროკრატიასთან მომიწია დიდი ბრძოლა, ისინი ცდილობენ, როგორც ახალგაზრდას ცუდი კონტრაქტი მოგცენ. ჩემ ძველ პროფესორს მოვუყევი, რომ ერთი წელია ვაკეთებ ამ ქანდაკებას და გამანამეს, ისე დავილალე, ალბათ, ან დავთანხმდები მათ პირობებს ან, საერთოდ შევეშვები. მან მითხრა: არაფრით დანებდე, შენამდე სხვა მხატვრებთან თავისი გაიტანეს და გაუვიდათ. თუ ამას არ შეცვლი... შენ თუ არ დაანახვებ რომ გატანა შეგიძლია, შენს მერე ახალგაზრდა მხატვრებს გაუფუჭებ საქმესო, და მე მივცვდი როგორ არასოციალურად ანგაურებულად ვარ გაზრდილი. სულ სხვა რალაცის გამო ვეპრძოდი ამ ბიუროკრატიას და სხვა მხატვრებზე არ მიფიქრია! მივხვდი, რომ ეს გამოცდილებას მოაქვს. გამინათდა გონება. ისე ადვილად გავაკეთე ყველაფერი, სიმძიმე არ მიგრძნია, პირობები გამიუმჯობესეს. 80%-ით გამოვასწორე ის, რაც შეუძლებელი მეგონა“.

8-მეტრიანი ბრილიანტი, რომელშიც დამთვალიერებელი შედის, შიდა ატმოსფერო სითბოზე რეაგირებს და ირთვება ანდრეას რაიზეს მუსიკა — ეს ერთი შეხედვით გაზღაპრებული სამყარო, ძალიან ზუსტი და მათემატიკურია, აქ სიმეტრიებს და ფერს, ვეებერთელა შრომას და ენერგიას გულისხმობენ. აქ „თითქოს მარტიო ხარ, მაგრამ მარტო არა ხარ, რალაცას თუ აკეთებ უკვე ცნობილი პერსონა ხარ. კომუნიკაციას ქმნი, რალაცას ცვლა. რაც უფრო იხ-სნები და იზრდები, მეტად მტკიცნეულია, თითქოს პირიქით უნდა იყოს, მაგრამ დროთა განმავლობაში უფრო სენსუალური ხდება“.

იმ დროთა განმავლობაში, რომელშიც, შენი საყვარელი ხელოვნების ნიმუში ჯორტოს წმინდა ფრენსისია ვენეციის აკადემი-





THEA DJORDJADZE

lives and works in Cologne

1971 born in Tbilisi, Georgien

1988 – 1993 Academy of arts Tbilisi, diploma

1993 - 1994 Gerrit Rietveld academy, Amsterdam

1994 - 2001 Academy of arts Duesseldorf

1995 - 1997 Study with Professor Dieter Krieg

1998 - 2001 Study with Professor Rosemarie Trockel

2000 Master pupil by Professor Rosemarie Trockel

2001 Peter Mertes scholarship, Bonn

solo shows

2005 Play, city museum Duesseldorf, Duesseldorf, Germany

2005 I wants, schauspielhaus Duesseldorf theatre project in the context of the exhibition, Duesseldorf, Germany

2004 Sprueth Magers of projects, Munich, Munich, Germany

2004 On the Berlich, Cologne, Cologne, Germany

2003 "L'pineapple Bianco" (with Rosemarie Trockel, Bettina Pousstchi) (K), Palazzo Zenobia, Venice

2003 "Utopia station - poster section" (with Rosemarie Trockel, Bettina Pousstchi) (K), arsenals, Venice

2003 "Tba" (with Salome Machaidze), Adeline Morlon kind Direction, Duesseldorf

2003 "20th Anniversary Show", Sprueth Magers gallery, Cologne

2003 "merry science", Brandenburgi art association, potsdam

2002 "eyes without face" (with Detlef Weinrich), Cologne road 334, Dusseldorf

2002 Salon de Thé, Hamburg

2001 "zero Gravity" (K), art association, Duesseldorf

2001 "The Sight OF the Conductor" (K), art association, Bonn

2000 "Due Dimensioni" (K), Nuova Pischeria, Rovigo

2000 "Due Dimensioni" (K), German wave, Cologne

2000 "Wuckenhof - class Trockel", art association, swords

2000 "class Trockel", art area, Duesseldorf

2000 "ArtGrus" (K), cathedral, Moscow

1999 (with Sophie by Heller man, Claus Foettinger), champion kind, Arnhem

1999 (with Sophie by Heller man, Claus Foettinger), gallery Institut, Duesseldorf

1999 "play of the life" (K), hauptpost, Duesseldorf

1999 hobbypopMUSEUM until 2003 (KKK), approx. 60 exhibitions in Duesseldorf, Bonn, Munich, Hamburg, Antwerp, London, San Francisco

1998 "Due Dimensioni" (K), Academia di barks Arti, Venice

1998 "MayDay" (K), Boehlerwerke, Duesseldorf

1997 "class war" (K), gallery Timm greedy, Frankfurt

THEA DJORDJADZE

2001 o.T. (coffee sentence vintages), academy of arts, Duesseldorf

2001 o.T. (hair cuts), art association, Duesseldorf

2000 "o.T. (I do not have strength for London)", Vilma gold Gallery, London

1999 with hobbypopMUSEUM (until 2003)

აში; როდესაც უკვე არსებობს სამი წლის შვილი; საყვარელი ადამიანი, ასობით გამოფენა: თაბაშირით, თიხითა და უამრავი სხვა მასალისაგან შექმნილი მსხვრევადი და მაინც კულტურად გადაქცეული ნამუშევრები, არტ ვიზა, ლეგენდარული მასწავლებლები, საუკეთესო ფოტოსესიები, ლეიბლები, სიგრაფის შეცნობის ხანგრძლივი რიტუალი; სიგრძე და სიგანე და უან კოქტოს სახლის ფეხსაცმელი, 8-მეტრიანი ბრილიანტი, კრიტიკოსების ნერილები, – რომ თეა ჯორჯაძემ შექმნა მოძრაობა საერთაშორისო მხატრულ სამყაროში, ახალი გამოცდილება... ერთი სიტყვით – "ABSOLUT DJORDJADZE".

"ძალიან ადაპტირებული ვარ ახლა სადაც ვარ, ვცხოვრობ ჩვეულებრივად, მეგობრები მყავს. არ მიყვარს შედარება იქ ჯობია თუ აქ. ისეთივე ჩემიანები მყავს კიოლნში, როგორც აქ. უბრალოდ, რადგან ჩემი ფეხსვები იქ არ არის, რადგან პირველი ლანდშაფტი, როგორც ბროკერი ამბობს... შენი ლანდშაფტი არ არის და გრძნობ - იქაური არა ხარ. აქ ჩამოდიხარ, უეცრად ხვდები, რომ არც აქაური ხარ, რადგან ის, რაც ისწავლე და მარტომ შეიგრძენი შენია. შენი შუალედი გაქვს ნაპოვნი."

ich habe
keine Kraft
für London



000364



ABSOLUT DJORDJADZE.

foto: Inez Van Lamsweerde, Vinoodh Matadin


madonna: Tea Jor JaZe



MADONNA

From crucifixes to black leotards and fishnets, Madonna's look in *Desperately Seeking Susan* is back.

PHOTOGRAPHED BY INEZ VAN LAMSWEERDE AND VINOON MATADIN




















play your game



Entrez

ინტერიერის აქსესუარების მაღაზია

"მანთაშვილის საფაჭოებლო რიგები" ბამბის რიგი №7

30% ფასდაკლება



**Compose****Send****Save Draft****Discard****Inbox****Starred****Sent Mail****Drafts****All Mail****Spam****Trash****Contacts****Labels****Edit labels****Invite a friend****Give Gmail to:****Send Invite** 50 left
preview invite**From:** Simon**Add Cc | Add Bcc****Subject:** re: tin@tin®**Attach a file****Rich formatting »****Check spelling**

Simon mivige sheni cerili. potoebis sagamos xo gamoushveb? gelodebi tina. t-a

ეხლა ვეცდები გავფილტრო ჩემი პერსონალური გზა... მეექვსე წელინადი იქნება მალე, რაც შევეძვი ფსევდო-ელიტარულ დროსტარებას ოდესლაც ეძნიან ქალაქ თბილისში და საკუთარი თავის საძიებლად ბრიტანეთში გადმოვსახლდი, რასაც წინ ჩემი სცენოგრაფიულიკარიერაუძღვოდა, რომელიცქართული საზომებით საკმაოდ წარმატებულია. მიუხედავად ამისა, ჩემთვის ეს საქმე მოსაწყენი ხდებოდა და კოსტუმების, მოდის და ტექსტილის მიმართ, დიდი ხნის ვწება, თავისას ითხოვდა. ხოდამეც, ჩემი, მაშინჯერ კიდევარაუგრობული, პორტფოლიოთი ედინბურგის არტკოლეჯში აღმოვჩნდი, რადგან ერთი უცნაური სასწავლებელი, სახელად, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია უკვე დამთავრებული მქონდა, ანგარიში გამინიეს და პირდაპირ მესამე კურსზე შემომთავაზეს სწავლის დაწყება. ერთი წელი აქაურობას მოერგები და მეორე წელს დიპლომს გააკეთებო. მეც სიამოვნებით დავთანხმდი. ედინბურგში დავამთავრე **performance costume design**, ანუ კოსტუმები. ჩემი დიპლომი ნაწილობრივ XIX საუკუნის თბილში არსებული სუბ-კულტურების სამოსს ეძღვნებოდა, ნაწილობრივ კი 'La Belle Epoque' ის პერიოდის მოდას. ძალიან დიდი მასალა შევაგროვე იმდროინდელ თბილისურ, კავკასიურ, სპარსულ და ევროპულ, ძირითადად კი, ფრანგულ და ბრიტანულ კოსტუმებზე, მართლაც ვისიამოვნე მუშაობით. დიდი შემოქმედებითი თუ არა ტექნიკური გამოცდილება მაინც მივიღე. დიპლომების ჩვენების შემდეგ დღეს Scotsman-ის, შოტლანდიის ერთერთი ფუნდამენტური გაზეთის პირველ გვერდზე ჩემი კოსტუმების ფოტო იყო დაბეჭდილი, დიდი წარწერით **Fashion fusion**. ამ ფოტოთი

**Send****Save Draft****Discard**

Search Mail

და დანარჩენი, ახლა უკვე ევროპულ ყაიდაზე შეფუთული ნამუშევრებით ხელდამშვენებული ლონდონის შუაგულში st.martin ის კოლეჯის fashion departament ის დირექტორს ვესტუმრე და მის კურსზე ადგილი მოვითხოვე. მან მკითხა რატომ მოხვედიო, მე ვუთხარი, რომ ეს ადგილი საუკეთესოა fashion-ის გასაკეთებლად. ეხლა გხვდები, რომ მისი პასუხი ჩემთვის პირველი fashion გაკვეთილი იყო: მან ძალიან აგრესიულად ამისსნა. რომ მთელი მსოფლიოს fashion იმედები ამ ოთახში იყრიდა თავს და ის მხოლოდ საუკეთესოებს აძლევდა შანსს და საუკეთესოებად, არა მხოლოდ ნიჭიერებს, არამედ თავდადებულებს თვლის; დამიტურიცე, რომ მართლა fashion გინდაო. მოკლედ, ჩემი პირველი სერიოზული ნაბიჯი თეატრიდან მოდისკენ ან სცენიდან პოდიუმზე ფიასკოთი დამთავრდა. ეჭვი არ მეპარებოდა იმაში, რომ მოდა მაინტერესებს, ამიტომაც, მედგრად შევუდექი ამის მტკიცებას. ამას ორი წელიწადი დასჭირდა. დღეს კი, ბრძოლამ და მოთმინებამ ნაყოფი ნანილობრივ გამოიღო და Central Saint Martins Art and Design კოლეჯის womenswear fashion- MA-ის პირველი უკრისის სტუდენტი ვარ. თუ კი რაიმე არსებობს ყველაზე თანამედროვე ეს ალბათ სენტ მარტინია, აქ ვერ ნახავთ high-tech კომპიუტერებს ანდა უახლეს digital აპარატურას. - რა საჭიროა? ეს ყველაფერი ხომ ძველდება, აქ, მხოლოდ შემოქმედებითი ენერგიაა და რწმენაა, რომლის კულტივირებაც არის ახალი დროის განათლება, როგორც კი მიხვდები, რომ ცოდნა ინფორმაციაა და ინფორმაცია ყველაფერშია, მერე რჩები შენ და შენი შესაძლებლობა ინფორმაცია პირად გამოცდილებად გადააქციო. ერთის მხრივ, თითქოს აბსტრაქტული წარმატება უცნაურად რეალური ხდება ამ სკოლის მესამე სართულზე, როდესაც ორი კვირის განმავლობაში ფანქრით ხელში გათენებული ღამეების შედეგი მიგაქვს, რომელიც როგორც წესი, დაწუნებული იქნება და ყველაფრის გაკეთება თავიდან მოგინევს, ოღონდ უკეთ უნდა შეგეძლოს, თანაც გაცილებით ნაკლებ დროში, რაც ასევე უნდა შეგეძლოს. და ასე წელ წელა, ერთგვარ ფანატიკოსად უნდა იქცე, იმისთვის რომ რამე გამოვიდეს ამ კაპიტალისტურ პირველ მსოფლიოში.

P.S.

მინდოდა მოდისა და თანამედროვე არტ სოციალური კულტურის მიმართებაზეც დამეწერა მარა, მე მგონი, ზედმეტად პრეტენზიულია და ველარ გადავაბი.



ლონდონი ძალიან მიყვარს და ამაზეც საათობით შემიძლია ვილაპარაკო...

ფოტოებს საღამოს გამოვუშვებ

კარგად

simon

Anna Sui



Dian Von Furstenberg



NYFW – Fall 2006 Collections

specialur ad anabeWdi sTvi s ni u-
i or ki dan

naTi a mi q auta Ze

დიდი არეულობისა და მზადების, პრესის მიერ შექმნილი ჩვეული აუიოტაჟისა და უზარმაზარი მოლოდინის შემდეგ ნიუ იორკი მოდის მოყვარულთათვის ყურადღების კონცენტრირების მთავარ პუნქტად იქცა. New York Fashion Week-ის ჩასატარებლად წელს NY-ის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიული ადგილი Bryant Park-ი შეარჩიეს.

პირველი ჩვენებაზე – Heart Truth Red Dress Collection, რომლის სპონსორიც გულის, ფილტვის და სისხლის ნაციონალური ინსტი-

BCBG



ტუტი (The National Heart, Lung and Blood Institute) იყო, უნიკალურ წითელ კაბებს ცნობილი ადამიანები ნარმოადგენდნენ. ჩვენებაში მონაწილეობდნენ:

Betsey Johnson

Calvin Klein

Daniel Swarovski

Donna Karan

Keneth Cole

Marc By Marc Jacobs



Varvatos



Herrera



Luca Luca
 Micheal Cors
 Nicole Miller
 Oscar De La Renta
 Ralph Lauren

Catherine Malandrino-ს (დიზაინერი, რომლის მუდმივ კლიენტებს შორის ჰილივუდის ვარსკვლავები: ანჯელინა ჯოლი, დემი მური, ნიქოლ ქიდმანი და პენელოპა კრუზი შედიან), წელს სხვა დიზაინერის მიერ გამოარჩევდა. სამოსის უმეტესი ნაწილი ნაქსოვი იყო. წელს მაღანდრინომ პირველად შექმნა ფეხსაცმელის კოლექციაც.

Betsey Jonson-ის წლევანდელი კოლექციაც უკვე ჩვეული უცნაურობითა და ორიგინალური სტილით გამოირჩეოდა (ლენი კრავიტცი, პრინცი და შერი სწორედ ბეთსი ჯონსონთან არჩევენ ხოლმე თავისი ცოტა არ იყოს ეპატაჟურ კოსტუმებს). 2006 წელს დიზაინერი უპირატესობას ჭრელ სამოსს ანიჭებს.

Dian Von Furstenberg



Ana Sui



Ralph Lauren



Anna Sui-იმ მაღალი მოდისათვის ერთდროულად **a la Chanel** კოსტუმებიც შექმნა და ჰიპური **Street Wear**-იც. დააკვირდით წელს მადონას, დრიუ ბერიმორს, ნაომი ქემპბელს. მოგწონთ? მაშინ ანა სუი თქვენი სტილიც ყოფილა.

Marc Jacobs-მა, რომელმაც პოლო წლებში მსოფლიოში განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა (ვაინონა რაიდერი და უმა თურმანი საზოგადოებაში ძალიან ხშირად სწორედ ამ დაზაინერის კაბებში ჩნდებიან ხოლმე), წელს კაშკაშა ფერებით, ზოლებითა და

ბაფთებით გაწყობილი სამოსი წარმოადგინა.

Michael Kors-მა კლასიკური ტანისამოსი გაათანამედროვა და სპორტულ სტილში გადაწყვიტა. საინტერესოა, როგორი სანახავები იქნებიან შემოდგომაზე, ბარბარა სტრეიზანდი, შერონ სთოუნი და გვინეთ პელტროუ, რომელიც დიდი ხანია სწორედ კორსის სახლში იმოსებიან.

BCBG Max Azria-მ ევროპულ სტილს ამერიკული განწყობაშეურია და თავის სამოსს ჯინსები, საქორწინო კაბები და საკუთარი ფეხსაცმელის კოლექცია შემატა.

Zang Toi-ის კოლექციას დახვეწილი ელეგანტურობა გამოარჩევდა. მის კაბებში გამოწყობილი მოდელები თვალისმომჭრელად ლამაზები იყვნენ.



დილომი, დ. ალმაშენებლის ხეივანი მე-7 კმ, შპს „აუტოპარკი“
ტელ: 53-07-14; 53-07-15; 22-25-90; ფაქსი: 53-07-16
ელ.ფოსტა: autohaus@access.sanet.ge



SIGNUM

"AutoBild"-ის განსაზღვრა საუკეთესო ბრენდი, გამოიყენე რა რამოდენიმე ერთმანეთისგან განსხვავებული მეთოდი. კერძოდ გამოკითხულ იქნა 24000ა/მ მფლობელი, შესწავლილ იქნა „TUV"-ის რეპორტი და ანალიზი ჩაუტარდა ა/მ ტესტის შედეგებს.



2005 წლის უკალაზე საჩისსინი
ცვრალი ავტომანქანი

რუსელპაიმი "AutoBild"-ის 2006 წლის დასკვნის თანახმად ოპელი უმაღლესი ხარისხით გამოიჩინება გერმანულ ავტომწარმებელთა შორის. გასულ წელს კონცერნი აღიარებული იყო, როგორც საუკეთესო გერმანული ბრენდი, მისი პროდუქციის საიმედოობით, ხარისხით, მომსახურებით და მომხმარებელთა გამოხმაურებით. კონცერნის მაღალ ხარისხს ასევე ადასტურებს სხვა გამოკითხებიც: JD Power -ის გამოკითხვის შედეგად ოპელ-სიგნუმი წლის საუკეთესო ავტომანქანად აღიარებს.

"Bamberg"-ის უნივერსალურმა ოპელი მისი ხარისხით ევროპის საუკეთესო მარკად აღიარა.

"CarCheck"(შიჭულგარდი)-ის გამოკითხვის შედეგად დადასტურდა, რომ ოპელს წუნის ყველაზე დაპალი მაჩვენებელი აქვს ევროპულ ავტო ბაზარზე.

ANTARA

უკალაზე ავტომანქანი



მაღა



WWW.ZIGOTA.NET


f e m i n i z m i

levan r a m i S v i l i

ამ ცოდვილ მინაზე ათასნაირი ჩაგვრა არსებობს: ზოგი ქალს ჩა-გრავს, ზოგიც – კაცს, ზოგი ხოხობზე ნადირობს ან ლოკოკინას მიირთმევს, ზოგიც თავის შესაქცევად ჭიანჭველებს ჭყლეტს... ფილოსოფოსები ირნბუნებიან, რომ ტანჯვა სამყაროს ერთ-ერთი თანდაყოლილი თვისებაა, ბოლომდე ვერ აღმოფხვრი. „როგორც მზეს ვერ აიძულებ, დღედადამ ანათოს, ისე სამყაროს ვერ მოსთხოვ, რომ მასში მხოლოდ კარგი იყოს, – ამტკიცებენ ისინი, – და თუ ერთი სახის ტანჯვას აღმოფხვრი, მის ადგილზე სხვა სახის ტანჯვა გაჩნდება...“ მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, მას შემდეგ, რაც სხვისი წვალება ისნავლა, ადამიანი ყოველთვის ეპრძოდა თავის ამ მავნე ჩვევას. ამისთვის მას იმთავითვე ორი მეთოდი გააჩნდა: სიყვარული და კანონი. ამქვეყნად არსებული ყველა საზოგადოება მხოლოდ ამ ორ მეთოდს იყენებდა. დროთა განმავლობაში მათგან პირველის როლი თანდათან მცირდებოდა და საბოლოოდ ცივმა და მშრალმა კანონმა გაიმარჯვა. ეს გარდაუვალი იყო. ერთი დამპალი ვაშლიც კი ადრე თუ გვიან მთელ კალათას ალპობს. დამპალ ვაშლებს კი კანონი ჰაერიკით სჭირდება. კანონი და უფლებები, მათ შორის, ქალთა უფლებები...

„pi r veli tal Ra“

ყველაზე უმნიშვნელო ამბავსაც კი თავისი, ზოგჯერ ძალზე გრძელი ისტორია აქვს. ერთხელ ამერიკაში რომელიღაც მდიდრული მაღაზ-



იიდან (რომელშიც, რა თქმა უნდა, დასათვალიერებლად ვიყავი შესული, თუმცა მიგნით დენდივით დავაბიჯებდი) გამოსვლისას, კარში ერთი არაფრით გამორჩეული ამერიკელი ქალბატონი შემეფეთა. მაღალი, მხარბეჭიანი და იმდენად მოვლილი იყო, მომეჩვენა, რომ ვარდისფერ კანზე ორთქლი ასდიოდა. აუცილებელი, ცივი ლიმილით გამილიმა და გვერდზე გადგა, რადგან მე თითქმის უკვე გარეთ ვიყავი და, ყველაზე მარტივი ლოგიკით, ჩემი გზა იყო. მე, როგორც ჩვეულებრივმა ადამიანმა, უკან დავიხიე და მოპრანდით-მეთქი, ხელით ვანიშნე. დაბნეულად შემომხედა. please-მეთქი, დავამატე და უსტიც უფრო მკვეთრად გავიმეორე. უცებ სახე გაებადრა, გადამეტვია და იმდენი you're so kind და სხვაც, აღარ მასხოვს, ისეთი თბილი სიტყვები მეძახა, დაბნეულობისგან აღარ ვიცოდი, ხელები სად წამელო... დღემდე არ ვიცი ზუსტად, რა მოხდა მაშინ.

ასეთი ამბავიც მახსენდება: ნიუ-იორკის მეტროს გადაჭრებილ ვაგონში ფეხმძიმე გოგო შემოვიდა. ცალ ხელში ბავშვი ეჭირა, მეორეში კი – ბავშვის ეტლი. მათგან მოშორებით ვიჯეე და ადგომა არც მიფიქრია, მაგრამ ცოტა ხანში მიტხვდი, რომ პატიჟით არც მასთან ახლოს მსხდომნი იყლავდნენ თავს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ხალხი ნიუ-იორკის მეტროშიც ისეთივე პირქუშია, როგორც თბილისში. ასე გამეხებულები ისხდნენ და ადგილის დათმობას არც აპირებდნენ, გოგონა კი აშკარად იტანჯებოდა, თუმცა მორჩილად იდგა და ეტყობოდა, რომ დაჯდომის იმედი არც ჰქონდა. მომეჩვენა,



რომ ხალხი მასზე გაბრაზებული იყო. ადამიანებს ალბათ ყოველთვის სძულო ის, ვინც თავისდაუნებურად იმ სიკეთეს მოითხოვს, რომლის გაკეთებაც მათ არ სურთ... ერთხანს შევიცადე, რამე ხომ არ მეტვენება-მეტქი, მერე კი (ისევ და ისევ როგორც ჩვეულებრივმა ადამიანმა) გოგონას ადგილი დავუთმე. ირგვლივ მსხდომებმა ის-ეთი აღშფოთებული მზერა მტყორცნეს, რომ შეგანი ამენვა. ადამიანებს ალბათ... ამ ყველაფერზე რომ ვფიქრობდი, ერთი ეპიზოდი გამახსენდა ჯიმ ჯარმუშის ბოლო ფილმიდან – “*Ghost-dog – The Way of the Samurai*”: ერთი განგსტერი დაუფიქრებლად „პრიდავს“ პოლიციელ ქალს. „ეს რა ქენი, ქალს ესროლე?“ – აღშფოთდება მისი იტალიელი „ნაპარნიკი“. „ქალს კი არა, პოლიციელს, – მშვიდად უპასუხებს ის, – მათ თანასწორობა უნდოდათ, ჰოდა, მიიღეს კიდეც!..“ ყველაფერი კი ასე დაიწყო:

მეცხრამეტე საუკუნეში ევროპაში თანდათან ვრცელდება აზრი, რომ პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალი დაჩარულია. ფემინიზმის, როგორც ორგანიზებული მოძრაობის, დასაწყისად 1848 წელი ითვლება, როცა ამერიკაში, ნიუ-იორკის შტატის ქალაქ სენეკა ფოლზში, ქალთა უფლებების დამცველი კონვენცია მიიღეს. 1869 წელს ჯონ სტიუარტ მილმა გამოსცა წიგნი, სათაურით – „ქალთა დამორჩილება“, რომელშიც წერდა, რომ „ერთი სქესის მიერ მეორის დამორჩილების კანონით ხელშეწყობა მავნებელია...“ და რომ „...საზოგადოების სრულყოფის გზაზე ეს ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა“.

ერთ-ერთ პირველ ფემინისტურ ნანარმოებად შეიძლება, მერი უოლსტოუნკრაფტის მიერ XVIII საუკუნეში (1792) დაწერილი „ქალთა უფლებების დასაცავად“ ჩაითვალის, ფემინიზმის წინამორბედად კი – ჰენრიკ კორნელიუს აგრიპას მიერ 1529 წელს შექმნილი „ქალთა სქესის სიდიდისა და უპირატესობის შესახებ“. ფემინიზმის ჩამოყალიბებაში ასევე მნიშვნელოვანი იყო ავგუსტ ბაბელის „ქალი და სოციალიზმი“ (1879) და ფრიდრიხ ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს ნარმოქმნა“ (1884). ასევე დიდი როლი ითამაშა ქალების, მარგარეტ ფულერისა და შარლოტა პერკინს გილმანის მიერ ქალის ისტორიის შესახებ დაწერილმა ნაშრომებმა. ზოგადად, ფემინისტური იდეების გაჩერას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, იმ ლიბერალურმა ფილოსოფიურმა ტრადიციამ, რომლის ფუქერდებლებიც ლოკი და რუსო იყვნენ, მეორე მხრივ კი – ფურიეს, სენ-სიმონისა და ოუენის უტოპიურმა სოციალიზმა. სიტყვა „ფემინიზმიც“ სწორედ რობერტ ოუენმა მოიგონა.

ემილინ ჰენჭერსტი გახლდათ სუფრაჟიზმის სახელით ცნობილი იმ მოძრაობის ერთ-ერთი დამარსებელი, რომელიც ქალისთვის არჩევნებზე ხმის მიცემის უფლების მინიჭებისთვის იბრძოდა. ემილინმა დააარსა ქალთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური უფლებების დამცველი ორგანიზაცია. სახელმწიფომ მოძრაობის ჩახმობა გადაწყვიტა. მისადმი გამოხატული სულ მცირე სიმპათიისთვისაც კი ადამიანებს იჭერდნენ და ციხეს უსჯიდნენ, ამიტომ ბევრმა გადაწყვიტა, პროტესტი შემიშელობით გამოეხატა. ამან ის მოიტანა, რომ შემიშელობის მონაწილეებს ჯანმრთელობა სერიოზულად შეერყათ, თუმცა ის მაინც შეძლეს, რომ საზოგადოების ყურადღება იმ დროის საკანონმდებლო სისტემის გაუმართლებელი სისასტიკისა და ფემინიზმის იდეებისადმი მიეპყროთ.

ადრეულ ფემინიზმს „პირველ ტალღას“ უწოდებენ. მისი სრულიად გასაგები და სამართლიანი მოთხოვნები (ქალისა და კაცისთვის არჩევნებში ხმის მიცემის თანაბარი უფლების მინიჭება, განათლებისა და სამედიცინო დახმარების მიღებისა, აგრეთვე სამუშაო ადგილზე ქალებისთვის დაწესებული სხვადასხვა შეზღუდვებისა და ბარიერების გაუქმება, ქალთა იურიდიული უფლებების გაზრდა და ა.შ.)

XX საუკუნის შუა პერიოდში ასე თუ ისე დაკამაყოფილდა, რის გამოც ამ დროისთვის ფემინისტური მოძრაობა ჩაცხრა. ხელახლა ის მხოლოდ 60-იანი წლებიდან აგორდა და ინტენსივობის პიქს 70-იანი წლების ბოლოს მიაღწია. ამ მოძრაობას „მეორე ტალღა“ დაერქვა.

ამ დროის მანძილზე ფემინისტურ მოძრაობაში უამრავი განშტოება გაჩნდა. ყოველი მათგანის ყურადღება ქალთა დისკრიმინაციის ცალკეულ გამოვლინებზეა კონცენტრირებული. არსებობს ე.წ. „მესამე ტალღაც“, თუმცა მის იდეებს ბევრი ფემინისტი არ ეთანხმება და მისი ცალკეულ გამოყოფის წინააღმდეგია.

მიზანი – ადამიანის ბიოლოგიური კონსტრუირება

თანამედროვე ფემინიზმში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ანთროპოლოგ მარგარეტ მიდის 1935 წელს დაწერილ წიგნს – „სექსი და ტემპერამენტი სამ პრიმიტიულ საზოგადოებაში“. მიდი კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. აქვე სწავლობდა ამერიკული ფემინიზმის მომავალი ლიდერი ბელა აბცუგი. მიდი თავის წიგნში მიუთითებს, რომ ჩამბულის ტომის ქალები კაცებზე დომინირებდნენ, თუმცა ამით ტომს პრობლემები არ შექმნია. ამ არცუმენტმა აბცუგის დროის ინტელექტუალებს შორის ჩამოაყალიბა აზრი, რომ ქალურობისა (ფემინურობის) და მამაკაცურობის (მასკულინურობის) ევროპული გაგება თვით ევროპული სოციუმითა და მისი წარმოდგენებითავა განპირობებული და არა რაიმე სილრმისეული ადამიანური ინსტინქტებით. მათ მხედველობიდან გამორჩათ, რომ საზოგადოებათა და ეპოქათა წარმოუდგენლად მრავალრიცხოვან კალეიდოსკოპში ჩამბულის ტომი აშკარად გამონაკლისია და არა წესი, მაგრამ ამაზე ფიქრით თავი არავის მოუკლავს.

„მეორე ტალღას“ დროს ფემინიზმი უამრავ დაჯგუფებად დაიყო. მათ შორის ერთ-ერთი წარმყანი მიმართ თუ ლება, ლიბერალური ფემინიზმი, სუფრაჟიზმს ეფუძნება. ის ამტკიცებს, რომ ქალთა უთანასწორო მდგომარეობა კაცების მიერ მათვალის თანაბარი უფლებების მინიჭებაზე უარის თქმითა და ასევე



ამ უფლებებისთვის ბრძოლაში თვით ქალების ინერტულობითაა გამოწვეული. ლიბერალური ფემინიზმი იმ რეფორმების გატარებას მოითხოვს, რომლებიც ქალებს ცხოვრების თანაბარ პირობებსა და თანასწორ სამოქალაქო უფლებებს მოუტანს. ამისთვის ის მიზანმიმართულ სოციალურ პოლიტიკას მიმართავს და იმედი აქვს, რომ ამ გზით ქალების სამოქალაქო უფლებებსა და ეკონომიკურ შესაძლებლობებს გაზრდის.





ლებს გარკვეული ეკონომიური დამოუკიდებლობა მოუტანა.

სოციალ-ფემინიზმის ქალის ჩაგვრის მოსპობა შრომის კაპიტალისტური ორგანიზების კრიტიკით გადაწყვიტა, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან აღმოჩნდა, რომ ამის გარდა სხვა ფაქტორებსაც (მაგ., ფსიქოლოგიურს ან სოციოკულტურულს) დიდი მნიშვნელობა აქვს.

„რადიკალური ფემინიზმი“ საზოგადოების თითქმის ყველა სერიოზული პრობლემის სათავედ პატრიარქატს მიიჩნევს. მან უარი თქვა ლიბერალური ფემინიზმის საკანონმდებლო რეფორმებზე და ქალთა ექსპლუატაციის აღმოფხვრის ერთადერთ საშუალებად სექსუალობის რეკონსტრუქცია მიიჩნია. მის მიმდევრებს სწავლამ, რომ ქალი და კაცი მანამდე ვერ იქცებიან თანასწორი, სანამ მათ შორის ბიოლოგიური განსხვავება არსებობს. მათი დაკვირვებით, დედამინაზე პირველი ჩაგრულები ქალები იყვნენ. შემდეგ ქალთა ჩაგვრამ საერთაშორისო სახე მიიღო (რა გზით ან რომელ ოკეანეზე გავლით, უცნობია) და ექსპლუატაციის ძირითად ფორმად იქცა. ყველა სხვა სახის ჩაგვრას (კლასობრივს, ეთნიკურს და ა.შ.) რადიკალური ქალთა დისკრიმინაციის ჭრილში განიხილავენ და მის გვერდით მოვლენად მიიჩნევენ. ქალთა ჩაგვრის ძირითად საშუალებად კაცების მხრიდან მუდმივი კონტროლი მიაჩნიათ, რაც, მათი აზრით, ძლიერ სქესს მათზე დომინაციის დაწესებისა და მუდმივად განახლების საშუალებას აძლევს. სახელმწიფოს, ოჯახს, რელიგიასა და სხვა სოციალურ ინსტიტუტებს რადიკალური ფემინიზმი ამ დომინაციის საშუალებებად მიიჩნევს. საზოგადოებას ის სქესთა შორის სხვაობისა და დაპირისპირების კუთხით განიხილავს და ახასიათებს როგორც „მამაკაცურ საზოგადოებას“, რომელშიც კულტურის ორი საპირისპირო მოდელიდან – ტექნოლოგიურიდან და ესთეტიკურიდან – დამკვიდრდა პირველი, ანუ ის, რომელიც მამაკაცის ქცევას ასახავს. შექმნილი სიტუაციიდან რადიკალი ფემინისტები სხვადასხვა გამოსავალს გვთავაზობენ (ეს თითოეული მათგანის რადიკალიზმის ხარისხე დამოკიდებული). მათი რეცეპტებია: სქესებს შორის დამოკიდებულების შეცვლის მიზნით ფემინისტური რევოლუცია; ქალების მიერ კაცებისგან თვითიზოლაციაზე დამყარებული ფემინისტური სეპარატიზმი; მამაკაცური კულტურის ქალური კულტურით შეცვლა; ისეთი კულტურის შექმნა, რომელიც ორივე მოძღვანილობა დამოკიდებული და ა.შ.

რადიკალური ფემინიზმის ყველა სახეობა მიზნად მამაკაცთა დომინაციის გადალახვის, სექსუალობის რეკონსტრუქციისა და მორალური საფუძვლების შეცვლის გზით საზოგადოების ტრანსფორმაციას ისახავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რადიკალები მსოფლიოს კატაკლიზმებსა და საბოლოო ჯამში დალუპვას უწინასწარმეტყველების.

რადიკალურმა ფემინიზმმა ხელი შეუწყო ქალთა კოოპერატივების, კლინიკების, კლუბებისა და თავშესაფრების წარმოქმნას. მისი წყალობით განვითარდა ფემინისტური ხელოვნება. მიუხედავად ამისა, წამყვან ფემინისტურ მიმართულებად ის მანც ვერ იქცა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ქალურ ბუნებაზე საკუთარი წარმოდგენის დოგმატიზაციით მან ქალზე რასობრივი ან სოციალური გავლენების დანახვაზე თქვა უარი. ესეც არ იყოს, კაცებისა და ქალების ბუნების წინასწარგანსაზღვრულობის (კაცების აგრესიულობა და პირველობის სურვილი, ქალების ვნებიანობა და მზრუნველობა) საკითხის წამოჭრით რადიკალურმა ფემინიზმმა თავისდაუნებურად იმ სტერეოტიპების აბსოლუტობით, რომელთა დანგრევასაც თვითონ ცდილობდა.

უტიზაცია მოახდინა, რომელთა დანგრევასაც თვითონ ცდილობდა.

ფსიქოანალიტიკური ფემინიზმი 60-იან წლებში გაჩნდა, მაშინ, როცა ფემინიზმის ზოგი მემარცხენე თეორეტიკოსი მიხვდა, რომ სქესთა შორის დამოკიდებულების ასახსნელად კლასობრივი თეორიები საკმარისი არ იყო და ადამიანის ფსიქიკის უფრო ღრმა ცოდნას მოითხოვდა. ამ დროს ფსიქოანალიზმს მხოლოდ ქალის მორჩილებისა და პასიურობის ასახსნელად იყენებდნენ, ამიტომ ფემინისტებს ის ათვალისწინებული ჰქონდათ. მათ არც ქალის ირაციონალობის, ემოციურობის, დაქვემდებარებულობისა და პასიურობის შესახებ ფრინიდის გამონათქამები ეხატებოდათ გულზე. ამიტომ თავიდან ფემინისტები (სომონა დე ბოვუარი, ბეტი ფრიდანი, ქეით მილეტი) ფსიქოანალიზმს კაცის მიერ ქალის დათრგუნვის ერთ-ერთ ასალ საშუალებად თვლიდნენ. მაგრამ თანდათან მიხვდნენ, რომ ფსიქოანალიზმის საშუალებით მასკულინური საზოგადოების კლანჭებში ჩავარდნილი ქალის ქვეწონბიერში მიმდინარე პროცესების კვლევა და ამ გზით მისი ცნობიერების პატრიარქალური წნევისგან განთავისუფლება იყო შესაძლებელი. გაჩნდა ორი მიმართულება – ან-გლორიამერიკული და ფრანგული. ამერიკელი დოროთი დინერშტანისა და ნენსი ხოდოროვის თეორიის მიხედვით, ქალის მიერ ბავშვის აღზრდა მამაკაცებში არა მხოლოდ ქალზე დამოკიდებულებისგან და ყოვლისშემძლე დედა-ქალის შიშისგან თავის დაღწევის ქვეწონბიერ სურვილს იწვევს, არამედ ქალის მიმართ საკუთარი უპირატესობის დამტკიცებისა და მასზე პატონობის მოთხოვნილებასაც. ფრანგული მიმართულება (ლიკანი, ლიუს ირიგარე) სექსუალობის ლინგვისტური კონსტრუირებითა და სექსისპრივს სხვაობათა წაშლით დაკავდა. ფემინისტებმა მიაღწიეს იმას, რომ ახლანდელ წიგნებში (მათ შორის, ბიბლიის ახალ გამოცემებშიც ცი) ვეღარ ნახავთ man-ს ან he-ს. ამის ნაცვლად ყველგანაა man or woman და he or she. ასე რომ, დასავლურ წიაღში საქართველოს ბრძანისტების შემთხვევაში შეიძლება ერთხელაც ყველა წიგნიდან სიტყვა კაცობრიობის ამოღება და მის წაცვლად „ქალობრიობის“ ან „კაც-ქალობრიობის“ ჩანარი მოვარის, თუმცა ეს ვარიანტიც დისკრიმინაციას გულისმობს – კაცი ქალზე წინ დგას, ამიტომ „კაც-ქალობრიობისას“ „ქალ-კაცობრიობა“ სჯობს. სანამ მსოფლიოში „მასკულინიზმი“ არ იმძლავრებს, მანამდე მაინც წყარიად ვიქნებით... მხოლოდ ერთი

პრობლემა რჩება – რა ვუყოთ ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანს?!“ „ქალია ადამიანი?!“ არ გამოვა, ლუარსაბი მაინც კაცი იყო... თუ ისე გვინდა იყოს, „როგორც ცივილიზებულ ქვეყნებშია“, მაშინ ასე უნდა შევცვალოთ: „კაცია ან ქალია ადამიანი?!“ იქნებ „ადამიანია ადამიანი?!“ სჯობდეს? მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი წარსულსა და აწყობს, ანუ ფემინიზმს დავუბრუნდეთ.

ფსიქოანალიტიკური ფემინიზმის ყველა მიმართულებას ერთი საერთო მიზანი – ქვეცნობიერ დონეზე მიმდინარე დათრგუნვის პროცესის გაცნობიერება და ტრანსფორმირება – აერთიანებს. ფემინიზმის ამ „უარს“ პრეტენზია აქვს უნივერსალობაზე, თუმცა ქალური ფსიქიკის ფორმირების კულტურისტორიულ, სოციოკულტურულ თუ პოლიტეკონომიურ პირობებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

ფსიქოანალიტიკური ფემინიზმის მიმდევართა მიერ თეორიული ცოდნის დაგროვებამ ფემინიზმი 80-90-იანი წლების პოსტმოდერნისტულ კონცეფციებში გადაზიარდა. ერთ-ერთი მათგანია ენ. გენდერის თეორია, რომელიც „სოციალურ სქესს“ (ინგლ. gender) ბიოლოგიური სქესისგან (ინგლ. sex) ასხვავებს და იმ რთულ სოციოკულტურულ პროცესს იკვლევს, რომელიც ადამიანში „მამაკაცური“ და „ქალური“ ცეკვის ტიპებს, მენტალურ და ემოციურ მახასიათებლებს აყალიბებს. გენდერისტების აზრით, სქესზე დამყარებულ სოციალურ სტრუქტურაში ურთიერთობები ბატონიბის პრინციპებზეა აგებული და ის ადამიანის, კერძოდ, ქალის, დათრგუნვის უმთავრესი წყაროა. პატრიარქალური კულტურა ქალს „ქალური“ და „კაცური“ როლებისგან, საქმიანობის სფეროებისგან და ხასიათის თვისებებისგან შემდგარი ფასეულობათა მყარი სისტემის მეშვეობით იმონებს. ბავშვობიდან ქალიც და კაციც საზოგადოებისგან თავისი როლის ახსნას ელის და ილებს კიდეც ცნებებს, რომელთაგან ზოგი „კაცურია“, ზოგიც – „ქალური“, თანაც „კაცური“ თვისებები, როგორც წესი, „უფრო მაღალი და მნიშვნელოვანია (მაგ.: კულტურაში ცნება „მიწიერის“ ქალურ, „ზეციურის“ კი მამაკაცურ სანყისთან დაკავშირება). ამასვე ემსახურება განათლების სისტემაც. მაგალითად, სკოლაში თუ ბიჭისგან მაღალ ნიშნებსა და კარიერის გაგრძელებას ელინ, გოგოსგან საშუალო დონეზე სწავლაც აკმაყოფილებთ. ასეთია გენდერისტების დაკვირვება, თუმცა პირადად მე სხვა სურათი მახსენდება: მასწავლებლები ჩემი ხუთოსანი კლასელი გოგოებისგან ბევრად უფრო მეტს მოელოდნენ, ვიდრე ჩემგან. უფრო ზუსტადაც შეიძლება თქმა: მათგან ყველაფერს მოელოდნენ, ჩემგან კი – არაფერს, ყოველ შემთხვევაში, კარგს არაფერს... მე კი ვიცი, რომ ჩემისთანა სამოსნისთვის ესეც ბევრი იყო, მაგრამ ფემინისტურ ლოგიკას თუ გავყვებით, ჩემგან იმიტომ არ გამოიყიდა აინშტაინი ან თუნდაც მარია კიური, რომ ჩემგან ამას არ ელოდნენ, ესე იგი ჩემი უფლებები დაირღვა, თუმცა ჩემი და ჩემნაირების უფლებების დასაცავად ბრძოლას არავინ აპირებს. ეჭ, არ ყოფილა ქვეყანაზე სამართალი...

ბუნება მბრძანებელია...

თავისი მრავალსახეობის მიუხედავად ფემინიზმა ვერც უთანასწორობის ალმოფხვრა მოახერხა და ვერც ყველა ქალის ინტერესების გამოხატვა, რადგან ქალის ადგილს საზოგადოებაში არა მხოლოდ მისი სქესი განსაზღვრავს, არამედ განათლების დონე, პროფესია, შრომის განაწილების სისტემაში

და ქავებული ადგილი, მატერიალური კეთილდღეობის დონე, ძალაუფლებასთან სიახლოვე, კლასობრივი და ეთნიკური კუთვნილება, ოჯახური მდგომარეობა, სარწმუნოება და ა.შ. ასევე ამ ფაქტორთა ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის ხარისხი, მისი სოციალურ მობილურობაზე ზემოქმედების თავისებურებანი და კიდევ ის, რაც ყველა ჯურის ფემინისტ და არაფემინისტ მეცნიერს მხედველობიდან რჩება – თვითონ ადამიანი, ამოუცნობიანის რასება, რომელსაც უფლება აქვს, არავითარ მეცნიერულ განსაზღვრების არ ეტკიდეს, არავითარ „იზმს“ არ ეკუთვნოდეს და ამ უფლებას, მადლობა დმერთს, დღემდე მშვენივრად იყენებს.

გარდა ამისა, ფემინიზმის ყველა განშტოება ერთ საერთო საფუძველზე დგას. ყველა მის მიმართულებას ის იდეა აერთიანებს, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვოა, კერძოდ ის, რომ არ არსებობს ფუნქციათა განაწილების კაცისა და ქალის თანდაყოლილ, ბუნებრივ თვისებებზე დამყარებული ფორმა. უხეში მაგალითი რომ მოყიყვანოთ, პირველყოფილი კაცი იმიტომ კი არ დადიოდა სანადიროდ, ხოლო ქალი იმიტომ კი არ ელოდა მას გამოქვაბულში, რომ ქალი დედა იყო, კაცს კი მეტი ძალა ჰქონდა და მხოლოდ ნადირობით შეეძლო „ოჯახს“ გამოსდაფომიდა, არა, ფემინიზმის სულ სხვა პასუხი აქვს: ქალები და კაცები იმიტომ იქცნენ ისეთებად, როგორებიც არიან, რომ „პატრიარქალურ საზოგადოებაში კაცი დომინირებს“. როგორ შეიქმნა პატრიარქალური საზოგადოება, თანაც ერთმანეთთან კავშირის არქონები ათასობით დამოუკიდებელ ეპოქასა და სოციუმში, ამაზე ფემინიზმი დუმს. მან ეს საკითხი თავისი განვითარების საწყისი ეტაპზე ძალზე ზედაპირულად, მაგრამ მაინც „გაიარა“. რა თქმა უნდა, კითხვაზე – „რატომ არიან კაცები და ქალები ისეთები, როგორებიც არიან?“ – პასუხის გაცემა არც ისე იოლია. აქ კაცობრიობის ისტორიის ცოდნა საჭირო, თანაც ანთროპოლოგიურ, სოციალურ, კულტუროლოგიურ, ეკონომიკურ და კიდევ ათას სხვა ჭრილში. ეს ამ კითხვას ჰვავს: „არსებობს თუ არა დმერთი?“ თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ პირველი კითხვა მეორეზეა გამობმული და მის გარეშე ვერასოდეს გადაწყდება, ანუ თუ დმერთი არსებობს, პასუხი სხვა იქნება, თუ არა და – სხვა. ფემინიზმმა ეს საკითხიც გამოტოვა, რადგან ის მისმა წინამორბედებმა „გადაწყვიტეს“. ის ულმერთო, კრიტიკული ეპოქის შვილია და ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ყოველგვარ „ბუნებრიობას“, „ბუნებრივ წყობას“ ან ფუნქციას უარყოფს. ამავე მიზეზის გამოარც ისაა საკვირველი, რომ მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ქალის მოქალაქეობაზე და ერთონ ადამიანი, ამოუცნობიანის რასება, რომელსაც უფლება აქვს, არავითარ მეცნიერულ განსაზღვრების არ ეტკიდეს, არავითარ „იზმს“ არ ეკუთვნოდეს და ამ უფლებას, მადლობა დმერთს, დღემდე მშვენივრად იყენებს.





ბრივი უფლებების დაცვით დაიწყო, ეს მოძრაობა დღეს იქამდეა მისული, დედობას ქალის დისკრიმინაციად მიიჩნევს და მოითხოვს, ხელოვნური გზით როგორმე კაცებიც განაყოფიერდნენ და მათაც გააჩინონ შვილები, რომ „ყველაფი- სამართლიანად იყოს“. არ არის გასაკვირი, რომ დღევანდელი ფემინიზმის ზოგი მიმდინარეობა ფემინისტურ რევოლუციას (ანუ, ფაქტობრივად, ქალთა დიქტატურას) მოითხოვს, ზოგი – კაცების ფიზიკურ განადგურებას, ზოგი კი – ბიოლოგიაში ჩარევის გზით კაცებისა და ქალების, როგორც ასეთის, მოსპობას და ერთნაირი არსების ხელოვნურად გამოყვანას. მათ სურთ, „არავინ იჩაგრებოდეს და ყველა ერთნაირ პირობებში იბადებოდეს“. მათთვის ეს „სამართლიანია“ (კინაღამ ვთქვი, ბუნებრივი-მეთქი), რადგან სვერათ, რომ ბუნებრივი წესრიგი არ არსებობს, ხოლო რაც არ არსებობს, იმის წინაშე ჩადენილი დანაშაულიც არ არსებობს. ისინი არ ფიქრობენ იმაზე, რომ ადამიანი მხოლოდ „სქესობრივად დაჩაგრული“ არ იბადება. იბადებიან ასევე მდიდრები და ღარიბები, ლამაზები და მახინჯები, ჯანმრთელები და ავადმყოფები, სულელები და ჭკვიანები....

მოკლედ, ფუნდამენტურ კითხვებზე პასუხის გაცემა ძნელია, ხოლო გაცემული პასუხის (როგორიც უნდა იყოს ის) დასაბუთება – შეუძლებელი. ამიტომ ყველა თავის პასუხს ირჩევს, მათ შორის, ფემინისტებიც. ისინი ამბობენ, რომ ბუნებრიობა არ არსებობს, რომ ქალი არ არის, ვთქვათ, ქალური (ვისაც რა უნდა, ის შეუძლია იგულისხმოს) და რომ ეს კაცებმა იმისთვის მოიგონეს, რომ მასზე ებატონათ, მაგრამ იმავენაირად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ჩიტს არა აქვს ფრთხები და რომ ეს იმან მოიგონა, ვისაც უნდოდა, ჩიტები თავიდან მოეშორებინა, რომ მათ ეფრინათ, დედამინას კი თვითონ დაპატრონებოდა... იმავე წარმატებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ დაძინება და გაღვიძება დაღამებასთან და გათენებასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ „თავისუბურ კულტურულ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ პროცესში ჩამოყალიბებული კონკრეტუ-

ლი სოციუმის მიერ შეძენილი ჩვევის შედეგია“ და რომ სულაც არ არის აუცილებელი. შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ასეთი განაწესის არსებობა იმათი უფლებების დარღვევაა, ვისაც დამით ღვიძიას, ამიტომ მოვითხოვოთ „ნებისმიერ დროს სიფხიზლის უფლება“. ამის შემდეგ შეგვეძლება, შევქმნათ ორგანიზაციები, გადავილოთ ფილმები, დავბეჭდოთ ბუკლეტები, საგანმანათლებლო პროგრამიდან და მხატვრული ლიტერატურიდან ამოვილოთ ყველა ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ ვიღაცას საღამო ხანს ძილი მოერია, ანუ დავგმიოთ ლამით ძილი და პრიპაგანდა გავუნიოთ დღისით ძილს. შეგვიძლია, გავიყოთ დეისტებად (დაყ) და ნაითისტებად (ნიგჰტ). ნაითიზმი ჩამორჩენილიბად გამოვაცხადოთ, დეიზმი კი – ცივილიზაციის მონაპოვრად და იმდენი ვქნათ, რომ ადამიანების უმეტესობა ლამის რეჟიმზე გადავიდეს. შეგვიძლია, ისე „განვავითაროთ“ ჩვენი თეორიები, იმდენი „მეცნიერული“ სიტყვით აღვტუროთ, რომ დაგვავინუდეს ელემენტარული, „ბანალური“ ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ დილით თენდება და დედამინის ბინადართ ბუნებრივად ელვიძებათ, ლამით კი ეძინებათ. დღელამეშებრუნებულ ადამიანებს არაფერი ემახსოვრებათ და დილით გაღვიძება სულაც აღარ მოერვენებათ „ბუნებრივად“. „ვინ იცის, რა არის ბუნებრივი, – იტყვიან ისინი, – ბუნებრივი ისაა, რაც მე მინდა“. და იცხოვრებენ ისე, „როგორც უნდათ“, უფრო სწორად, ეგონებათ, რომ ასე ცხოვრობენ, სინამდვილეში კი ისე იცხოვრებენ, როგორც თქვენ („დეისტებს“) გინდოდათ, რომ მათ ეცხოვრათ.

შეიძლება, ცხოვრების ერთი წესი არაბუნებრივად, შემთხვევითობის ან ძალადობის შედეგად ნარმოქმნილად გამოაცხადო და ხალხს ახლებურად ცხოვრება „ასწავლო“, მაგრამ ეს ახლებური ცხოვრების წესიც არაბუნებრივია, ანუ შემთხვევით შერჩეული და ძალად თავსმოხვეული იქნება, რადგან „სწავლება“, „მონიტორინგი“, „ტრენინგი“, „სემინარი“, „გრანტი“, „უორკშოფი“, „ქონსალტინგი“ და ა.შ. თავისთავად გამორიცხავს ადამიანის მიერ საკუთარი არჩევანის გაკეთებას, ანუ თავისუფლებას.

ის ფილოსოფოსები, სამყარო ტანჯვის გარეშე რომ ვერ წარმოუდგენიათ, მასთან შეგუებას სულაც არ ქადაგებენ. პირიქით, ადამიანის ცხოვრების აზრად სხვებზე ზრუნვა მიაჩინათ, თუმცა გვაურობილებენ, რომ „სანამ სხვას მოუტან ბედნიერებას, ჯერ შენ თვითონ უნდა იყო ბედნიერი. სხვანაირად ბოროტებასთან ბრძოლით ახალ ბოროტებას დაბადება...“

მე ერთი პრიმიტიული, „მესამე“, განვითარებადი სა-
მყაროს იბერიულ-კავკასიური რასის ჰეტეროსექსუალი
წარმომადგენელი ვარ და შეიძლება, ცხოვრების იმდენი
არაფერი გამეგება, რამდენიც თანამედროვე ევროპული
მიმდინარეობების მაბა და დედამთავრებს, მაგრამ ერთი
რამ ნამდვილად ვიცი, რადგან ჩემს ტყავზე გამოვცადე:
ერთი წელი ნიუ-იორკში მარტომ გავატარე და მთელი ამ
ხნის მანძილზე სულ ვგრძნობდი, რომ რაღაც მაკლდა.
მხოლოდ მაშინ მივხვდი, რა მაკლდა, როცა თბილისში
ჩამოსულმა, პრანჭია თბილისელ გოგოებს მოვკარი
თვალი. რიგითი ამერიკელი ქალი „კვირაში 7 დღე 24
საათი“ საქმიანი, სერიოზული, მკაცრი და დაძაბულია.
ერთმა ამერიკელმა შემომჩივლა, ორი წელია, შევარე-
ბული მყავს და მხოლოდ კვირაში ერთხელ ვხედავ, ისიც
სულ ხუთი წუთით, იმდენს მუშაობს, რომ დრო აღარ რჩე-
ბა... ამერიკელი ქალისგან ვერ იგრძნობ ქალურ სითბოს,
სინაზეს, სირბილეს... სექსუალობას ან სექსს სულაც არ
ვგულისხმობ. ჩვეულებრივ, ბუნებრივ, თანდაყოლილ
ქალურ იმპულსზე მაქვს საუბარი. ემანსიპირებულ, ყვე-
ლაუფლებამოპოვებულ ამერიკელ ქალებში ასეთი საწყისი
თითქმის გამქრალია. მის ნაცვლად მათგან რაღაც უხეში,
კაცური იმპულსი მოდის. მათთან ურთიერთობა არასასია-
მოვნოა. მათთან სექსი ალბათ ჰომოსექსუალიზმის ტოლ-
ფასი იქნებოდა... ასეა, ქალს სურს, გახდეს „რაღაც სხვა“
და ხდება... კაცი. რა ქნას, სხვა არაფერი იცის, ხოლო რაც
არ იცი, ის ვერც გახდები. ბუნება იმის მონაა, რაც იცის...
ამერიკელ ქალთან შედარებით, ქართველი გოგოები
თავისი მეტყველებითა და მანერებით როგორლაც სა-
საცილოდაც კი გამოიყერებიან, თუმცა, დამიჯერეთ, ამის
გარეშე კაცის ცხოვრება ყოვლად ჯმუხი და გაუხარელი
რამ იქნებოდა...

ფემინისტურ მიმდინარეობათა არასრული სია მცირე
კომენტარებით:

ანარქო-ფემინიზმი (ანარქისტები იმთავითვე ფემინისტე-
ბი იყვნენ: „ანარქია _ მათ პორядკა!“);

ვუმანიზმი (ამათ, როგორც ჩანს, ვუმანიზმით ჰუმანიზმი
ჩაანაცვლეს...);

სულიერი ფემინიზმი (ისინი ქალთა სამოთხეში ხვდები-
ან...); კულტურო-ფემინიზმი (აი დაკუნთული ქალები რომ
არიან...);

ლესბოსური ფემინიზმი (უსიტყვოდ...);

ლიბერალური ფემინიზმი (პლეხანოვმაც ასე დაიწყო...);
ინდივიდუალისტური ფემინიზმი (ალბათ საკუთარი აზრე-
ბიც აქვთ...);

კაცური (ან კაცთა) ფემინიზმი (უკაცრავად, კაცური
კაცების ფემინიზმი არ არსებობს?);

მარქსისტული ფემინიზმი (კაცებმა ხომ კარგად წაიკითხ-
ეს მარქსი...);

მატერიალური ფემინიზმი (მოწველეთ კაცები, მაგათი!..);
მრავალკულტურული ფემინიზმი (ეს ალბათ, როცა
ქალს ჩადრი ახურავს და გერმანულ პორნოფილმში თა-

მაშობს...);

პოპ-ფემინიზმი (ფოლკ-ფემინიზმი კი გამიგია, მაგრამ...);
პოსტკოლონიალური ფემინიზმი (გლიბოკი კოპაიო...);
პოსტმოდერნისტული ფემინიზმი (ისევე უბრალო და გას-
აგებია, როგორც პოსტმოდერნიზმი...); ფსიქოანალიტი-
კური ფემინიზმი (ეს ყველაზე „აპასნია“...); „ფუმფულა“,
ანუ ზედაპირული, ქარაფშუტული ფემინიზმი (ეგეთი
ფემინისტი მეც ვარ);

რადიკალური ფემინიზმი (მანანა არჩვაძე?!...);

როლური ფემინიზმი (დედა მინდაააა!);

სექსუალურ-ლიბერალური ფემინიზმი, ანუ სექს-პოზი-
ტიური ფემინიზმი და პრო-სექს ფემინიზმი (ამათ შორის
ალბათ ძალიან დიდი განსხვავებაა...);

სეპარატისტული ფემინიზმი (არის ამაში რაღაც აფხა-
ზური...);

სოციალისტური ფემინიზმი (წინ, ახალი სოციალისტურ-
ფემინისტური გამარჯვებებისაკენ!);

სოციალურად განპირობებული ფემინიზმი (დავაშავე
რამე?);

ტრანსფემინიზმი (ეს ალბათ, როცა ტრანსსექსუალი
ხარ, ოლონდ იპერაციამდე კაცი იყავი, მერე ქალი გახდი
და მიხვდი, რომ კაცები ჩაგრავენ ქალებს, ამიტომ ისევ
გაიკეთე იპერაცია, რომ კაცების ძალაუფლება ქალთა
უფლებების დასაცავად გამოგეყენებინა. მაგრამ მერე
მიხვდი, რომ სხვის ნაჩუქარ თავისუფლებას ფასი არა
აქვს და ამიტომ კვლავ გაიკეთე იპერაცია, რომ ისევ ქალი
გამხდარიყავი და შენ თვითონ გეპრძოლა შენი უფლე-
ბებისთვის, მაგრამ როცა ისევ ქალი გახდი, ერთი გოგო
შეგიყვარდა, ის კი მოულოდნელად ჰეტეროსექსუალი
ალმოჩნდა და იძულებული გახდი, კვლავ კაცად გადა-
კეთებულყავი, მაგრამ მასთან ურთიერთობისას მიხვდი,
რომ მხოლოდ ქალს შეუძლია, ბოლომდე იგრძნოს ქალი
და ისევ იპერაციას მიმართე. მაგრამ ამდენი ნარკოზის-
გან გონება დაგებინდა, მუდმივ ტრანსში ალმოჩნდი და
მხოლოდ ის იცი, რომ ფემინისტი ხარ და ქალები უნდა
დაიცვა, ოლონდ რისგან, აღარ გახსოვს);

ამორძალთა ფემინიზმი (კარგი სარძლოები იქნებიან);


მესამე სამყაროს ქვეყნების ფემინიზმი (უდენობა არ
გვეყოფა?);

ფრანგული ფემინიზმი (ო!..);

ეკოფემინიზმი (ეს მიმდინარეობა, მგონი, მიშას ბუჩქები-
სკენ ცნობილი მოწოდების შემდეგ გაჩნდა...);

ეგზისტენციალური ფემინიზმი (ვის შევჩივლო, კირკე-
გორი მევდარია!...).

არსებობს ასევე მიმართულებები და მიდგომები, რომ-
ლებსაც პროტო-ფემინიზმად ან პოსტფემინიზმად ნათ-
ლავენ.



princesa beatrice da principi tampaq si

nadar ladar ia

დაწერე სტატია ქალებზე... ოღონდ ჩქარა დაწერე, სამ დღეში!.. არა, სამი დღე ბევრია – ორ დღეში დაწერე!..

არა, ბატონებო, ასე არ შეიძლება. თუმცა რატომ არ შეიძლება? – ისედაც, რაც გინდა დაწერე, მაინც ქალებზე გამოდის. საკუთარ თავზეც რომ დაწერო, მაინც ქალებზე წერ...

ჰოდა, დავინყოთ თავიდან... ქ-ნი ევა, ამბობენ, ნეკნიდან იმიტომ გაჩნდა, რომ ნეკნი ერთადერთი ძვალია, რომელშიც ტვინი არ არის. იმასაც ამბობენ, რომ ეს ნახევრად სერიოზული თეოლოგიური ინტერპრეტაცია... არა, დანარჩენი საინტერესო აღარაა: განსაზღვრებაც საკმარისია – ნახევრად სერიოზული. ესე იგი სანახევროდ, მაგრამ მაინც სერიოზული? თუმცა ქ-ნი ევა მაინც დაგვაინტერესებს, რადგან მისი ქმრის, ბ-ნი ადამის, ბედნიერი დანაშაული (დიახ, სწორედ ასე უნდღებდნენ მას მთლიანად სერიოზული თეოლოგები – ცულბა ფელი!) განაპირობა მისმა ცნობისმოყვარეობამ – თვისებამ, რომლის აღიარება ევას ქალიშვილებში ჯიუტად არ სურდა მასკულინური განვითარების გზაზე დამდგარ კაცობრიობას (მადლობა ღმერთს, ფემინიზმი და პოლიტკორექტულობა ჯერ იმდენად არ განვითარებულა ჩვენს დვორივალულ სამშობლოში, რომ კაცობრიობა/ქალობრიობა დაგვანერინონ). დიახ, არ აღიარებდნენ ცნობის წადილს ქალებში და ამიტომაც არ ასწავლიდნენ წერა-კითხვას. ვისაც ასწავლიდნენ, ბედი მაინც მუხთლად ექცეოდა. აი წმინდა იოანე იქროპირის მეგობარი ქალი, რომელთანაც ეპის-კოპოს გაცხოველებული მიმოწერა ჰქონია – რა ვიცით მის შეს-

ახებ? არც არაფერი, რადგან მხოლოდ იოანე ოქროპირის პასუხები შემორჩა, აბა პატიოსანი ბერები ხომ არ დაშვრებოდნენ დედაკაცის ნაბოდვრის გადანერით! არა, წერა-კითხვის მცოდნე ქალი ყოველთვის რაღაც ეგზოტიკა იყო. მაინც ისე გამოვიდა, რომ ყველა ქართველი მწერლის დედა “თავისი დროისთვის საქმაოდ განათლებული ქალი იყო” – უნდა ვიგულისხმოთ, რომ იცოდა “ვეფხისტყაოსნის” ისტორიები და კითხულობდა ფსალმუნს.

ხომ გახსოვთ, ფემინისტების ყბადალებული კონცეფცია: მამაკაცი მაყურებელია (უფრო მაცრადა: კინოკამერის ობიექტივი სახეცვლილიფალოსია) – რამდენვერ გაუხარებიათ ჩვენი გული ამ აღმოჩენით “ფიქიში” მოწვეულ “პრადვინუტი” გოგონებს. კეთილი და პატიოსანი, მამაკაცი მაყურებელია. ქალი კი რალაა? განა მარტო ცქერის ობიექტი იყო საუკუნეთა განმავლობაში? – ქალი, უპირველეს ყოვლისა, მსმენელია! ამიტომაც მიმართავდნენ მას პოეტები ჰომეროსიდან დღემდე: ო, მუზავ! არც პროზაიკოსებს დაუკლიათ ხელი: “კეთილშობილო ქალბატონებო!” – ინტებს ჯოვანი ბოკაჩიო და მერე ისე განაგრძობს, ვინძლო ქართველ მამებს დღემდე უსიამოდ აურულებს ტანში ქალიშვილის ხელში ამ წიგნის დანახვაზე. დიახ, მასკულინურმა საზიზლარმა ისტორიამ, რომლის ფემინისტური ალტერნატივა ვერა და ვერ ააგეს მხურვალე მსურველებმა, ქალს უპირატესი მსმენელის როლი მიანიჭა, რაც მაყურებლისაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. ცქერა და თვალის გაშტერება რა დიდი ბედენაა, თუ შესმენა და გაგება არ იქნა?

ჰოდა, უკრავდნენ მამაკაცები ქნარზე, აუღერებდნენ საყვირებს. დანტე ალიგიტრიც კი ჩიოდა, ბეატრიჩეს ალსანერად ჩემი საყვირი უძლურიაო. ოპ, დანტე ცალკე შემთხვევაა... ცხრა წლის ასაკში იხილა ერთი უბნელი გოგო, რვა-ნახევარი წლის ბიჩე პორტინარი. ამ მოვლენიდან ათი თუ თორმეტი წლის შემდეგ წერდა, რომ პირველი დანახვისთანავე შეუყვარდა სამარადისოდ. ამას უკვე ვერავინ შეამონებს, ან რა საზომით უნდა შეამონებოს ნეტავ? ეს კიდევ არაფერი. მსგავსი მაგალითებით ალსავესა ლიტერატურის ისტორია – ჟერგმიერებული და პაპირუსები, თახის ფირფიტები და ქადალდის ფერცლები აჭრელებულა უსახელოდა სახელიანი სატრფოების ხოტბა-დიდებითა და მათ გამო ცრემლიანი ტირილით. ამ სატრფოების წამდებილი ბედი არავის აინტერესებდა, აი თუნდაც ბოროტად



ცნობილი მარკიზ დე სადის დიდი ბებია ავილოთ, სახელგანთქმული ლაურა, ფრანჩესკო პეტრარკას მუზა: როდესაც პოეტმა პირველად იხილა, უკვე გათხოვილი იყო. ქმართან ოციწელი იცხოვრა და თორმეტი ბავშვი გააჩინა. ახლა გამოითვალეთ და დაფიქრდით: ეცალა კი ამაღლებული სიყვარულისთვის? მაგრამ საქმე ეს არაა, საქმე ისაა, რომ ისტორიას სწორედ ეს ჩემი მსმენელები ატრიალებდნენ...

დაუუბრუნდეთ დანტეს: განა მნიშვნელოვანია იმაზე კამათი, უყვარდა თუ არა ბეატრიჩე? საქმე ისაა, რომ ეს ქალი წარმოადგენს მსოფლიო ისტორიაში ყველაზე თავგანირული ინტელექტუალური სიმამაცის საგანს და სასწაული კი იმაში მდგომარეობს, რომ ეს სიმამაცე წარმატებული აღმოჩნდა. დანტეს „სამოთხეში“ ბეატრიჩე – უბნელი გოგო ბიჩე პორტინარი – გვევლინება როგორც ღვთაებრივი სიბრძნის, უზენაესი თეოლოგიისა და ძლევამოსილი სათხოების სიმბოლო. ჰა! საუკუნეები საუკუნეებს მისდევს, კეთილმორწმუნე კათოლიკები კი ვერ ამჩნევენ, როგორი ნომერი გაუთამაშეს ცხვირნინ – არავის, ვამეორებ, არავის მოსდის თავში მარტივი შეკითხვა: რა დამსახურებისთვის ამაღლდა ასე ვიღაც ფლორენციელი გომბიო? ის არც მონამეა, არც აღმსარებელი, თქვენ წარმოიდგინეთ, მონაზონიც არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, პოეტმა მას ადგილი ყველა მოწამისა და, რა თქმა უნდა, მონაზონს მაღლა მიუჩინა, უმაღლეს ცაზე, თვით უფლის საყდრის მახლობლად. ესაა, მამაკაცი მაყურებელიაო, ეს რას გვიმტკიცებდნენ „პრადვინუტი“ გოგოები „ფსიქოს“ ეთერიდნ? – უბრალო კაცების ერა, თვით ინკიზიციის ყვლისმხედველი თვალი დაბრმავა დანტეს პოეზიამ და მასში არეკლილმა ბეატრიჩეს სახემ... და ეს მაშინ, როცა მთელი საქრისტიან ერთხმად ალიარებდა: დედაკაცი ბოროტების ჭურჭლი, ცოდვის სადგური და ეშმაკის იარაღიაო.

მაშინ ქალი მთლიანად იყო დაგმობილი და დაკნინებული, ამიტომ ინტელექტუალური გმირობისათვის მისი მთლიანი გამართლება იყო საქმარისი. მაგრამ დრო გადის, სარეცხი მანქანის გამოგონება ათავისუფლებს ადგილს საარჩევნო უფლებებსა და ათას სხვა რამეზე ფიქრისათვის და ინტელექტუალური სიმამაცის ასპარეზი ვიწროვდება, მასთან დაკავშირებული რისკიც მცირდება. ოლონდ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი ჩადენა უფრო ადვილია.

რამდენიმე წლის ნინ, როცა ლედი დიანა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ევროპული პრესა მოიარა უელსის პრინცის, ჩარლზის, სატელეფონო საუბარმა მის საყვარელ კამილასთან. „მე ვისურვებდი, შენი ტამპაქსი ვიყო“, – ეუბნებოდა კამილას ბრიტანეთის ტახტის მემკვი-

დრე. ადვილია გალიმება, უფრო ძნელია, ამაშიც აღმოაჩინო პოეზია: სხვა რა არის ეს ფრაზა, თუ არა, მაგალითად, აღექსანდრ ჭავჭავაძის „შენგან მეფე მონას ეყმის“, ოლონდ კლასიკური მაგალითებით კი არა, თუნდაც სატელევიზიო რეკლამის ნაკადით შთაგონებული? მაგრამ ყოველდღიური პოეტიკის გარდა პრინც ჩარლზის სურვილი უფრო მნიშვნელოვან შინაარსს შეიცავს...

დაუკვირდეთ, რაა მიჩნეული ტრადიციების პედანტური დამცველი დედის, გახევებული და ამავე დროს ისტერიული ნომინალური ცოლის, მონარქის დამქანცველი და არაფრის მთემელი ყოველდღიურობის ალტერნატივად? – ქალის სექსუალობა მისი ყველაზე მატერიალური გამოვლინებით, პირდაპირ რომ ვთქვათ, თბილი და ნესტიანი საშო. დანტეს დროს ქვეყნიერება გმიბდა ქალს როგორც ასეთს, ამიტომაც მამაკაცის გმირობა ის იყო, თუ საყოველთაოდ აღარებულ ლირებულებებს ქალის სახელს დაარქემდევდა. პრინც ჩარლზის დროს ქვეყნიერება ებრძვის ქალურობის იმ სხეულებრივ გამოვლინებებს, რაც დედაკაცს მამაკაცისაგან განასხვავებს – მთელი ცივილიზებული მსოფლიო ამხედრებულა სუნის, ლაქების, სისველის წინააღმდეგ. პრინცმაც საოცარი სიზუსტით მიაგნო თანამედროვე ცივილიზაციის სუსტ წერტილს. მან, დანტესი არ იყოს, ისევე რაინდულად მოინდომა ქალის დაცვა იქ, სადაც ქალს ყველაზე მეტად სჭირდება. რაინდი კი, მოგეხსენებათ, ის კი არაა, ვინც მიზეზითა და უმიზეზოდ იფხორება, არამედ ის, ვინც, ლამაზებული იდალგოსი არ იყოს, შეუბით არღვევს გაყინულ წარმოდგენებს.

უელსის პრინციც ასე გამოჩნდა – რაინდივით, რადგან, როგორც გულიან მოჯირითეს აღაგზნებს ნიავის მოტანილი თავლის სუნი, ასევე შეყვარებულ მამაკაცსაც უნდა ახარებდეს ქალურობის ის ნივთიერი ნიშნები, რომლებიც ცივილიზებულ მეინსტრიმის სამარცხინოდ ან საზიზღრად ეჩვენება, რაც თვით ყველაზე მგზნებარე ფერმინისტებს პოლმით აკეთებს.

დიახ, ინტელექტუალური სიმამაცე ყოველთვის იყო დაკავშირებული ქალურობის რეაბილიტაციასთან, ყოველთვის და ყველგან... ჩვენ კი რა ლმერთი გაგვინერა, როცა იმ ტელეგადაცემებმაც კი, რომლებმაც ასე გააღიზიანეს ავად სახსენებელი „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“, ვერ შეძლეს ვერც ერთი გაყინული და დახავსებული თვალსაზრისის დანგრევა, ვერც ერთი ქვეცნობიერი დაბრკოლების მოშლა, ვერც ერთი ახალი თესლის აღმოცენება, იმდენად მაინც, რომ ამ იდიოტურ რეალითი-შოუებში ერთხელ მაინც გაემარჯვა ქალს.



Svei car i ul i
t kbi l eul i da
demokr at i a

ana mayaSvili

ადამიანის უფლებების დაცვა, გენდერული პრობლემები – სექსუალური უმცირესობები (და კიდევ სხვა, ასექსუალური – მაგ., ეთნიკური – უმცირესობებიც, რა გამოლევს მათ!?) და ფემინიზმი დემოკრატიის პატარ-პატარა შვილები არიან.



გამომდინარე იქიდან, რომ ყველა სიტყვა ამქვეყნად უბრალო სახელია – ასოების სხვადასხვა კომბინაცია, რასაც არავითარი კავშირი არ აქვს ამ სიტყვების ნამდვილ მნიშვნელობებთან (შინაარსებთან), ძალიან ხშირად ხდება, რომ სიტყვის სახელი მის მნიშვნელობას სცილდება და ისე არსებობს, როგორც მარტო სახელი, მნიშვნელობისგან დამოუკიდებლად (ამ მხრივ, არც დემოკრატიაა გამონაკლისი).



აი, პირველ აბზაცში ჩამოთვლილი დემოკრატიის შვილები აიღეთ: ეს ის სიტყვებია, რომლებზეც ჭკუას კარგავენ არასამთავრობო ორგანიზაციები, დასავლეთ ევროპისა და ჩრდილო ამერიკის კონტინენტზე განათლების მისაღებად წასული და ჩამოსული ინტელექტუალები, როგორც საზოგადოებისთვის სასარგებლო სამსახურსა და შემოსავლის კეთილსინდისიერ წყაროზე.

ფემინიზმი ერთ-ერთი ასეთი განსაკუთრებით აქტუალური სიტყვაა, რომელსაც თავისი მიმდევრები, მგონი, მეცნიერებასაც უწოდებენ. მიმდევრები საქართველოშიც ბევრი ჰყავს. ისინი ხშირად დადიან სამშობლოს საზღვრებს გარეთ და იქ დაგროვილ ცოდნას ჩვენს მოსახლეობას უზიარებენ. გაზიარების პროცესი, ძირითადად, თეთ-

რადშეღებილკედლებიან, გარემონტებულ ოფის-დარბაზებში იმართება ჩაისა და შვეიცარიული ტკბილეულის თანხლებით, რაც, ჩემი ერთადერთი გამოცდილებით, მთელი ამ „კონფერენციის“ საუკეთესო ნაწილია. მონაწილეები, ჩვეულებრივ, ქალები არიან, რომელთა უმრავლესობის ერთი შეხედვაც კი საკამარისია, გაიგო მათი ფემინიზმის ძირითადი მიზეზი: ზოგი დამურასთვალება და მსუქანია, ზოგს სახეზე ამოსდის ის, რაც ქალებს უმეტესად თავზე აქვთ, ზოგიც ფეხზე რომ დგას, იმდი გაქვს, რომ უბრალოდ ძალიან დაბალ სკამზე ზის, ზოგის ქმარი გეია და ა.შ. მოკლედ, ერთი შეხედვით, ისინი წარმოადგენენ სექსით ან უსექსობით იმედგაცრუებულ ქალებს, რომლებიც დანარჩენ ქალებს იცავენ „ძალადობისგან“ (მათ სასიყვარულო აქტი ძალადობად მიაჩინათ), პროფესიული ჩაგვრისგან, სხვა მილიონნაირი დისკრიმინაციისაგან და მამაკაცებთან საკუთარი თანასწორუფლებიანობისთვის იბრძვიან.

არადა, ამ ბრძოლის ბედი ძალიან დიდი ხნის წინ თავად ღმერთმა გადაწყვიტა, როცა ვაშლის ჭამის მიქა-რვის გამო ადამს უთხრა, შენ შრომითა და ოფლით ლუკმაპური უნდა მოიპოვონ და ევას – შენ ტანჯვა-წამებაში ბავშვები უნდა აჩინოო. და მას აქეთ რადიკალურად არაფერი შეცვლილა: კაცები ოფლითა და შრომით შოულობენ ფულს, ხანდახან მათ შრომას ფულზე უფრო ეფექტური პროდუქტები აქვს, ქმნიან რა შემოქმედებით შედევრებს; ქალები კი ბავშვებს აჩენენ და დღემდე მათი შემოქმედებითი აქტივობის საუკეთესო პროდუქტი შვილია. ამიტომა, რომ არის მარტო ორი მწერალი ქალი (ასტრიდ ლინდგრენი და აგატა კრისტი), ერთი-ორი მუსიკოსი ქალი, არც ერთი მხატვარი და ბევრი ფემინისტი ქალი (მათი სახელები, სამწუხაროდ, არ ვიცი) და არც ერთი ფემინისტი კაცი (ყოველ შემთხვევაში, დიდი იმედი მაქვს).

მოკლედ, ფემინისტების ჯინაზე ღმერთმა თუ ბიოლოგიამ ყველაფერი თავის დროზე მოიფიქრა და გარკვეულნილად შეუძლებელი გახადა სქესთა თანაბარუფლებიანობა. აბა წარმოიდგინეთ ქალი (თუნდაც ფემინისტი), რომელიც 30 კილო კარტოფილს ეზიდება ან სამშენებლო ობიექტზე ურიკაში ჩანცობილი აგურები მიაქვს, ან თუნდაც – რომელი ქალი ისურვებდა საქართველოში ყვითელი ავტობუსის მძლოლად მუშაობას?! ან, შვარცნეგერის გარდა, რომელი ორსული კაცი გინახავთ დედამიწაზე? ან ისეთი კაცი თუ იცით, ვინც შვილს საკუთარი რძით კვებავს?

სამწუხაროდ (ვის სამწუხაროდ, არ ვიცი), ეს ასეა და არც ჩანს პერსპექტივა ცვლილებისათვის. მაგალითისთვის რაიმე სატელევიზიო რეკლამა ავილოთ – რეკლამა ხომ საუკეთესოდ გამოხატავს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს?! ვთქვათ, ქალის დეოდორანტის რეკლამა. მასში ყოველთვის მომხიბლავი გოგონა თამაშობს, რომელიც სექსუალურად დახტის აქეთ-იქით და ცდილობს დაგვარნმუნოს, რომ გარდა იმისა, რომ 24-საათიანი სიმშრალე გარანტირებული გვაქვს, მისნაირი ლამაზები და სექსუალურებიც გავხდებით, თუ ამ დეოდორანტს

მოვიხმართ. აბა რომელი ქალი იყიდდა ისეთ დეოდორანტს, რომლის რეკლამას დაუვარცხნელი, ცუდად ჩაცმული და უშნი გოგონა აკეთებს?! ასეთ შემთხვევაში კომპანიები სრულიად გაკოტრდებოდნენ. კომპანიებმა კი ყველაზე კარგად იციან, რა სურთ ქალებს.

და ქალებს მართლაც სურთ, იყვნენ ქალურები, კაცებს რომ მოეწონონ და სულ არ გრძნობენ თავს დისკრიმინირებულად... ეს არც მდედრობით პოპ-ვარსკვლავებს ეშლებათ და პროფესიული უნიჭობის კომპენსირებას ინტიმური ნაწილების გამომზეურებით ახერხებენ. ასე არ გაითქვა სახელი, შესაძლოა, ყველაზე დიდმა ფემინისტმა, პოპ-დივად ნოდებულმა მადონამ, რომელმაც თავისი იმიჯის ძირითად კომპონენტად სექსი აქცია?! მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში ეს დუნდულებისა და ძუძუების გროვები, ვთქვათ, კრისტინა აგილერას ფიზიულტურის თანხლებით, სულაც არ არის სექსუალური, საბოლოო ჯამში, ეს შოუბიზნესში კარგად დაცდილი ხერხია.

მსგავს ტენდენციებზე მეტყველებს სტატისტიკაც, რომელიც, როგორც წესი, სანდოდ ითვლება ობიექტურობის გამო და რომელიც იუნყება, რომ თანამედროვე ხელოვნებაში ხელოვანთა 3 პროცენტზე ნაკლები ქალია, მაგრამ ამავე თანამედროვე ხელოვნებაში შიშველთა 83 პროცენტი ასევე ქალია.

სხვათა შორის, რა გასაკვირია, რომ ამ თანამედროვე ხელოვან ქალთა 3-იოდე პროცენტში შემავალ იოკო ონოს ლირსეულ მეუღლეს, ჯონ ლენონს, ერთხელაც ცოლის შემხედვარეს აღმოხდა: “Woman is the nigger of the world” (ასე უბრმავებენ ქალები თვალებს საბრალო კაცებს, რომელებიც შავსა და თეთრს ერთმანეთისგან ვეღარ არჩევენ. მათ უფლებებს ვინდა დაიცავს?!).

ქალი რომ სამყაროს ზანგი არ არის, ეს ნაომი კემპპელმაც კი იცის. სამაგი-ეროდ, არ იციან ფემინისტებმა, რომლებიც აწყობენ კონფერენციებს!



ერთ-ერთ ასეთ კონფერენციაზე ჩეხეთში ნაცნობი გოგონა მიიწვიეს. ერთადერთი ქართველი იყო. დანარჩენმა მნიშვნელოვანი რაოდენობის ქართველმა ფემინისტებმა ვერ შეძლეს კონფერენციაზე დასწრება. როგორც მერე გაირკვა, ამისთვის საკმარისი მიზეზი გააჩნდათ: ისინი ქმრებმა არ გაუშვეს. არა მგონია, ეს ფაქტი შემდეგი ფემინისტური შეკრების განხილვის საგნად ქცეულიყო.

P.S. რადგან მთელი ჩემი ცოდნა, უფრო სწორად, დამოკიდებულება ფემინიზმის მიმართ ფურცელზე გადმოვიტანე, არ შემიძლია, არ აღვნიშნო ემინემის ფრაზა მისი ერთ-ერთი სიმღერიდან: “Feminist women love Eminem”. თუ რატომ, არ ვიცი. საფიქრალს თქვენ გიტოვებთ.

P.P.S. წერილის წერის დროს მუსიკალურ ფონს მიქმნიდა ჯენის ჯოპლინის დისკი “Pearl”.



Cveul ebr i vi fi q ci a

eva: sofo gagua

foto: gika Weli Ze, levan nucubi Ze

3D: nika macai Ze

samosi: Bernard Wilhelm, Ann Demeulemeester, Hussein Chalayan, Bless

vizaJi: salome zaqarai a






















bz i ki 02


r uska gamyr el i Ze




ՀՈՎԵՐԸ ԶԱ ՁԱՒՑՈՅ ՅՄԵՏԻԿԱՑՈՅՆ, ԼԵՀԵՑՈ, ՅՈՎՀԵՅՈ, ՉՐԿԱԿԱՅՈ ՁԱԵՍԵՅԱ ՀԱՅԱՅԹԱՆ ՏԱՐԱՎԵԱՆ. ԶՅՈՒՋԱՄԱՆԱ ԵԼՅԱ ՀԱԿԹՈ, ՊԱԴԿՐԱՄԱՆԱ.





ახორციელება. თეორიული განვითარებული სელექტორული ფასია, მიღება, ემსახური. ვებგვერდით უსილავ ჩეზებს, ნიკორებს. ვანაცილებით



Ելզիած զարգույթային գործությունը, պաշտպանական զույգության օպերատոր ՅՈՅՈՒՆԻԿԱ ՍՊԸ կազմությունը պայմանավոր է համարվում ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ:



სერგეა, ბიურეა, ფორმულა ესტენდეს გავევოგის თავავეგის. გვიდევარება წილი გართი, რძღოვნასაც. ჩვილოვანა. თეთრი ჩვილი



и эле
точные включения Г. лини роговицы кролика, заражёй). В клетках группуные ядра и мелкие тёмноокрашенные включенияличено в 1 000 (внутриклеточные включения (тельца Негри) в нервного бешенсттность включений окрашена в красный цвет. Окраска 000 раз); 3 — (саркомы), заражённая вирусом лимфогранулома осветлы сосудов атами. В клетках, кроме ядер, видны окрашенные включения находится элементарные тельца. Окраска по Уини — витриклеточные включения непинных клетчаткииагогного. больного беши

გამოსაზღვრული ხელი, ფეხი, ძირები, ქარჯები. ვეზუვით ესიჭვა ნაფერა, ნაფერა. ვენეციით სპარსე ვეზუვით




Рисунок 1. Установка концентрации витамина С из шиповника:
 1 — линия концентрированного концентрата; 2 — шиповниковый конвейер; 3 — душевая мойка; 4 — бункер; 5 — вальцы; 6 — диффузор Гуда; 7 — подогреватели сока; 8 — приемник; 9 — насос; 10 — фильтрпресс; 11 — сборник сока; 12 — 3-корпусный выпарной аппарат; 13 — конденсатор; 14 — мокровоздушный насос; 15 — сборник водного концентрата; 16 — насос; 17 — сборник водного концентрата; 18 — башня распылительной сушильной установки; 19 — колодиально-вентиляторная установка; 20 — фильтры; 21 — вентиляция; 22 — сито; 23 — смеситель; 24 — таблетировочный пресс; 25 — сито-трисун; 26 — расфасовочный конвейер; 27 — ящики; 28 — сборник-мерник; 29 — коагулатор; 30 — сборник-мерник; 31 — фильтрпресс; 32 — сборник; 33 — вакуум-перегонный аппарат; 34 — сборник; 35 — насос; 36 — сборник; 37 — разливочный конвейер; 38 — сборник-мерник; 39 — насос; 40 — сборник-мерник; 41 — фильтр; 42 — сборник; 43 — насос; 44 — сборник; 45 — насос; 46 — сборник-мерник; 47 — насос; 48 — сборник-мерник; 49 — сборник-мерник; 50 — насос; 51 — насос; 52 — насос; 53 — насос; 54 — насос; 55 — насос; 56 — насос; 57 — насос; 58 — насос; 59 — насос; 60 — насос; 61 — насос; 62 — насос; 63 — насос; 64 — насос; 65 — насос; 66 — насос; 67 — насос; 68 — насос; 69 — насос; 70 — насос; 71 — насос.

© 2023 by Издательство Академия, ЗАО. Использование материалов возможно только с письменного разрешения правообладателя. Код 2023 © 2023 Академия ЗМЕЕВАЮЩИХ СПОСОБОВ, Издательство Академия, ЗАО.

met eor i s gael veba

ni no eq vTi mi Svi li

„ჩემი მხატვრობა ერთ დღეს გრძელდება. თქვენი? ას წელს? ათი ათასს? ადრე თუ გვიან ყველაფერი მაინც დამთავრდება – ეს მხოლოდ დროის საკითხია“. **ტო-მოტერო სეიტო (იაპონელი მხატვარი)**

ხელოვნების ნიმუშები უმეტესად დიდხანს (კოქხლობენ. ავტორებზე, მფლობელებსა და ხანდახან მათ წარმომშობ ცივილიზაციებზე დიდხანსაც კი.

მაშინ, როცა მუზეუმები, გალერეები, რესტავრატორები უახლესი ტექნოლოგიების დახმარებით მუდამ ზრუნავენ იმაზე, რომ ხელოვნების ნიმუშები არასდროს განადგურდნენ, როცა არქივები და მონაცემთა ბაზები ინახავენ ყველაფერს, რაც კი ადამიანს შეუქმნია და, მათ შორის, ჯერ განუხორციელებელ იდეებსაც კი, არსებობენ მხატვრები, რომლებიც თავი-ანთ ორიგინალურ ქმნილებებს ღია ცის ქვეშ, შუა ქუჩაში, გამვლელების თვალწინ პირდაპირ ასფალტსა თუ ქვაფენილზე ხატავენ.

ასეთ დროს შემოქმედებითი პროცესი, შექმნის ადგილი, დრო, ამინდი, თანმხვედრი მოვლენები და თუნდაც დამსწრეთა მზერა სულ სხვა განზომილებას ქმნიან. ეს არის ხელოვნება „ლაივში“, ყოველგვარი ფიქსაციის, მუმიფიცირების გარეშე. ამ დროს მხატვრობა ისე ემსგავსება მუსიკას, როგორც არასდროს. დასრულებული ნახატი დაკრულ სიმფონიას ჰავას, მსმენელის მეხსიერებაში სამუდამოდ ჩანერილს, ჯიუტად რომ განაგრძობს თავისთვის დაკვრას. მელოდია, რომელიც სიჩუმეშიც უღერს შენ შიგნით.

სწორედ ასე, ვიზუალური შთაბეჭდილებები სამუდამოდ რჩებიან მეხსიერებაში, იქ, სადაც სმენითი, ხედვითი და სხვა შეგრძნებითი ინფორმაციები ერთ ემოციურ სიგნალად გარდაიქმნებიან, განთავსდებიან ადამიანში, როგორც მუზეუმში, ფიქსირდებიან დროებით და მერე ამ ადამიანებთან ერთად ქრებიან.

ვარსკვლავები ცაზე ინვიან და ანათებენ. მათი არსებობაც ცაზე სასრულია, მაგრამ ჩვენთვის ისინი მარადიული არიან. ადამიანებს კი ხშირად სწორედ ერთი გაკრობის, გაელვების ნახვა სურთ, თუნდაც მეტეორის ჩამოვარდნის, ვარსკვლავის მოწყვეტას რომ ჰავას.

გენიოსების ხანა დამთავრდა ან თითქმის დამთავრდა. ღვთიური ტალანტი, ერთი ადამიანისთვის უხვად ბოძებული, ათასებზე გადანაწილდა. უზარმაზარი სპეკალისგან უამრავი თვალი თუ ნამსხვრევი წარმოიქმნა, თუმცა ალმასს ამით ალმასობა არ დაუკარგავს.

XXI საუკუნე „ექსენის“ ხანა. „ლაივი“ ძალზედ აქტუალურია. ადამიანები აღარ არიან ბავშვები, რომლებიც მზეზე მობრჭყიალე ფერადი შექმნის ნატეხს ინახავენ. მათ უფრო მძაფრი შეგრძნებები სჭირდებათ, ისეთი, როგორიც სიტყვა ექსკლუზივის, იმპროვიზაციის, „ლაივის“, „ექსენის“ გაგონებისას პროვოცირდება.

ბოლო დროს უჩვეულო წერილების ციკლი გავრცელდა ინტერნეტით და, რა თქმა უნდა, მთელს ინტერნეტ-მსოფლიოს მოედო. გზავნილში ქუჩის ნახატების გამოსახულებები იყო. ისინი, ერთი შეხედვით, ისე ეწინააღმდეგებოდნენ პერსპექტივის კანონებს, რომ ინტერნეტ-მომხმარებლებს, რომლებმაც ეს წერილი მიიღეს და თავიანთ მეგობრებს გადაუგზავნეს, ნახატები ფოტოგრაფიის ციფრული რედაქტირების რეზულტატი ეგონათ. თუმცა ნამუშევრები ნამდვილი იყო და მათი ილუზორულობა არა ოსტატურ კომპიუტერულ ტყუილში, არამედ მათი ადგილზე შესრულების მანერასა და ტექნიკაში მდგომარეობდა.

წარმოიდგინეთ, მიდიხართ ქუჩაში და იქ, სადაც გუშინ გაიარეთ, ახლა გამლლვალი ასფალტი და ქვესკნელიდან ამოსული გავარვა-რებული ნათება გხვდებათ, დანტესეული ჯოჯოხეთის გაცოცხლებული ილუსტრაცია, ცეცხლში დანთემული არსებები ქიმერული გამომეტყველებით, განწირული პლასტიკითა და თქვენები მომართული მზერით. გაძედავთ, დააბიჯოთ მდუღარე ლავას, როცა სანახაობა იმდენად ეფექტურია, რომ, „ჯოჯოხეთის“ პირას მდგარმა, შეიძლება, ფეხსაცმლის ლანჩიდან სიმბურვალეც კი იგრძნოთ?

სინამდვილეში კი ეს არის ნახატი, რომელიც ბრტყელ ზედაპირზეა შესრულებული ისე, რომ ქმნის სამგანზომილებიანი სივრცის აპსო-



000409

ლუტურ ილუზიას, „ნატურალურ“ სიღრმესა და პერსპექტივას. ეს არის მხატვრული ფორმა, ანამორფოზად ცნობილი, რომლის დროსაც სურათი სპეციალურად ისეა დეფორმირებული, რომ ხედვის კონკრეტული წერტილიდან აღიქმება როგორც ნამდვილი, ფაქტობრივი გამოსახულება.

ასეთ ნახატებს ცარცით ან მდგრადი, საგანგებოდ დამზადებული პასტელებით, ძირითადად, ტროტუარებზე ხატავენ და სიურპრიზად უტოვებენ ჩვეულებრივ გამვლელებს, რომლებიც თავიანთ ასფალტისფერ ყოფიერებაში მოუღლოდნელად წაანუდებიან მისტიკას, ილუზიას და სულ სხვა განზომილებას აღმოაჩენენ.

შუა საუკუნეების იტალიაში ქუჩის მხატვრები ქალაქიდან ქალაქში დახეტიალობდნენ და მცირეოდენი გასამრჯელოს საფასურად ბაზრებსა და მოედნებზე შეკრებილი ხალხის თვალნინ ქალწული მადონასა და სხვა წმინდანების სახეებს ხატავდნენ. იტალიელებმა მათ „მადონარო“ შეარქვეს. ამ სიტყვამ ინტერნაციონალური მნიშვნელობა შეიძინა და დღემდე შემორჩათ ქუჩის მხატვრებს.

კურტ ვენერი ქუჩის ერთ-ერთი საქვეყნოდ აღიარებული მხატვარია. იტალიაში დასახლებამდე და მადონარობამდე ნასაში მუშაბდა და კოსმოსური პროექტების კონცეპტუალურ ნახატებსა და თანამგზავრებიდან მიღებული უახლესი ცნობების საფუძველზე არამინიერ პეიზაჟებს ქმნიდა.

ვენერი პირდაპირ ქუჩაში, მაყურებლის თვალნინ ქმნის ნამდვილ შედევრებს. მისი შემოქმედების სანახავად სპეციალურად ჩამოდიან ფესტივალებზე, კონფერენციებზე, დღესასწაულებსა და სხვა კულტურულ ღონისძიებებზე დათქმულ დროსა და ადგილას, რათა „პირდაპირ ეთერში“ უყურონ შედევრის დაბადებას, შედევრის, რომელიც აღარ განმეორდება.

მადონაროები შეგუებული არიან თავიანთი ქმნილებების ეფემერულ ბუნებას. ხშირად მთელი დღის მანძილზე მომუშავე მხატვარი სურათის ახალი ნაწილის ხატვისას ხედავს, როგორ ფერმკრთალდებიან და ქრებიან უკვე დამთავრებული დეტალები. ასეთ ფერწერას ერთი სიცოცხლე აქვს, რომლის შექმნაც და გაქრობაც განუყოფელი პროცესია. „მე ვჩუქნი ჩემს მხატვრობას მსოფლიოს. რა ხდება შემდეგ, ნამდვილად აღარ მადარდებს“, – ამბობს კურტ ვენერი.

ორხან პამუკი
მე მქვია წითელი
რომანი

ორხან პამუკი თანამედროვე, თურქი მწერალი გახდავთ, და მიუხედავად იმისა, რომ პამუკზე სულაც არ ითქმის „მხცოვანი“, ან თუნდაც „ასაკოვანი“ — შეიძლება ითქვას, რომ თურქული ლიტერატურა სწორედ მისით, პამუკით იწყება.

„მე მქვია წითელი“ — ეს არის რომანი-შედევრი, რომლის დავიწყებაც, შთაბეჭდილების განელებაც შეუძლებელია. როგორც კი წაიკითხავთ, მაშინვე მოგინდებათ, რომ სხვებსაც წააკითხოთ ეს წიგნი — თოვლიან კონსტანტინოპოლისატამბულში დაწერილი, აღმოსავლური პოტეტითა და სიბრძნით, ევროპული ინტელექტუალიზმით გამსჭვალული და აღსავსე დეტექტივი იმის შესახებ, როგორ დაუშვა ალაპმა აღმოსავლურ მინიატურაში პერსპექტივა...

რომანი აღმოსავლურ და დასავლურ სამყაროთა დაუსრულებელ ჭიდილზე...

რომანი სიყვარულზე — მერყევ თურქ ლამაზმანზე, მშვენიერ შეკიურეზე, რომელიც სპარსეთიდან დაბრუნებულ კარასა და მკვდარი ქმრის ძმას, ჰასანს შორის მერყეობს...

რომანი წიგნის მოყვარულ ფადიშახთა და მხატვართა შესახებ, რომელიც დაბრმავებაზე ოცნებობენ, რადგან მშრომელი მხატვრის მთავარი ჯილდო, სიბერეში, სწორედ სიბრძმავეა... ო, რამდენი რამის დაწერა შეიძლება პამუკის შედევრზე!

ო, როგორ უყვართ პამუკის გმირებს ზღაპრული თბილისი: „თიბლისში ალბათ თოვს“... — ხომ ამბობს კიდეც ერთ-ერთი.

რომანში ისტამბულში მოღვაწე მეგრელ ქალებსაც შეხვდებით, ფალოსების ზომების შესახებ რომ ფლობენ უტყუარ ინფორმაციას და მათთან საუბრის შემდეგ, აბანოში, მშვენიერ შეკიურეს ეჭვი რომ გაუჩნდება, ჩემს გარდაცვლილ მეუღლეს, მგონი, არც ისე დიდი ჰქონია...

წაიკითხეთ ეს წიგნი და ამით მაინც გამოუხატეთ ორხან პამუკს სოლიდარიბა —

პამუკს თითქმის ყოველ კვირა სასამართლოში იბარებენ, მიზეზი თავად პამუკის სიტყვები გახდა — მან თურქულ საზოგადოებას მოუწიდა, დროა სომხური გენოციდი ვალიაროთო. სასამართლო კი აღშფოთდა...

ეჭ, თურმე, ჯერ კიდევ რამხელა გზა უნდა განვლოს თურქეთმა ევროკავშირამდე...

პაულ ცელანი
სიმღერა უდაბნოში

ლექსები
გერმანულიდან თარგმნა ზვიად რატიანმა

წიგნი ორენოვანია. ერთ გვერდზე ორიგინალია დაბეჭდილი, მეორეზე — ქართული თარგმანი. ზვიად რატიანი რომ კარგი პოეტია, მშვენივრად მოგეხსენებათ, მაგრამ მთარმგნელიც რომ ბრწყინვალეა, ამაში მაშინ დარჩენდებით, როცა ცელანის თარგმანებს გაეცნობით.

გაეცანით ცელანის — ამ უალრესად დახვეწილი და ტრაგიკული პოეტის ლექსებს, რომელმაც გალაკტიონივით თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე...

კარგი ლექსები, კარგი თარგმანები, კარგი გამოცემა... მეტი რა ჰქინას ამ „დიოგენემ!“

აკაკი გელაშვილი
კახეთის 1812 წლის აჯანყება

წიგნი უალრესად საინტერესოა იმითაც, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ — რუსეთის ჯარი, რომელიც ისევ აქ არის, ჩვენს მიწაზე, ე.წ. სამშვიდობოების სახით, და რომელსაც ასე თავგანწირულად ეპრძოდნენ კახელები და რომელთა გასანადგურებლად, სამწუხაროდ, რუსეთის ჯარს ერთ-ერთ წინამდლოლად პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე მოუძღვნდა — აუცილებლად უნდა გავიდეს საქართველოდან.

წაიკითხეთ ეს წიგნი და მიუხედავად იმისა, რომ გულისმომაკლავ და დამამწუხრებელ ამბებს შეიტყობთ, როგორც უმიშარ, ასევე მოღალატე ქართველთა შესახებ, გული დაგწყდებათ, რა უნდოდა პეტრე ბაგრატიონს ბოროდინოს ველზე — სად ნაპოლეონი და სად ეგ — ჩამოსულიყო და დამდგარიყო თავისი კახელების გვერდით...

დაძა ბუდაძე

თამადა



მეღვინეობის 8000 წლიანი ისტორია, ქართული მეღვინეობის რეგიონების უნიკალურობა და ნიადაგის მრავალფეროვნება, ყურძნის განუმეორებელი ჯიშების არსებობა, უწყვეტი კონტროლი ვაზიდან საბოლოო პროდუქციამდე, თანამედროვე მეღვინეობის განახლებული ტექნოლოგიები. სწორედ ამ ელემენტთა კომბინაციით წარმოიშვება ქართული ღვინო თამადა.

© j orj eki z aSvi li , Voila'!*

nestan kvi ni kaZe

ნათარგმნი ავტორები:

უან ბატისტ მოლიერი

მორის მეტერლანგი

გი დე მოპასანი

შარლ ბოდლერი

უან პოლ სარტრი

ალბერ კამიუ

ნატალი საროტი

ანტუან დე სენტ ეგზიუპერი

ფრანცუაზა საგანი

სემუელ ბეკეტი

პატრიკ მოდიანო

მეტერლინკი

ანდრე მორუა

ერვე ბაზენი

ხოლოდენკო

ივ მარტენი

მიშელ უელბეკი

გიორგ აპოლინერი

არტურ რემბო

შილ უუანარი

Up coming:

დანიელ პენაკი

პიერ პეუუ

„ასტერიქსი და ობელისკი“

მიშელ უელბეკი - „ბრძოლის ველის გავრცობა“

არსებობს საავტორო უფლებები. მწერალ დანიელ პენაკს კი თავის რომანში ათი პუნქტი აქვს მკითხველის უფლებების შესახებ:

1. მკითხველს აქვს უფლება, წაიკითხოს წიგნი.
2. მკითხველს აქვს უფლება, არ წაიკითხოს წიგნი.
3. მკითხველს აქვს უფლება, დაიწყოს კითხვა, საიდანაც სურს.
4. მკითხველს აქვს უფლება, გადააგდოს წიგნი..... და ასე ათამდე.

„ანაბეჭდის“ მკითხველს კი აქვს უფლებაც, დამსახურებაც და საშუალებაც, რომ მთარგმნელი, ლიტერატორი და პოეტი უორუ ეკიზაშვილი გაიცნოს.

1. დასაწყისი – „პატარა გიუი ბიჭები“



2. მეორე დასაწყისი
3. მიშელ ტომი, იგივე უელბეკი
4. „პატარა პრინცი“ — მე ჩემს თაობას ვუღალატე
5. Je t'aime

1. dasawyisi si – „patar a giji bi Webi “

ყოველდღე 6 საათზე იწყებს კითხვას. მისი თაობის ბიოგრაფია „სამი მუშკეტერიდან“ იწყება. გადაშლიდი და მოდიოდა იმ საუკუნის სურნელი, როცა დარბოდნენ ეს გიუ ბიჭები, მაგარ საქ- მეებს აკეთებდნენ, სატრიოს ვაჟუაცობას უმტკიცებდნენ.

არ იცის, რატომ აირჩია ფრანგული ენა. თან იმ დროს ფრანგულს ქალები სწავლობდნენ ძირითადად. მეორე დღესვე გახდა უორჯი. დღეს საფრანგეთში გიორგია, აქ – უორჯი. ეს ძალიან ახარებს.

პირველი წიგნი, რომელიც გადაშალა (ის, რაც დაამახსოვრდა), „დეკამერონი“ იყო. ამ წიგნს მამა უალავდა. უორჯი ვერ ხვდებოდა მოტივს. წაიკითხა და ვერაფერს მიხვდა, რადგან არაფერი იცოდა. დიდი ხნის შემდეგ უელბეკს თარგმნიდა. არც ამას მოუგვრია შოკი, იმიტომ რომ უკვე ყველაფერი იცოდა.

პირველად 1959 წელს თარგმნა, ბუნინის ნოველებით დაიწყო, რატომდაც. ამ წიგნის ფერიც ახსოვს და სურნელიც. აქ დაიწყო. ლიტერატურის სიყვარულით გადაწყვიტა თარგმნა – „უთქმელი სიტყვა რომ იბადება“.

რეცენზიებში წერდნენ: „იგი, როგორც ჩვენი თაობის სხვა ადა- მიანები, სიყრმეშივე მოატყუეს, ფოტოაპარატის წინ მდგარი ბიჭი დაჯვერეს, რომ შავი სიბერელიდან ჩიტი გამოფრინდებო- და. მან ნათქვამი გააზვიადა და წარმოიდგინა, რომ ათასფრად აჭრელებულ უცხო ფრინველს უნდა დალოდებოდა, მაგრამ ჩიტი დღემდე არ ჩანს“ (თეიმურაზ ქურდოვანიძე, ფარული და ხილუ- ლი სამყარო, „მნერლის გაზეთი“, №7).

„მე ის კაცი ვარ, ტრამალები რომ ესიზმრება“ – მისი ლექსები- სა და თარგმანების კრებულია. თვლის, რომ ამ წიგნით თავისი სათქმელი თქვა:

„ერთს ვიმეორებ მორცხვი ჩურჩულით:

ხვალაც ომია, ხვალ გავიმარჯვებ“...

„პარიზში ერთხელ ჯიბიდან ქართული „პატარა პრინცი“ მომ- პარეს“. ამ ქალაქის კაფეებში ოფიციანტები უორჯ ეკიზაშვილს წლიდან წლამდე ცნობენ. 5 წლის წინ პარიზში რომ ჩავიდა, თავის ქუჩაზე, მარეს უბანში, ვეებერთელა სასახლის წინ შეჩერდა (სა- დაც არქივია). „იქ სურნელი მოვიდა და ჭახაჭუხი გავიგე. იგივეა! არ შეიძლება სხვნაირად! პარიზში ამას უნდა ჩავლო, ამ ქა- ლაქმა თუ ეს მოგიძლვნა, ე.ი. ლვთის საჩუქარი მიიღე. პარიზი მარტო ელისეს მინდვრები არ არის. მერე საფრანგეთი მოვიარე და მივხვდი, რომ საფრანგეთი მარტო პარიზი არ არის.“

„...პარიზის არყით მთვრალი საღამო, მიმქრალი შუქის ნისლით ნაგები... მწვანე ტრამვას გიშურ სიმღერას მკერდზე იწერენ ლიანდაგები“... გიომ აპოლინერი

1968 წელს 21 წლის უორჯ ეკიზაშვილმა 21 წლის კამიუს ტექსტი თარგმნა. ეს ის დრო იყო, როცა მთელ სოციალისტურ პანაკში კამიუ იკრძალებოდა. უორჯმა მოხსენება წაიკითხა. თავხედი ვი- ყავიო, – ამბობს დღეს.

„საუბრობენ ცენზურაზე, არადა, აქ ყოველთვის თავისუფლად იბეჭდებოდა. რუსები სამეცნიერო ხარისხს აქ იცავდნენ იმავე კამიუზე, ჰემინგუესა და ფოლკნერზე. არავინ გიჭერდა და კგბ- ში არავინ გიბარებდა. გამონაკლისი შემთხვევები ალბათ არსე- ბობს, მაგრამ კარგ ნაწერს ყველა აფასებდა. 21 წლის კამიუ – ეს იყო ჯერ კიდევ უმნიფარი პატარა ბიჭი, იმ ასაკის, როცა გგონია, ყველაფერი სათქმელია და შენც ყველაფერს ამბობ. ლიტერა- ტურა გაზიარებაა. წაიკითხე, მოგეწონა და გინდა, ეს მოწონება სხვას გადასცე.

როცა ბავშვი ტელევიზორს უყურებს, რაღაცით აღტაცებული დედას ეძახის, ჩეარა მოდიო, დედა კი ამ დროს სამზარეულოში კატლეტს წვავს, გამოვარდება და ეჩხუბება შვილს, ამისთვის დამიძახეო! ეს ბავშვისთვის შეიძლება, მთელი ცხოვრების სტრესი იყოს. ბავშვის ცნობიერებაში ხომ ნიაღვარი წამოვიდა და გაუჩნდა სურვილი, ვიღაცას გაუზიაროს. ლიტერატურა გა- ზიარებაა.

დანიელ პენაკის შემთხვევაში მოხდა ისე, რომ გადავშალე, ორი

წინადადება წავიკითხე და მივხვდი, რომ ეს უნდა მეთარგმნა. ვთარგმნე და ცოტა ვიტირე. მეგობარს წავუკითხე, იმანაც იტირა. ეს უცნაურია, უყურებ ფილმს, ვიღაცას კლავენ, ადამიანზე კი არ ტირიხარ, რაღაც დეტალებზე გეტირება – ეს არის ის, რაც ჩვენს ნებას არ ემორჩილება და კარგია, რომ არსებობს რაღაცები, რაც ნებას და მხოლოდ გონებას არ ემორჩილება. გულს თავისი მიზეზები აქვს, რაც გონებამ არ იცის. ეგ არის... თარგმანი არის გონებაც და გულიც. ცოტა გონება უნდა მოიხმო და ცოტა გული გაჩერო, თუკი გაჩერდა ან გული მოიხმო და გონება გააჩერო, თუკი გაჩერდა. *Voila!*

rituali ase i wyeba: pirs ibans, wvers i parsavs.

კაი რაღაცაა ეგ. რიტუალი არა, უფრო ახირებაა... არა, ეს ცრურ-წმენები არ არის. ჯერ წიგნს ვეფერები დიდხანს, გადავხედავ, გადმოვხედავ, უნდა იყნოს სურნელი.

...თარგმნის დაწყება ძალიან ჰავავს სპორტის იმ სახეობას, სიმაღლეზე რომ ხტება სპორტსმენი: დაგა... დაგას, ირწევა, სტადიონი გაჭედილია, იმწამს არაფერი აღარ არსებობს, სამყარო აღარ არსებობს, მან სამყარო ფრჩხილებში ჩასვა, ხუსეინისა არ იყოს, მოიშორა. თვალს ხუჭავს და ირწევა. რატომ ირწევა? რას ელოდები, გაიქცი, რა! არა, ელოდება იმ ხმას, რომელიც ეტყვის, ახლა მიდიოდა მიდის. გადახტებით თუ არა, ეს შენზე აღარ არის დამოკიდებული, მაგრამ მთავარი ეს არ არის. თუ ვერ გადახტი, ადგები და იტყვი: ხვალ გადავხტები. აი ახლა უნდა დაიწყო, თორომ გაიქცა ნამი. ცვაიგს აქვს: „თეთრი ცხენი ბედისა ერთხელ ჩამოივლის და უნდა მოახტე, თუ გაუშვი, ის ცხენი სხვასთან მიდის“.

მე ერთი-ორი თვით ადრე კედელზე ვაკრავ იმ ავტორის ფოტოებს, ვინც უნდა ვთარგმნო. თუ პეჟუა, პეჟუს პორტრეტი... მოლიანო აქაც არის, იქაც, სანოლთანაც. იდიოტივით კი არ ვუყურებ და ხატივით კი არ ვლოცულობ, გავული, გავხედავ, ესენი არიან და ამათ ყოფნას ვეჩვევი, ვემგვანები... უელბეკი ძალიან უშნოა, მე სიმათიური ვარ და მას ვერ დავემსგავსები, მაგრამ... ჰოპ და დავემსგავსე. იცი რა არის, თარგმნის დროს ავტორის მაჯაზე გიდევს ხელი და შენს პულს ადარებ, იმას 80 აქვს, შენ – 75 და აი ერთმანეთს რომ დაემთხვევა, მაშინ უნდა დაიწყო, მაგრამ ეს, გადახტომის არ იყოს, შეიძლება არ გამოგივიდეს, მარტო შენზე დამოკიდებული არ არის.

ყველა საქმე რაღაცით იწყება. ეს არ არის ერთი წიგნის თარგმნა, მთლიან კონტექსტში უნდა იჯდე.

თარგმნილ ტექსტში მთარგმნელის ნაწილია. უელბეკს მაშინ კითხულობ, როცა უელბეკს კითხულობ. ასე უნდა თქვა: წავიკითხე ჰიუგო აკაკი წერეთლის მიერ და არა ჰიუგო. ნაბოკოვმა თარგმნის გემო იცის და წერს: „მთარგმნელმა უნდა იცოდეს, რომ ავტორს ცუდს უკეთებს, მაგრამ მთარგმნელის მოვალეობა ის არის, რომ ეს ცუდი კარგად გააკეთოს“. ასე არის, როცა სიტყვას მისდევ ან სიტყვა მოგსდევს. თუ სიტყვა გაგექცა, შენ თავს დეზი უნდა ჰქონა და დაენიო. თუ შენ გაასწარი და გადახვედი სხვაგან, გასცდი მწერლის გზას, მაშინ აღვირო უნდა მოქაჩო საკუთარ თავს. აღვიროს მოქაჩვაც და დეზების კვრაც ზოგჯერ მტკიცნეულია, ცხენს სტკენს და ადამიანს – მით უმეტეს. თარგმანიც, მწერლობაც და ხელოვნებაც მტკიცნეულია. *Voila!*

მე სამზარეულოში ვთარგმნი ხოლმე ყოველთვის, აი იქ. ერთხელ საინტერესო იყო ძალიან, როცა ორ თარგმანზე პარალელურად ვმუშაობდი, იქ მოლიერი, აქ – ბეკეტი, სხვადასხვა სამყარო... მოლიერი – ჩემი საამაყო თარგმანი! ორივე თეატრი, ორივე მწერალი, სხვადასხვა ავტორი და შენარჩუნებული სტილი. ასეთ დროს უნდა გათამამდე. მე მთელი კონტექსტი ვიცი. სიტყვა მანგალებს, ლამის სამ საათზე მაყენებს, ან სუფრიდან სახლში მაბრუნებს, მგონია; რაღაცას ვწერ. დილით გადავიკითხავ და არა! 50 ათასი სიტყვა მოდის ერთად. მერე გხვდება ნაცნობი მყითხველი, ინუინერი კაცი და გუჯბნება, იქ ის სიტყვა რომ არის, ეს არ სჯობდაო?! და ხვდები, რომ ჰო, სჯობდა! არადა, აქ არ იყო? გგონია, რომ სწორედ ის სიტყვა იპოვე და ამ დროს ნაცნობი ინუინერი გეტყვის: აქ ფუსფუსი რომ გინერია, წრიალი სჯობდა. იცი, რატომ? ფუსფუსი მაინც... ბებია ფუსფუსებს.

ფლობერი წერს, რომ ერთსა და იმავე სიტყვას არ უნდა იმეორებდე ერთსა და იმავე გვერდზე – მე ეს მაქვს აკვიატებული.

თარგმანი უნდა იყოს უანგარო და არა ბოლმიანი. ზოგი ამბობს, ჩემგან არ გამოვიდა მწერალი, სამაგიეროდ, დედას ვუტირებ ამ მწერლებსო.

მე კამიუს პრეზენტაციაზე ვთქვი: 45 წელია მანუხებს კამიუ, ვუსვამ შეკითხვებს და არ მპასუხობს, სამაგიეროდ, ვთარგმნე-მეთქი. ბევრმა ვერ გაიგო, რა ვიგულისხმე.

ტელევიზორს ვერ ვუყურებ იმიტომ, რომ იმწამსვე იწყება თარგმანი. რაღაცა ძალა თარგმნის... ეს ცნობილი მწერლების ფრაზები: მე კი არ ვწერ, ის წერს... ვინ არის ის, არავინ იცის, შენ ხარ, მაგრამ სხვა შენ.

ეს სამმაგი პასუხისმგებლობაა. მწერალს ორმაგი პასუხისმგებლობა აქვს მკითხველისა და საკუთარი თავის წინაშე, მთარგმნელს მწერლის პასუხისმგებლობა ემატება. იმდენი ბევრის ხიდია, რის უფლებასაც თავს აძლევს მწერალი, ამდენს მთარგმნელი ვერ მისცემს საკუთარ თავს. მთარგმნელმა უნდა გააკეთოს თავისი საქმე და გვერდზე გადგეს, პირისპირ დატოვოს მკითხველი მწერლთან, გამჭვირვალე უნდა იყოს და არ ჩანდეს. მაგრამ ვჩენ მაინც ვჩანვართ ან გვინდა, რომ ვჩანდეთ.

ადრე პრეზენტაციების ნაცვლად გარჩევები იმართებოდა, ამიტომ მწერალსა და მთარგმნელს შიში ჰერნდათ, რომ ესა და ეს გამოვა და ამაზე ილაპარაკებს. გურამ ასათიანის ყველას ეშინოდა, ერთს თუ ჩაიქირქილებდა... იმიტომ, რომ ყველამ იცოდა – ეს არის ადამიანი, ვისაც შეუძლია, თავისი გონებისა თუ გულის, ინტელექტის სასწორზე ანონს ნაწარმოები და გულწრფელად თქვას.

ახლა, 50 წლის შემდეგ, როცა ლექტორი აღარ ვარ, გამომამსერეს, ჩემს სტუდენტებს ვეუბნებოდი, რა არის თარგმანი: აი ეს ხომ არის ხელი, მის უკან – ჩრდილი. არ ვიცი, შეიძლება, ლამ ძის ამბავია – „პეპელა ვარ თუ ლამ ძი“, მაგრამ ეს არის ხელი, ანუ ტექსტი, აქვს ძარღვები, სისხლი მოძრაობს, სტკივა, რაღაცა კარგს აკეთებს, ცუდს აკეთებს, ადამიანს კლავს, აცოცხლებს, წიაღიძება, გამოჰვევა ავას. ეს ხელი არის ტექსტი, ჩრდილი თარგმანია. ან აი დოლარი, ან ევრო, ხომ კარგია და ლარებში რომ გადაახურდავებენ, ეგ თარგმანია.

თარგმანი უფრო დიდი ლიტერატურაა, ენის დამცველი დღეს თარგმანია. *Voila`!*

2. meore dasawyisi

თბილისი, წყნეთის ქუჩა, მე-4 სართული. კარი იღება.

— ნინო, გაინმინდე ფეხი, კარგად გაინმინდე! ნესტანმა არ გაი-
მინდოს, ანაბეჭდი დატოვოს. ახლა შენ რა ქენი, იცი, განწყობა
რომ შეგექმნას, გადი იქით ოთახში, სამზარეულოში (გავდივარ
სწრაფად და დაბნეული), ნელა, ნუ იჩქარებ, მარცხნივ გაიხედე.
აი უელბეკი. გამოდი. მანდ იმ მწერლების ფოტოებია, ვინც
ვთარგმნე. თან მიირთვი შოკოლადი, როგორც იტყვიან, ნაუს-
ნიკერსე. აი ეს ვინ არის? — გვითითებს მაგიდის მინის ქვეშ ფო-
ტოზე. ვერ ვცნობთ. ჟერარ ფილიპი, კამიუ და ბევრი მწერალი. ეს
ვინ არის? ვერც დავით კლდიაშვილს ვცნობთ. — აი ახალი თაობა!
— ამბობს გიორგი ეკიზაშვილი.

— ეს ჩემი მეგობარია, — დონ კიხოტის პატარა ფიგურაზე
მიგვითითებს, — ამის მეშინია, — ამბობს კომპიუტერზე.

მე: — ჩვენ უკვე აღარ გვეშინია ამისი.

უორუი: — უელბეკი უნდა წაიკითხო და შეგეშინდება. საგნების,
საერთოდ, უნდა გეშინოდეს, მათ თავისი ცხოვრება აქვთ. ჩვენ
რომ ვშორდებით საგნებს, რა ვიცით, რას ფიქრობენ ჩვენზე. სა-
განს აქვს ერთი მომენტი, როცა აღარ გემორჩილება, აი მანქანა,
რომელიც 10 წელია გემსახურება. მიდისარ სადღაც, უეცრად შენ

მარჯვნივ გინდა გახვევა, ის მარცხნივ მიდის და კვდები.

მე მეშინია თოჯინების, დიდი თოჯინების. როცა იძინებ, რა იცი,
ერთი თოჯინა მეორეს შენზე რას ეუბნება... Voila'!

— მერამდენე რესპოდენტი ვარ შენთვის? ჰოდა, იმ სამოცდაორს
და მერე კიდევ ვინც გეყოლება, ყველას ვჯობივარ.

სულ მეცინება, უურნალისტი სტუმრებს რომ ეუბნება, რაიმე კუ-
რიოზს ხომ ვერ გაიხსნებდით და ისინიც, ის სულელებიც რომ
ისხსნებენ. ის, რაც იქ მოხდა, მაშინ მოხდა, მომენტალურია, მა-
შინ იყო პიკში. ვიღაც ჭკვიანი ხვდება, ეს რა იდიოტობაა! არავის
ეცინება ან მაგარი მთხრობელი უნდა იყო ჩემსავით. თვითონ
დაბადებაა კურიოზი. ამაზე მეტი კურიოზი რა გინდა?! აუცილე-
ბელია, ვიღაც გააცინო? მოყევი რამე მწუხარე, ესეც ხომ კურიო-
ზია?! შენს ცხოვრებაში ხდება რაღაცები, რაც სხვასთან არ მომხ-
დარა. ეს საინტერესოა. ადამიანი იწყება იქ, სადაც მთავრდება
მგვანება სხვებთან. მწერლობაც ეს არის — კი, უნდა გავდე და
გავხარ სხვებს, მაგრამ არის წამი, როცა შენ გადახვედი, აღარ ხარ
დანტე, აღარ ხარ ჰემინგუეი, აღარ ხარ ფოლკნერი, აღარ ხარ აკა
მორჩილაძე, ხარ ნესტან კვინიკაძე.

მწერლობა, საერთოდ, ელიტარულია, მკითხველიც ელიტარულია.
ვისაც თავი ელიტა ჰგონია, იქ არის პრობლემა... კითხვას მოცლა
უნდა და ელიტა არის კიდეც მოცლილი, ფუფუნებაში. მას აქვა



დრო, რომ ორი საათი უყუროს მონა ლიზას, რენჯარს, პიკასოს. ეს არის ის, როცა შეგიძლია შენი თავი იმ სიმაღლეზე ასწიო, რომ მიიღო ტკბობა – გონება და სული უნდა დატკბეს.

კითხვისას პასუხებს ეძებ. ნიკი ადამისი, ფაუსტი... იმათ ეკითხები, ნეტა ჩემი საყვარელი გმირი როგორ მოიქცეოდა და იხსენებ მსგავს სიტუაციებს. ხან ემა ბოვარი ხარ, ხან – ანა კარენინა. არ ბა- დავ, უბრალოდ, ეკითხები.

კითხულობ და პასუხებს ელოდები.

შენ შეიძლება, ათასჯერ გაგივლია რაღაც ხის წინ და არასოდეს გიფიქრია მასზე. ერთადერთი, შესაძლოა, რაღაც დაბრკოლებას წარმოადგენს ეს ხე შენთვის, მეზობელი ბიჭი კი მოულოდნელად მასზე ნოველას წერს. კითხულობ და გიკვირს: მე რატომ ვერ და- ვინახე?! ბეგბედერი იწყებს რომანის ქებას, რომ სიკვდილის წინ ადამიანი წაკითხულ წიგნებს იხსენებსო.

ერთი საინტერესო ამბავი გამახსენდა: მსახიობი ჰიუ გრანტი დაი- ჭირეს. ღამით ვიღლაც მეძავს ეპოტინებოდა, ატყდა ერთი ამბავი. კარიერა ინგრეოდა, სტრესი მიიღო მსახიობმაც. პურიტანულია ამერიკა და, მით უფრო, ინგლისი. ერთმა უურნალისტმა მას ძა- ლიან ამერიკული კითხვა დაუსვა: თქვენ ალბათ ფსიქოანალი- ტიკოსთან აპირებთ სიარულსო. მოულოდნელად ჰიუ გრანტმა ჩაიღიმა და უპასუხა: – იცით, ჩვენთან, ინგლისში, ჩვენ წიგნებს ვკითხულობთო. ეს გენიალურია!

სიტყვებზე თუ არ იკაიფე, რა მწერალი ხარ?! სულ უნდა ათამაშო. ერთხელ ბოდლერის თარგმანში პატარა ბიჭმა, დავწერე სიტყვა „თავერი“. არ ვიცი, საიდან მოვიდა, არც ჩამიხედავს, რა არის ეს სიტყვა, მაგრამ მოვიდა და მომეწონა. და ისე გსიამოვნებს, მკით- ველს აღარ აინტერესებს მისი მნიშვნელობა.

ქართული ენა ძნელი დასაოცებელია, სულ მაღლა იწევს და ამ ამა- ღლებულ სტილს მივეჩირეთ (გამსახურდიას რომანები...). როცა დაშვება გინდა, იქ უჭირს. რამეთუ, რომ... არა ეგენი... თვისით... ამაში კარგად მიდის, მაგრამ მანქანამ დაამუხრუჭა და გაჩერდა, უკვე რაღაც არ მოგწონს, აბა რა უნდა იყოს? ერთი კი დაიხვნება და... თუ რა?

3. mi Sel to mi , i give uel beki

- უელბეკი გინახავს?
- კი.
- სად?
- წიგნის უკანა ყდაზე.
- შიშველ ქალებთან ერთად არ გინახავს?
- არა.

–პარიზში შემთხვევით გავიცანი შესანიშნავი ადამიანი, რომელსაც დავუმეგობრდი, როდესაც საუბრისას ვთქვი, რომ უელბეკი ვთარგმნე (სულ ახლახან გამომცემლობა „არეტემ“ გა- მოსცა გიორგი ეკიზაშვილის მიერ ნათარგმნი მიშელ უელბეკის ბესტისელერი „ელემენტარული ნანილაკები“). აღმოჩნდა, რომ უელბეკის მასწავლებელი გამიცნია. მიშელი კინოსკოლაში სწავ- ლობდა, ეს კი მისი მასწავლებელი იყო გადაღებების ხელოვნება- ში. მაჩვენა უელბეკის ფოტო მისი სადიპლომო ფილმის გადაღებზე, სადაც ის 18 წლისაა. ისევ ისეთი იყო ფოტოზე. მამამისის გვარი ყოფილა ტომა. „მწერალი უელბეკი გაგონილიც მქონდა და წაკითხულიც, მაგრამ სანამ ფოტოსურათი არ ვნახე, ფოტო,

სადაც მთელი ჯგუფი და, მათ შორის, მეც ვარ... ვერაფრით ვა- კავშირებდი. მხოლოდ ამის შემდეგ აღმოვაჩინე, ვინ იყო“, – იხ- სენებდა მასწავლებელი.

როცა მეკითხებიან, რა ვთარგმნე და ვიწყებ ჩამოთვლას – მოლ- იერი, კამიუ... და უელბეკით ვამთავრებ, აფორიაქდებიან ხოლმე. უელბეკს რთული მდგომარეობა აქვს საფრანგეთში, უყვართ ან არ უყვართ – ვყელას აქვს თავისი არჩევანის უფლება. უელბეკი არც უნდა გიყვარდეს, ეს შეუძლებელია. ან გავიგე, ან ვერ გავიგე. ბევრს აშინებს ის, რაზეც უელბეკი წერს. ნუთუ ასე იქნება?! ამერიკაში წატალი საროტი 700-ათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა. ამის შემდეგ ფრანგი მწერალი ამ ტირაჟით არ გამოსულა, გამონ- აკლისია უელბეკი, რომელიც ახლა რეკორდზე მიდის.

უელბეკში დიდ მწერალს გრძნობენ, დიდი მწერლის ხედვაა, თან ამდენ რაღაცას მოიცავს, ჯერ ერთი, ბიოლოგიას.

უელბეკს უხამსი სიტყვები აქვს და ბევრს ეს ყურს სჭრის. არა- და, ყველა სიტყვას, რაც კი ენაში არსებობს, აქვს უფლება, იყოს ნიგნშიც.

სიტყვა „შიმაობას“ ჩვეულებრივად აღიქვამენ, მაგრამ სინონიმი რომ ახსენო, იმნამსვე სხვა რეაქციაა. რატომ? ხომ ერთ რაღაცას აღნიშვნას?!

პირველად, როცა ვთარგმნე უელბეკის რომანი, იქ ერთი წინა- დადება იყო „საშინელი“. დამირეკეს ბანოვანებმა და მითხრეს: შესანიშნავი თარგმანია, მაგრამ ის რამ დაგაწერინაო. – კი, მა- გრამ მაგაზე უარესი არ გაგიკეთებიათ? – ვუთხარი. – კი, მაგრამ... – რა კი მაგრამ? მე-20 საუკუნის ბოლოა და ეს, უბრალოდ, ასეა.


4. „patara princi“ – me Cems Taobas vuRale

პროვანსულ ენაზე თარგმნილი „პატარა პრინცის“ წინასიტყვაო- ბა, რომელიც უორჟ ეკიზაშვილს უელბეკის მასწავლებლის მეუღლებ აჩუქა, ასე ინცება: „ეგზიუპერის თარგმანი? შეუძლებე- ლია, თარგმნი ეგზიუპერი“. ჩვენ ვიღებთ და მაინც ვთარგმნით. ყველაფერი ფარდოფითია.

სულ მეკითხებიან, რატომ „პატარა პრინცი“? 10 ათასი მიზეზი მაქვს, მაგრამ არ ვამბიობ! მევასა და ვთარგმნე! და ამით უვა- ლატე მთელს ჩემს თაობას... და ბავშვობას. „უფლისწული“ „პრინ- ციო“ შევცვალე, იმიტომ რომ ეს არავის „წული“ არ არის, არავის „შვილი“ არაა! ეს არის პრინცი! წიდება, რომელსაც მე ვაძლევ ადამიანს, ვინც მიყვარს, ძალიან მიყვარს. შენ ჩემი პრინცი ხარ!

როცა თარგმნა შემომთავაზეს, ვთქვი: მე ვთარგმნი მხოლოდ ერთი პირობით – უფლისწულის მაგივრად უნდა იყოს პრინცი. პაუზა... ვიცი, იყვირებენ, ილაპარაკებენ ბევრს, მაგრამ ამ პირო- ბის გარეშე არ ვთარგმნი. ყველა ენაზე არის პრინცი, რუსებს აქვთ სხვა სახელები – ცარევიჩ, დაწერდნენ მალენკი ცარევიჩ-ს ან რაღაც სხვას, მაგრამ მათთანაც პრინცია, ყველგან პრინცია. შეი- ძლება, ეს ეგზიუპერის პატივსაცემად ხდება. მერე კიდევ დაუკ- ვირდი: პ- ა- ტ- ა- რ- ა- პ- რ- ი- ნ- ც- ი- 0, ქ- რ- ი- ს- ტ- ე, პ- რ- ი- ნ- ც- ი- 0. ეს ჩვენი ქრისტე! მოვიდა ადამიანებთან, სიყვარულს ქა- დაგებდა, ასე რომ, თუ ვინმეს „პატარა უფლისწულის“ წაკითხვა უნდა, ორი ძველი თარგმანი არსებობს, „პატარა პრინცი“ კი ერ- თია. Voila`!

000417



5. Je t'aime

სიყვარული ერთია და მერეა სხვა რაღაცები. სიყვარული ქართულ პოეზიაში: „მე მიყვარს შენში ოცნება ჩემი“... ბრწყინვალეა! მე რომ ქალი ვიყო, ვიტყოდი: როგორ, გენაცვალე, შენი ოცნება გიყვარს ჩემში? ესე იგი შენ შეგიძლია, ეს ოცნება მერე გამოიტანო და სხვაში ჩადო? შენი რაღაც გიყვარს ჩემში?

სიყვარული ის არის, როცა მთელი სამყარო, რაც წარმომიდგენია და რაც შეიძლება, რომ იყოს, ერთ წერტილში იყრის თავს და იღებს იმ ფორმას, რასაც ჩვენ ვხედავთ. როცა არ არის ფიქრი, ეს სიყვარულია.

არის ასეთი შეკითხვა: გაიხსენეთ პირველი სიტყვა, რა უთხარით შეყვარებულს და ისინიც პასუხობენ. როგორ შეიძლება, ეს გახსოვდეს, პირველი სიტყვა ყოველთვის სისულელეა. მე „პატარა პრინცსა“ და რაღაც ლექსებს ვყვებოდი და ჩემად ვასალებდი, ასე ვიპრანჭებოდი. თუ გახსოვს შენი ყველა ზეინტიმური და ძვირფასი დეტალი, რაღატომ გამოგაქვს სააშეარაოზე?! ეს სიტყვებია, სიყვარული კი სიტყვები არ არის. „სიყვარულსა მალვა უნდა“.

სიყვარულის ახსნა – ეს რა არის? ე.ი. შეიძლება ამის ახსნა?! ჩავიდეთ ამ სიტყვების ძირში. მიყვარხარო კი არა, სიყვარული აუხსნა. მე შეიძლება, სიყვარული ავუხსნა სტუდენტებს და არა მას, ვინც მიყვარს.

როცა შეიყვარებ ძალიან, მაშინ მიხვდები, რა არის: ცოტა სიცხე, სიგიჟე, სიგიჟის სიბრძნე და სიბრძნის სიგიჟე, Voila'!

გიორგი ეკიზაშვილს სამომავლო გეგმებზე თუ ჰკითხავთ, აუცილებლად გაიხსენებს ერთ ამბავს: თბილისში ჩამოვიდა ამერიკელი მწერალი სტეინბეკი. შემოატარეს ქვეყანა. თავი მოიკლეს – აჭამეს, ასვეს, ნაბადი და კახური ქუდი დაახურეს, ოლონდ კითხვის დასმამდე არ მისულიყო საქმე. ბოლოს შეიკრინენ და ეკითხებიან: – ბატონო სტეინბეკ, თქვენი სამომავლო გეგმები?

– სამომავლო გეგმები? ეს იგივეა, რომ მკითხოთ, ამერიკაში რომ ჩავალ, რომელ ქალს გავჟიმავ.

უორჟი (იგივე გიორგი, იგივე გოგი): – რაღაც ბევრი მეა, ამოილე. ანდა იყოს, რა მოხდა?! ჯერ ეგო უნდა იყოს. არ მაინტერესებს, სხვები რას იტყვიან. მე თვითირონია მახასიათებს!


– გოგი, COMME des GARCONS როგორ ითარგმნება? — ეს უკვე ნინოა, უორჟის ქალიშვილი, „სამი მუშკეტერის“ თაობის სრული ანტიპოდი (ჩვენ უფრო უალტერნატივო სიტუაცია გვაქვს, გვინდა-არ გვინდა, უელბეკის თაობას წარმოვადგენთ), რომელიც ინტერვიუს ესწრება და დაკვირვებული თვალი აუცილებლად დაიმახსოვრებდა მას ტექსტის დასაწყისში: „ნინო, ფეხები კარგად გაიწმინდე“!

ინტერვიუს დროს შორიახლოს იჯდა. მასაც აქვს საინტერესო ისტორია: ადრე, ძალიან ადრე, სადღაც ათი წლის ნინ, ნინო თავის მეგობარ ბიჭთან ერთად ვერისა და ვაკის შესაყარზე, მრგვალ ბალში, იჯდა და ახალგაზრდული აუიტირებით „პატარა უფლისწულის“ პერსონაჟებს ციტირებდნენ.

მერე დაღამდა, სახლებში წავიდნენ. ნინომ ძილის ნინ „პატარა უფლისწული“ გადაშალა და რაღაც ციტატა მონიშნა. მოულოდნელად დარეკა ტელეფონმა, ისევ ის მეგობარი ბიჭი იყო, რომელმაც ზუსტად ის ციტატა წაუკითხა, ნინოს რომ ჰქონდა მონიშნული. უცნაურია. გავიდა რამდენიმე წელი. ის ბიჭი სხვა ქალაქში გადაცხოვრდა... ერთ დღესაც სტუმრად მიმავალმა ნინომ მრგვალ ბალში ხალხმრავლობა შენიშნა. ნეტა რა ხდება? — „პატარა უფლისწულის“ ქანდაკება გაიხსნა.

დამთხვევა... შემთხვევა... იმ დროს ნინომ არ იცოდა, რომ გავიდოდა კიდევ რამდენიმე წელი და „პატარა უფლისწულს“ სწორედ მამამისი თარგმნიდა სათანადოდ და შესანიშნავად! ისე, რომ ქართულში ზედსართავები არ გეყოფა შესაფასებლად და ისე, რომ ეს იქნებოდა ნამდვილი „პატარა პრინცი“, ადამიანებთან სიყვარულით რომ მოვიდა! Voila'!

ფრანგული კულტურისთვის განხეული ღვანლისთვის საფრანგეთის მთავრობამ 2001 წლის 22 ივნისს გიორგი ეკაზაშვილს „აკადემიური პალმის რტონ“ ორდენის ოფიცირის წოდება მიანიჭა.



EX LIBRIS – XX saukune

karl gustav iungis „fsi qologia
da alqimia“

giga z edania



ალქიმია, ჩვეულებრივ, განიხილება როგორც დისკიპლინა, რომლის მიზანი „არაკეთილშობილი“ მეტალების ოქროდ გადაქცევა იყო. ამ მიზნის მისაღწევად ალქიმიკოსები ეძებდნენ ე.ნ. „ფილოსოფიურ ქავას“, რომელსაც სინამდვილეში არა ქვის, არამედ ფხვნილის ფორმა ჰქონდა. ითვლებოდა, რომ თუ რამე მეტალს ცეცხლში ჩააგდებდი და ამ ფხვნილს შეურევდი, შედეგად ოქრო წარმოიქმნებოდა.

გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, ალქიმიის ეს მიზანი, მართალია, აზრს იყო მოკლებული, მაგრამ ალქიმიკოსების ექსპერიმენტებმა, მათდა უნებურად, ხელი შეუწყვეს ქიმიის, როგორც მეცნიერების, განვითარებას. ეს ძველი იგავს ჰგავს ვაჟების შესახებ, რომლებმაც მამის დანატოვარი ოქროს ძიებაში იმდენი თხარეს მინა, რომ შედეგად ხორბლის კარგი მოსავალი მიიღეს. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ალქიმიამ საკუთარი მნიშვნელობა ქიმიის გაჩენის შემდეგ დაკარგა და დღეს მხოლოდ ისაა საინტერესო, რა სისულელებისა სჯეროდა ხალხს სულ რამდენიმე საუკუნის წინ. მეორე მხრივ, ამ აზრის გადაბრუნებას წარმოადგენს კვაზიმიდეცნიერული ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც სულაც არაა გამორიცხული, თანამედროვე მეცნიერებმა გარკვეული პროცესების შემდეგ, მაგ., ბრინჯაოდან ოქროს მიღება მოახერხონ. ოღონდ ამას ნამდვილად აღარ მოჰყვებოდა ის სენსაციური რეზულტატები, რისი იმედიც შუა საუკუნეებში ჰქონდათ: ოქრო, უბრალოდ, დაკარგავდა საკუთარ ღირებულებას – დღეს ფულის ნაკადები ისედაც ალარაა მიბმული ოქროს რეზერვებზე, ფული უკვე იქცა რაღაც ვირტუალურ წარმონაქმნად, რომელსაც რეალობაში თითქმის არაფერი შესაბამება. ოქროს ლაბორატორიული წესით მიღების შესაძლებლობის აღმოჩენა ამ პროცესს მხოლოდ თავის ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანდა.


მაგრამ ამ გავრცელებული აზრის წინააღმდეგ აგერ უკვე ორი საუკუნეა, ვიღაც-ვიღაცები ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ ალქიმიას სულაც არ ამოუწყრავს საკუთარი თავი; რომ სინამდვილეში ფილოსოფიური ქვის მიზანი უბრალოდ ოქროს მიღება კი არ იყო, არამედ ყველა სწეულების მორჩენა, რაც ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროში არსებობს; რომ (ბიბლიასა და თითქმის ყველა მითოლოგიის წმინდა წიგნებში აღნერილი) წარლენის შემდეგ კაცობრიობამ დაკარგა უამრავი საიდუმლო ცოდნა და ჩვენ ვფლობთ ამ ცოდნის მხოლოდ ფრაგმენტებს, რომლებიც ალქიმიურ ტრაქტატებშია შენახული. ამ თვალსაზრისს ამაგრებს ერთი რამ: ალქიმიური ტექსტები ისე რთულადაა დაწერილი, რომ მათი გაშიფრის მსურველმა ამ საქმეს მრავალი წელი უნდა მოანდომოს. აქ ერთმნიშვნელოვნად რაღაც საიდუმლოსთან, მისტერიასთან გვაქვს საქმე, ადამიანის ბუნებაში კი უდავოდ დევს დაფარული საიდუმლოს გაშიფრის სურვილი. მოკლედ, ცდუნება არსებობს, მაგრამ სუსტი ცდუნება, რადგან ჩვენს რაციონალურ ეპოქაში ასეთი რაღაცების მხოლოდ მასებს სჯერათ და არა – ელიტებს. მას შემდეგ, რაც ოთხიდან თორმეტ წლამდე ამერიკის ან ევროპის უნივერსიტეტში გაატარებ, სადაც აზროვნების თანამედროვე წესს გასწავლიან, რთულია, ათასი ეზოთერული სისულელის გჯერდეს. ამიტომაც ალქიმიის ასეთი დამცველი დღეს მსოფლიოში ცოტაა და ისინი ნამდვილად არ მოღვაწობენ ჰარვარდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში.

მათ იქ არავინ მიიღებს.

აქ ჩნდება იუნგი საკუთარი გამოკვლევებით. ახლა ინტელექტუალებთან ბოდიშს მოვისდი და მოკლედ ვიტყვი, რას წარმოადგენდა ეს კაცი. კარლ გუსტავ იუნგი (1875-1961) ზიგმუნდ ფროიდის ყველაზე ნიჭიერი მონაცე იყო. როგორც მასწავლებელ-მონაციის ურთიერთობებში ხშირად ხდება, მათი მეგობრობაც ცუდად დამთავრდა. მასწავლებელს მონაციისგან ხომ სინამდვილეში ორი სრულიად შეუთავსებელი რამ სურს: „დამემსგავსე მე!“ – ითხოვს ის (მიტომ, რომ რაღაც მონაცე ხარ, თუ მასწავლებლის აზრებს არ იზიარებ?), მაგრამ ამავე დროს მთელი თავისი არსებით აგრძნობინებს: „ნუ დამემსგავსები!“ (იმიტომ, რომ რაღაც უნიჭიერესი მონაცე ხარ, თუ თუთიყუშივით მასწავლებლის აზრებს იმეორებ?). იუნგმა ეს გამოუვალი მდგომარეობა ერთმნიშვნელოვნად გადაჭრა, რადიკალურად გააკრიტიკა ფროიდი და საკუთარი კონცეფცია ჩამოაყალიბა. აქ კიდევ ერთხელ მოვუხდი ბოდიშს ინტელექტუალებს და ვიტყვი, რომ ძირითადი განსხვავება ამ ორ ფსიქოანალიტიკოსს შორის შემდეგში მდგომარეობს: მართალია, ორივე მიიჩნევს, რომ ჩვენი ფსიქიური ცხოვრების დიდი ნაწილი არაცნობიერად და არაცნობიერში მიმდინარეობს, მაგრამ, ფროიდის მიხედვით, ეს არაცნობიერი ინდივიდის საკუთრებაა და მისი განვლილი ცხოვრებიდან აისხნება; მისგან განსხვავებით, იუნგი მიიჩნევდა, რომ ჩვენ ყველას ფსიქიკის სიღრმეებში კონტაქტი გვაქს კოლექტურ არაცნობიერ შინაარსებთან, რომლებიც არაა ჩვენს ინდივიდუალურ ბიოგრაფიაზე დამოკიდებული. კოლექტური არაცნობიერის ამ შინაარსებს იუნგი „არქეტიპებს“ უწოდებდა. არქეტიპები ახდენენ იმის ორგანიზებას, თუ რას და როგორ აღვიტვამთ, განვიცდით, ვგრძნობთ. ასეთი არქეტიპებია დედა, გმირი, ჰერმაფროდიტი და ა.შ. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია თვითობის (ან, უფრო სწორი იქნებოდა რომ გვეთქვა, „თვითის“ – self, Selbst) არქეტიპი. ადამიანის ცხოვრების მიზანს, იუნგის მიხედვით, სწორედ თვითობის მიღწევა წარმოადგენს.

ბარემ აქვე იმასაც ვიტყვი, რომ იუნგი, სლენგზე რომ ვთქვათ, ფროიდის „პიროვნულ ამბავშიც“ აკრიტიკებდა. ფროიდის ფსიქოანალიზიო, წერდა იუნგი, ნევროზების მეურნალობაზე მიმართული, მაგრამ თავად ფროიდმა საკუთარ ნევროზს ვერაფერი მოუხერხა, მე ეს, როგორც ფროიდთან დაახლოებულმა პირმა, კარგად ვიციო. მახვილებიერი კრიტიკაა, ოღონდ „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალის“ პრინციპზეა აგებული: იუნგის ავტობიოგრაფიას თუ წაიკითხავთ, მიხვდებით, რომ თვითონ ეს კაცი, რომელსაც უამრავი პაციენტი ჰყავდა, საეჭვოდ ახლოს იდგა სიგიურებათან – მას ჰქონდა ჰალუცინაციები, ესაუპრებოდა სულებს, ხედავდა მომავლის ნიშნებს და ა.შ. მოკლედ, ვინ იყო მოსარჩენი და სამკურნალო, კიდევ საკითხავია.

მაგრამ ეს არ აყენებს ჩრდილს იმ ნიგნს, რომელსაც მინდა შევეხო. „ფსიქოლოგია და ალქიმია“ ნამდვილად საინტერესო ტექსტია, რადგან იუნგმა აქ ძალზე ორიგინალური თეზისი წამოაყენა. ამ თეზისის მიხედვით, ალქიმიკოსის მუშაობის ნამდვილი რეზულტატი იყო არა ოქრო, არამედ ფსიქიური ცვლილებები, რასაც თავად ალქიმიკოსივე განიცდიდა. რეტორტებში მიმდინარე ქიმიური პროცესები სინამდვილეში წარმოადგენდა არაცნობიერი ში-



ნაარსების პროექციას (პროექცია ფსიქოანალიტიკური ტერმინია და აღნიშნავს გარეგან მოვლენებში საკუთარი სულიერი მდგო- მარეობის გადატანას ამის შემჩნევის გარეშე. კარგი მაგალითია პატარა ბიჭი, რომელიც ამბობს, რომ გოგონას უყვარს — სინამდ- ვილეში მას თვითონ მოსწონს ეს გოგონა და მასზე აპროცირებს საკუთარ სიყვარულს). როდესაც ალქიმიკოსები ოქროს მიღებაზე საუბრობდნენ, სინამდვილეში, იუნგის მიხედვით, ისინი ეძებდნენ საკუთარ მეობას, თვითობას, ინდივიდუალობის ყველაზე მაღალ საფეხურს და მას, უბრალოდ, ოქროზე აპროცირებდნენ. ქიმია მხოლოდ გვერდითი შედეგია, მთავარი ამ სამუშაოში იყო ტრანს- ფორმაცია, რომელსაც თვითონ ალქიმიკოსი განიცდიდა.

ამ დასკვნამდე იუნგი შემდეგმა დაკვირვებამ მიიყვანა: მის პა- ციენტებს, რომლებსაც არასოდეს არაფერი გაეგონათ ალქ- იმიის შესახებ, ესიზმრებოდათ სიმბოლოები, რომლებიც თითქოს პირდაპირ იყო აღებული შუა საუკუნეების ალქიმიური ტრაქტატებიდან. იუნგმაც დაასკვნა, რომ სინამდვილეში ალქიმია ქიმიის ნინამორბედი დისციპლინა კი არ იყო, არამედ სრულიად დამოუკიდებელი კვლევის სფერო, რომელიც ბევრად უფრო ახ- ლოა ფსიქოლოგიასთან, ვიდრე მენდელევის პერიოდულ სისტე- მასთან.

უნდა ვთქვა, რომ ეს წიგნი შემთხვევით არ ამირჩევია: ის სულ ახ- ლახან გამოქვეყნდა ქართულ ენაზე (პირველი წიგნი იყო, სხვათა შორის, რომელიც ახალ წელს ვიყიდე). ამ ბოლო დროს ასეთი ჩვე- ვა დამჩემდა: ვიყიდი ქართულ თარგმანს, სახლში ვიღებ თრიგი- ნალს და მერე ერთი საღამო ვერთობი შეცდომებით, რომლებიც ბედოვლათმა მთარგმნელმა დაუშვა (ქართველი მთარგმნელები, ჩვეულებრივ, სამი ნიშნით გამოიჩინა: მათ არ იციან უცხო ენა, რომლიდანაც თარგმნიან; მათ არ იციან ქართული და მათ არ ეს- მით ტექსტი, რომელსაც თარგმნიან). მაგალითად, ბოლო დროის სამხიარულო შეცდომებიდან შემიძლია შემოგთავაზოთ: Louis

d'or, ქართულად თარგმნილი როგორც „ოქროს ლუი“ (დიაგნოზი: მთარგმნებს არ აქვს წაკითხული „სამი მუშკეტერი“, თორემ ხომ ეცოდინებოდა, რომ სინამდვილეში „ლუიდოროთან“ გვაქვს საქმე), ანდა ქართულ თარგმანშია: „ინტიმური გრძნობები ჰქონდა მამის- ადმი“, არადა, ორიგინალშია: „სულითა და გულით უყვარდა მამა“ (დიაგნოზი: მთარგმნელის არაცხობიერში რაღაც სერიოზული პროცესები მიდის, რომელთა განხილვაც ცოტა მეუხერხულება) და ა.შ. ჰოდა, იუნგის ქართული თარგმანის ყიდვისთანავე მივ- ვარდი სახლში, გადმოვიდე გერმანული ორიგინალი და დავინწყე შედარება. ჰოი, საკვირველებავ! მცირე ხარვეზების გარდა ბევ- რი ვერაფერი აღმოვაჩინე მოსადავებელი. მართალია, ამის გამო მთარგმნელობითი ხელოვნების ქართველი მსახურების მიერ ჩა- დენილ შეცდომათა ჩემეული სია ვერ გაიზარდა, მაგრამ გული მაინც სიხარულით ამევსო – ქართულად გამოჩნდა კიდევ ერთი წიგნი, რომლის წაკითხვაც შეიძლება. ასეთები კი ცოტაა.

არადა, საქართველოში ალქიმიის მდიდარი და მრავალსაუკუ- ნოვანი ტრადიციები არსებობდა, განსაკუთრებით კი – კახეთში. ამას გავრცელებული ამბავიც მოწმობს: ერთხელ თურმე ყაჩაღე- ბი შევიდნენ სახლში, სადაც პატარა გოგონას მეტი არავინ იყო. „სად ინახავს პაპაშენი ოქროს?“ – დაუწყეს გაბრიყვება ბავშვს. „პაპაი ოქრო მე ვარო“, – უბასუხია გოგონას. ამ ანეკდოტში დამ- ალული შიფრი ადვილი ამოსაცნობია: პატარა გოგონა ხომ მითებ- სა და ჩვენს სიზმრებში სულის სიმბოლოა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხალხი ბრძენია და უკვე იცოდა, რასაც იუნგი ამ წიგნში ამბობს: სინამდვილეში მთავარია არა ოქრო, არამედ სულიერება. ყოვ- ელ შემთხვევაში, ასეთ დასკვნას გააკეთებდა ალბათ რომელიმე ავადსახსენებელი მწერალი, ალქიმიკოსებზე რომ წერს ბესტსელ- ერებს.

ხოლო თუ ვინმეს რკინის ოქროდ გადაქცევის რეცეპტი აქვს, მაინც შეგვატყობინოს. სულიერების ამბავში გვაინტერესებს.

daupat ent ebel i Tof-golfi

davi T kovziri Ze

თუ არ ვცდები, “ანაბეჭდის” ამ ნოტერში ჰანტერ ტომპსონის შესახებ ვრცლად უნდა ეწეროს რაღაც-რუდაცეები. თუ ვცდები, მაშინ ვალდებული ვარ მოკლედ ვთქვა, რომ ეს იყო რევოლუციონერი და მორფიზისტი რეპორტიორი, რომელმაც სულ სხვა მიმდინარეობა შექმნა ამერიკულ და მსოფლიო უურნალისტიკაში. ალბათ, ყველას გინახავთ “შიში და სიძულვილი ლას-ვეგასში”, სადაც ჯონი დეპი სწორედ რომ ჰანტერ ტომპსონს, თავის უახლოეს მეგობარს განასახიერებს.

ბევრს აღარ გავაგრძელებ და მოგიყვებით იმას, თუ როგორ ცდილობდა ტომპსონი მსოფლიო სპორტში ახალი ბრენდის შექმნას.

მაშ ასე, ღამის ოთხის ნახევარი, მისტერ ჰანტერი ავლანური ბალახით გაპიპინებულ ბოლოსწინა ჯოინტს ბოლომდე ეწევა (ბოლოს ლაპარაკის შემდეგ მოწევს), საფერფლეში სრისავს და ნიუ-ჯერსიში ურეკავს ბილ მიურეის, ცნობილ არტისტსა და ასევე სტაუიან გამბოლებელს. მიურეი მეოთხე ზარის შემდეგ იღებს ყურმილს და ხმაზე ეტყობა, რომ მასაც ახალი მიღებული აქვს აღმოსავლური ფლორის შედევრი.

მიურეი: hello?

ტომპსონი: გამარჯობა ბილ, ჰანტერი ვარ.

მიურეი: გამარჯობა ჰანტერ.

ტომპსონი: ძალიან მაგარი იდეა მაქვს, მომისმენ? ჯერ იაპონურ გოლფზე მინდა გკითხო. როგორც გავიგე, ისინი სათამაშო ბილიკებს ერთმანეთზე აწყობენ.

მიურეი: (ხმაში ფრთხილი განგაში შეეპარა): ხო, ეგრეა.

ტომპსონი: ფოტოები ვნახე და მეგონა მრავალსართულიანი ბოულინგის ბილიკები იყო.

მიურეი: (ხითხითებს)

ტომპსონი: ახალი სპორტი გამოვიგონე – გოლფი თოფებით.

მიურეი: ჰმმმ...

ტომპსონი: ჰოდა, მინდა რჩევა გკითხო. ეს ამბავი პრაქტიკაში უკვე გამოვცადე, შერიფს ვეთამაშე აქვე, ეზოში. მწვანე ლინოლეუმი დავაგეთ, დროშები დავარჭეთ, იმას ჩემი 45 კალიბრიანი მივეცი, თოფი გამოვართვი და შევუბერეთ. ჩემი მიზანი, ალბათ მიხვდი, შერიფის დარტყმული ბურთის განადგურება იყო. თავიდან ვერ დავამუდამე, მაგრამ მერე დუბლეტი ვესროლე და ბურთი საერთოდ ვეღარ ვიპოვეთ. მაგრად გავერთეთ.

მიურეი: (ჩაახველა)

ტომპსონი: შენი გალვიძება არ მინდოდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს აზრი მოგეწონებოდა.

მიურეი: (სრული სიჩუმე)

ტომპსონი: გინდა ხვალ ვილაპარაკოთ?

მიურეი: ეგრე აჯობებს.

ტომპსონი: ამ სპორტს დიდი მომავალი აქვს, მალე გოლფს მთელი ამერიკა სასროლებით ითამაშებს. განსაკუთრებით იმ შემთხ-

ვევაში, თუ ბილიკებს ერთმანეთზე დავაშენებთ, როგორც იაპონიაშია. აზრზე ხარ რა იქნება?

მიურები: ჰო, მაგათ მართლაც მრავალსართულიანი მოედანი აქვთ.

ტომპსონი: შენა და, რა მანძილია იატაკიდან ჭერამდე?

მიურები: დაახლოებით ოთხი მეტრი. ჭერი ზედ შენს თავზეა და ზევით ვიღაც უბერავს. იცი რას ჰგავს? აი, შენობას რომ ფასადი მოაძრო.

ტომპსონი: გასაგებია. როგორც „ატრიუმ ჰაიატის“ სასტუმრო.

მიურები: Exactly like that!

ტომპსონი: ხალხს შეეძლება ერთი აივნიდან მეორეზე დაარტყას. მაგალითად, მერვედან მეთხუთმეტე სართულზე.

მიურები: და პირიქით.

ტომპსონი: გუნდში ორი კაცი იქნება.

მიურები: მართლა? საღოლ, გადასარევი აზრია.

ტომპსონი: ამაზე უკვე ვეღაპარაკე შერიფებ და ასე გადავწყვიტეთ იმიტომ, რომ როცა გუნდში მარტო ხარ, სროლაც გევალება და კლასიკური გოლფიც. ორგუნდიანში კი საქმე განაწილებულია.

მიურები: თან ახალი ზმანებით მარიაჟობაც დაიწყება, მზის სათვალეები და რამე.

ტომპსონი: ხო. ერთი სიტყვით, შენ და შერიფი დამფუძნებლები იქნებით.

მიურები: Sounds good.

ტომპსონი: ხვალ დაგირეკავ. თუ ყველაფერი კარგად აეწყო, შენ ოსკარს მიიღებ და მე – ნობელის პრემიას.

მიურები: შენი იდეა სულ უფრო მომწონს.

ტომპსონი: კარგად იყავი.

მიურები: ლამე მშვიდობისა.

ჰანტერ ტომპსონმა მართლაც ითამაშა ”თოფ-გოლფი“ შერიფ ბობ ბრაუდისთან ერთად 2004 წლის ზაფხულში და ეს უნიკალური კადრები თავადვე ჩაინტერა ბეტაკამზე. პარტიას უამრავი მაყურებელი ესწრებოდა.

მაგრამ მეორე პარტიის თამაში და ახალი სპორტის დაპატენტება ვერ მოასწორო. 2005 წლის 20 თებერვალს, 5 საათსა და 42 წუთზე, მაშინ, როცა მასთან სტუმრად იყვნენ შვილი, რძალი და შვილიშვილი, 67 წლის ტომპსონი გვერდით ოთახში გავიდა, ცოლს დაურეკა და შუა ლაპარაკში თოფით მოიკლა თავი. ან გაუვარდა, კაცმა არ იცის.

ასე დაიწყო და დამთავრდა გოლფის თოფით თამაში.

So long and mahalo...



babuaCemi duel Si mokl es

gio mgelaZe

- ბაბუაჩემი დუელში მოკლეს.
- მერე?
- რა, მერე?
- ბაბუაშენი დუელში მოკლეს, მერე? - გამიმეორა „მერე“ ოთომ.

ოთოჩემისაქმროა. ვერვიტანვერც „საქმროს“, ვერც „საცოლეს“, მარაორ კვირაში ქორწილი გვაქდა ესე იგი ოთოჩემისაქმროა, მე - ოთოს საცოლე. სუ, მეზიზღება... აი, „ქმარი“ კაია, „ცოლიც“ ძაან მაგარია. გაიცანი, ეს ჩემი საცოლეა, - ესე რო მაცნობს ვიღაცას, ის ვიღაცა ისე მეზიზღება, რო გული მერევა. არა, ის ვიღაც კი არ მეზიზღება, „საქმრო“ ოთო მეზიზღება და „საცოლე“ მე და ეს ზიზღი იმ ვიღაცაზე გადამაქ მექანიკურად. ერთხელ ცოტა,

ცოტა კი არა, მთვრალი ვიყავი, ისედაც თავპრუ მეხვეოდა და ოთომ ვიღაცა, ქუჩაში მიდიოდა ის უბედური, ძაან გამოწყობილი და მაგარი ეკიდა „საქმრო“ ოთო კაიფში თავის მთვრალ „საცოლესთან“ ერთად, მოკლედ, ოთომ გააჩერა ის ვიღაცა, იმან, მე მგონი, ბოლომდე ვერც იცნო ოთო და ჩემი თავი რო გააცნო, გაიცანი, ჩემი საცოლეაო, ისეთი მივარწყიე იმ უბედურს...

სანამ არ იმკურნალებს, მანამდე არ დავორსულდები. „სვადების“ მერე ვიმკურნალებო. არ იმკურნალებს და ბავშვს არ გავუჩენ. მაინც თუ არ იმკურნალებს, გავშორდები. ეს იცის და ისიც იცის, რო მართლა ესე იქნება. როგორ მინდა ჟვილი... ყველაზე ძაან. ოთოს გოგო უნდა ძაან, ოლონდ კაიფში. ეხლა მივდივართ დილომში მაგის ვიღაც დედამოტყუნულ ბარიგასთან. რო შემეძლოს, ყველა ბარიგას ბენზინს გადავასხამდი და ცოცხლად დავწვავდი, ოთოს რამდენიმე ნარკომან ძმაკაცსაც. ორ-სამ დღეში ერთხელ ესე გამომივლის, ჩამისევამს მანქანაში და მივდივართ დილომში. დილმისკენ რო მივდივართ, ოთოს ჯობია, ხმა არ გაცე, თორე შეიძლება, არაფრის გამო ისტერიკა და ემართოს და მანქანიდან „ნა ხადუ“ გადმოგაგდოს. თან კი არ მიდის ან მიქრის, მიფრინავს. მე მანქანაში მტოვებს, თვითონ კორპუსის სადარბაზოში შერბის. თხეუთმეტ წუთში „პრიაზნი“ გამოდის და ვპრუნდებით ქალაქში. უკანა გზაზე 60-ით მოდის ხოლმე. ბაბუაჩემი დუელში მოკლეს-მეტქი, - დილმისკენ გზაზე უთხარი.

- სიხო, რა მითხარი, ბაბუაჩემი სად მოკლესო?
- ხო იცი, მეზიზღება „სიხოს“ რო მექახი.
- კაი, სიხარულო, სად და რა ვითარებაში აღესრულა ცხონებული ბაბუაშენი?
- ღადაობ?
- ვლადაობ? რაზე ვლადაობ?
- ბაბუაჩემზე.
- არა, რატო ვლადაობ, გაგიუდი, ჩემო სიხარულო, ხო იცი, ყველა შენიანი როგორ მიყვარს, მარტო იმიტო, რო შენ გიყვარს და მე

შენ ისე მიყვარხარ, რო შენ ვინც გიყვარს, მეც მიყვარს.

- დუელში.
- დუელში?
- ა-ჰა... და იცი, სეკუნდანტი ვინ იყო?

უცებ გვერდიდან მანქანა მოგვადგა, კი არ მოგვადგა, დაგვეწია და გვერდით ამოგვიდგა. შიგ სამი „უროდი“ იჯდა, ფანჯრები ჩამონეული ქონდათ, ერთს ხელში რაღაც საბუთი ეჭირა, ქსივის პონტში და გადააყენეო, - ოთოს ეუბნებოდნენ. ოთომ გადააყენა. ფეხებში ცელოფანში გახვეული „ფაქტი“ ჩამიგდო, ეს მოტეხეო, - მითხრა და მანქანიდან გადავიდა.

ორმა ოთო მანქანაში ჩაისვა, ერთი გადმოვიდა, ოთოს ადგილას დაჯდა და მანქანის ჩხრეკა დაიწყო. საცერფლე, ბარდაჩოკი, კაროჩე, ყველაფერს შმონავდა ეს მახინჯი, ტაფამირტყმული უროდი, თან ესე, შემომხედავს, აგრძელებს ჩხრეკას, მერე ისევ შემომხედავს, თან არაფერს მეუბნება, ვითომ თან ვარ, თან არ ვარ. დედას გეფიცები, ცოცხლად კი არ დავწვავდი, არა, დავწვავდი ცოცხლად, ოლონდ ნანილ-ნანილ, ჯერ ფეხები, მერე ხელები... მერე უცებ მომიტრიალდა და - კაიფში ხარ, გოგოო? „კაიფში კი არა, გადაეთრიე ეხლა მანქანიდან, დედამოტყწყული!“ - უცებ რამ გამახსენა - „ხაბურძანია ჩემი დაქალის მამა და თქეწი თავი თუ არ დავაჭერიო-მეტეი...“ ბოლო ხმაზე ვკიოდი, თან ვკანკალებდი, თან ვტიროდი, ვაბშე არ შემშინებია, უბრალოდ, ესეთი შეურაცხყოფა ცხოვრებაში არავის მოუყენებია. ამ ხაბურძანიაზე, დაწყნარდით, გოგონაო, - და ეგრევე გადავიდა. ოთოც გადმოსვეს.



- საღოლ, ხაბურძანია რამ გაგახსენა? - შემაქო ოთომ.
- მე სახლში დამტოვე, რა.

სახლთან გამიჩერა. მანქანიდან გადმოვედი. წამალი რო მე მქონდა, ალარ მახსოვდა.

- შენ და, იმას არ მომცემ, რამე რო იყოს, - მითხრა ოთომ და გამიღიმა.


მერე მე, ოთოს კი არა, მე, ბოტკინი დამემართა. ქორწილი გადაიდო, გადაიდო და გადაიდო. ერთი სამი თვეა, არსად შემხვედრია, არც დაურეკავს. ისე, ბაბუაჩემი მართლა დუელში მოკლეს. დუელის წინა ლამეს ბებიაჩემს უთხრა, რო მეორე დილას დუელი ქონდა დანიშნული. „სეკუნდანტად ის ადამიანი მიჰყავთ, ვისთანაც სიცოცხლის ბოლო „სეკუნდების“ გატარება უნდათო. ვიფიქრე და ესეთი ადამიანი შენ ხარ“. ბებიაჩემმა კაცად გადაიცვა და დილით ბაბუაჩემს დუელზე წაყვა.

ბაბუაჩემი დუელში მოკლეს.



eq skur si a

gaga naxucr i Svi li



თურმე გავიღვიძე. მე კი მეგონა, რომ ისევ მეძინა. ბოლო დროს რატომლაც სულ ჩემი ოთახი მესიზმრება. სიზმარშიც ალარ მყოფნის ფანტაზია. არაფერი ხდება. ასე იცის გაზეთში მუშაობამ, ყოველდღე იძულებითი წერილების წერამ.

ოქტომბრის დილაა. არსად მეჩეარება. რედაქტორს ყველაფერი ვუთხარი, რასაც მასზე ვფიქრობდი და უმუშევარი დავრჩი. ყოველდღიურ გაზეთში ვმუშაობდი. ვწერდი კულტურასა და სპორტზე. თან ნელ-ნელა ვტვინდებოდ. როგორ შეიძლება, ყოველდღე რაღაც წერო. ანომალიაა. ვერ გამოვდექი სულით უურნალისტი. საუკეთესო წერილი კი გაბრიელა საბატინის მი-ვუძღვენი. გამოვიტირე, როცა ჩიგბურთს თავი დაანება. მგონი, მხოლოდ მაშინ ვიყავი გულწრფელი მთელი ჩემი ათწლიანი უურნალისტური კარიერის განმავლობაში. მიყვარდა გაბრიელა!.. ერთხელ დამესიზმრა კიდევაც: ხელში ჩიგანი ეჭირა და მრგვალ ბალთან იდგა. მინდოდა, მასთან მივსულიყავი, მაგრამ ამ დროს გამეღვიძა. ასეთი უიღბლო ვარ.

რა კარგი ყოფილა, როცა არსად გეჩეარება. სულ დამვიწყებია ეს გრძნობა. დღეს ალბათ ვიხტიალებ, უსაქმურობით დავტკბები. დიადი რამეა უსაქმურობა. უბრალოდ, დანახვა, გაგება სჭირდება. თანაც ძალიან მიყვარს ოქტომბრის თბილისი.

ჯერჯერობით მარტო ვარ. მარტო კაცი ხეტიალშიც ბრალიაო. ვინმეს უნდა დავურეკო. წიგნაკს ვიღებ.

ლიკა — აქვს მკაცრი სიმეტრიით დალაგებული ნაკვთები. სევ-დიანად იმზირება მოდური სათვალეებიდან. მელანქოლიურად იღიმის, თითქოს მთელი სამყარო ეცოდება. ეგზისტენციალურ ვაკუუმზე, ფრონდის „ფსიქოანალიზა“ და ვალტერ ნინამძღვრიშვილის ესეებზე უყვარს საუბარი.

არა, არა, ჩემი პირველი თავისუფალი დღეა.

ნათია — აქვს გრძელი ფეხები, „წითელქუდას“ მგელივით დიდი პირი და სულ იცინის. ზედმეტად მხიარულია. ისე, ლამაზი გოგოა, თავისებური გარეგნობის. ძალიან უყვარს სიტყვა „ნუ“:

„ნუ, შენ ისევ მოწყენილი ხარ!..“
„ნუ, შენ ვერავინ გაგამხიარულებს!..“
„ნუ, შენ არაფერი გინდა!..“

ვერაფრით გააგებინებ, რომ მოწყენილი არ ხარ. უბრალოდ, ხანდახან ყირაზე დადგომა არ გინდა და ეს სრულიად ჩვეულებრივი ამბავია.

„ნუ, დღეს შენი თავი არ მაქვს, მაპატიე!..“

დღეს ყირამალას ვერ გავჭიმავ. ბოლოს და ბოლოს, ჩემი პირველი თავისუფალი დღეა.

მარი — რაღაცით გაბრიელას ვამსგავსებ, თუმცა შავგვრემანი არ არის, არც ჩიგბურთს თამაშობს. თხილამურებზე დგას კარგად. შარშან გავიცანი გუდაურში. ვხვდები, რომ მისი ნახვა

თანამედროვე საქაულები ბაკარასგან

მინდა. ერთად ვიხეტიალებთ.

— გამარჯობა, კეთილო, მშვენიერო, უუუძვირფასესო ქალბა-
ტონი.

მოწინებით მინდა გყითხოთ: თქვენი ნახვა თუ შეიძლება?

— გია ხარ? — იცინის, — რა, დღეს არ მუშაობ?

— წამოვედი... ვეჩხუბე იმ იდიოტს.

— რომელ იდიოტს?

— რედაქტორს...

— რატომ? რა, ცუდია...

— ცუდი კი არა, გადასარევია. სამაგიეროდ, თავისუფალი ვარ
პროლეტარივით, ბორკილების მეტს არაფერს ვკარგავ.

— და რევოლუციისთვის ემზადები, არა?

— რევოლუციავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ! აი, უკვე მომ-
ნონხარ.

მოდი, ექსკურსიაზე წავიდეთ.

— ლექციები რომ მაქვს?

— ერთი დღე გააცდინე... რა მოხდა!

— სად წავიდეთ?

— რა თქმა უნდა, ქალაქ თბილისში.

— ?..

— რატომ გაჩუმდი? გგონია, იცნობ თბილისს?

— აბა რა, თანაც ახლოს...

— არა, ჩემსავით არ იცნობ. ბოლოს და ბოლოს, შენზე ათი
წლით

უფროსი ვარ.

— ეჟ, ბებერი პროლეტარი...

— მე ბებერი გიდი ვარ. ჩემი სულიერი მოწოდება ხომ გიდობაა
და

არა უურნალისტობა.

— მართლა მაგარი გიდი ხარ?

— კიდევ ეჭვი გეპარება?

— ისე რა...

— მე მსოფლიოში ყველაზე ერუდირებული, საზრიანი, ენერგი-
ული,

მხიარული გიდი ვარ. მე გიდთა გიდი ვარ, მისი უგიდესობა!
იცოდე, ნახევარ საათში მრგვალ ბალთან გელოდები. ზურგჩან-
თა არ დაგავიწყდეს!..

ისევ იცინის. ვიცოდი, რომ დავითანხმებდი. დღეს მარის გიდი
გიქნები. ...




ლისალიბის 31

Tel.: 269064

E-mail.:

sales@baccaratjewelry.biz

www.baccaratjewelry.biz



© laSa gabuni a

The Future Embrace © 2005

ბილი კორგანი 90-იანი წლების უპოპულარულესი ალტერნატიული პროექტის, "Smashing Pumpkins"-ის, უცვლელი ფრონტმენი იყო მის დაშლამდე. შემდეგ მას ჰყავდა ჯგუფი "Zwan", რომელსაც წინამორბედის ბედი ეწია. კორგანი დღეს ბევრს საუბრობს „სმეშინგების“ აღდგენაზე, თუმცა წელს ძალიან საინტერესო და მის შემოქმედებაში ერთ-ერთი საუკეთესო ალბომი "The Future Embrace" გამოაცხო. ერთ-ერთ სიმღერას, "To Love Somebody"-ს, ბილი კორგანთან ერთად ლეგენდარული რობერტ სმიტი ასრულებს ჯგუფ "The Cure"-იდან. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში ამერიკულ-ბრიტანულმა ტანდემმა ავსტრალიური "Bee Gees"-ის სიმღერის ქავერი აირჩია.

ულერადობით "The Future Embrace" მკვეთრად განსხვავდება იმავე "Zwan"-ისა და "Smashing Pumpkins"-ისგან, თუმცა ამ უკანასკნელი ჯგუფის ძველ "Adore"-თან გარკვეული პარალელების გავლება შეიძლება. ცოცხალი ინსტრუმენტები დისკები ნაკლებადაა, სამაგიეროდ, საკმაო რაოდენობითაა ელექტრონიკა და ჯიმი ჩემპერლენის ("სმეშინგებიდან") და "Zwan"-იდანაც) დასარტყამები ისმის, როგორც დრამ-მანქანა. კარგი სიმღერაა "Mina Loy (M.O.H.)".

ალტერნატიული მუსიკის მოყვარულები ძალიან დიდ სიამოვნებას მიიღებნ ამ ალბომის მოსმენით. შეფასება: *** (4)

Kino Picture © 2005

პირველ რიგში, გაითვალისწინეთ, რომ ეს არ არის ჩვენთვის ცნობილი ცოის რუსული ჯგუფი. ბრიტანული „კინო“ სუპერჯგუფია, რადგან მასში სხვადასხვა ცნობილი ჯგუფის პროგრესივ-მუსიკის შემსრულებლები არიან თავმოყრილნი. მსგავსი პროექტი თანამედროვე მუსიკაში მრავლად მოიპოვება, თუმცა უმრავლესობა მხოლოდ ერთი დისკით შემოიფარგლება ხოლმე და მერე მშვიდობიანად იშლება. პროექტის წევრები შეკრიბა ცნობილი პროგრესივ-როკ-ჯგუფის, „მერილიონის“, დამაარსებელმა და უცვლელმა ბასისტმა – პიტ თრუევასმა. ამავე დროს „კინოს“ წევრები არიან: კრის მაიტლანდი ჯგუფ "Porcupine Tree"-იდან, ჯონ მიჩელი (ჯგუფებიდან – "Arena" და "The Urbane") და ჯონ ბექი ("It Bates").

ამ კომპერაციის შედეგად მივიღეთ ცოტა უცნაური ალბომი, სადაც შეხვდებით როგორც 80-იანი წლების არტროკული სულისკვეთების კომპოზიციას ("Leave A Light On"), ასევე – ბრუტალ-მეტალისტურ მძიმე გიტარებს, რაც მელოდიურ ფორტეპიანოს აკომპანიმენტში გადადის და ჯგუფ „სპარკსს“ ("Loser's Day Parade") მოგვაგონებს. მოისმენთ ბლუზისადავალსის სინთეზაც მძიმე საოპერო პათოსით – კომპოზიცია "Swimming In Women"-ში. საერთო ჯამში, შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მუსიკოსებმა პირი შეკრეს რაღაც განსაზღვრული პარმონიის გამოყენებაზე, მაგრამ ალბომი აშკარად მრავალფეროვანი გამოვიდა, ამიტომ ის დააინტერესებს არა მარტო პროგრესული როკისა და არტ-როკის თაყვანისმცემლებს. შეფასება: *** (3)



Аквариум Zoom Zoom Zoom © 2005

ბოლო ნლებში ნუ-ს (ბორის გრებენშიკოვის) მუსიკალური ხასიათი, ცოტა არ იყოს, გამხიარულდა. ის ძალიან ხშირად მიმართავს რუსეთისათვის მეტად ეგზოტიკურ მუსიკას – რეგეის, ბრაზილიურ და, ზოგადად, აფრიკულ მოტივებს. შეიძლება, ვინმემ იფიქროს, ნუ თითქოს დაბერდა და მარაზმში ჩავარდა, თუმცა ხდება ერთი საოცარი რამ – ამ ნლების მისი ნებისმიერი სიმღერა შესანიშნავად არანუირებული და მაღალგემოვნებიანია, მაგრამ ალბომები რატომღაც ნაკლებად ეფექტურია და შესაძლოა, კაცს რამდენიმე დღეში აღარც კი გაუწინდეს დისკის მთლიანად მოსმენის სურვილი. მიუხედავად ამისა, მსმენელი საყვარელ მუსიკალურ პლეილისტში აუცილებლად დატოვებს რამდენიმე ძალიან კარგ, შეიძლება ითქვას, შესანიშნავ სიმღერას, რომლებიც არასოდეს მოძველდება. სწორედ ამაშია ლეგენდარული „აკვარიუმის“ მთელი პერი.

ახალი ალბომი „Zoom Zoom Zoom~ ძალიან ნათელი და კაშკაშა დისკის ყდის დიზაინივით. ის ერთი ნლის განმავლობაში იწერებოდა. ბეგეს ჰეიტხეს, რაში მდგომარეობს საიდუმლო, ალბომი რომ ასეთი ნათელი გამოვიდაო. მან უპასუხა: „საიდუმლო ისაა, რომ არსებობს დიდი, მშვენიერი სამყარო, რომელიც ღმერთმა ან კიდევ სხვამაც შექმნა, რაც ახლა არ არის მთავარი. ამავე დროს, არსებობს ქვეყანა, ოლონდ ის პატარაა, რომელიც დღემდე საბჭოთა კავშირად რჩება, სადაც ხალხს რატომღაც უადვილდება დამტვერილ, ჭუჭყიან, ნაცრისფერ ქვეყანას უყუროს. რაღაც დროის განმავლობაში ამ პირობებთან შეგუება გიხდება. ამის შემდეგ კი დგება უამი, როდესაც შენ ამ დამტვერილ სათვალეს იხსნი და ამჩნევ ისეთ სამყაროს, როგორიც ის დღემდე იყო, არის და იქნება ყოველთვის“.

რეკომენდაციას ვუწევ შემდეგ სიმღერებს: ‘Трамонтана’, ‘Мертвые матросы не спят’ (მართლა კარგია), ‘Забадай~’, ძალიან მხიარულად ნამღერი ‘Красота (этот страшная сила)’ და ბალადა „Не могу оторвать глаз от тебя“. ალბომში შესული ყველა სიმღერა ძალიან კარგია, მაგრამ აი ალბომი ერთიანობაში... არ ვიცი, არ ვიცი, იქნებ ვცდები კიდეც. მოუსმინეთ. შეფასება: *** (3)



GROUPIES, anu seq si da r ok-en-r oli

laSa gabunia

ჰიპების დროიდან, როცა სექსუალური რევოლუცია მოხდა და თავისუფალი სიყვარულისკენ მოწოდებები არა მარტო მუსიკალური სცენიდან ისმოდა, ძალიან მომრავლდნენ გრუპიები (groupie), ანუ ცნობილ მუსიკოსთა თაყვანისმცემელი სუსტი სქესის წარმომადგენლები. რა საბოლოო მიზანიც უნდა ჰქონდა გრუპის, მისი სექსუალური მომსახურება მთავარ საბაზრო მოთხოვნილებად რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამის საფასური ხშირად შეურაცხმყოფელად დაბალი იყო. თავის დროზე ლოსანულესელი შერი ქუჩებში მარტოვა დასეირნობდა და ძვირად ღირებული სასტუმროების აივნებზე გადმომდგარ გრძელთმიან ბიჭებს ათვალიერებდა. თუ ვინმე მოეწონებოდა, მისი ითახის ნომერს იგებდა და სავიზიტო ბარათს უგზავნიდა წარწერით: „ძალიან მსურხარ“ ან, „უბრალოდ, „მოდი, ვიჟიმაოთ“. ერთმა გრუპიმ მიკ ჯაგერს ასეთი მოკლე ბარათი გაუგზავნა: „სცენაზე მაგარი ხარ, მანახე, როგორი ხარ საწოლში“. ბოლოში მისი ტელეფონის ნომერი და მისამართი იყო მიწერილი. გრუპიები საკუთარი კერპების გულის (და არა მარტო გულის) მოსაგებად და ყურადღების მისაქცევად ათასგვარ ხერხს მიმართავდნენ: უგზავნიდნენ ქვედა საცვლებსა და სასიყვარულო წერილებს, ვერტმფრენებსაც კი ქირაობდნენ, რომ მათი სათავანებელი მუსიკოსის ან ჯგუფის ვილის ეზოში ჩაფრენილიყვნენ.

„ლედ ზეპელინელი“ ჯიმი პეიჯი გრუპიებზე ამბობდა: „ისინი შენ ირგვლივ ბუზებივით ირევიან, იღებენ მაცდურ პოზებს, ყველანაირად ცდილობენ ყურადღების მიპყრობას, მაგრამ საკმარისია, ერთხელ მაინც დაუყვავო, იმწამსვე აბრეშუმს ემსგავსებიან“. გრუპის არსებობის აზრი მის ადვილად ხელმისაწვდომობაში და სექსუალურ მომსახურებაში მდგომარეობს. პრინციპში, გრუპი წებაყოფლობითი მონაა, რადგან ძალიან იოლია მისი დამცირება. ნანილობრივ ამიტომაც ორალური სექსი („blow job“, „giving head“, „cocksucking“), რომელიც ასე გავრცელებული იყო გრუპებთან ურთიერთობებისას, მათ ადვილად დამორჩილებაზე მეტყველებდა. ამავე დროს, ამ ხერხით ცდილობდნენ, თავიდან აეცილებინათ რაიმე გადამდები დაავადება.

ბრიტანული ჯგუფის, ELO-ის, დრამერი ბივ ბივენი იხსენებდა შემთხვევას ორეგონის შტატის ქალაქ სალემის ოტელის ბარში, სადაც ჯგუფის წევრები ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ ისვენებდნენ. მათ გარდა ბარში მხლობდ მოწყენილი ბარმენი და დაქირავებული პიანისტი იყო, რომელიც შლიაგერების სტანდატულ კომპილაციას უკრავდა. ამ დროს 4 ახალგაზრდა გოგონა შემოვიდა, რომელთა საქმიანობაც ეჭვს არ იწვევდა. ისინი ძლიერ თვითდაჯერებულად იქცეოდნენ. წინამძღვალიც კი ჰყავდათ, ვინმე პენი, ვინც მუსიკოსებს ასე წარუდგა: „დვირფასებო, ჩვენ გვევია „Flying Garter Girls“ („მფრინავი

წვივსაკრავების გოგონები“) და მე ვხელმძღვანელობ ამ მხარის ორალური სექსის საუკეთესო აკადემიას“. ამის შემდეგ პენი და მისი „რაზმი“ ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში მუსიკოსების დარწმუნებას შეეცადნენ. პენიმ და მის მემფისმა ორი მუსიკოსი საცეკვაოდ გამოინვიეს, ხოლო შერილი და სინდი-ლუ იატაკზე გაგორდნენ და ერთმანეთის კოცნა დაიწყეს. ეს საქციელი პენიმ ასე განმარტა: „ჩვენ ბისექსუალები ვართ და ერთმანეთთან სექსიც გვეკაიფება“.

გრუპი აიტანს ყველაფერს: ვუაერიზმს, ჯგუფურ სექსს, მსუბუქ სადიზმაც კი. მისი ამოცანაა, როგორსაც სექსუალური დაკამაყოფილების რაც შეიძლება ფართო სპექტრი წარმოაჩინოს – საყოფაცხოვრებო მომსახურებით დაწყებული, ბორდელით დამთავრებული. ეს ყველაფერი კი უმაღლეს სტანდარტებს შეესაბამება. რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის შედეგად „უკანონო შვილებიც“ იბადებიან. ამბობენ, რომ „როლინგ სტუნზის“ გარდაცვლილი წევრი ბრაიან ჯონსი 6 შვილის მამა იყო. ჯიმი ჰენდრიქსსაც, რომელმაც გრუპიებს სახელიც კი მოუკონა – „Band Aids“ (სიტყვათა თამაშია: band-aid – სახვევი და band aid – „ჯგუფის დახმარება“), სიკვდილის შემდეგ აურაცხელი ბავშვი დარჩა. მას სიცოცხლეშივე მოუწია სასამართლოებში სირბილი, რათა უკანონო ბავშვების შვილად აყვანა-არაყვანის საქმები გადაეწყვიტა. 1980 წელს ბერლინის მკვიდრმა, ერიკა ჰიუბერსმა, განაცხადა, რომ მას პოლ მაკარტნისგან 17 წლის გოგონა ჰყავდა, რომელიც თითქოს იმ პერიოდში ჩაისახა, როცა „ბითლზები“ ჰამბურგის კლუბებში უკრავდნენ. „მომკალით და არ მახსოვს ეს ქალი!“ – ამტკიცებდა მაკარტნი. მარშა ჰანტმა კი სასამართლოს დახმარებით აიძულა მიკი ჯაგერი, მისი შვილის მამობა ეღიარებინა.

„ყველა ქალაქის გრუპი თავისებურია, – აღნიშნა ჯიმი პეიჯიმ, – მაგალითად, ჩიკაგოში ერთ საწოლში ერთდროულად ორ-სამ გოგოსთან უიმაობა შეგიძლია“. 1969 წელს უურნალმა „Rolling Stone“-მა გრუპის ფეხომენისადმი მიღვნილი ნიმერი გამოსცა. მაშინ უურნალი გააკრიტიკეს იმ სტატიის გამო, სადაც ავტორი ამტკიცებდა, რომ ნიუიორკელი გრუპიები „სულ სხვა ჯიშისანი“ არიან. იმავე პეიჯის განმარტებით, სანფრანცისკოელი გრუპიები თითქმის მეგობრობენ, როცა ნიუიორკელი და ლოს-ანჟელესელი გრუპიები იმის თვლაზე არიან დაციკლულები, თუ ვინ უფრო მეტი პოპ-ვარსკვლავი მოინადირა. ერიკ კლეპტონი იხსენებს 1967 წელს, როცა ჯგუფ „The Who“-სთან ერთად „Murray the K Show“-ში გამოდიოდა: „ირგვლივ ტონობით გოგონა ირეოდა... ზოგი საშინელი შესახედაობის, ნათრევ ბებერ ძუენას ჰყავდა, თუმცა მათთან ერთად ძალიან ბატარა გოგონებიც იყვნენ, რომელთა საქმიანობაც ეჭვს არ იწვევდა. ყოველ შემთხვევაში, მათ ზედმეტად უმწიკვლო გამომეტყველება ჰქონდათ“.



PAUL McCARTHY / SPAGHETTIMAN / 1993

მსგავსმა კლასიფიკაციამ საკმაოდ გაამართლა, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც გაჩნდა „მუდმივი გრუპის (ხარჭის) ინსტიტუტი“. ჯენი ფაბიანი, რომელიც სხვადასხვა დროს რამდენიმე ინგლისური გრუპის დაჯგუფების წევრი იყო და ჯონი ბირნთან ერთად წიგნის, „Groupie“-ის, თანაავტორიც გახდა, ამტკიცებს, რომ მათ წერში ძალიან მძღავრი კონკურენცია არსებობდა.

ფსკერზე იყვნენ ე.ნ. „ძუკნები“, რომელთა „დათრევაც“ ნებისმიერ მომენტში იყო შესაძლებელი. მათ არ უხდიდნენ ფულს, მადლობასაც კი არ უუბნებოდნენ. იყენებდნენ მაშინ, როცა ამის მოთხოვნილება გაუჩნდებოდათ. ბობი კოლომბო, „Blood, Sweat And Tears“-ის დრამერი, რომელიც შარშან თბილისშიც იყო, ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა: „ჩვენ მსოფლიოში ყველაზე მახინჯი ჯგუფი ვართ. ქალებიც ასეთივე მახინჯები გვყავს, ამაზრზენები და სქელტორაკიანები“. დეტროიტში გასტროლისას „ზეპელინის“ მუსიკოსებს ორი ზედმეტად შეუხედავი, მაგრამ გაჯინებული არსება აეკიდათ. მუსიკოსებმა ისინი თავიდან ვერაფრით მოიცილეს, ბოლოს კი შურისძიება გადაწყვიტეს. გეგმა ასეთი ჰქონდათ: ორივე სასტუმროს ნომერში უნდა შეეთრიათ, გაეშიშვლებინათ და ტანზე ფუნთუშების კრემი წაეთხიანათ. ფუნთუშების მოსატანად რობერტ ბლანტი გაგზავნეს, მაგრამ გვიანი ღამის გამო მან „სანამებელი მასალა“ ვერ იშვიათ. მუსიკოსებს ჩანაფიქრი ჩაეშალათ. „ძუკნებს“ შორის იყო ცნობილი გრუპირინი, რომელიც ორალური მეთოდებით ართობდა თვითმფრინავში, „როლინგების“ მუსიკოსებს. ერთხელ შიშველი რინი დაქანცული და ოფლიანი ინვა თვითმფრინავის იატაკზე. ამ დროს სალონში ფორთოხლის წვენით მისი „კოლეგა“ შემოვიდა. დაღლილმა რინიმ ერთი ყლუპი წვენი მოსთხოვა, რაზეც მეორე გრუპიმ უპასუხა: „იმის შემდეგ, რა-საც შენ აკეთებდი, ვერ დაგალევინებ, მეგობარო“.

მწვერვალზე „ქალბატონები“ ბინადრობდნენ, რომელთა უმრავლესობა თავს გრუპიებად აღარც კი თვლიდა. მათ ისე ეპურობოდნენ, როგორც ცოლებს ან უმაღლესი კლასის მეძავებს. 60-იანების მიწურულს ვიეტნამის ომის ვეტერანი და ქანთრი-მუსიკოსი ჯო მაკდონალდსი ამბობდა: „რა მნიშვნელობა აქვს, რა მოტივები აქვთ მათ? თუ თქვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, კმაყოფილები დარჩებით. გრუპი ასწორებს. ის შენს კონცერტებზე დადის, სცენაზე ყვავილებსა და ტრუსებს გესვრის, საწოლში გინვება... მოკლედ, მაგარია!“ ერთი კლეპტონი იხსენებს: „უმრავლეს შემთხვევაში გრუპიები ძალიან თბილები და გულისხმიერები იყვნენ. თუკი მათთან სიყვარული მოგინდებოდათ, უარს არ მიიღებდით. როცა დაღლილი იყავით, ისინი საჭმელს აკეთებდნენ და ნომერს ალაგებდნენ. მათთან ერთად თავს ისე გრძნობდი, როგორც სახლში“. იმავეს ამტკიცებდა ჯიმი ჰენდრიქისც: „ისინი ტყუილუბრალოდ არ ამბობენ, რომ „სიყვარულს ვატარებთ“, ეს მართლაც ასეა. სანამ იმ ქალაქში სტუმრად ხარ, ზრუნავენ შენზე, წინდებს გირეცხავენ, თან გყვებიან, რადგან იციან, რომ სამუდამოდ ვერ დაგეუფლებიან“. თუმცა ამ რომანტიკული ილუზიების მიღმა მამაკაცური შოვინიზმის მკაცრი რეალობა იმაღებოდა. ჰენდრიქის მეგობარი გოგონა, კეტი ეტჩინჭემი, იხსენებდა: „მას არანორმალური სექსუალური მადა ჰქონდა. ერთ დამეში თავისუფლად შეეძლო სამ-ოთხ გოგონასთან ჰქონდა კავშირი. ერთხელ მანჩესტერის კონცერტის შემდეგ ქალთა ტუალეტში შევასწარი ვიღაცასთან. მისთვის ის გოგონა არაფერს წარმოადგენდა, ისევე როგორც ჩემთვის ეს სცენა არ ნიშნავდა რაიმეს. მაშინ უბრალოდ ვთხოვე, აჩქარებულიყო, რადგან ლონდონის მატარებელზე გვაგვიანდებოდა“.

საერთოდ, ჰენდრიქსი ქალებთან, ნარკოტიკებთან და დასალევთან დამოკიდებულებაში არავითარ ნორმებს არ იცავდა. გაცნობის ჰიპოველსავე დღეებში ჯიმიმ კეტი საძინებელ ოთახში ჩაკეტა, თვითონ კი გარედან მოთმინებით უხსნიდა, როგორუნდა მოქცეულიყო ქალი, რომლისთვისაც ის რაღაცას წარმოადგენდა. ლონდონში ყოფნისას მეგობართან დასარეკად ნომერში ასულ კეტის ჰენდრიქსი აედევნა. ეგონა, მისი გოგონა იდუმალ საყვარელს ესაუბრებოდა. სინამდვილეში კეტი თავის მეგობარ გოგონას უზიარებდა შთაბეჭდილებებს. გამძინვარებულმა ჯიმიმ კეტის ტელეფონი თავზე გადაამტკვრია. საბედნიეროდ, გოგონას განწირული ყვირილი დერეფანში ლენონმა და მაკარტნიმ გაიგონეს, ნომერში შეცვიდნენ და სიტუაცია განმუხტეს. თუმცა სხვა დროს ზედმეტად ეჭვიანმა ჰენდრიქსმა კეტი კიდევ სცემა და ცხვირი სამ ადგილას გაუტეხა.

გასული საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს, უურნალისტ ელ არონვიცის მტკიცებით, ნიუ-იორკში 4-5 სახელგანთქმული გრუპი ცხოვრობდა. მათგან ერთ-ერთი, სახელად, დევონი, ჰენდრიქსის ყველაზე ცნობილი მეგობარი იყო, თითქმის ცოლი. თუმცა დევონი დიდხანს არავისთან ჩერდებოდა. ამ გრუპისთან მეგობრობა ვარსკვლავის სტატუსის მანიშნებელი იყო. დევონს უამრავი სახელგანთქმული ფავორიტი ჰყავდა: ბრაიან ჯონსი, მიკ ჯაგერი, თავად ჯიმი ჰენდრიქსი და სხვები. მასთან ურთიერთობა კარგ ტონად ითვლებოდა. მისი ტელეფონის ნომერი მიკ ჯაგერმაც შეიტყო, დაურეკა და ფილადელფიის კონცერტზე გაყოლა შესთავაზა. ამის შემდეგ დევონს მეგობრები ურეკავდნენ და ულოცავდნენ დიდ გამარჯვებას. ასეთი რეაქცია თუნდაც იმით იყო განპირობებული, რომ დევონი შავაკანიანი იყო. ერთი პერიოდი ჰენდრიქსის ცოლობაზეც ფიქრობდა, თუმცა, ამავე დროს, რაც უნდა უცნაურად უდერდეს, სუტენიორის როლსაც ითავსებდა და მუსიკოსს სხვა გოგონებით „ამარაგებდა“. დევონი ბედნიერად გრძნობდა თავს, რადგან ბევრისთვის სასურველი ქალი იყო. ჰენდრიქსის სიკვდილმა იგი შეძრა. ორიოდე წლის შემდეგ მან ჰეროინის ზედმეტი დოზით მოიკლა თავი.

კიდევ ერთი სახელგანთქმული გრუპი კრისი ცნობილი ამერიკული ჯგუფის, „Lynyrd Skynard“-ის, მენეჯერის, დინ კილპატრიკის, უახლოესი მეგობარი იყო. კილპატრიკი მთელ ჯგუფთან ერთად 1977 წელს ავიაკატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა. კრისი იხსენებდა: „ვუდსტოკი ის ადგილი იყო, სადაც მე პირველად აღმოჩნდი სახლიდან მოცილებით. უკვე ვენეოდი ბალას, თუმცა უფრო სერიოზულ რამეებს არ ვეტანებოდი. ძალიან ბევრთან ვიწექი, ყველას გახსენება მიჭირს“. ვუდსტოკიდან კრისი ერთ-ერთ მუსიკოსს ნიუ-იორკში წაჟაფრი. ერთი კვირის განმავლობაში კრისი იღებდა ალკოჰოლსა და მძიმე ნარკოტიკებს („ელესდეს“ ჩათვლით). ამ ყველაფერმა ცუდად იმოქმედა გოგონაზე. მეგობარმა ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ გრუპი ცუდად იყო. უფრო მეტიც, შეეცადა, გაეუბატიურებინა და ისე საშინაოდ სცემა, რომ კრისი საავადმყოფოში მოხვდა. ამის შემდეგ კრისი ტიპური გრუპივით ცხოვრობდა და დამცირებებს სხვა მუსიკოსებისგანაც იტანდა. კრისი ამბობდა: „ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ამ ცხოვრებაში რაღაც დანიშულება მქონდა – ამესრულებინა ვიღაცის ოცნება, დავხმარებოდ ვინმეს, ხალხის რაობრივი გამოკეთებინა... საშინალად ვცდები“. კილპატრიკის დაღუპვის შემდეგ კრისი რაღაც დანიშულება მქონდა – ამესრულებინა ვიღაცის ოცნება, დავხმარებოდ ვინმეს, ხალხის რაობრივი გამოკეთებინა... საშინალად ვცდები“.

„როკ-ენ-როლის ცოლის“ მდგომარეობის მიღწევა მხოლოდ

ილუზიური ტრიუმფია. გრუპის შეუძლია, შეაღწიოს წმიდათანგმიდაში, მაგრამ ამისთვის საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვაა საჭირო. კინომსახიობმა ანიტა პალენბერგმა, ტევტონმა ლამაზმანმა, საკუთარ თავზე გამოსცადა გრუპის ხვედრი. 60-იანი წლების ნახევრიდან ის „როლინგების“ წევრს, ბრაიან ჯონსს, დაუმეგობრდა. თავიდანვე მათი ურთიერთობა დაძაბული იყო. ჯონსი ანიტასგან უსიტყვო მორჩილებას ითხოვდა, გოგონა კი მის პარანოიკულ ფანტაზიებში მონაწილეობდა, მასთან ერთად იღებდა ნარკოტიკს. 1967 წელს ანიტა კიტ რიჩარდსთან წავიდა. თავდაპირველად ამ რომანს ისინი ბრაიანს არ უმხელდნენ, მაგრამ როცა ჯონსმა მაროკოს ოტელში ორი მედავი მიიყვანა და ანიტას ამ ჯგუფურ ორგიაში მონაწილეობა მოსთხოვა, კიტმა გოგონა მანქანაში ჩასვა და წაიყვანა. თავის მხრივ, არც ანიტა იყო ანგელოზი. ერთი პერიოდი ჰეროინზე „იჯდა“, თუმცა მან ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან თავის დაღწევა მოახერხა. როგორც სხვა როკერები, ოკულტიზმით იყო გატაცებული და ნიკოლას როგას ფილმის, „Performance“-ის, გადაღებების დროს მთელი გადამდები ჯგუფი ჭკუიდან გადაიყვანა. 70-იანების მიწურულს კი განაცხადა, რომ კუდიანთა შაბაშის წევრია, თუმცა მოგვიანებით ამას უარყოფდა. 1979 წლის ივლისში საუტ-სალემში, კიტ რიჩარდსის აგარაკზე, ანიტას ლოგინში 17 წლის სკოტ კანტრელის გვამი აღმოაჩინეს, რომელმაც თავი 38-კალიბრიანი „სმიტ-ვესონით“ მოკლა. იარაღი სამი ტყვიით სახლში ინახებოდა. სკოტი მამასთან კონფლიქტის გამო დეპრესიით იყო შეპყრობილი. ცხოვრების უკანასკნელ დღეს ის ანიტასთან ერთად სვამდა, მარიტუანას ეწეოდა და რუსულ რულეტზე ბევრს ლაპარაკობდა. გარდაცვლილი სკოტის მამი ირწმუნებოდა, რომ ანიტა მის ბიჭზე შეყვარებული იყო, შეაცდინა და მასზე ოკულტურ ცდებს ატარებდა. მიუხედავად ამისა, ანიტას მხოლოდ ერთი ბრალდება – არარეგისტრირებული იარაღის შენახვა – წაუყენეს. შეიძლება, მხოლოდ ვივარაუდოთ, რა რთული ურთიერთობა ექნებოდა მას იმ პერიოდში კიტთან, თუმცა რიჩარდსის პრეს-აგენტი ამტკიცებდა, რომ წყვილი ერთმანეთს არ დაშორებია. მართლაც, სკოტის სიკვდილიდან რამდენიმე თვის შემდეგ კიტი ანიტასთან და მათ საერთო შვილთან, მარლონთან, დაბრუნდა.

„როლინგ სტოუნზის“ ფანატ გრუპიებს შორის ალბათ ყველაზე გამორჩეული (70-იანების მეორე ნახევარში) იმდროინდელი კანადის პრემიერ-მინისტრის, პიერ ტრიუდოს, ახალგაზრდა ცოლი მარგარეტ ტრიუდო იყო. როდესაც 1977 წელს ჯგუფის წევრები ტორონტოში ჰეროინის შენახვისთვის დააკავეს, მარგარეტი „როლინგებმა“ ავადმყოფურად მოხიბლეს. ნიუ-იორკში გატარებული დღეების შემდეგ მიკიმ განაცხადა: „მე არც დამიყოლებია რამეზე და არც უარი მითქვამს. აბა სცადე, თავი დაიძრინო ადამიანისგან, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე 6 დაცვის ბიჭი დასდევს და თითოეულს ჯიბეში ორ-ორი იარაღი უდევს. გმადლობთ, მაგრამ არაფრის დიდებით. ის მეტად თვით-დაჯერებული ახალგაზრდა აღმოჩნდა, თუმცა, ჩემი აზრით, უბრალოდ, ავადმყოფია. მასთან ორი ლამე გავატარე, მაგრამ ამის შემდეგ ახლოსაც არ გავეკარები“.

გრუპიების ცხოვრება დღესაც გრძელდება და არა მარტო როკ-მუსიკაში. თითქმის ყველა სტილის მიმდევრებში არსებობენ გოგონები, რომლებიც საკუთარი თაყვანისცემის ობიექტთან ლოგინში ჩასაკოტრიალებლად ყველაფერს გააკეთებენ, ყველანაირ სექსუალურ მომსახურებას შესთავაზებენ.



Ria kar s mi Rma

“er Tsa da i mave garemoSi
Ti Toeuli sakutar samyar oSi
cxovr obs” - არტურ შოპენჰაუერი

natia JoxaZe

სოციალური და პერსონალური სივრცის აღქმა და მისი კავშირი სხვადასხვა კულტურასთან პირველად გასული საუკუნის 90-იან წლებში აღმოვაჩინე, როდესაც ჩემი პედაგოგის რეკომენდაციით ამერიკელი მეცნიერისა და ეთნოფსიქოლოგის, ევარდ ჰოლის, წიგნი „დამალული განზომილება“ წავიკითხე.

პირველივე რეაქცია წიგნზე: – სად ვიშოვო ამ ავტორის სხვა წიგნები? სასიამოვნო დამთხვევების შედეგად რამდენიმე წელიწადში ზემოხსენებული მეცნიერის ორი ნაშრომი ჩემს მაგიდაზე აღმოჩნდა.

საკითხი, რამაც ყველაზე მეტად მიიქცია ჩემი ყურადღება, კულტურათაშორისი განსხვავებები იყო, რაც სივრცის ინდივიდუალურ გამოყენებასა და აღქმაში გამოიხატებოდა.

ცნობილი ტერმინი „გეოგრაფიული დეტერმინიზმი“, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, „კლიმატური დეტერმინიზმი“, ბევრი ავტორის აზრით, ზუსტადაც რომ მიესადაგება სხვადასხვა ეროვნების ადამიანების ან სხვადასხვა კულტურის ხალხის მიერ სივრცის გამოყენების, განაწილებისა და გაზიარების ფორმებს.

გეოგრაფიული დეტერმინიზმის ისტორია ანტიკურ ხანაში იწყება – ბერძენი გეოგრაფი სტრაბო წერდა, რომ კლიმატი გავლენას ახდენს სხვადასხვა რასის ფსიქოლოგიაზე.

გეოგრაფიული დეტერმინიზმის თეორიის მიმდევართათვის ამოსავალი წერტილი კლიმატური პირობებია, რაც, მათი აზრით, ზეგავლენას ახდენდა ინდივიდუუმების ფსიქოლოგიურ ტემპერამენტზე, რომელიც, თავის მხრივ, აისახებოდა საზოგადოებასა და კულტურაზე – ტროპიკული კლიმატი უწესრიგობისა და სიზარმაციის, ხოლო ამინდის ხშირი ცვლა შუალედურ განედებზე – ინტელექტის განვითარების წინაპირობად ითვლებოდა.

აღნიშნული თეორია გასული საუკუნის დასაწყისში თითქმის დანაშაულად გამოცხადდა. გეოგრაფებმა სიტყვა „დეტერმინიზმის“ შერბილება სცადეს და თეორიას ახალი სახელი – „გეოგრაფიული შესაძლებლობა“ – დაარქვეს, თუმცა თეორიის არსი ამით მაინცდამაინც არ შეცვლილა. რუსი გეოგრაფი გეორგი პლეხანოვი თავისი ერის ფეოდალურ ეპოქაში ჩარჩნას (იმის ნაცვლად, რომ კაპიტალისტურ წყობაში გადასულიყო და კომუნისტური რევოლუციისათვის მომწიფებულიყო), რუსეთის გეოგრაფიული თავისებურებით ხსნიდა. პლეხანოვის აზრით, განიერი მინდვრები/მდელოები კლასთაშორისი კონფლიქტების გაბნევის სამუალებას იძლეოდა.

იმავე საკითხებზე წერდა მე-20 საუკუნის კიდევ ერთი საინტერესო ფილოსოფოსი – ბულგარელი გეორგი გაჩევა. თუ გაჩევის იდეებს საქართველოსა და რუსეთს მოვარგებთ, გამოვა, რომ საქართველოში, რომელიც მთებით არის გარშემორტყმული, ენერგია, დადებითიც და უარყოფითიც, ადგილზე რჩება და აისახება აქ მცხოვრებ ხალხზე. შესაბამისად, ჩადენილი დანაშაული (ბოროტება) მის ავტორს აუცილებლად უბრუნდება. რუსეთში კი, ისევ გეოგრაფიიდან გამომდინარე, ციმბირელმა დამნაშავემ სავსებით შესაძლებელია ბედნიერად იცხოვროს მოსკოვში — გაშლილი სტეპები ენერგიის გაფანტვის საშუალებას იძლევა.

არ ვიცი, რამდენად იყენებს ეთნოფსიქოლოგია გეოგრაფიული დეტერმინიზმის თეორიას, აქ ამაზე არც ვსაუბრობთ, მაგრამ ის, რომ არაბების ქცევის მოდელები მკვეთრად განსხვავდება, დავუშვათ, გერმანელებისაგან — გეოგრაფიული მაჩვენებლების გარდა, კიდევ სხვა უამრავი ფაქტორითაა განპირობებული.

მე, როგორც არც ფილოსოფოსი, არც ეთნოლოგი და არც ფსიქოლოგი, ნაკლებად შევძლებ სხვადასხვა ეთნოსის ფსიქოლოგიური პორტრეტების მეცნიერულ ანალიზს. ჩემთვის, როგორც არქიტექტორისთვის, გაცილებით საინტერესოა, როგორ აღიქვამს ესა თუ ის საზოგადოება, ხალხი, ერი სივრცეს და, შესაბამისად, როგორ იქცევა ამ სივრცეში.

სივრცის კულტურულ-ეროვნული აღქმის ნიუანსები ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნისას აღმოვაჩინე. იქ, მაგალითად, დისტანცია რიგში მდგომ ადამიანებს შორის გაცილებით დიდია, ვიდრე ჩვენთან, საქართველოში. ევროპაში ეს დისტანცია მცირდება, თუმცა ჩვენგან მაინც საგრძნობლად განსხვავდება. ეს ნიუანსიც კი შესაძლოა საკმარისი იყოს ამერიკელების (გნებავთ, ქართველების) მიერ სივრცის აღქმის და, ამასთანავე, სოციალური ურთიერთობების (ვინაიდან საქმე სოციალურ დისტანციას ეხება) ანალიზისათვის. სოციალურ დისტანციას ამერიკაშიც და ევროპაშიც განსაკუთრებით სკრუპულობურად ეკიდებიან. თუნდაც ის გარემოება, რომ თითქმის ყველა („თითქმის“, რადგან მე ყველგან არ ყყოფილვარ და ვერც ვიქნებოდი, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ყველგან ასევა) მომსახურების პუნქტში დისტანციის აღნიშვნელი მონიშვნებია გაკეთებული ან დადგმული.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები დისტანციის სხვადასხვა დონეს გამოყოფენ, ხშირ შემთხვევაში ის, რაც ერთი ერისთვის სოციალური დისტანციაა, მეორისთვის შესაძლოა, პერსონალური და ინტიმურიც კი იყოს. მაგალითად, ქართველების


ურთიერთობის მოდელი (ხშირი შეხება, კონტაქტი თვალებით, სიახლოვე ორ კოლეგას, მეზობელს ან ნაცნობს შორის, რაც, ზოგადად, სოციალური დისტანციის არეალში მოიაზრება) ამერიკელისთვის შესაძლოა, მეტად ინტიმური იყოს (ანუ მის მიერ აღიმებოდეს, როგორც ინტიმური დისტანცია). როდესაც არაბების ქცევის ფორმებსა და დისტანციებზე ვკითხულობდი, უნებურად პარალელს ვავლებდი ქართულ რეალობასთან — სივრცის გამოყენების ბევრ ძალიან კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავება თითქმის არ არსებობს.

ერთი მოკლე ჩართვა საკუთარი გამოცდილებიდან: თბილისში, ერთ-ერთ ბანკში, საკმაოდ კარგი დიზაინითა და მომსახურებისთვის განკუთვნილი ყველა ატრიბუტი კით (მათ შორის, რიგის არსებობის შემთხვევაში გათვალისწინებული დასაჯდომებით, პრესითა და პირის გასასველებელი კანფეტებით) კონკრეტული ოპერაციის ჩასატარებლად მისულს, ყველა ოპერატორი დაკავებული დამხვდა. მიუხედავად დიდხნიანი გამოცდილებისა, მაინც გადავწყვიტე, რომ იქვე, სულ რაღაც 1,5 მეტრში მდგომ სკამზე დავმჯდარიყავი და დავლოდებოდი, როდის მოვიდოდა ჩემი ჯერი. დიდხნანს რომ არ გავაგრძელო, მოკლედ ვიტყვი, რომ ჩემ წინ სულ ცოტა 5-მა ადამიანმა ისარგებლა გათავისუფლებული ოპერატორის მომსახურებით. ბოლოს და ბოლოს, ექსპრიმენტს თავი დავანებე, ავდექი სკამიდან და კარგად აპრობირებული ხერხით (ანუ ისევე, როგორც ჩემ წინ მყოფი ადამიანები) იქვე, ბანკის ოპერატორის მაგიდის პირდაპირ დავდექი, თანაც ისე, რომ ცალი ხელით ამ მაგიდასაც ვეხებოდი (ეს აუცილებელი ნიშანია იმისა, რომ შენ წინ კიდევ არ ჩადგეს რამდენიმე კაცი). გამოთავისუფლებულ ოპერატორთან ნანატრი ადგილის დაკავებისთანავე მარცხნიდან ახალგაზრდა, საქმაოდ გემოვნებით ჩაცმული გოგო ამომიდგა (თავისი აზრით, რიგში ჩადგა, თუმცა ლამის მეხებოდა), თითქოს ჩემი საუკეთესო მეგობარი ყოფილიყოს და ერთად ვახდენდეთ საბანკო ოპერაციებს. ამომიდგა გვერდით და არა დადგა უკან. და აბსოლუტურად გაოცებული, გაკვირვებული და უფრო მეტად შეურაცხყოფილი მზერით ნახევარი ნაბიჯით გვერდზე გადადგა, როდესაც ოპერაციის კომფორტულად წარმართვისთვის გაწევა ვთხოვე.

სულაც არ მინდა ვთქვა, რომ ქართველებს რიგში დგომის (სინამდვილეში კი აქ გაცილებით მეტი და საინტერესო საკითხებია, ვიდრე ეს ბანალური რიგი) კულტურა არ გვაქვს (ამაზე სხვამ ილაპარაკოს), მხოლოდ მინდოდა მეთქვა, რომ აქ, ჩვენთან, მიუხედავად ჩვენი მეცნიერულად დასაბუთებული პირველევრობელობისა, სხვა ევროპელებისგან განსხვავებით, სივრცის დაპყრობა რადიკალურად განსხვავებული ხერხებით ხდება, ხოლო სივრცის დაპყრობის ფორმები პირდაპირ კავშირშია ადამიანურ, პიროვნულ ურთიერთობებთან. სოციალური ზონები (დისტანციები) ჩვენ — ისევე როგორც ბევრ სამხრეთელ ხალხებს, თუნდაც არაბებს — მინიმუმადე, პრაქტიკულად სხეულის რადიუსამდე გვაქვს დაყვანილი.

დიდი ხანი ვცდილობდი, ამეხსნა ქართულ რეალობაში დამკვიდრებული სიტყვების (თუ ტერმინების?) — „ავადექი“, „დავადექის“ — მნიშვნელობა. ბოლოს ვიპოვე (შესაძლოა, სუბიექტური) ახსნაც: ადამიანთან (მის საცხოვრისში, მის სამსახურში, მის პირად გარემოში) მისვლა კი არა, არამედ თავდასხმა. ერთ ჩემს გერმანელ მეგობარს დიდხანს ვუხსნიდი ამ სიტყვების მნიშვნელობას (მინდოდა, მისი შესატყვისი მეპოვა გერმანულ ენაში), ვერაფრით გავაგებინე, საბოლოოდ, შევეშვი.

სხვადასხვა კულტურისა და ეროვნების ადამიანების მიერ



*
სივრცის განსხვავებულად აღქმა ხშირად ხდება კონფლიქტების მიზეზი. მაგალითად, ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში, სადაც უმეტესად ამერიკელები და გერმანელები მუშაობდნენ, დაძაბულობის გამო ორგანიზაციის მუშაობა პარალიზებული იყო. დაძაბულობის მიზეზი კი, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, გერმანელებისა და ამერიკელების მიერ კარის არსის სხვადასხვანაირი აღქმა იყო: გერმანელისთვის კარი სიმყარესთან, საიმედოობასთან ასოცირდებოდა. გერმანელი მუშაობის დროს აუცილებლად ხურავდა კარს, რაც სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ მას არ სურდა ურთიერთობა ან ის რაიმეს მალავდა, ხოლო ამერიკელი გერმანელის ამ ჟესტს მისი კულტურისთვის ცნობილ ჭრილში განიხილავდა და თვლიდა, რომ გერმანელს არ სურდა კომუნიკაცია ან სულაც რაღაც მალავდა.

ამერიკელისთვის კარი თავისი შინაარსით ყოველთვის ლიაა, რაც მისი მხრიდან იმის მანიშნებელია, რომ მას დასამალი არაფერი აქვს. ამ ორი ერის დამოკიდებულება კარისადმი შესაბამისად აისახება დიზაინშიც. თუ გერმანელისთვის კარი მასიური, მძიმე, ტრადიციულია, ამერიკელისთვის, რომელსაც კარი მუდმივად ღია აქვს, გაცილებით მნიშვნელოვანია მისი სიმარტივე და სიმუშბუქე.

იმ ორგანიზაციაში კონფლიქტი მოგვარდა, მაგრამ დღესაც კი რამდენი გაუგებრობაა ადამიანების ურთიერთობებში, თუნდაც ელემენტარული ღია კარის გამო?

თემა, რა თქმა უნდა, ადამიანურ ურთიერთობებს არ ეხება. ეს სფერო იყო და ყოველთვის იქნება ფსიქოლოგთა, სოციოლოგთა და ფილოსოფოსთა განსჯისა და კვლევის საგანი, მაგრამ ის მნიშვნელოვანი „ნიუანსი“, რასაც სივრცის დაგეგმარება ჰქვია და რომელსაც შეუძლია, რადიკალურად შეცვალოს ადამიანური ურთიერთობები (დაახლოება თუ არა, უპრალოდ, მოსმენა და გაგება), ხშირად, ძალიან ხშირად ელოდება კარის გაღებას. კარს მიღმა კი უამრავი ადამიანია, საკუთარი, მხოლოდ საკუთარი სამყაროთი.



CORPORATION BANI & COMPANY

97, V. PSHAVELA AVE., 380086
Tel.: (8832) 294462, 294464

FAX: (8832) 294460 TELEX 212132 BANI

FIRM SHOPS BANI-AVTOIMPEX

Clothes

Tbilisi, 95, V. Pshavela Ave.
Tel.: 310737

Cars

Mtskheta (Tserovani).
Tel.: 931524

PAYMENT IN RUBLES AND CURRENCY

COMMERCIAL BANK BANI BANK

GUARANTEE OF YOUR POSSIBILITIES

- commercial bank business
- Investigation activity

97, V. PSHAVELA AVE., 380086
Tel.: 312471, 311609

RANGERS LTD

Informational-Detective Agency

74, Chavchavadze ave. 380062
Tel.: 299199, 299171
Fax: (8832) 227941

Body - guard &
defence of property

The Specialized commercial BANK of the Social Development of Housing and Communal Economy

3, PUSHKIN Str. 380007
985304 FAX: (8832) 997726



CONCERN REVIVAL

Science, production, commerce
• COMMERCIAL BANK

75, CHAVCHAVADZE Ave. 380062 TEL.: (8832) 291796, 299367

GEORGE Co

PRODUCTION
COMMERCE,
MARKETING

76, Chargali Str. 380080
ISARI, FACTORY AGAT B.5



VERTBANK

will be glad to support your business

18, Paolo Iashvili Str. 380007
Tel.: 995721, 983509
Fax: (8832) 995240
Tlx.: 212996 IVBT

5/7, Leselidze Str. 380005
Tel.: 987390, 987394
Fax: (8832) 987395
Telex: 212199 AGUNA



5/7, Leselidze Str. Tel.: 983895
5 kor., 3 m/r. Didi Digomi
3-a kor., 9 kv. Varketilis Masivi
Tel.: 733503
28, Mevelis Str.

MIMINO CONSULTING

BUSINESS CONSULTING
MARKETING RESEARCH

20, LESELIDZE ST. 380005 TEL.: 984827
FAX: (8832) 984857, TLX.: 212134 MMN

DHL WORLDWIDE EXPRESS

ARGOTOUR
TRAVEL COMPANY
55, Chavchavadze ave. (Head office)
31, Rustaveli ave. (Agency of DHL)

Tel.: 292706, 292779, 292701
Fax: (8832) 220422
Tlx.: 212993 FLOKS E 10

TBLISI-MOSCOW JOINT COMMERCIAL BANK

GOLDEN-FLEECE
member of union MENATEP
5, Jikia Str., 380086 Tel.: 225001,
220894 Fax: (8832) 220347 D 10
Fax (Moscow): (095) 2365847

GEORGIAN STATE COMMERCIAL BANK

INDUSTRIABANKI
14, Jorjashvili str. 380008 Tel.: 986137, 933811
Fax: (8832) 999843, 986144 G 7

INDUSTRIAL-TECHNOLOGICAL FIRM GEORGTECH

COMPUTER TECHNIQUE H 7
Production, assembling, maintenance

JOINT STOCK BANK BACIFI

BRANCH OF IBERIABANK
80, Chavchavadze Ave. 380062
Tel.: (8832) 294059
Fax: (8832) 292179
Telex: 212993 JSUB F 10

State company SAKKURORT

H 8
3, Gergeti str., 380007
Tel.: 981822, Fax: (8832) 982477
Tlx.: 212192 TOLIA

TELECOMMUNICATION COMPUTER NETS

5/1, Leonidze Str. 380007
Tel.: 985619, 986081, Fax: (8832) 985619
E-mail: POSTMASTER @ DIAL. ADD GEORGIA.SU
DIALOGUE
JOINT STOCK COMPANY H 7

TBLISI BUSINESS CENTER

F 8
11, Chavchavadze Ave. 380079
294556, 220212 Fax: (8832) 294556
Tlx.: 212912 PBT

CONCERN GEICO

1, ZAZASHVILI Str. 380001
TEL: 956293
956592
FAX: (8832) 980502

INDUSTRIAL-COMMERCIAL FIRM

ENISELI
84, AVCHALA HIGHWAY, 380053
TEL.: 620425
FAX: (8832) 963218
TELEX: 212851 OS A 5

SHOP
43, D. AGMASHENEVELI AVE.

FIRM TOTO

55, Chavchavadze Ave. 380062
Tel.: 291595
227446
Car tel.: 981300
Fax: (8832) 294080
Sat. tel.: AUS (431) 6029690-169

MINISTRY OF FOOD INDUSTRIES REPUBLIC OF GEORGIA INDUSTRIAL COMMERCIAL FIRM

LAGIDZE
150, Tsinamdzgvishvili Str. 380012
Tel.: 954463, Fax: (8832) 961046

MANYBRANCHED INDUSTRIAL-COMMERCIAL FIRM

DACHI
33, 6, Gurdzinduli Str., 380054
Tel.: (8832) 994386, 994163
Industrial section (plot)
1, Vanskia Str., station Tbilisi-Tovnaria

JOINT STOCK COMPANY

11, Mosashvili Str. 380062
Fax: (8832) 290734
Tel.: 220228

(31) NERGI
F 9

UNESCO Education Fund

G 7
intermediary activities
render assistance in drawing up
treaties and contracts, negotiations
with different firms
scientific-medical activity
treatment of alcoholism
narcotism, mental and
cardiological diseases
protecting

42, Rustaveli Ave. 935396, 954981
Fax: (8832) 934185, Sat.Fax: AUS(43-116029692-164

JOINT STOCK UNIVERSAL BANK

H 8
IBERIABANK
OPEN ACCOUNTS IN:

DEUTSCHE BANK AG, FRANKFURT
CREDIT LYONNAIS, PARIS
CREDIT LYONNAIS, NEW YORK
WESTMINSTER BANK, LONDON
1, Broso Str. 380007
Tel.: 985070, Fax: (8832) 988090
Telex: 212993 JSUB G 7

2, CHONKADZE Str. 380008 H 8 ASSOCIATION DETECTIVE

TEL.: 989714
989715
988841
FAX: (8832) 986957
TELEX: 212204 ORBI

27 F 7 Tel.: 987840 Fax (8832) 293667 Tlx. 212376 AIOKC

MAISI LTD

1. Constitution sq. 380015 Hotel AJARA
MAKE BUSINESS WITH US

- broker offices, design, fashion saloons, trade of immovable property, confectionery & ice-cream production, electronic mail, consultation service

CASINO-BAR

TEL.: 519841

KIMERIONI

27 KOR. IV KV. B 6
DIGMIS MASIVI 380059

SMALL ENTERPRISE A 5 UNIVERSAL

12, 2, ULIANOVA Str 380017
Tel.: 626661, Fax: (8832) 931824 (TIMUR)
Telex: 212912 PTB (TIMUR)

Commercial bank H 7 TBILCOMBANK

2, Dadiani str. 380007 Tel.: 985397, 984770
Fax: (8832) 985397 Tlx.: 212328 TBK

MACARONY FA SHOPS

No 25 - 12, D. Agmashenebeli
No 36 - 10, Asatiani str.
No 9 - Vagzis meodani

INDUSTRIAL-BUILDING F 8 COMMERCIAL FIRM

17, Chavchavadze ave. 380079
tel.: 724082, fax: (8832) 223261
ttx.: 212155 LITO

(40) KMM

67, D. Agmashenebeli 19 380002 Te: 951162, 951063
Tel.: 988002
Fax: AIS-1-602962-171
Tel: 212966 TENGO

Building Hotels MUKHII & GODAURI
Aulefilms Studio
Restaurants, Shops, tourist service

(32) F 6

Your Guide in the C
Canadian TRAVEL
Head office: 36, Agmashenebeli Av., 380002;
Beurau: 7, N. Nikoladze St., 380008;

987400 956044 Fax: 987399 Tele

ORBI
GEORGIAN AIRWAYS
28, RUSTAVELI Ave. 380008,
TEL.: 997728, FAX: (8832) 997728
SITA: TBSTONQ, TBSDZNQ
TELEX: 212186 ZENA G 7

Panasonic
DILLER ASSOCIATION
REGIONAL CENTRE OF
SERVICE AND COMMERCE

20, K. Gamsakhurdia Str. 380094
Tel.: 381586, Fax: (8832) 966136

(35) E 7

MAISI LTD

1. Constitution sq. 380015 Hotel AJARA

MAKE BUSINESS WITH US

- broker offices, design, fashion saloons, trade of immovable property, confectionery & ice-cream production, electronic mail, consultation service

Production - Commerce - Marketing

49/a, CHAVCHAVADZE Ave. 380079
TEL.: 988409, 714731
FAX: (8832) 988408

(36) E 10

OTIME

28 G 7
Tbilisi office:
28, Rustaveli Ave. 380008
Tel.: (8832) 988114
Fax: (8832) 988114
Tlx.: 212186 ZENA

TRANS AIR
GEORGIA

Frankfurt office:
2, Dieselstr, D-6082
Mörfelden, Germany

(44) 46, MA
TEL.: 725010 TLX

TBILISI

41, MA
TEL.: 725010 TLX

(45) 46, MA
TEL.: 725010 TLX

GRS

41, MA
TEL.: 725010 TLX

(46) REPUBLIC
HOME
TEL.:

FAX: (8832) 9


Vol.1*: TBILISI gangsta far Ti

gi gi gul edani

თუ ვინმესგან გაიგე "თბილისმა განგ-სტა ეპოქა ისე ვერ გაიარა როგორ მოს-კოვმაო", არ დაუჯერო, იმიტომ რომ მას, ვინც ასეთ რაღაცას ამბობს, ალბათ 1990-1995 წლებში აქ არც უცხოვრია და თავისთვის სადმე (ვთქათ) მოსკოვში იმყოფებოდა და ხედავდა როგორ მოძ-რაოდენ ახალ კაზინოებში ჩერჩები შავი ლიმუზინებით. თუმცა, ეს ჩერჩური მი-რაჟიც (ნანილობრივი), ამავე პერიოდის თბილისელი განგსტერების მოგონილი იყო.

ოთხმოცდაათიანების სარეკლამო ბუკ-ლეტებს რომ გადახედო, მორიკონეს საუნდტრეკის გარდა, ბაგშეობიდან კიდევ ბევრი სხვა პაპასა სცენებიც გაგახსენდება, მათ შორის ისიც, რომ ამ საქმიანი ორგანიზაციებიდან ზოგი დაცხრილეს, ზოგი გაიქცა, ზოგი აქვე დაიჭირეს, ზოგიც უბრალოდ გაქრა, ზოგი კი ზუსტად ისე გაიქაჩა, როგორც ამერიკულ კინოში - ანუ ქუჩიდან ლიმ-უზინამდე.

ეს განცხადებების მიხედვით, მოგონე-ბები განგსტა თბილისზე ჩვენ ბევრი გვაქვს, საერთო/დ.



Tbilisi Business Map

სარეკლამო სააგენტო MI-MI-NO / 1993

* Vol.2: 118-

VESTABANK
RGASALI Str. 380005
10, Fax: (8832) 987011
line: (tel, fax)
22/6029690 ext. 107
212112 VESTA 16

aucasus
G6
ain us
the road of
and excitement
Caucasian Travel Ltd.
ex: 212965 GGS

საქართველო
КОММЕРЧЕСКИЙ БАНК
ГРУЗИЯ
COMMERCIAL BANK
GEORGIA
amaniidze Str. 380012
95, Fax: (8832) 352994
x: 344275 BORIA E 6

**THE FIRM
ASLI**

amaniidze Str. 380012
95, Fax: (8832) 352994
x: 344275 BORIA

**COMMERCIAL
SHOP
DATUNIA**

ulishvili Str. 380111

(8832) 687877

**PROFESSIONAL
FOOTBALL CLUB
SHEVARDENI-1906**
Khmelitskii Str. 380036
8832) 740070, 719204
lex: 212134 MMN J 5

**LINOLEUM PLANT
LINO**
RENEULI str. 380065
55, FAX: (8832) 233225,
x: 212155 LINO J 6

**BALLOON
ALOME**
VERTSKHLIS ST.
EL: 98 92 74 H 6

**FACTORY
HOPS**
16895, 718835
ave.
J 4

chemical Company LTD
UBUC Sq. 380083
TEL IVERIA # 102
930432, 988053
84857, TLX: 212134 MMN G 7

(47)
H 7
commercial activity
projecting, design, production
of building materials
purchase, processing and
realization of farm produce
tourism, sporting sanitation
complex
body guard and defence of
goods' security, detective
activity
production of articles of
general consumption and
souvenirs
organization of auctions
and exhibition-sale
10, Erekli II, 380054
Tel.: 986583, 986584
Fax: (8832) 221148

**ASSOCIATION
TMS INVEST**
164, David Agmashenebeli Ave. 380064
Tel.: 350833 Fax: (8832) 352906 E 6
(55) 212168 YOUTH

Commercial firm of security &
economic progress by
Georgian fund of Peace
7-b, Guadamakri Str. 380092
Tel.: 605303, 614178
Fax: (8832) 983067
Tlx.: 212240 FAKEL

Body guard and property defence of
juridical and private persons 15

**ADVERTISING AGENCY
MI-MI-NO**
ADVERTISING CAMPAINS
PUBLIC RELATIONS
BUSINESS SERVICE
20, Leselidze Str., 380005
Tel.: 984827 Fax: (8832) 984857
Tlx.: 212134 MMN

(62)
F 9
60, Chavchavadze ave. 380062
Tel.: 299455, Fax: (8832) 294620

(57)
17
Choosing us you choose
bank - newspaper - insurance company - juridical firm -
investment - marketing -
3, Gorgasali Str. 380005 Tel: 989266, Fax: (8832) 989265

JOINT VENTURE SKHIVI

Kodak Laboratory
Kodak Dealers' Licensed Shop
Home delivery service H 7
15, Leselidze str. 380007
Tel.: 989717, 989719, 989460

GEORGIAN-BRITISH JOINT ENTERPRISE

PHARMACY PHARMACY
UNIPHARM
Cultural-public centre SAVANE
Republic Sq. 380008
Tel.: (8832) 982416
Fax: (8832) 989901
Telex: 212223 LAZER G 7

(63) FOREIGN ECONOMIC FIRM F 7
GEORGIA INTERNATIONAL

37, Kostava Str., 380009
Fax: (8832) 998108 Th.: 212133 REPRO

(49)
D 6
TRADE PRODUCTION FIRM
KAVKASTONI
114, Tsereteli ave. 380019
Tel.: 342620 Fax: (8832) 347306
Tlx.: 212194 SITRO
Compositions of Georgian soft drinks!

2, Esenin str., 380103
Tel.: 738554
Fax: (8832) 735560
Telex: 212110 TAO
(50)
F 9
CORPORATION GESCO LTD
ENGINEERING IN BUILDING
74, Chavchavadze ave. 380062
Tel.: 235799, 299114
Multi Branch industrial-commercial firm EA LTD
15, A. Chikobava Str. 380002
Tel.: 962551, Fax: (8832) 968735
Telex: 212955 GEGA G 6

Tsekavshini Central Union of Consumer Societies
MERANI
Export-Import Amalgamation
7, Tavisuplebis Sq. 380007
Tel.: (8832) 997658, 998979
Telex: 212101 FENIX H 7

**COMMERCIAL BANK
REPUBLIC**
13/a, Chavchavadze Ave. 380079
Tel.: (8832) 292336, 294823
F 8 Tlx.: 212144 LIDER

**COMMERCIAL FIRM
IVA**
1, Kekelidze Str. 380009
Tel.: 290363
Fax: (8832) 290134 F 8


(60) TSEKAVSHIRI WHOLESALE & RETAIL TRADE FIRM


H 7
PROMETHEUS
export-import of industrial goods and food-stuffs, raw materials with far-flung network of retail and commercial firms
7, Tavisuplebis Sq. 380007
Tel.: 997511, 997072
Fax: (8832) 999077
Tlx.: 212101 Phoenix
611-612, 41, Vernadskii Ave., Moscow
Tel.: (095) 431 4794

(61) ENERGIA F 8
small hydro-electric power station
building strengthening
special building materials
17, Chavchavadze Ave. 380079
Tel.: 292976, 220211 Tlx.: 212145 BROOK

ART ATRIUM
Art Atrium Co.
Style F 7

(69) ARCHITECTURE INTERIOR DESIGN
7, N. Nikoladze St. 380009
Tel.: 987400 Fax: 987399 Telex: 212965 GGS





Vol.2*: Global Gangsta' Party:

საზოგადოება, კაპიტალი და შავი ბაზარი

ultimiere.com

*Vol.1: გვ.76

saCuq ar i Tbi l i s-q al aq s

“keTili xeli T gawvdili mci redic
Sei wi rebi s”

ქვეყანაში ცვლილებებს და რეფორმებს მოჰყვა სხვადასხვაგვარი დემოკრატიული ინიციატივების გაღვივება. ამ ბოლო დროს შეგვიძლია თვალყური ვადევნოთ ქალაქის იერის განახლებას, გალაზაზებასა და დასუფთავებას. ცენტრალურ უბნებში დაიგო ახალი გზის საფარი, გასუფთავდა და შეიღება შენობების ფასა-დები, გაკეთდა ქუჩის განათებები.

ამ ყოველივეს რა თქმა უნდა დადებითი გავლენა აქვს ქალაქის მოსახლეობაზე და ხალხს უკეთესი მომავლის იმედს აძლევს.

ქალაქისა და ქვეყნის მომავალი განვითარების პროცესში აუცილებელია აქტიურად ჩაებას ყველა პროფესიის ადამიანი, მათ შორის თანამედროვე ხელოვნების წარმომადგენლებიც. ამავე დროს საჭიროა საზოგადოებამ თავიდან გაიაზროს ხელოვნების და კულტურის სოციალური მნიშვნელობა.

აქედან გამომდინარე გაჩნდა იდეა საფუძველი ჩაეყაროს ახალ ტრადიციას და შეიქმნას თანამედროვე ხელოვანების ჯგუფი, რათა მათ ქალაქს რეგულარულად საჩუქრად გადასცენ თავიანთი ნამუშევარი, რომელსაც მერია მოახმარს ქალაქის განვითარებას.

მიმართვა მხატვრებს.

ძვირფასო კოლეგებო! გთხოვთ მოამზადოთ საჩუქარი და მოიფიქროთ ქალაქში საუკეთესო ადგილი მის მოსა-თავსებლად.

პროექტის ინიციატორი სოფო ტაბატაძე

რეაქციებით მოგვმართეთ: stabatadze@yahoo.com



2-23 მარტამდე GeoAIR (Artists In Residence) და NAC (National Art Centre) ახალგაზრდა პოლანდიელი მხატვრების ჯგუფს უმასპინძლებენ. ეს მხატვრები სააკადემიულის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულებისთვის მიმართულ წერილს გამოეხმაურნენ და გადაწყვიტეს საქართველოში ჩამოსვლა რათა ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში მიიღონ მონაწილეობა.

გამოფენის გახსნა 5 მარტს, საზეიმო დახურვა 19 მარტს. მისამართი: NAC, გუდიაშვილის 20. დეტალებისთვის იხილეთ <http://geoair.blogspot.com/>



ကျေးတာဒေသး စာမျက်

2 အုပ်လုပ်ငန်

ပြည်ထောင်စုရှိရှိချေးလုပ်ငန်



aRdgoma gauq mebul muskomedi aSi

rosini doi aSvilisa da memani Svilis receptiT - cota er otika,
ufro meti wyali da bevri saoper o postmodernizmi

davi T buxriki Ze

თუ ახალი დროის განზომილებით „საპენ-სიო ასაკში“ ხართ, ანუ ორმოცს გადააბი-ჯეთ, აუცილებლად გემასხოვრებათ მშ-ვიდი 70-იანი წლების, ანუ სოციალისტური ეპოქის უწყინარი თეატრალური გასართო-ბი — მუსკომედია პლეხანოვზე. ცხადია, პირველი ნომერი ტროლეიბუსის ფანჯრი-დან აფიშისთვისაც მოგიკრავთ თვალი: „კურკას ქორნილი“, „ჩანიტას კოცა“ თუ „ჩანჩრუა“ იმ დროს ნამდვილი ჰიტები იყო. მუშა-მოსამასახურეთა კლასისთვის რიტუალური სვლა მუსიკალური კომედიის თეატრში დაახლოებით იმავე ვნებათაღელ-ვას უკავშირდებოდა, რაც დღეს სხვადასხ-ვა კალიბრის ფილარმონიულ შოუებზე მოხვედრას ნიშნავს. ხოლო სადაც სანახ-აობაა, იქ ყოველთვის პური იგულისხმება ან უკიდურეს შემთხვევაში — ნამცხვარი. გააჩნია, ვის როგორ! თუმცა მუსიკალური კომედიის თეატრი, სიმართლე ვთქვათ, ვერასოდეს ქაჩავდა სახელოვნებო ნუგ-ბარამდე. ის უფრო ქართული და საძჭოთა მუსიკის იდეოლოგიას გულისხმობდა და არა მიუღწეველ „კაბარეს“ ან აკრძალულ „იესო ქრისტე — სუპერგარსკვლავს“.

„პერესტროიკის“ ქარიშხლის შემდეგ ხე-ლისუფლებამ ძევლი შენობა ხარაჩოებით შემოსა და თეატრის ერთგულ და მრავ-ალრიცხვან პუბლიკას რამდენიმე წლით „დასვენება“ გამოუწერა. მაგრამ წლები გადიოდა და შენობას არაფერი ეტყობოდა. იგი უფრო დაუმთავრებელ და შემოლ-ბილ სასაფლაოს დაემსგავსა, რომელსაც პატრონი აღარ ჰყავს. მშენებლობაზე დახარჯულ და წყალში გადაყრილ მილ-ინებზე არა თეატრალური, არამედ კრიმ-ინალური იგავები შეითხზა. თავად თეატ-რმა დროებით, ანუ თითქმის მუდმივად, პროფეკვშირების კულტურის სასახლეში, საბურთალოზე დაიდო ბინა. თუმცა ეს ყველაფერი უკვე იმდენად შორეულია და მას შემდეგ იმდენი რამ მოხდა, რომ გე-გონებათ, ეს წარლვამდე იყო.

90-იან წლებში ვასო აბაშიძის სახელობის

მუსიკალური კომედიის თეატრში სრუ-ლიად გაჭირვებისა და შემოქმედებითი სტაგნაციის პერიოდია, თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლა მხატვრულ გამონათებას, მაგალითად, ჯერი ბოკისა და ჯოზეფ სტაი-ნის (ცნობილ მიუზიკულს — „მევიოლინე სახ-ურავზე“, რომელიც თეატრის მაშინდელმა სამხატვრო ხელმძღვანელმა გიგა ლორთქ-იფანიძემ დადგა. ოცდამეერთე საუკუნეში კი უფრო მნიშვნელოვანი ამბები თეატ-რის დაპატრონებასა და ხელმძღვანელის პოსტს უკავშირდება, ვიდრე საკუთრივ თეატრის მშენებლობას. ათეული წლების განმავლობაში დაუმთავრებელმა თეატრმა მოსალოდნელი მეცენატი ბადრი ბატარკა-ციშვილის სახით იპოვა, ხოლო სამხატვრო ხელმძღვანელად დავით დოიაშვილი დაინ-იშნა. სიცოცხლის ნიშნები სამ-ოთხ წელი-ნადში გაჩნდა, როცა მშენებლობა სანახევ-როდ დასრულდა — მხოლოდ სანახევროდ, რადგან დიდი სცენა ჯერ კიდევ არ არის მზად, ხოლო უზარმაზარი ნახევარწის ფორმის ფონე-დარბაზი კოლონებით, ან-ფილადებითა და კიბეებით გრაფის საზაფ-ხულო რეზიდენციას უფრო მოგაგონებთ, ვიდრე თეატრს. თუმცა ეს თითქმის უინ-ტერესო და სუბიექტური დეტალებია.

სწორედ „ახალ დარბაზში“ „გაიმართა ჯოაკინო როსინის თითქმის უცნობი კომი-კური ოპერის, „საქორწინო გარიგების“, პრემიერა, რომლითაც უკვე სახელშეცვ-ლილმა მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრმა საიუბილეო მე-80 სეზონი გახ-სნა. როსინის მელოდიური სიმსუბუქე, რომელსაც ყველა ხელისუფლების დროს ნატანჯი და უსახლკარო ევგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრი არცთუ მსუბუქად, მაგრამ შეძლებისდაგვარი სინქრონუ-ლობით „ქსოვს“ (გასაგებია, რომ დირი-ჟორ ნიკა მემანიშვილის კონცენტრე-ბული შელოცვის წყალობით); დრამატული თეატრის ელემენტებით გამაგრებული და ზოგჯერ მუსიკას გზასაცდენილი ფანტა-ზით ნაკვები დავით დოიაშვილის სახალ-ისო რეჟისურა; ლუი ვიტონით, პაკო რაბან-

ითა თუ სხვა ყოჩალი ფეშენ-პერსონებით შთაგონებული თეა თელიას მხატვრობა და კოსტიუმები; ნაცადი პლასტიკური ხერხებისა და ირონიული საცეკვაო ელ-ემენტების შერწყმა (ქორეოგრაფი — კოტე ფურცელაძე)..... და ბევრი ახალ-გაზრდა ვიკალისტი! იმდენად ბევრი, რომ სპექტაკლის სამი შემადგენლობა თითქმის მთელი თვის განმავლობაში ყოველდღე მღერის.

თუ მაინცა და მაინც რეჟისორ-დირიჟო-რის არჩევანში ეჭვი შეგეპარებათ, მაშინ შეიძლება, ლოგიკა შემოვატრიალოთ — რატომ, როსინი უფრო ცუდი კომპოზი-ტორია, ვიდრე ვასერმანი, ჯონ კანდერი, იოპან შტრაუსი? ან რატომ არ შეიძლება, „ექშენი“ მოძებონ სწორედ იქ, სადაც კლა-სიკური მელოდია წყალივით ბუნებრივია და ჰაერივით გამჭვირვალე? ჰო, მართლა, წყალს რაც შეეხება, ისიც ძალიან ბევრია. არცა გასაკვირი, თბერის მოქმედება ხომ ვენეციაში ხდება. გასაგებია, რომ არც სცენაზე აშენებული აუზი ჰგავს ვენეცი-ის არხებს და არც ფერადი პლასტმასის სკამები მოგაგონებთ დოჟების სასახლეს. როსინის ამ დავინცებული ოპერის დამ-დგმელთა მიზანი სწორედ ლირიკულ-ექს-პერიმენტული ხულიგნობა იყო, ერთგვარი იმპროვიზაციული თამაში უკიდევანო ფორმითა და მოუღლოდნელად გააზრებუ-ლი საპერო მიზანსცენებით.

როდესაც ამ კლასიკური კომიკური ოპერის პერსონაჟებს უფრო დრამატული ტექსტით „დამინებულებს“, უფრო ზუსტად, სიმღერა-სა და მოქმედებას შორის გაორებულებს ხე-დავთ, გიჩნდებათ კანონიერი ეჭვი — იქნებ ასე უფრო სასაცილო და თანამედროვეა ოპერა, რომელიც სინამდვილეში არც არა-ვინ იცის როგორია. იმიტომ, რომ სხვადასხ-ვა მიზეზის გამო თითქმის არ იდგმება. სხ-ვათაშორის, ამავე სახელწოდების, მუსიკის ისტორიაში ბევრად უფრო ცნობილი ოპერა დაწერილი აქვს ასევე იტალიელ ჯოვანი პაიზელოს, რომელიც ტულიო სერაფიმის

„Saq or wi no gar i geba,“



დირიჟორობით თავის დროზე საბჭოურმა მონსტრმა „მელოდიამაც“ გამოუშვა.

1810 წელს 18 ნოემბერის როსინის მიერ სახ- ელდახელოდ შეთხულ ერთაქტიან ოპ- ერაში უკვე იგრძნობა მელოდიურობა, სიმსუბუქე, დრამატურგიული კანონების ცოდნა და ანსამბლების სრულყოფილება. ამ ყოველივეს გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ რეჟისორმა ზუსტად და თამა- მად მოარგო როსინის მეორეხარისხოვან ლიბრეტოს საკუთარი ისტორია და ოპერა მოაქცია უკვე გაცვეთილ, მაგრამ იდეურად წაუგებელ სქემაში – თეატრი თეატრში. ეს ყოველთვის არ ამართლებს, მაგრამ როცა სპექტაკლის დასაწყისში ხედავ თეატრის უძედურ, მარტოსულ და აგრესიულ დამ- ლაგებელს, რომელსაც სამსახურიდან გაგდება ემუქრება, ფინალში კი რეჟისო- რის შთაგონებისა და სიყვარულის წყარო ხდება, გასაგებია რეჟისორის ჩანაფიქრი –

გაანაყოფიეროს შტამპებითა და სქემებით სავსე ლიბრეტო საკუთარი ფანტაზიით შეთხული ისტორიით. ასე რომ, კომერ- სანტის, მისი მსახურის, შეყვარებული ქა- ლიშვილის, მისი ლარიბი ფავორიტისა და მდიდარი, მაგრამ ბებერი საქმროს დახ- ლართული ისტორია, თავის მხრივ, გადახ- ლართულია რეჟისორის ისტორიასთან, რომელმაც არ იცის, როგორ დადგას ეს ოპერა. მას თავად როსინის ორეულები თუ აჩრდილები ეცხადებიან, თანაც ერთბაშად ოთხნი და სთავაზობენ თამაშის წესებს, რომელთა დაცვა სინამდვილეში შეუძლე- ბელია — როსინი ხომ ორასი წლის წინან- დელი ესთეტიკით გვატყვევებს, რეჟისორს კი თანამედროვე სპექტაკლის გასაღები სჭირდება.

ნაირგვარ კონცერტებსა და რამდენიმე საეჭვო ხარისხის კულტურულ ღონისძიე- ბაში რეჟისორული გავარჯოშების შემ-

დეგ მუსიკისა და დრამის თეატრში დოის რეფორმისტული გამოლვიძება როსინის ნიადაგზე არც ისე საშიშია, სამაგიეროდ – დროული, როგორც, მაგალითად, რამდენ- იმე წლის წინ საინტერესო, მაგრამ საკამათო და ფორმალისტურ სპექტაკლებში. პოეტის შეგონების გათვალისწინებაც აუცილებე- ლია: „გეშინოდეთ ჩემი მღელვარე გამოლ- ვიძების“ — „რეჟისორის თეატრალური ფან- ტაზია თითქოს დაცლილი ბატარეასავით დაიტვირთა და ხელახლა აღიგვი საესტრა- დო-სახალხო კონცერტებში დახარჯული ენერგიის შემდეგ.

ქოლგიანი მამაკაცების კვარტეტის, ანუ გაოთხმაგებული როსინის სინქრონული ტექსტები ქართულ, რუსულ და იტალ- იურ ენებზე ზოგჯერ მომაპეზრებულია და არასავალდებულოც, თუმცა ამ ტექსტში არის ნამდვილი კომედიის ელემენტები. სპექტაკლში ბევრი მახვილგონივრული ეპი-



ზოდია – მაგალითად, როცა ფანის მდიდარი საქმრო კანადიდან ნეკერჩლის ფოთლებით დამშვენებულ "ტრუსებში" შემოდის ან როცა შეყვარებულთა დუეტი, ფანი და მილფორდი, ირონიულ პლასტიკურ-ვოკალურ სცენას გაითამაშებენ – სანოლში ერთის სხეული" მეორის ფეხებს" ავსებს. დრამიკური, ზუსტი და სცენურია სექსტეტი ფინალში, როცა ყველაფერი ირკვევა და სიყვარული ფულსა და ანგარებაზე იმარჯვებს. არც კლარინას (მოსამსახურე ქალი) მცირე მასშტაბის სტრიპტიზის დავიწყება შეიძლება საკმაოდ შთამბეჭდავი მეცოს ფონზე....

ვოკალისა და მოქმედების ზუსტი მორგება საოპერო დადგმის აუცილებელი პირობაა, პლუს მუსიკალურ რითმზე აგებული მიზანსცენები. ალბათ ამიტომ არის, რომ თანამედროვე საოპერო რეჟისურა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე დრამატული თეატრისა. სიახლის შეგრძნებას არა მხოლოდ დროში აღრეული კოსტიუმები და უჩვეულო სცენოგრაფიული სიჭრელე ქმნის, არამედ სრულიად ახლებური მიდგომა

ვოკალური პარტიის გააზრებისადმი. მოძღვრებს, ფაქტობრივად, მსახიობებივით უხდებათ სიმღერაც, თამაშიც, შეფასებაც – რაც თავისთავად დიდი მიღწევაა. თუ მოინდომებთ და დოიაშვილის ძალიან ჭრელ, ქაოსურ, მაგრამ დროის შესატყვის „პოსტ-მოდერნისტულ მიქსში“ აღმოაჩინთ უანპიერ პონელის „კონკიას“ (სადაც პირველად გაიბრნებინა თანამედროვეობის ერთ-ერთმა უდიდესმა მეცო-სოპრანომ, ფრედერიკა ფონ შტადემ) ან ძალიან მოდური კანადელი რეჟისორის, რობერ ლეპაზის, დინამიკური თეატრის მონტაჟის კვალს, არ შეშინდეთ, ეს კარგ გემოვნებაზე მეტყველებს. ხოლო თუ შეამჩნევთ, რომ უზარმაზარ, იაფფა-სიან, ოქროსფერ ქსოვილში გახვეული სოპრანო „უადორის“ რეკლამას იმეორებს, ხოლო ფარდის მიღმა მეცო-სოპრანო მსუბუქი სტრიპტიზითა დაკავებული, არც ეს გაგიკვირდეთ – ათვისებული საესტრადო-საკონცერტო ფანრი თავისებურ გავლენას როსინის ოპერაზეც მოახდენს.

„საქორნინო გარიგება“, კარგი გაგებით,

თვალსასეირო, სანახაობითი სპექტაკლია, სადაც საზღვრები არ არსებობს. პერსონაჟები არა მარტო ცურავენ, არამედ ავტომობილით დასეირნობენ, ეტლითაც დადიან და ზოგჯერ ყინულზეც "დასრიალებენ“. მართალია, ამგვარი თავისუფლების პირობებში ვოკალი და მუსიკა ზოგჯერ ზარალდება, მაგრამ ალბათ რეჟისორს ასეთი ზეამოცანა ჰქონდა: ჯერ სანახაობა, შემდეგ პური! ანუ ჯერ კონცეფცია და შემდეგ ვოკალური დახვეწილობანი. დრამატული თეატრიდან გადმოყოლილი ოპერის მოქმედებად გარდაქმნის იდეა, ბუნებრივი და კომიკური სიმსუბუქე, გულახდილი თვითირონია (რეჟისორი, რომელმაც არიცის, როგორ დადგას ოპერა, გარკვეულწილდ ავტობიოგრაფიულ ელემენტებსაც გულისხმობს) და თითქმის დაუოკებელი სურვილი, ყოველი სცენა და არია მცირე წარმოდგენებად აქციოს – დაახლოებით ასეთია რეჟისორის ნება.

სხვათა შორის, დოიაშვილის სპექტაკლი წამოჭრის ქართული საოპერო რეჟისურის პრობლემებსაც, რომელთა გააზრებასაც

„Xval Sobaa“



უურნალი „ანაბეჭდი“ ”რამდენიმე თვის წინ სრულიად სხვა კონტექსტში შეეცადა. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დავით საყვარელიძის მიერ დადგმული კონსერვატიული „აიდა“ არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ვერდი აუცილებლად რესპექტაბელური იქნება, ხოლო მუსიკისა და დრამის თეატრის ერთაქტიანი კომიკური ოპერა „საქორწინო გარიგება“ ”როსინის ოპერის ადაპტაციაა და სულაც არ არის სავალდებულო, მხოლოდ სასაცილო იყოს.

mi m o x i l v a

მარდი თითებით შეთხზული ისტორიები

დაახლოებით ათიოდე წლის წინ ბათუმში უნიკალური რამ მოხდა – რეჟისისორმა ბესო კუპრეიშვილმა „თითების თეატრი“ დაარსა. ახლად დაარსებული თეატრისთვის სავალდებულო არ იყო არც დეკორაციებიდაარცსცენა, მხოლოდ ცერი, არათითი, საჩვენებელი თითი, შუათითი, ნეკა და მათი პოლიფონიურ განზომილე-

ბაში მოყვანა. მოგვიანებით რეჟისორმა თითებს საკუთარი ფანტაზიით წაკვები „კოსტიუმები“ მოარგო. მერე მოხალისეები და სტუდენტები შემოიკრიბა და ფართოდ გაშლილი თითებით „სიმდი“, „მთიულური“ თუ „ხორუმი“ ჩამოუარეს. მოგვიანებით, იმპროვიზებული თეატრის რეპერტუარში გაჩნდა აღმოსავლური ორთაბრძოლა, ტექნო, „კარმენი“, „ფეშენ შოუ“, „მაიკლ ჯეკსონი“... ერთი სიტყვით, ლამის გინესის წიგნში შესატანი ამბავი მოხდა, რომ არა ჩარლი ჩაპლინი, რომელმაც „ოქროს ციებ-ცხელებაში“ თითებითა და ფუნთუშებით გენიალური ნომერი შეითხა.

ძალიან მაღე „თითების თეატრის“ ამბებით აჭარის ხელმძღვანელობაც დაინტერესდა და ასლან აბაშიძემ თქო – მეც თითს წაგრავთო! იდეით შთაგონებულთ გაუმართლათ და ვიდრე საჭირო ხალხი ცენტრში გონის მოეგებოდა, ბათუმში „თითების თეატრი“ აშენდა. მშენებლობა 200 ათასი ლარი დაჯდა და ნამდვილად ლირდა მისი არსებობა. სამწუხაროდ, აჭარის ხელისუ-

ფლის კეთილგანწყობა და ესთეტიკური ხიბლი სწრაფად გაქრა და პოლიტიკურად არასანდო ბესო კუპრეიშვილმა რაც მიიღო, სწრაფადვე დაკარგა. მალე იძულებული გახდა, თბილისში გადმოსულიყო და დიდი ხნის განმავლობაში არც სცენა და არც თეატრი არ ლირსება. თუმცა უამრავი ფონდიდან ზოგიერთი მაინც საჭირო მიმართულებით დაიხარჯა და მრავალი სირთულის შემდეგ „თითების თეატრმა“ ელბაქიძის დალმართზე მოძებნა ბინა.

მინიატურები, ცოცხალი ნომრები და მუსიკის ფონზე სინქრონულად აცეკვებული თითები საამო და მხიარული სანახვას. პრონციპში, ეს არის იდეალური თეატრი სამყაროს გასტროლებით დასაპყრობად – დეკორაცია, რეკვიზიტი და ყველა საჭირო ნივთი ერთ ჩემოდანში ეტევა და ჰერი! გინდა კონგომში წადი, გინდა ლუანდაში და გინდა ცივილურ მადრიდში. თეატრი სწორედ ასე იქცევა და ვიდრე 45-კაციან დარბაზს თბილისში ყოველდღიურად შეავსებს, ისევ ევროპას ამჯობინეს. გასტროლები არც



„aTvi ni er eben mimi nos“

უფასოა და რატომლაც გერმანიაში უფრო კარგად ეპყრობიან. მაგრამ აქაურ ბავშვებსაც თურმე ძალიან მოსწონთ! და ვიდრე თეატრი აქ არის, ესტუმრეთ, ეს ერთი საათი ნამდვილი არტ-თერაპიაა.

r o g o r d a v i b r u n o T Soba i se, r o m ar vi c r u o T!

თუ არაფერი გსმენიათ „ცვლილებების თეატრის“ შესახებ, ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ის არ არსებობს. კანადელმა მსახიობმა და საქართველოს მეგობარმა, ქერქნ ჩეპმენ კლარკმა, მოინდომა, რომ აკადემიურ თეატრს გარიყული პუბლიკა სწორედ „ცვლილებებით“ დაუბრუნდეს საკუთარ თავს. ამას ბერძნები, როგორც წესი, კათარზისით ახერხებდნენ, ქერქნ კლარკმა კი სოციალური, პოლიტიკური და ესთეტიკური მომენტები გააერთიანა და გადაწყვიტა.

სპექტაკლების გამართვა ქუჩაში, აუდიტორიაში, ეზოში, სახლში, მერიაში. მოკლედ, ეს არის ახალი ტიპის თეატრი, რომლის მიზანია, მაყურებელი აქტიურად ჩაერთოს პიესაში და მონანილეობა მიიღოს წარმოდგენის შემდგომ გამართულ დისკუსიაში. მათი მონოდებით „ცვლილებების თეატრს“ ხალხი თეატრთან მიჰყავს და პირიქით, თეატრი – ხალხთან. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის 60-იან წლებში დასავლეთში განვლილი პერიორმანსის გზა, როცა მაყურებელი უშუალოდ ერთვება წარმოდგენაში და ცვლის მას საკუთარი სურვილის შესაბამისად.

„ცვლილებების თეატრმა“ თუმანიშვილის სახელობის თეატრში ქეთი პატარაიას პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი, „ხვალშობაა“ წარმოადგინა. უკვე გამოცდილმა რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ, რომელიც მაყურებელს კარგად ახსოვს ამავე

თეატრში დადგმული სპექტაკლებით – „ანა კარენინა“ და „მარიანა პინედა“, ახალგაზრდა მსახიობებთან საკმაოდ რთული და საკამათო წარმოდგენა დადგა. ეს არის ტრადიციულ ქართულ ოჯახში ღირებულებებისა და გადაფასების მტკიცნეული პროცესი. ახალგაზრდა თაობა გაურბის პრობლემებს და ამერიკაში წასვლაზე ოცნებობს. ხელოვნების წაცვლად ეროტიკას ირჩევს, ხოლო ტრადიციულ ფასეულობებს ეფექტურულ გასართობს ამჯობინებს. ცხადია, ბევრად უკეთესია მარტივად ცხოვრება, როცა სხვისი პრობლემები არ განუხებს და შენსას ადვილად ივინყებ. სექსი და ნარკოტიკი ხომ ყველაზე მარტივი გამოსავალია.

ვიდრე საკუთარ პრობლემებში გახლართული ახალგაზრდები მოჭრილი ხეების ინსტალაციით გააკვირვებენ უცხოელებს, ბაბუა გვიყვება ძველ და კეთილ სიზმრებზე, ტყ-

ემლის ხევბზე ჭყვიშში და შვილიშვილებს ასეთ მორალს უკითხავს – მშობლიური მინის მიტოვება ადამიანს გაუცხოებულს ხდის საკუთარი თავისა და მინისგან. სამწუხაროდ, პიესაც და სპექტაკლიც სცოდავს მორალიზმითა და დიდაქტიკით. ზედმეტად გადატვირთულ მონოლოგებსა და დიალოგებში ჩაძირულ პერსონაჟებს თითქოს არ შეუძლიათ, უფრო უბრალოდ გვითხრან – რატომაც ცუდი ეროტიზმი და კოსმოპოლიტიზმი და რა უპირატესობა აქვს „ცვრიან ბალაზზე ფეხშიშველა გავლას“. ამის დადგენას რეჟისორი და მასახიობები სპექტაკლის შემდგომ მაყურებელთან დისკუსიაშიც შეეცადნენ. თუმცა ვერ ვიტყოდი, რომ შემდეგ რაიმე განსაკუთრებული გაირკვა. უბრალოდ, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ „ცვლილებების თეატრი“ არა მხოლოდ სოციალური ინსტრუმენტია, არამედ აღმზრდელობითიც.

vki Txul obT pi esas, vguli sxmo bT speqtakls

დასავლეთში ახალი პიესების კითხვა სცენებსა და დარბაზზებში უკვე ტრადიციული კულტურული მოვლენაა. ეს ტენდენცია რუსეთშიც საკმაოდ ძლიერია და, როგორც წესი, „ჩიტკაზე“ (ასე უნდებენ პიესის მხატვრულ კითხვას) უარმავი მსახიობი თუ თეატრის მოყვარული იკრიბება. როგორც ჩანს, ქართველებმაც დაძლიეს შიში არასცენური მეტყველებისადმი და გადაწყვიტეს პიესების კითხვა ყველაზე უფრო შესაფერის სივრცეში – „თეატრალურ სარდაფში“ – მოეწყოთ. თანამედროვე დრამატურგიის პრობლემა რომ მუდმივად არსებობს, ეს ისედაც ცხადია. უბრალოდ, ამ ფაქტით დრამატურგებსა და რეჟისორებს სურდათ შეეხსენებინათ არცთუ დაინტერესებული საზოგადოებისათვის, რომ კითხვა სულაც არ არის ვიწრო პროფესიული მოვალეობა და ამ ყველაფერში მეტი პერსპექტივა ისახება, ვიდრე უბრალოდ იმედგაცრუება. ჩვენში ხომ კულტურული სიახლე კულტურულ ფრუსტრაციაზეა აგებული.

მაშ ასე, „თეატრალური სარდაფი“ რუსთაველზე, იანვარი, გაგანია ენერგოკრიზისი. თავიანთ პიესებს წარმოადგენენ დრამატურგები და მათი მთავარი ოპონენტები — რეჟისორები: ბასა ჯანიკაშვილი, „მეტრო“ (პიესის დადგმას ლევან წულაძე აპირებს), ნინო ბასილია, „საიმედონის თეორია“ (რეჟ. ნინო ლიპარტელიანი), თამარ ბართაია, „დაგვიანებული დღიური“ (რეჟ. დიმიტრი ლვითისიაშვილი), სანდრო კაკულია, „სეანსი“ (რეჟ. ლევან ჭინჭარაული), ზაზა ბურჭულაძე, „დედა“ (რეჟ. ლელა ჭინჭარაული), ლაშა ბულაძე, „ვიდრე მას ეძინა“ (რეჟ. დავით საყვარელიძე). ამ ღვთიური სიმეტრიის – ერთი რეჟისორი, ერთი დრამატურგი – გადაბმა არსებობს ბევრი შეკითხვა და მოუხელობელი ნიუასი. მაგალითად, რა პრინციპის ემყარება შეთანხმება – ვინ ვისი პიესა უნდა დადგას? ან რა მოხდება, თუ ეს „სარდაფული“ კითხვა ისევ კითხვად დარჩება? ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ რეჟისორები დაფინანსების წყაროებსა და თეატრის შესაძლებლობებში დაწმუნებულები არ არიან. თუმცა, როგორც ლევან წულაძე ამბობს, ჯერჯერობით უკეთესია, ასეთი ფორმით გაიცნოს საზოგადოებამ ახალი პიესები და მერე ვიფიქროთ დადგმაზე, ანუ შემდგომ პერსპექტივაზე.

„სარდაფში“ წაკითხული პიესებიდან უმრავლესობა ერთაქტიანი ან რამდენიმესურათიანია, დაწერილია მოკლე და სხარტი წინადადებებით და უმთავრესად აბსურდის ტრადიციით იკვებება. დრამატურგთა სახელები უკვე ცნობილია თეატრალუბისთვის, მაგრამ მოულოდნელობის მოლოდინი მაინც არსებობს, რომელიმე კლასიკოსი რეჟისორი ამა თუ იმ პიესით დაინტერესდეს. სხვათა შორის, სტურუმ და ჩევიძემ ბოლო სპექტაკლები სწორედ თანამედროვე ქართული დრამატურგის მიხედვით დადგეს, პირველმა – ლაშა ბულაძის „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და პრეზიდენტი“ (რუსთაველის თეატრში) და მეორემ – გურამ აღმიშარიას პუბლიცისტური ნაწერების მიხედვით შექმნილი „ზღვა, რომელიც შორია“ (სამეფო უბნის თეატრში). ასე რომ, პიესების საჯარო კითხვას ნამდვილად აქვს აზრი, მით უმეტეს, თუ უკვე ვაცნობიერებთ, რომ რასაც ვეკითხულობთ, შეიძლება მალე წარმოდგენად იქცეს.

mocart i, umi xorci da aRmz r del obi Ti samuSaoebi

რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ, რომელიც უფრო კლასიკის მოთვინიერებითაა დაკავებული („მარიამ სტიუარტი“, „ბერნარდა ალბას სახლი“, „მედეა“), ამჯერად ლაშა თაბუკაშვილის ცნობილი პიესის, „ათვინიერებენ მიმინოს“, დადგმა გადაწყვიტა. პრემიერა ვაკის თეატრალურ სარდაფში გაიმართა. თავის დროზე, 70-იან წლებში, ამ პიესამ დიდი აღიარება მოუტანა თავად ავტორს და კომკავშირის პრემია – რუსთაველის თეატრში მოღვაწე ახალგაზრდა რეჟისორ ავთანდილ ვარსიმაშვილს. სპექტაკლში კი პირველად წარმოჩნდა დამახინჯებული საზოგადოების

საშიში პერსპექტივა და ძალადობის ანტიუტოპია, რომელიც მაშინ მთელი ძალით არ გაისამა. მიუხედავად იმისა, რომ პიესა აშკარად მოველებულია, ხოლო მისი ენა აშკარად პათეტიკად აღიქმება, რეჟისორმა და ახალგაზრდა მსახიობებმა მოახერხეს, განსაკუთრებული, ძალადობის გამომხატველი ატმოსფერო შეექმნათ. გარკვეული თვალსაზრისით, სპექტაკლი უფრო ახლოა პეტერ ვაისის „მარატ-სადათა“, ვიდრე საკუთრივ ლაშა თაბუკაშვილის ტექსტთან.

როგორ ათვინიერებენ ახალგაზრდებს, რომელთაც სასტიკი იმედგაცრუება და მარცხი განიცადეს? რა ემართებათ უფრო მოზრდილებს, რომლებმაც უკვე დაივინების, რას ნიშნავს სიყვარული და იგემეს უმი ხორცი, რითაც მიმინოებს ათვინიერებენ? რა ხდება იქ, სადაც აღარ არის პიონერთა ბანაკები, მაგრამ არსებობს ზომბირების აშკარა საფრთხე? სცენოგრაფია და რეჟისურა თავიდანვე მიგანიშნებს, რომ პირველების განადგურების, მოშლის, მოთვინიერების ამდაგვარი გაკვეთილები სოციალურად არის საშიში და ეს ნებისმიერ შემთხვევაში პოლიტიკური კრიზისის ნიშანია.

ნიშანდობლივია, რომ სპექტაკლის ესთეტიკის მიხედვით ვერ ხვდებით, სად იმყოფებით — ჯოვანეთში თუ საგიუჟეთში. ნებისმიერ შემთხვევაში, სცენური სივრცე, სადაც პერსონაჟები მოქმედებენ, ადამიანის თავისუფლების სანინაღმდევობდა არის მიმართული. სიცოცხლე მთავრდება იქ, სადაც აღარ არსებობს მეხსიერება და სადაც დასერილი ვენები მხოლოდ სისტემის უძლურების მანიშნებელია. სპექტაკლი მძაფრია და ემოციური, გარკვეული თვალსაზრისით – ისტერიულიც. მოცარტის „რევივემის“ განუწყვეტელი ფონი, იატაკიდან ამოსული ბოლი და სინათლე ქმნის ჯოვანეთის ნამდვილ სურათს, ხოლო უმი ხორცით დაგეშილებს ადამიანური სურვილი აღარ დარჩათ. ეს კი ყველაზე დიდი საშინელებაა.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მსახიობები: გიორგი დევაძე (გიო), ვალერი მანძულაშვილი (იონა), ლევან ხვაჩია (მელოტი), ირა გოგავა (მერი), გიორგი მაისურაძე (პატრონი). სპექტაკლში, ძირითადად, ახალგაზრდა თაობაა დაკავებული, რომლის დიდი ნანილი პირველად თამაშობს ვაკის „თეატრალური სარდაფშის“ სცენაზე. ექსპერიმენტული სულისკვეთებითა და პირქუში ატმოსფეროთი გამორჩეული წარმოდგენა თეატრის რეპერტუარში დარჩება.

yvelaze gamor Ceuli Tve

ანა მაყაშვილი

ფოტო: თამურა ქორქია

თებერვალს სხვა თვეებისაგან ერთი რამ გამოარჩევს: მასში 31 ან თუნდაც 30 დღის ნაცვლად 28, საუკეთესო შემთხვევაში (უფრო სწორად ოთხ ნელინადში ერთხელ) 29 დღეა. ეს ამ თვის უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანია, თუ არ ჩავთვლით გრიგორიანული სომხეთიდან დაბერილი ქარისა და სიცივის მომტან სუფსარქის და კათოლიკური ეკინოპიდან გადმორტყორცნილ სიყვარულისა და გულის ფორმის ნითელ ყუთებში შეფუთული შოკოლადების მომტან წმინდა ვალენტინის დღეს (ასაულს). სხვა მხრივ თებერვალი მაინცდამაინც არ გამოირჩევა. არც წლევანდელი ყოფილა დანარჩენი 11 თვისგან მევეთრად განსხვავებული: კულტურული მოვლენების თვალსაზრისით საკმაოდ დარიბი იყო. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი ყველაზე მდიდარი თვე, სამწუხაროდ, ლონდონის თუნდაც ყველაზე უფერულ ნახევარ საათზე დარიბია... შეიძლება ვაჭარბებ. თავად განსაჯეთ ქვემოთ იმ მოვლენების მიმოხილვისას, რომელთა მომსწრეც (დამსწრეც) ამ თვეში გავხდი.

laSqrroba gamofenebz e

დასალაშქრი მასალა ორ დღეზე დავყავით თებერვლის მე-12 და ხუთი დღის დასვენების შემდეგ – მე-17 დღეზე. განაწილება არათანაბარი: სამი ერთზე გამოვიდა:

ფერწერა ბანკში (9–20 თებერვალი)



ესმა ონიანი (1938-1999 წწ.) მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულების ერთ-ერთ გამორჩეულ ქართველ მხატვრად ითვლება (და არამარტო – მას, ასევე, ნათელ ინდივიდუალ, პოეტად, ხელოვნების კრიტიკოსად და მოაზროვნედ მიიჩნევენ). ეს მაშინ შევიტყე, როცა მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე TBC ბანკის სათავო ოფისში ამ ქალბატონის ნამუშევრების გამოფენაზე ამოყვავი თავი. მხატვრობის უანრი – ფერწერა, ფერბი – მკაფიოდ და ჭყეტელა, ობიექტები – უმეტესად ადამიანები, სხვადასხვა ქუზაუები, თბილისის ქუჩები და ა.შ. ნახატებიდან თავი ყველაზე კარგად ჯანრი კაშიას პორტრეტმა დამამხსოვრა.

ფერწერული ფოტოგრაფია (10–20 თებერვალი)

არ გეგონოთ, რომ ფერწერული ფოტოგრაფია რამე ახალი მიმდინარეობაა ფოტოგრაფიაში (შეიძლება ასეთი მიმდინარეობა უკვე არსებობს, თანაც – საკმაოდ დიდი ხანია), უბრალოდ ეს არის ასოციაცია, დაკავშირებული შარდენის ქუჩიდან ლესელიძის 42-ში გადმოსულ გალერეა „შარდენში“ ფერმწერ

გიგა მირზაშვილის ფოტო-გამოფენასთან „ქალაქი“. გამოფენას სპეციალური პრეზენტაცია არ ჰქონია, ამიტომ ის ლია იყო ნებისმიერი შემთხვევითი გამვლელისთვის, ვინც თავისი ნებით შეაღებდა გალერეის კარს. იქ კი, გამვლელს დახვდებოდა ორი წლის განმავლობაში გადაღებული სურათები – თბილისის ეზოები, ქუჩები, ცნობილი სახეები (უმეტესად, მხატვრის მეგობრები)... მოკლედ, თბილისელი ფერმწერის ფოტოები პროფესიონალი ფოტოგრაფის გადაღებულებზე არანაკლებ საინტერესოა..

“კინო-თეატრი „რუსთაველი“ – ბალიშების შემქნელებისაგან (12 თებერვალი)

25 ავტორი, 150 უნიკალური, ხელნაკეთი ბალში, მხოლოდ ერთი დღე, კინო-თეატრ „რუსთაველი“! ანუ ეს იყო სულ სხვადასხვანირ ბალიშების (თექა, ბატიკა, აპლიკაცია, პეტრორკი, კომბინირებული ქსოვილები, ტყავი...) გამოფენა-გაყიდვა, რის ორგანიზებაშიც დიდი წვლილი შეიტანეს ხელნაკეთი ნივთების მაღაზიამ „დანო“, თავად



კინო-თეატრმა „რუსთაველმა“, სარეკლამო კომპანიამ Flit და BB Company-მ. ალბათ დამეთანხმებით, რომ ერთი დღე ამდენი ჭრელი ბალიშისგან მიღებული შთაბეჭდილებისთვის საკმარისი არ იყო, მით უმეტეს, ეს ყველაფერი სინქრონულად ერწყმოდა კინო-თეატრის დარბაზში ავტორებისა და დამთვალიერებლების ენთუზიაზმასა და კინოში „ნარნიას“ სანახავად შემოსულ-გამოსულ ბავშვებს... მე კი პატივი მქონდა და ვიცნობდი 150-დან სამი ბალიშის (ანუ 25-დან ერთ) ავტორს – დიანა ჩომახაშვილს.

ბევრი ფოტოგრაფიული შეტყობინება (17 თებერვალი–3 მარტი)

N გალერეაში ბესო შონქარდტმა ძველი ცივილიზაციებისათვის გზავნილი დატოვა (ფოტო-პროექტსაც ასე ერქვა: „გზავნილი ძველ ცივილიზაციებს“). ეს ყველაფერი ბესომ თავის დაბატონების დღეზე, 17 თებერვალს, 17 საათზე, შავთელის 17-ში (N გალერეის მისამართია) დაიწყო (თუმცა, ბესო 17 წლის არ გამხდარა). მართალია, მოვლენა ფოტო-გამოფენად უნდა კვალი-ფიცირდეს, მაგრამ მისი ავტორი ფოტოგრაფზე უფრო მეტია (მგონი მხოლოდ კომპიუტერული გრაფიკა ეკუთვნის ლაშა ციხისელს, რაც მოსალვეზე ამოვიკითხე): როგორც გაირკვა, ის ამ ფოტოებზე ორი წელი მუშაობდა, ფოტო-პროსონაუებს თავად უკეთებდა მაკიაჟს, აქსესუარებს, სამოსს, რისთვისაც ყველა შესაძლო მასალას იყენებდა – რეზინას, მილებს, რკინებს... ბესოს სახეობა ქუჩები და ასოციაციების შემთხვევაში განასახიერებენ, მაგრამ არა რომელიმე კონკრეტულს, ისე – ავტორის ასოციაციებით (თუმცა ჩემი აღქმით, ისინი უფრო უცხო-პლანეტების – მომავლის შეიღებს – გვანან, მაგრამ ნელ-



foto: Tamuna qorqia

photo: Beso Schonhardt

ნელა ხომ ყველაფერი საწყისს ემსგავსება...); სინამდვილეში კი ისინი გოგოები და ბიჭები არიან სამოდელო სააგენტო „ნატალი-დან“, ხოლო ზოგი მათგანი ბესო შონჰარდტის მეგობარია.

ki dev er Ti kin o-
pre mier a




მსოფლიო პრემიერების მარაქაში ჩაბმულ კინოთეატრ „ამირანში“ 9 თებერვალს რომ მარშალის ჰოლივუდური ფილმის (სევდიანი დასაწყისი, ბედნიერი დასასრული) „გეი-შას დღიურების“ პრემიერა შედგა. იგივე, ცხადია, მოხდა მსოფლიოს სხვადასხვა მეტ-ნაკლებად ნინნა-სულ ქვეყანაში. საკვირველი ისაა, რომ ასეთ ქვეყანათა რიცხვში არ მოხვდა ჩინეთი. ცხადია, რომ ნინნა-სულიბასთან დაკავშირებით ჩინეთს ათასჯერ ნაკლები პრობლემა აქვს, ვიდრე საქართველოს. უბრალოდ, ფილმის ჩვენება იქ მთავრობამ აკრძალა, რადგან ჩათვალა, რომ ეს კინონა-მუშევარი ჩინურ საზოგადოებაში აგრძესისა და ანტიაპონ-ური განწყობის პროვოცირებას მოახდენდა: მთავარ როლებს ფილმში ცნობილი ჩინელი მსახიობები, ცზი ჩჯანი და გუნ ლი ასრულებენ, ჩინელები კი იაპონელებისაგან განსხვავებით, გეიშებს მეძავებად მიიჩნევენ. დარწმუნებული ვარ, ჩინელები როგორმე მოახერხებენ ნახონ ფილმი, რომელმაც ორიგინალური სცენარისთვის „ოქროს გლობუსის“ მოხვეჭა უკვე მოასწორ. „გეი-შას დღიურების“ შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან თავს შევიკავებ, იმიტომ რომ ჯერ არ მინახავს.

musika - komuni kaci ebi s wyar o

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია მუსიკალური მოვლენების შსახებ, ძირითადად, მაჩაბლის 1-ში მდებარე ბარ-გალერეა „სახლს“ უკავშირდება.

4 Orphans (3, 5 თებერვალი)

ციფრი, „4“ უმნიშვნელოა, საუბარია ორ კონცერტზე, რომელიც ბატონმა ლადო ბურდულმა ზემოთხსენებულ „სახლში“ გამართა. არც orphans – ობლები – უნდა გავიგოთ ჩვეული მნიშვნელობით: ლადოსეული ობლები აუცილებლად უდედმამოები და ბავშვები არ არიან – მათი ასაკი და ოჯახური მდგომარეობა განუსაზღვრელია, ისინი წარმოადგენენ ადამიანებს, რომელთაც სითბო, სიყვარული, ყურადღება აკლიათ, ვერ პოულობენ ამ ქვეყანაში მათთვის აუცილებელ საწვავს... კონცერტია ინდებზე ბეჭედითობით 22 წლის იყო, ამ ქვეყანაში კი „ომი და დედის ტ*ვნა“. ამიტომაც ასეთი მგრძნობიარე ინსპირაციის ნაყოფს ლადომ ფასიც დაადო: ბილეთი 10 ლარი ღირდა. მუსიკოსის აზ-



რით, ასეთ შემთხვევაში მოვიდოდა ის მსმენელი, ვინც ჩათვლიდა, რომ ფულის გადახდა ნამდვილად ღირს, ანუ ის, ვინც მართლა აფასებს და უსმენს მუსიკას; ხოლო თავად ღადადსთვის ბილეთის ფასი თავდაცვის საშულაება იყო – ის აიცილებდა კონცერტებზე არსებულ ჩვეულ ყაყანს. ასე კი, ნამდვილი კონცერტი გამოვიდა.

ელექტრო-აკუსტიკური სესია (10, 12 თებერვალი)

კვლავ ბარი-გალერეა „სახლი“, ოღონდ ახლა უამრავი ნაცნობისა და ბარში შემთხვევით შესული უცნობის (რომლებიც ასეთ დროს, როგორ წესი, ნანობენ ბარში შესვლას) ნინაშე წარსდგნენ ნიკა კოჩაროვი და ლევან შანშიაშვილი, „ინგ ჯორჯიან ლოლიტაზ“-იდან. იმისდა მიუხედავად, რომ მუსიკალურ სესიას აკუსტიკური ერქვა, ნიკაც და ლევანიც ელექტრო-გიტარებს აულარუნებდნენ. და, იმისდა მიუხედავად, რომ „სახლში“ იყო ბევრი ხალხი, ცოტა ადგილი და სიგარეტის ბული, კონცერტი სასიამოგნო გამოდგა. „ლოლიტაზ“-ის ცნობილ (ნაცნობებისთვის) სიმღერებთან ერთად, კაჩაროვმა პუბლიკას უმღერა და აზიარა ჰიპი მუსიკოსი მამის უდროოდ გარდაცვლილი შეიძლის – Jeff Buckley-ის რამოდენიმე სიმღერა. და კიდევ – უკვე ტრადიციად იქცა და „სახლში“ მისულთა შორის, როგორც წესი, ერთი-ორი მუსიკოსი აღმოჩნდება ხოლმე, რომელსაც გიტარასთან იწვევენ. იმ დღეს „ინგ ჯორჯიან ლოლიტაზ“-ის შემდეგ, ასეთ როლში სოფურ ასლანიშვილი და შემდეგ თავად მასპინძელი უორა მოგვევლინენ.



სხვათა შორის, გაყიდვაში გამოვიდა: უორას სტუდიური ალბომი „ლამის ცურვა“ და


ჩენი CCCP-ის – Самолეთი (10 თებერვალი). სულ ეს იყო ის, რაც ნაკიანად წოდებულ თებერვალს სხვა დანარჩენი სრულყოფილი თვეებისაგან გამოარჩევს. ვ




sesili



შემოსწრებული ინფორმაცია: 15–22 მაისს გაიმართება მე-6 საერთაშორისო ახალგაზრდული კინო-ფესტივალი „სესილი“. მონანილეობის მსურველებო, ნამუშევრები მიიღება 20 მარტამდე!





anabeWdi s dabadebi s dRe

J **W** **O**

this war is going to be controlled by the navies of the United States and Britain. Nothing else, no treaties, no agreements will do it. We must make our own peace and keep it."

H **T** **Her**

C **O** **CONCILIATOR** IN
form Clarence C. Mc
KEEEN, yesterday
joined by Federal
McNair as conciliator
one year. His duties
are to settle
disputes.

G **E** **T** **GETS MERIT A**
Brass & Bronze Co.
joined by the
United States
Certificates of Merit for
in war bond sales. The
War Finance Com
manager announced
Employees of the
company, said,
are enrolled in
the war savings payroll deduction
plan.

A **R** **MISTICE DAY PLANS**—
Representatives of all local war
veterans' societies will discuss
plans for Pittsburgh's Armistice
Day celebration at a meeting of the
Federation of War Veterans

where smaller Diesel and generators that produce the current for the vast and intricate electrical system which controls the operation of the ship.

View of Operates

Most dramatic feature of yesterday's first run was when the ship was operating at night, the ship was ready to load coal, developing into a big pile for the OPA, each chained to steel deck who negotiated for new tanks will ride in the ocean, bring the vessel up the Ohio.

Every ship that leaves American Bridge Company is completely equipped from the quarters of the ship in the refrigeration tanks and surgical instruments.

Proceeding of the trial of the 282, a sister ship, was launched from the ways transfer area of the yards. At the launching was Mrs. Ethel Losman, a welder in the ship yard at Ambridge. She cracked the traditional bottle of champagne on the 282's bow she slid into the Ohio. Mrs. Losman's husband is a soldier with the American Army in Europe. Her brother is in the navy. Her late was a fellow welder, Mr. Wanda Oberle, and both of them demonstrated that even a welder

Motorists Slow in Filing For "A" Gas Rations

Flood of East Liberty Applications Files Up; Autoists

Called to Act Quick

OPA officials

of new basic "A" rationing books yesterday

developing into a

percentage of

total number

expected.

OPA officials called motorists to file their applications as soon as possible, resulting in filling out application forms completely and covering of all "A" rationing books and

operator records

any motorist

and "A" book may afterwards

file registration card instead

of "AWOL" from Camp Gruber, since early this month.

Soldier Is Held On Theft Charge

Private Charles Kneller, 35, of 3509 McKinley Avenue, McKeesport, was held in court by Justice Cliff Carlson yesterday

on a charge of breaking and entering in connection with a theft from the Eleventh Ward.

Military police also charged that he

be detained on another charge.

McKeesport police

was being held, as no services

returning home.

and that after his departure

discovered that a glass

charge, how, on the ba

tribution toward a fu

entertainment of services

was missing. He was arrested

possess his a

file registration

notified. He was said to

AVOL from Camp Gruber, Illinois,

since early this month.

Don't Eat Rationed Meat Your Goat Just Eat It

Meat Is as Tasty as Lamb,
Enthusiast Asserts; on Menu Tonight

By Vincent Johnson

Post-Gazette Staff Writer

In any rationing system the pub

gots. But, he insisted, you don't have to eatate goats on how to handle people.

Motorists Slow in Filing For "A" Gas Rations

Land of East Tablets Applications

www.rockauto.com

of new books "A reader yesterday suggested that the number of new books published was only a small part of the total number of books in circulation. Other readers agreed."

revised their forty-second year by the late W. G. Atkinson, a well-known Englishman, and now reprinted, and new editions have been issued from time to time, and some additional material has been added.

of individuals under jurisdiction of eligible entities.

CFB officials said the workers and managers reported preferring to use the small application.

Soldier Is Held On Theft Charge

Private Charles Renshaw, 35, of 330 McRory avenue, Hoboken post, was held for trial by Justice

McKeesport police said Krabler was being held as an overnight guest at the club until that afternoon it was discovered that a plane load of dynamite had been brought for explosives storage. He was arrested shortly afterwards by military authorities. He was said to have been ABC from Cedar Grove, Illinois, before coming to the state.

Lionizing Ge
EHSI 100

Meat Is as Tasty as Lamb,
Enthusiast Asserts; on Menu Tonight

have to provide greater value to our customers.








AREA 53

pleaz cum and go to our partyz


bring da vodkas and biatchiz

so fuckin glamorous make noizis

Because the music do



Hey you, hey you, Devil's little sister
Listening to your Twisted Transistor Hold it between your legs Turn it up, turn it up
The wind is coming through Can't get enough.



თ მ ბ რ ე რ ე ბ ი ლ ი ზ ა რ ა



100 საუკეთესო ფოტო



అన్న
MORNING

జురి లోభోడిన్
JURI LOBODIN

MONUMENTAL *morning*



თბილისი
TBILISI

ბესო უზნაძე
BESO UZNADZE

© BESO UZNADZE 2010



ՀԱՅԱՍՏԱՆ
ACADEMY

ANI NISHNIANIDZE

W E D N E S D A Y J U N E 2 6 1 9 6 8



კონი თეატრი ქონი
coming soon <http://kohi.ge>

Lado Event

www.caucasus.art.ge www.rockfest.art.ge www.lado.art.ge

გაგათი 4 მარტი

გაგა ლეგა ჯაზზი

შეღესქოვი

After party DJ party

გაგათი 11 მარტი

ვიეზნეაის ჩადიო

სტრინგი

After party DJ party

BEATLES კლუბი,

კოსტავას ქ.25

ყოველ გაგათს 20:00

გილეონის ფასი 20 ლარი

დაჯავშნა 10 ლარი

გაგათი 18 მარტი

ერთობი ვერსია

ვისლე

After party DJ party

გაგათი 25 მარტი

სტრინგი [კათასი]

ლაზირინთი [სამრეწვა]

After party DJ party

In the entire Caucasus you now have only ONE CHANCE and one place to listen to live Caucasus original rock music
EVERY SATURDAY



FOR THE PROMOTION OF THE CAUCASUS



Geo Art



ანაბეჭდი ულოცავს „GeoCell“-ს დაბადების დღეს

ჯეო-Art ზამთარი... MMS ფოტო-კონკურსი გრძელდება!

უურნალი „ანაბეჭდი“ განაგრძობს კომპანია „ჯეოსელთან“ თანამშრომლობას და მისი ინვაციური პროექტის მხარდაჭერას.

მოგეხსენებათ „ანაბეჭდი“, „ჯეოსელის“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტის, MMS ფოტო-კონკურს „ჯეოარტ“-ის პარტნიორია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ანაბეჭდის“ ერთგულ მკითხველს, უურნალის მეშვეობით, საშუალება ეძლევა სისტემატიურად გაეცნოს პროექტის შესახებ ინფორმაციას და კონკურსში გამარჯვებული ფოტონამუშევრებიც იხილოს.

ამჯერად, გთავაზობთ „Geo-Art ზამთრის“ გამარჯვებულ ფოტოებს და იმავდროულად მოგითხობთ კონკურსის საინტერესო დეტალების შესახებ.

მიმდინარე წლის 25 დეკემბრიდან 25 იანვრის ჩათვლით `Geo-sell-ის აბონენტებს შესაძლებლობა ქონდათ საკუთარი ფოტონამუშევრები გაეგზავნათ 5555-ზე და მონაწილეობა მიეღოთ კონკურსში „Geo-Art ზამთარი“. გამოცხადებული იყო სამი თემატური ნომინაცია: „საახალწლო სუფრის შედეგები“, „მარიაჟი“ და „მე მიყვარს“.

კონკურსში მონაწილეობა 4000-ზე მეტმა აბონენტმა მიიღო. მთელი საკონკურსო მასალა პროფესიონალი ფოტოსელოვანებისგან შემდგარმა კომპეტენტურმა უიურიმ (გიორგი ცაგარელი, გურამ წიბახაშვილი, გიკონ დადიანი, დავით მესხი) გადაასარისხა და შეაფასა. გამარჯვებულთა ვინაობა 30 იანვარს, კინოთეატრ „ამირანში“ საზეიმო ვითარებაში დასახელდა. სულ გამოვლინდა 30 გამარჯვებული – თითოეულ ნომინაციაში 10 პრიზიორი. ნომინაციაში „საახალწლო სუფრის შედეგები“ დიმიტრი სუხიტაშვილმა გაიმარჯვა, „მარიაჟის ისტორიას“ განკუთვნილი პრიზი შორენა გაძუნიამ დაისაკუთრა, ხოლო საუკეთესო „მე მიყვარს“ ნინო ბაზაშვილმა დააფიქსირა.

ფოტოს შეფასების ძირითადი კრიტერიუმები უცვლელი დარჩა. გამომდინარე იქიდან, რომ საქმე გვაქვს არა ფოტოაპარატით, არამედ მობილური ტელეფონით გადაღებასთან, ძირითადი ყურადღება ექცევა ნამუშევრის იდეას და ასევე, გადაღების დროს როგორ არის დაჭრილი ექსპოზიცია.


„Geo-Art“-ის ფარგლებში, მომდევნო კონკურსის ჩატარება მიმდინარე წლის გაზაფხულზეა დაგეგმილი, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რა თემებზე მოუწევთ „ჯეოსელის“ აბონენტებს ფოტოების გადაღება.



mar i aji
m m a m a n a j a j i j i

1

Sor ena
gabuni a



2

l al i
gogi a



3

nino
tyavaZe



4

soso
bakur aZe



5

me ko
as aTi ani



6

arsen
oqr uaSvili



7

nino
Cem ia



8

Tamar
gogi Cai Svili



9

Tako
ni blaZe



10

uCa
nebi er i Ze





me mi yvars
me mi yvars
me mi yvars

1
dimitri
suxitaSvilli




2
gela
giorgelaSvilli



3
giorgi
rexviaSvilli



4
mai a
mazaniSvilli



5
TaTa
galogre



6
dato
tabataze




7
dato
mamukaSvilli



8
nia




9
giorgi
bar nabi Svilli



10
qetevan
xerxeuli Ze





saaxalwlo
sufris Sedegebi
ssaaaxaalwloalwlo
sauffriss fSedegebi

1

nino
baz aSvili



2

giorgi
danduri Svili



3

lela
mur vani Ze



4

mai a
khuTunaSvili



5

guram
gi gaur i



6

mari am
pai WaZe



7

ana
gogouaze



8

levan
baduraSvili



9


naTi a
kumelaSilli



10

levan
baduraSvili





ქართველი ექსტრემალები ძალებს იკრებენ.

თბილისის სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური სატელევიზიო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ნიამორი“ 5 თებერვალს ბაკურიანში სამთო-სათხილამურო სპორტში უურნალისტთა შორის პირველი პირველობით დაიწყო.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის, სათხილამურო სპორტის ეროვნული ფედერაციის, ბაკურიანის გამგეობის, „ყაზბეგი ჯგუფის“, ქართული სპორტული ტანსაცმლის მწარმოებლის – „ჯეოსპორტის“, მაღაზია „მოდა და სპორტისა“ და გამაჯანსალებელ ცენტრ „ნაუტილუსის“ ხელშეწყობით გამართულ ტურნირში „ტელემიდი“, „მუდმივი კავშირის სამყარო“, „მზე“, „რუსთავი-2“, „საზოგადოებრივი ტელევიზია“, „ანაბეჭდი“, „24 საათი“, სახელმწიფო კანცელარიის პრესსამსახური და სტუდია „პილიგრიმი“ მონაწილეობდნენ.

500-მეტრიან ტრასაზე, 25 კარით, გოგონებს შორის საუკეთესო დრო (32'.50'') ნინო გაჩეჩილაძემ („რადიო უცნობი“) აჩვენა, მეორე ადგილზე სოფო ჩხაიძე („მუდმივი კავშირის სამყარო“) გავიდა, მესამეზე – „რუსთავი 2“-ელი ნატა ამალობელი.

ვაჟების პირველი სამეული ასეთი გამოვიდა – გიორგი წირქვაძე („ტელე-იმედი“), გოგი ახალკაცი („ანაბეჭდი“) და გიორგი ლაზაშ-

ვილი (რუსთავი 2“).

საუკეთესო „ჩაინიკები“ დუდუ კურდლელია („რუსთავი-2“) და ეველინა მენთეშაშვილი („საზოგადოებრივი მაუწყებლობა“, „ნიამორის“ პრესსამსახური) გახდნენ, მათ მდუღარე წყლით სავსე „ოქროს ჩაიდანი“ სტუდია „პილიგრიმმა“ გადასცა.

16 თებერვალს, თბილისში ხელოვნების ნაციონალურ ცენტრში ფესტივალის ფოტოკონკურსი ჩატარდა – ხუთეაციანი ქიურის შერჩეული 17 ავტორის 34 ფოტო, ფილმების და ფოტოკონკურსების გამარჯვებულების გამოვლენამდე, 3 მარტამდე კინოს სახლის დარბაში გამოიფინა.

მანამდე კი, „ნიამორმა“ ექსტრემალური უიკ-ენდი მოიწყო... საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თაოსნობით უკვე მეორე წელია იმართება „ტიან-შანში დალუპულ ქართველ ალპინისტთა მემორიალი“ – შეჯიბრი ყინულზე ცოცვაში. წელს ამ მემორიალს ფესტივალი „ნიამორიც“ შეუერთდა.



18 თებერვალს, გორის რაიონში, ატენის ხეობაში 35 ვაჟმა და 7 გოგონამ იასპარება. მონაწილეთა შორის ახალბედები სჭარბობდნენ, თუმცა იყვნენ ძალიან გამოცდილებიც – ბიძინა გუჯაბიძე (ორგზის ევერესტელი და მესიმაღლე) და სოფო თვარაძე (პირველი ქართველი გოგონა, რომელმაც ჰიმალაიში ამა-დაბლა-მის მწვერვალი დალაშქრა).

თავდაპირველად საუკეთესო დრო ბიძინა გუჯაბიძემ უჩვენა, თუმცა საბოლოოდ ახალგაზრდა გურამ გაზდელიანმა გაიმარჯვა. გოგონებში კი საუკეთესო, დებიუტანტი ნატო ლიპარტელიანი იყო. ყველა გამარჯვებულსა და პრიზიორს ფესტივალის სახელით გამაჯნასაღებელ-ფიტნეს ცენტრ „ნაუტილუსის“ პრიზები გადაეცათ. ყველა გამარჯვებულს კი – საჩურები „ყაზბეგი ჯგუფისგან“.

კვირას, 19 თებერვალს კი, ის ვინც შაბათს ძალიან არ დაიღალა, გუდაურში, „კოსტეს ხიუინაში“ შეიკრიბა. ციგებით შეკიბრში მონაწილეობის 30(ვაჟმა და გოგონამ) მსურველიდან უმეტესობამ, კუდების მთაზე (3100 მეტრი ზღვის დონიდან), ინსტრუქტორების (ივა ხარაძის და დევი მჭედლიშვილი) საჩვენებელი გამოცდილის

შემდეგ, გარისკვას ისევ თხილამურით სრიალი ამჯობინა.

12 „თავდადებული“ და ორი ინსტრუქტორი კი თითქმის სამი საათის განმავლობაში თავაწყვეტილი ეჯიბრებოდა ვინ უფრო ექსტრემალი იქნებოდა და ვის შეხვდებოდა ფესტივალ „ნიამორის“ ჯილდოები. მოციგავეებმა „ფორმულასთვის“ დამახასიათებელი სიჩქარე განავითარეს და ფინიშად გაუკვალავი თოვლი არჩიეს...

ორი დღის შედეგებით „ნიამორის“ პარტნიორის, მაღაზია-„მოდა+სპორტის“ მიერ დაწესებული ციგა ქეთი ღოღობერიძეს შეხვდა. ფესტივალის მიერ დაწესებული „ატომიკის“ თხილამურები ირაკლი ულენტს ერგო. უურნალ „ანაბეჭდის“ პრიზები კი ლადო დანგაძემ, ახალბედა ექსტრემალმა თეატრალური ინსტიტუტიდან ეკა ღოღობერიძემ და გამოცდილმა დევი მჭედლიშვილმა დაიმსახურეს.

medl ebi

xaCi kas listi

სპორტის სახეობა — 15.

84 ქვეყანა

2500-ზე მეტი მონაწილე

75 მედლების კომპლექტი

ზეკორდები: იტალიის ნაკრები- ციგურებით რბენა, ან ჰიუნ სო-კორეა-შორტტრეკი, კანადის ქალთა ნაკრები-ციგურებით რბენა, კორეის ნაკრები-ციგურებით რბენა.

ოქროს მედალოსნები

გეორგ ჰატიხი — ჩრდილო კომბინაცია — გერ.

ჯენიფერ ჰეილი — ფრისტაილი — კან.

ჩად ჰედრიკი — ციგურებით რბენა — აშშ.

მიხაელ გრაისი(3) — ბიატლონი — გერ.

ან ჰიუნ სუ — შორტტრეკი — კორ.

არმინ ცოგელერი — ციგა — იტა.

ლარს ბისტოელი — ტრამპლინიდან ხტომა — ნორ.

ირენ ვუსტი — ციგურებით რბენა — ჰოლ.

ევგენი დემენტიევი — თხილამურებით რბენა — რუს.

შონ უაიტი — სნოუბორდი — აშშ.

ანტუან დენერია — სამთო თხილამურები — საფ.

კრისტინა სმიგუნი(2) — თხილამურებით რბენა — ესტ.

სვეტლანა იშმურატოვა — ბიატლონი — რუს.

ტატიანა ტოტმიანინა,

მაქსიმ მარინინი — ფიგურული სრიალი — რუს.

ჯონ ჩიკი — ციგურებით რბენა — აშშ.

ჰანა ტეტრი — სნოუბორდი — აშშ.

ტედ ლიგიტი — სამთო თხილამურები — აშშ.

სილვე ოტო — ციგა — გერ.

სვეტლანა ჭუროვა — ციგურებით რბენა — რუს.

სვენ ფიშერი — ბიატლონი — გერ.

ბიორნ ლინდი(2),

ტობიას ფრედრიკსონი — თხილამურებით რბენა — შვედ.

ანა დალბერგი,

ლინა ანდერსონი — თხილამურებით რბენა — შვედ.

დეილ ბეგ-სმიტი — ფრისტაილი — ავსტრალ.

მენ ვანგი — შორტტრეკი — ჩინ.

ანდრეას ლინგერი,

ვოლფგანგ ლინგერი — ციგა — ავს.

მიხაელა დორფმაისტერი — სამთო თხილამურები — ავს.

ფლორანს ბევერელ-რობერი — ბიატლონი — საფ.

ევგენი პლუშენკო — ფიგურული სრიალი — რუს.

მაია ჰედერსენი — სკელეტონი — შვეიც.

იტალია (გუნდური-კაცები) — ციგურებით რბენა

იტალია (გუნდური-ქალები) — ციგურებით რბენა

ავსტრია (გუნდური-კაცები) — ჩრდილო კომბინაცია

სეტ ვესკოტი — სნოუბორდი — აშშ.

დაფ გიბსონი — სკელეტონი — კან.

ტანია ფროლინი — სნოუბორდი — შვეიც.

ანდრეს ვირპალი — თხილამურებით რბენა — ესტ.

ჰიუნ სე ანი — შორტტრეკი — კორ.

სენ იუ ჯინი — შორტტრეკი — კორ.

კატი ვილჰელმი — ბიატლონი — გერ.

კევინ კუსკი(2),

ანდრე ლანგი(2) — ციგა — გერ.

მარინ ტიმერი — ციგურებით რბენა — ჰოლ.

იტალია (გუნდური-კაცები) — თხილამურებით რბენა

ფილიპ შოხი — სნოუბორდი — შვეიც.

ჩანდრა კროუფორდი — თხილამურებით რბენა — კან.

შიზუკა არაკავა — ფიგურული სრიალი — იაპ.

შვედეთი (ქალები) — ქერლინგი

ჰან ქსაბენგი — ფრისტაილი — ჩინ.

დანილ მეული — სნოუბორდი — შვეიც.

რუსეთი (გუნდური ქალები) — ბიატლონი

კანადა (კაცები) — ქარლინგი

ბო დე იონგი — ციგურებით რბენა — ჰოლ.

ჯულია მანკუსო — სამთო თხილამურები — აშშ.

კატარინა ნეუმანოვა — თხილამურებით რბენა — ჩეხ.

სუნ იუ ჯინი — შორტტრეკი — კორ.

ანტონ აპოლო ონო — შორტტრეკი — აშშ.

ავსტრია (გუნდური კაცები) — ტრამპლინიდან ხტომა

ბენჟამინ რაიხი — სამთო თხილამურები — ავს.

ტატიანა ნაფკა,

რომან კოსტომაროვი — ფიგურული სრიალი — რუს.

სანდრა კირიასისი,

ანია შნაიდერპაინცე — ბობსლეი — გერ.

ენრიკ ფაბრისი — ციგურებით რბენა — იტა.

ფელიქს გოტვალდი — ჩრდილო კომბინაცია — ავს.

გერმანია (გუნდური კაცები) — ბიატლონი

ეველინ ლეუ — ფრისტაილი — შვეიც.

ანია პერსონი — სამთო თხილამურები — შვე.

სინდი კლასენი — ციგურებით რბენა — კან.

გერმანია (გუნდური კაცები) — ბობსლეი

კლარა ჰიუზი — ციგურებით რბენა — კან.

ანა კარინ ლაფაფსონი — ბიატლონი — შვე.

ჯორჯიო დი ჩენტა(2) — თხილამურებით რბენა — იტა.

კანადა ქალები — ჰოკეი

შვედეთი კაცები — ჰოკეი ვ

				ჯამი
1		გერმანია	11	12
2		აშშ	9	9
3		ავსტრია	9	7
4		რუსეთი	8	6
5		კანადა	7	10
6		შვედეთი	7	2
7		კორეა	6	3
8		შვეიცარია	5	4
9		იტალია	5	0
10		საფრანგეთი	3	2
10		ჰოლანდია	3	2
12		ესტონეთი	3	0
13		ნორვეგია	2	8
14		ჩინეთი	2	4
15		ჩეხეთი	1	2
16		ხორვატია	1	2
17		ავსტრალია	1	0
18		იაპონია	1	0
19		ფინლანდია	0	6
20		პოლონეთი	0	1
21		ბელორუსია	0	1
21		ბულგარეთი	0	1
21		დიდი ბრიტანეთი	0	1
21		სლოვაკია	0	1
25		უკრაინა	0	0
26		ლატვია	0	1



როგორი იყო შენი პროგრამა მინიმუმი ოლიმპიადაზე გამგზავრების წინ?

01017001296 31cm սլովակիան.

१८५०

06.01.1989 ජූලි

၏ ခေါ်ကြားမျှမှုများ၊ ပေးသိမှုများ၊ ပေးသိမှုများ၊ ပေးသိမှုများ

କବିର୍ପ ଶାନ୍ତିକାଳୀ

ଫଲାପି ରାମଫ୍ଲାନ ସାବତସ ପାରଜୀଳିଶିଙ୍କତ?

4-5 years

მე მიყვარს..... მე არ მიყვარს.....

জোড়ম্বোস, কু... প্রক্রিয়া.

მე მინდა, რომ 10 წლის შემდეგ ჩემზე თქვან.....

মানুষের মুগ্ধ প্রকৃতি হচ্ছে এবং তা

ჩემი ასარჩევი რომ იყოს მომავალ (ჰელვეტიკაში ვიზუალიზაცია).....

sun 3/15/17

სპორტის გამო რაზე გიხდებათ უარის თქმა?

બ્રાહ્મણ લાંઘનગર

რომ არა ფინანსურული სრიალი.

I am about 80, 81

სიზმარში ხშირად ლას ნახულობთ ხოლმე?

1988m/s m 2026Lmzv(p)8

ჩემს მომავალ ყველაზე დიდ გამარჯვებას მივუძღვნი.....

1227 n31011 6/3/18

რის, ან ვის გარეშე არ ჩაუვლია თქვენი ცხოვრების არც ერთ დღეს?

John Thompson July 20

წლევანდელი წარმატება ვინ მოგილოცათ საქართველოდან პირველმა?

தியோ ஶ்ரீநாராயண முனிசுபல்

სიამოვნებით გავუკეთებდი რეკლამას.....

104 mm 0.31 cm m/s

მიმღებათ პრედიტი



% აქ

პაზისპანების საკრედიტო ბარათებზე


- კრედიტი გაიცემა გირაოს გარეშე;
- საკრედიტო ლიმიტი - 10 000 ლარამდე;
- ბარათზე საკრედიტო ლიმიტით სარგებლობა
შესაძლებელია 1 წლის განმავლობაში.



დაკრედიტების **10 დღიანი*** საშეღავათო პერიოდი
ბაზისბანკის საკრედიტო ბარათების მფლობელებს

დარჩეთ ახლავა: 922 922, 921 921

* თქვენ საერთოდ არ მოგიწევთ პროცენტების გადახდა,
თუ ყოველთვის შეძლებთ 10 დღის განმავლობაში დაფაროთ სესხი.



— www.geocaching.de —